



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ბექა ხიტირის მიერ

სამართლის დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაცია

მეწარმე სახელმწიფო:

საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციული საქმიანობის
განხორციელების სამართლებრივ-ეკონომიკური შედეგები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ირაკლი ბურდული

თბილისი, საქართველო

2022 წელი

სარჩევი

| | |
|--|-----|
| გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა | V |
| აბსტრაქტი | VI |
| Abstract..... | VII |
| 1. შესავალი | 1 |
| 1.1. ნაშრომის მიზანი | 13 |
| 1.2. თეზისის რელევანტურობა..... | 14 |
| 1.3. კვლევის მეთოდი | 15 |
| 1.4. ნაშრომის სტრუქტურა | 17 |
| 2. სახელმწიფოს ლეგიტიმური მიზანი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას | 18 |
| 2.1. ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება..... | 20 |
| 2.2. მოსახლეობისათვის სერვისების შეთავაზება..... | 23 |
| 2.3. ეკონომიკის სტიმულირება | 26 |
| 2.4. ეკონომიკის სასურველი მიმართულებით წარმართვა..... | 31 |
| 2.4.1. სტრატეგიული სექტორების განვითარება | 34 |
| 2.4.2. სტრატეგიული სექტორების მართვა | 39 |
| 2.5. შემოსავლის მიღება, როგორც სახელმწიფოს ლეგიტიმური მიზანი | 46 |
| 2.6. შუალედური დასკვნა | 50 |
| 3. სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ინსტრუმენტები | 52 |
| 3.1. სახელმწიფოს მიერ მართული კერძოსამართლებრივი პირები..... | 54 |
| 3.1.1. სახელმწიფოს კუთვნილი კერძო კომპანიები | 55 |
| 3.1.2. სახელმწიფო საინვესტიციო ფონდები..... | 71 |
| 3.2. საჯაროსამართლებრივი ინსტრუმენტები, როგორც სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის ირიბად განხორციელების მექანიზმები | 83 |
| 3.2.1. კერძო-საჯარო პარტნიორობა | 86 |
| 3.2.2. კერძო კომერციის სუბსიდირება..... | 98 |
| 3.2.3. კონკრეტული სფეროს პროაქტიური ხელშეწყობა..... | 106 |
| 3.3. შუალედური დასკვნა | 108 |

| | |
|---|-----|
| 4. სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების სამართლებრივი შედეგები | 112 |
| 4.1. ლეგიტიმური მიზნის გარეშე მოქმედების სამართლებრივი შედეგები..... | 115 |
| 4.2. არასათანადო ინსტრუმენტით მოქმედების სამართლებრივი შედეგები..... | 121 |
| 4.3. ინტერესთა კონფლიქტი | 126 |
| 4.3.1. ინტერესთა კონფლიქტი სახელმწიფოს როლებს, როგორც სამართალშემოქმედსა და მეწარმეს შორის | 129 |
| 4.3.2. ინტერესთა კონფლიქტი სახელმწიფოს როლებს, როგორც ხელისუფლების ორგანოსა და მეწარმეს შორის..... | 136 |
| 4.3.3. ინტერესთა კონფლიქტი მეწარმე სახელმწიფოსა და მინორიტართა შორის | 138 |
| 4.3.4. ინტერესთა კონფლიქტის მიტიგაცია და შედეგები | 139 |
| 4.4. კორუფციის ზრდა..... | 141 |
| 4.5. სამართალეფექტიანობის შემცირება | 150 |
| 4.6. საჯარო ხელისუფლების კომერციაში მონაწილეობის დადებითი სამართლებრივი შედეგები..... | 153 |
| 4.7. შუალედური დასკვნა | 155 |
| 5. სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ეკონომიკური შედეგები | 157 |
| 5.1. ლეგიტიმური მიზნის გარეშე მოქმედების ეკონომიკური შედეგები..... | 160 |
| 5.2. არასათანადო ინსტრუმენტით მოქმედების ეკონომიკური შედეგები..... | 168 |
| 5.3. სახელმწიფო, როგორც მონოპოლისტი | 170 |
| 5.4. სახელმწიფოს მიერ ბიზნესის მართვის ეფექტურობა..... | 176 |
| 5.5. სახელმწიფოს ჩარევის შედეგად თავისუფალი ბაზრის ეკვილიბრიუმის დარღვევა..... | 179 |
| 5.6. შუალედური დასკვნა | 181 |
| 6. ხელისუფლების ორგანოთა მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზანშეწონილობა | 184 |
| 6.1. ხელისუფლებისათვის კომერციაში მონაწილეობის აკრძალვის ორგანიზაციული პრობლემები | 185 |
| 6.2. სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შეზღუდვის ეკონომიკური წინააღობები | 186 |
| 6.3. საჯარო ორგანოთა მიერ მეწარმეობის გაწევის გამორიცხვის პოლიტიკური შედეგები | 187 |

| | |
|-------------------------------|-----|
| 6.4. შუალედური დასკვნა | 188 |
| 7. დასკვნა | 190 |
| ბიბლიოგრაფია | 196 |
| ინგლისურენოვანი წყაროები..... | 196 |
| ქართულენოვანი წყაროები | 230 |

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა

ქართულენოვანი აბრევიატურები:

ე.წ. - ეგრეთ წოდებული.

იხ. - იხილეთ.

რედ. - რედაქტორი.

ინგლისურენოვანი აბრევიატურები:

BOLT – Build, Operate, Lease, Transfer.

BOO – Build, Operate, Own.

BOOT – Build, Operate, Own, Transfer.

BOT – Build, Operate, Transfer.

DBFO – Design, Build, Finance, Operate.

DBT – Design, Build, Transfer.

Ed. – Editor.

Eds. – Editors.

PPP – Public=Private Partnership.

ROT – Rehabilitate, Operate, Transfer

აბსტრაქტი

საჯარო ხელისუფლების ორგანოები, მათ ბუნების მიუხედავად, ხშირად იღებენ მონაწილეობას ისეთ კერძოსამართლებრივ აქტივობაში, როგორცაა სამეწარმეო საქმიანობა. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოსა და მისი განშტოებებისთვის ხშირად ხელმისაწვდომია კერძო პირებთან შედარებით დიდი მოცულობის რესურსები, ეს ნიშნავს, რომ საჯარო ხელისუფლების კომერციაში ჩართულობას შეიძლება, მნიშვნელოვანი დადებითი ან უარყოფითი შედეგები მოჰყვეს, რის გამოც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ასეთი ნაბიჯების გადადგმა მოხდეს მაქსიმალურად გააზრებულად და სათანადო მიზნით.

ერთი მხრივ, სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას სჭირდება კონკრეტული საფუძველი. ეს ნიშნავს, რომ გარდა უბრალოდ მოგების მიღების სურვილისა, საჭიროა დამატებით სხვა, საჯარო სამართლის თვალსაზრისით რელევანტური მიზეზი. წინამდებარე ნაშრომში განხორციელებულია ანალიზი იმისა, თუ რატომ არსებობს ასეთი საბაზის აუცილებლობა, ასევე თუ რა სახის მიზეზები შეიძლება ან არ შეიძლება, ჩაითვალოს სახელმწიფოს მიერ მეწარმეობის განხორციელებისათვის საკმარის საფუძველად.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა მეთოდებისა და ინსტრუმენტების განხორციელებით მოხდება საჯარო ხელისუფლების კერძო ბიზნესში ჩარევა. საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს სხვადასხვა მექანიზმი, რომელთა სახელმწიფოს მიერ გამოყენებაც გამართლებულად ან, ალტერნატიულად, მიუღებლად განიხილება. შესაბამისად, აუცილებელია ასეთი საშუალებების ანალიზი და მათთან დაკავშირებით ერთიანი პოზიციის წარმოჩენა.

საბოლოოდ, ხაზგასასმელია, რომ სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას ყოველთვის მნიშვნელოვანი იურიდიული და ეკონომიკური შედეგები მოჰყვება. ერთი მხრივ, სტრატეგიული სექტორების განვითარებიდან დაწყებული, მეორე მხრივ, კორუფციის მნიშვნელოვნად გაზრდით დამთავრებული, ასეთი შედეგების გააზრება და მათთან დაკავშირებული რისკების დეტალური ანალიზი აუცილებელია, რათა ხელი შეეწყოს საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციაში მონაწილეობის მაქსიმალურად უმტკივნეულოდ განხორციელებას.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ მიზნებს ემსახურება. მასში წარმოჩენილი ანალიზი, მისი გათვალისწინების შემთხვევაში, იქნება მცირედი ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის ოპტიმალურად განხორციელებას.

Abstract

Governing bodies, despite their nature, often choose to participate in such private activities as business. Considering the fact, that often the state and its representatives have the privilege of utilizing vast resources, especially when juxtaposed with those resources available to private businesses, this means that the states' participation in commerce may have major positive or negative implications. Hence, it is especially important that such steps are undertaken only on the best thought-out and with justified reasoning.

On the one hand, in order for the state to interfere in private business, sufficient grounds need to exist. This means, that the mere wish for profit is not enough and an additional purpose, which is relevant for public law, must exist. The present article shall analyze such a need, as well as which exact grounds and aims are necessary for the state to act in the guise of an entrepreneur.

At the same time, it is of paramount importance that the specific methods and instruments utilized in order to participate in business are appropriate as well. In international practice, there are a number of mechanisms, which can be used by the state and which are, in turn, considered either appropriate or not at all for such a purpose. Therefore, these means need to be analyzed, providing a unified position in relation to them.

Finally, it is important to emphasize that the state participating in business always has major economic and legal implications. It can lead to results such as the development of strategic sectors on the one hand, and an increase in corruption on the other hand. These potential results need to be understood and related risks analyzed thoroughly, so that the public bodies' participation in commerce proceeds without any major negative ramifications.

The above purpose is what the present article aims to achieve. The analysis contained therein, if followed, would serve its humble role in allowing the commercial activities of the state being undertaken in an optimal manner.

1. შესავალი

სახელმწიფოს საქმიანობის შესაფასებლად საჭიროა, პირველ რიგში, მოხდეს მისი მიზნის დადგენა¹². ის, თუ რა შეიძლება, საჯარო ხელისუფლების ფუნქცია იყოს, განხილვის საკითხია ათასწლეულების განმავლობაში³⁴⁵.

არსებობს მოსაზრება, რომ სახელმწიფო მმართველობის ფუნქციაა, უზრუნველყოს მის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ბედნიერება და კეთილდღეობა⁶, თუმცა ამ ტერმინების დეფინიციაზე კონსესუსი არ არსებობს⁷⁸. მეორე მხრივ, აკადემიური ლიტერატურის დიდი ნაწილი ასევე იზიარებს პოზიციას, რომ სახელმწიფო მმართველობა უნდა ახდენდეს მოსახლეობის ცხოვრების წარმართვას ისე, რომ მოხდეს საერთო ინტერესების მაქსიმალურად დაცვა⁹, ინდივიდების ბედნიერებაზე აქცენტის გაკეთების გარეშე¹⁰.

შედეგად, ურთიერთგამომრიცხავი პოზიციების გათვალისწინებით, სახელმწიფოს ფუნქციასთან დაკავშირებულ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, საკითხის დავიწროებაა აუცილებელი¹¹. ამიტომ, წინამდებარე ნაშრომი კონცენტრირდება სახელმწიფოს მიზანზე მხოლოდ მის მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების კონტექსტში. შედეგად, არ

¹ Harari, Y.N. Homo Deus: A Brief History of Tomorrow. HarperCollins Publishers: New York, USA. 2017. 200-221.

² De Spinoza, B. Tractatus Theologico-Politicus: A Critical Inquiry into the History, Purpose, and Authenticity of the Hebrew Scripture with the Right to Free Thought and Free Discussion Asserted, and Shown to Be not Only Consistent but Necessarily Bound Up with True Piety and Good Government. Translated from Latin with Notes from the Editor. London (Trubner and Co.), 1869. 270-289.

³ Miller, F.D. The State and the Community in Aristotle's "Politics". Reason Papers, 1, 1. 1974. 61-69.

⁴ Woldring, H.E.S. On the Purpose of the State. Continuity and Change in Political Theories. In: The Failure of Modernity. The Cartesian Legacy and Contemporary Pluralism, by: Sweetman, B. Washington (The Catholic University Press), 1999. 155-170.

⁵ Cooper, J.M. Justice and Rights in Aristotle's "Politics". The Review of Metaphysics, 49, 4. 1996. 859-872.

⁶ Vyas-Doorgapersad, S. Aktan, C.C. Progression from Ideal State to Good Governance: An Introductory Overview. International Journal of Business and Management Studies, 9, 1. 2017. 29-49.

⁷ Lu, L. Shih, J.B. Sources of Happiness: A Qualitative Approach. The Journal of Social Psychology, 137, 2. 1997. 181-187.

⁸ Tamir, M. Schwartz, S.H. Oishi, S. Kim, M.Y. The Secret to Happiness: Feeling Good or Feeling Right? Journal of Experimental Psychology, 146, 10. 2017. 1448-1459

⁹ Keping, Y. Governance and Good Governance: A New Framework for Political Analysis. Fudan Journal of the Humanities and Social Sciences, 11. 2018. 1-8.

¹⁰ Jessop, B. The rise of governance and the risks of failure: The case of economic development. International Social Science Journal, 50. 2008. 29-45.

¹¹ Oliveira, A.G. Carvalho, H.A. Correa, D.P. Public Governance and Governability: Accountability and Disclosure permitted by Accounting Applied to the Public Sector as a Sustainability Instrument for the State. Journal of Education and Research in Accounting, 7.1. 2013. 89-101.

იქნება გაანალიზებული სახელმწიფოს როლი მისი მოსახლეობის ცხოვრების სხვა ასპექტებთან დაკავშირებით.

მისი ზოგადი ფუნქციის მსგავსად, სამეცნიერო წრეებში არ არსებობს კონსესუსი იმასთან დაკავშირებითაც, თუ რა შეიძლება, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას, ჩაითვალოს მისი ქმედებების ლეგიტიმურ მიზნად¹²¹³. ერთი მხრივ, სახელმწიფოს მიზნად განიხილება ეკონომიკური სტრუქტურების ფუნქციონირების წარმართვა ისე, რომ ფისკალური, მონეტარული და სავაჭრო პოლიტიკის მაქსიმალურად ეფექტურად განვითარება იყოს საჭირო. სწორედ ამის შემადგენელ ნაწილად გვევლინება სხვადასხვა სახის ეკონომიკური საქმიანობის კოორდინირება და, ზოგჯერ კი, თავად სახელმწიფოს მიერ განხორციელებაც¹⁴. მეორე მხრივ, ასევე არსებობს მოსაზრება, რომ სახელმწიფოს შეიძლება, ბევრად უფრო მცირე მასშტაბების მქონე მიზანი ამოდრავებდეს და ჩაერიოს ეკონომიკურ საქმიანობაში, მაგალითად, ექსპორტის გასაზრდელად¹⁵.

განსხვავებული პოზიციების მიუხედავად, ნაკლებად სადავოა ის, რომ კარგი მმართველობის არსებობისას¹⁶, სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს საერთო კეთილდღეობა და არა - რომელიმე კონკრეტული ჯგუფისათვის უპირატესობის მინიჭება¹⁷. ამის მიღწევა კი შესაძლებელია ან ზოგადად სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის მდგომარეობის, ანაც მისი ეკონომიკური რეალობის გაუმჯობესების გზით¹⁸.

ძირითადი გზა სახელმწიფოს მიერ მისი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის უკეთესობისაკენ შესაცვლელად სახელმწიფოს კლასიკური საქმიანობის განხორციელებაა, რაც მოიცავს საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შტოების გამართულად ფუნქციონირების

¹² Mesenguer, C. Lavezzolo, S. Aparicio, J. Financial Remittances, Trans-Border Conversations, and the State. *Comparative Migration Studies*, 4.1. 2013. 13-41.

¹³ DiLorenzo, T.J. The Myth of Government Job Creation. *Cato Institute Policy Analysis Journal*, 48. 1984. 1-15.

¹⁴ Bertucci, G. *Economic Governance: Guidelines for Effective Financial Management*. United Nations: New York, United States of America. 2000. 1-6.

¹⁵ Atkinson, R.D. Wu, J.J. *The 2017 State New Economy Index: Benchmarking Economic Transformation in the States*. Information Technology and Innovation Foundation: Washington DC, United States of America. 2017. 52-58.

¹⁶ Rahim, A. Governance and Good Governance - A Conceptual Perspective. *Journal of Public Administration and Governance*, 9.3. 2019. 133-142.

¹⁷ Villanova, F. *The role of state institutions in the process of economic development: A study of the Italian Mezzogiorno*. Helsinki Metropolia University of Applied Sciences: Helsinki, Finland. 2014. 45-49.

¹⁸ Nosova, O. The effects of industrial policy on regional development in Ukraine. *Zarządzanie Publiczne*, 4.42. 2017. 90-101.

უზრუნველყოფას^{19,20}. ამავდროულად, ეს ერთადერთი მეთოდი არ არის²¹. გარდა სამართლებრივი ჩარჩოს შექმნისა და მისი გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფისა, სახელმწიფოს ასევე შეუძლია, ირიბად (მაგალითად, ბიზნესის სუბსიდირების გზით) ან პირდაპირ ჩაერიოს ბიზნესში²². სწორედ ეს უკანასკნელია წინამდებარე ნაშრომისათვის განსაკუთრებით საინტერესო - სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური საქმიანობის უშუალოდ განხორციელება, ანუ ისეთი მდგომარეობა, როდესაც საჯარო ხელისუფლება თავად ითავსებს კერძო სამართლის სუბიექტის ბუნებას და პირდაპირ მონაწილეობს ბიზნესში.

ისევე, როგორც სახელმწიფოს ფუნქციონირების სხვა ასპექტებთან დაკავშირებით, საჯარო ხელისუფლების მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას შესაბამისი ლეგიტიმური მიზნისა და მისი საზღვრების დადგენა განსაკუთრებით რთულია²³. აკადემიურ ლიტერატურაში ძირითადად ხდება სახელმწიფოს ეკონომიკურ აქტივობაში პირდაპირი გზით ჩართულობის არაერთი შესაძლო საფუძვლის იდენტიფიცირება²⁴. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ მკაცრად ეკონომიკური მიზანი - შემოსავლის მიღება, რაც კერძო სამეწარმეო საქმიანობის ძირითად მოტივაციად გვევლინება, ფაქტობრივად ყოველთვის განიხილება, როგორც სახელმწიფოსათვის ნაკლებად მნიშვნელოვანი^{25,26}. საჯარო ხელისუფლებისთვის ხელმისაწვდომია მისთვის უფრო შესაფერისი გზები ფინანსების მოსაპოვებლად²⁷, ამიტომ, მხოლოდ ამ მიზნით სამეწარმეო

¹⁹ Nagal-Meger, P. The Quality of Business Legal Environment and Its Relation with Business Freedom. *International Journal of Contemporary Management*. 17.2. 2018. 111-136.

²⁰ Messaoud, B. Teheni, Z. Business regulations and economic growth: What can be explained? *International Strategic Management Review*. 2.2. 2014. 69-78.

²¹ Jessop, B. The rise of governance and the risks of failure: The case of economic development. *International Social Science Journal*, 50. 2008. 29-45.

²² Zeng, J.S. State Ownership and Regulatory Costs: A Law and Economic Explanation for the Prevalence of State-Owned Enterprises in China. *Columbia Journal of Asian Law*. 31.1. 2017. 1-62.

²³ Oliveira, A.G. Carvalho, H.A. Correa, D.P. Public Governance and Governability: Accountability and Disclosure permitted by Accounting Applied to the Public Sector as a Sustainability Instrument for the State. *Journal of Education and Research in Accounting*, 7.1. 2013. 89-101.

²⁴ Woldring, H.E.S. On the Purpose of the State. Continuity and Change in Political Theories. In: *The Failure of Modernity. The Cartesian Legacy and Contemporary Pluralism*, by: Sweetman, B. Washington (The Catholic University Press), 1999. 155-170.

²⁵ Obara, C. Ogoun, S. Fiscal transparency, accountability, and corporate collapse: A post-mortem analysis of failure of state-owned enterprises (SOEs) in Nigeria. *Research Journal of Finance and Accounting*, 5. 2014. 183-190.

²⁶ Royo, S. Yetano, A. Garcia-Lacalle, J. Accountability Styles in State-Owned enterprises: The good, the bad, the ugly and the pretty. *Spanish Accounting Review*, 22.2. 2019. 156-170.

²⁷ Wang, X. Yang, B. The culture of learning organizations in Chinese state-owned and privately-owned enterprises: An empirical study. *Frontiers of Business Research in China*, 1.2. 2007. 275-299.

საქმიანობის განხორციელება ცდება სახელმწიფოს ფუნქციებს²⁸²⁹. პრაქტიკაში, ხშირად სახელმწიფო კომპანიები ვერც ახერხებენ მოგების მიღებას და მნიშვნელოვან ზარალს განიცდიან³⁰. შედეგად, თუკი ფიქსირდება ხელისუფლების ორგანოების მიერ ეკონომიკურ აქტივობაში პირდაპირი ჩართულობა, მისი ლეგიტიმურად განხილვისათვის აუცილებელია, სახეზე იყოს სხვა მიზანიც, რომელიც გაამართლებდა კერძო სფეროში საჯარო სტრუქტურათა აქტივობას³¹. ძირითადად, აღნიშნული მიზანი სოციალური ხასიათის უნდა იყოს და მოსახლეობის ზოგადი კეთილდღეობის დონის ამაღლებას ემსახურებოდეს კომერციული საზოგადოების მიერ საკუთარი როლის შესრულების შედეგად³².

ერთი მიზანი, რომელიც ნამდვილად განიხილება აკადემიურ ლიტერატურაში სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მისაღებ საფუძვლად არის კონკრეტული მომსახურების შეთავაზება მისი მოსახლეობისათვის³³. მეტწილად, ასეთ სერვისებს აქვთ ცხოვრების მინიმალური სტანდარტის შექმნის ფუნქცია და მათ შორისაა ელექტრო-ენერჯის³⁴, სასმელი წყლისა და ბუნებრივი გაზის მიწოდება³⁵. ამ მიზნის განხორციელებისას სახელმწიფო კომპანიები ხშირად მოქმედებენ, როგორც ბუნებრივი მონოპოლიები (რადგანაც მათთვის კონკურენციის გაწევა კანონმდებლობითაა აკრძალული)³⁶, თუმცა ისინი მაინც წამგებიან საზოგადოებებად გვევლინებიან, რადგანაც მათი სერვისების საფასური ხელოვნურად ნარჩუნდება დაბალ დონეზე, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საჯარო მფლობელობაში

²⁸ Ardila, L.N. Saputra, D.A. Adiati, A.K. Sutopo, B. Asset Productivity, Profitability, and Firm Value: Can State-Owned Companies Outperform Non-State-Owned Companies? *International Journal of Business and Society*, 19.4. 2018. 639-650.

²⁹ Roper, J. Schoenberger-Orgad, M. State-Owned Enterprises: Issues of Accountability and Legitimacy. *Management Communication Quarterly*, 25.4. 2011. 693-709.

³⁰ Ardila, L.N. Saputra, D.A. Adiati, A.K. Sutopo, B. Asset Productivity, Profitability, and Firm Value: Can State-Owned Companies Outperform Non-State-Owned Companies? *International Journal of Business and Society*, 19.4. 2018. 639-650.

³¹ Lin, K. Lu, X. Zhang, J. Zheng, Y. State-owned enterprises in China: A review of 40 years of research and practice. *China Journal of Accounting Research*, 13. 2020. 31-55.

³² Royo, S. Yetano, A. Garcia-Lacalle, J. Accountability Styles in State-Owned enterprises: The good, the bad, the ugly and the pretty. *Spanish Accounting Review*, 22.2. 2019. 156-170.

³³ Mgaya, K. The Diverse Approaches and Reasons in the Implementation of Business Process Reengineering Between the Government Sector and the State Owned Enterprises in Botswana. *Botswana Journal of Business*, 9.1. 2016. 37-54.

³⁴ Indawati, K. Privatization of National Electric Company. *Global Journal of Politics and Law Research*, 6.2. 2018. 1-8.

³⁵ Nasir, H. State-Owned Enterprises: A Comparison between the UK, Japan, and Malaysia. *International Journal of Economics, Commerce and Management*, 5.2. 2017. 114-130.

³⁶ Yang, X. Liu, W. Effects of Political Monopoly on Economic Development. *Pacific Economic Review*, 12.1. 2007. 69-78.

არსებული სამეწარმეო იურიდიული პირები ფუნდამენტურად განსხვავდება ჭეშმარიტი კერძო ბიზნესისაგან³⁷.

სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საზოგადოების ჩამოყალიბება ასევე შეიძლება, ქვეყნის ტერიტორიაზე აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნას ან განვითარებას უკავშირდებოდეს³⁸. ხშირად, საჯარო მფლობელობაში არსებული კომპანიის მიერ შექმნილი ინფრასტრუქტურა ემსახურება იმ უმნიშვნელოვანესი სერვისის მიწოდებას საზოგადოებისათვის, რომელიც ზემოთ უკვე იქნა განხილული (ელექტრო-ენერჯია, სასმელი წყალი, ბუნებრივი გაზი და სხვა)³⁹. დამატებით, სახელმწიფო კომპანიები ასევე ახორციელებენ სხვა სახის ინფრასტრუქტურის მშენებლობასა და განვითარებას, როგორცაა საავტომობილო გზები, რკინიგზა, აეროპორტები და სხვა⁴⁰.

შემდეგი მიზანი, რომლის მიღწევაც ზოგჯერ ითვლება სახელმწიფოსათვის საკმარის საფუძვლად, რათა პირდაპირ იმოღვაწეოს, როგორც მეწარმემ, არის ეკონომიკის მისთვის სასურველი მიმართულებით წარმართვა⁴¹, მისი სტაბილურობის უზრუნველყოფა⁴² და სტიმულირება ისე, რომ მთლიანმა ეკონომიკამ ნახოს სარგებელი, თუნდაც ეს თავად სახელმწიფოს კუთვნილი კომპანიისათვის არც იყოს მომგებიანი⁴³. ამ მიზნით სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ხშირად ასოცირდება გაზრდილ სახელმწიფო ჩართულობასთან, კომერციული საზოგადოების პოლიტიზებასთან და მის საჯარო სტრუქტურებთან დამსგავსებასთან⁴⁴. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ კომპანია სახელმწიფო ორგანო ხდება, რადგან მისი ყოველი ქმედება შეიძლება, სრულებითაც არ ემსახურებოდეს საჯარო ფუნქციების განხორციელებას, თუმცა მისი ჯამური მისია ცდება კომერციული საზოგადოების კლასიკურ

³⁷ Nasir, H. State-Owned Enterprises: A Comparison between the UK, Japan, and Malaysia. *International Journal of Economics, Commerce and Management*, 5.2. 2017. 114-130.

³⁸ Masekoameng, R.C. Mpehle, Z. Financial Sustainability of South African State-Owned Enterprises: A Case of Limpopo Economic Development Agency. *London Journal of Research in Humanities and Social Sciences*, 18.3. 2018. 21-32.

³⁹ Nasir, H. State-Owned Enterprises: A Comparison between the UK, Japan, and Malaysia. *International Journal of Economics, Commerce and Management*, 5.2. 2017. 114-130.

⁴⁰ Martin, S. Parker, D. Privatization and Economic Performance throughout the UK Business Cycle. *Managerial and Decision Economics*, 16.3. 1995. 225-238.

⁴¹ Vernon, R. The International Aspects of State-Owned Enterprises. *Journal of International Business Studies*, 10.3. 1979. 7-14.

⁴² Milhaupt, C.J. Zheng, W. Beyond ownership: State capitalism and the Chinese firm. *Georgetown Law Journal*, 103. 2015. 665-722.

⁴³ Milhaupt, C.J. Pargendler, M. Governance Challenges of Listed State-Owned Enterprises around the World: National Experiences and a Framework for Reform. *Cornell International Law Journal*, 50.3. 2017. 473-542.

⁴⁴ Lin, L.W. Milhaupt, C.J. We Are the (National) Champions: Understanding the Mechanisms of State Capitalism in China. *Stanford Law Review*, 65. 2013. 697-760.

დანიშნულებას⁴⁵. ეკონომიკის მიმართულების წარმართვას შეიძლება, მრავალი სხვადასხვა სახე ჰქონდეს და, მაგალითად, ახალი სექტორის განვითარებას, ან, პირიქით, უკვე წამგებიანი სექტორის შედარებით ნაკლებად მტკივნეულად ჩამოშლას ემსახურობდეს⁴⁶. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთ დროს მთავარია, სარგებელი ნახოს სახელმწიფოს ეკონომიკამ, თუნდაც ეს კომპანიის ინტერესების დაზარალების სანაცვლოდ მოხდეს⁴⁷.

აკადემიური ლიტერატურა სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ლეგიტიმურ მიზნად განიხილავს ასევე სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სექტორების განვითარებას ან მართვას^{48,49}. ასეთ სექტორებად ხშირად გვევლინება ბუნებრივი რესურსების მოპოვება-გაყიდვა, ტურიზმი, კომუნიკაციები და სხვა^{50,51}. ხშირად სახეზეა ინფრასტრუქტურული სექტორების მართვა, თუმცა თუკი სტრატეგიული განვითარება გვევლინება სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მამოძრავებელ მოტივად, მიზანია არა ინფრასტრუქტურის მიწოდება მოსახლეობისათვის, არამედ იმის უზრუნველყოფა, რომ შესაბამისი სფერო სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ დარჩება, რაც, როგორც წესი, სახელმწიფოს უსაფრთხოებასა და საჯარო ხელისუფლების ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება⁵².

წინამდებარე ნაშრომი კონცენტრირდება სწორედ აღნიშნულ ძირითად მიზნებზე, რომელთა მიღწევასაც ემსახურება სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება - მოსახლეობისათვის მომსახურების შეთავაზება, ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, ეკონომიკის წარმართვა ან სტიმულირება და სტრატეგიული სექტორების განვითარება ან მართვა.

⁴⁵ Nasir, H. State-Owned Enterprises: A Comparison between the UK, Japan, and Malaysia. *International Journal of Economics, Commerce and Management*, 5.2. 2017. 114-130.

⁴⁶ Fourie, D.J. The restructuring of state-owned enterprises: South African initiatives. *Asian Journal of Public Administration*, 23.2. 2001. 205-216.

⁴⁷ Lin, L.W. Milhaupt, C.J. We Are the (National) Champions: Understanding the Mechanisms of State Capitalism in China. *Stanford Law Review*, 65. 2013. 697-760.

⁴⁸ Madadipouya, K. A Review on the Strategic Use of IT Applications in Achieving and Sustaining Competitive Advantage. *International Journal of Managing Public Sector Information and Communication Technologies*, 6.2. 2015. 21-30.

⁴⁹ Siswanto, A. Hutajulu, M.J. State-Owned Enterprises (SOEs) in Indonesia's Competition Law and Practice. *Yustisia*, 8.1. 2019. 93-108.

⁵⁰ Aharoni, Y. Performance evaluation of state-owned enterprises: a process perspective. *Management Science*, 27. 1981. 1340-1347.

⁵¹ Verreynne, M. L. Luke, B. Exploring Strategic Entrepreneurship in the public sector. *Qualitative Research in Accounting and Management*. 3.1. 2006. 4-26

⁵² Shirley, M. Bureaucrats in business: The roles of privatization versus corporatization in state-owned enterprise reform. *World Development*, 27.1. 1999. 115-136.

ამავდროულად, მიუხედავად მამოძრავებელი მიზნისა, მნიშვნელოვანია იმის შესწავლაც, თუ რა მეთოდებითა და მექანიზმებით ახორციელებს საჯარო ხელისუფლება კერძო ბიზნესში საკუთარი ჩართულობის უზრუნველყოფას.

ყველაზე პირდაპირი მეთოდი სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისა არის მის მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის დაარსება და მართვა⁵³. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციული თვალსაზრისით სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი სამეწარმეო საზოგადოებები პრაქტიკაში ორ ნაწილად იყოფა. ეს არის საკორპორაციო ფორმის მქონე საჯარო ინსტრუმენტები და სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი კერძო კომპანიები⁵⁴. პირველი სახის კონსტრუქცია რეალურად გვევლინება საჯარო წარმონაქმნად, რომელიც ჩამოყალიბებულია არასტანდარტული ფორმატით, რაც ნიშნავს, რომ ის შეიძლება, განხილული იქნეს სახელმწიფო ორგანოსა და სამეწარმეო საზოგადოების ჰიბრიდად, რომელიც უბრალოდ კომერციული საზოგადოების სახითაა შექმნილი⁵⁵. რაც შეეხება უკანასკნელს, ის, პრაქტიკულად, ჩვეულებრივი სამეწარმეო საზოგადოებაა რომლის აქციონერიც/პარტნიორიც სახელმწიფოა⁵⁶. ორივე ტიპის სახელმწიფო კომპანიასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მიდგომები და პრაქტიკა, რომლებიც მათი, როგორც საჯარო ხელისუფლების მიერ კერძოსამართლებრივი ქმედებების განხორციელების უზრუნველმყოფი წარმონაქმნების, უნიკალურ მდგომარეობას უსვამს ხაზს⁵⁷. შედეგად, წინამდებარე ნაშრომი შეეცდება, გამოკვეთოს სახელმწიფო კომპანიის მნიშვნელოვანი მახასიათებლები, მათი გამოყენების ძირითადი გზები და, შედეგად, წარმოაჩინოს მისი როლი ფართო საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებასთან მიმართებაში.

სახელმწიფო კომპანიის ერთ-ერთი ტიპი, რომელიც მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი, არის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი⁵⁸. ამ ტერმინის ქვეშ მოიაზრება კომპანია, რომლის

⁵³ Zeng, J.S. State Ownership and Regulatory Costs: A Law and Economic Explanation for the Prevalence of State-Owned Enterprises in China. *Columbia Journal of Asian Law*. 31.1. 2017. 1-62.

⁵⁴ Ferry, L. Andrews, R. Skelcher, C. Wegorowski, P. New development: Corporatization of local authorities in England in the wake of austerity 2010–2016. *Public Money & Management*, 38.6. 2018. 477-480.

⁵⁵ Shleifer, A. Vishny. R. A Survey of Corporate Governance. *The Journal of Finance*. 52.2. 1997. 753-755.

⁵⁶ Pargendler, M. State Ownership and Corporate Governance. *Fordham Law Review*, 80.6. 2012. 2925-2927.

⁵⁷ Shleifer, A. Vishny. R. A Survey of Corporate Governance. *The Journal of Finance*. 52.2. 1997. 753-755.

⁵⁸ Zeng, J.S. State Ownership and Regulatory Costs: A Law and Economic Explanation for the Prevalence of State-Owned Enterprises in China. *Columbia Journal of Asian Law*. 31.1. 2017. 1-62.

⁵⁹ Bortolotti, B. Fotak, V. Megginson, W. L. The Sovereign Wealth Fund discount: Evidence from public equity investments. *The Review of Financial Studies*, 28.11. 2015. 2993–3035

⁶⁰ Haberly, D. Strategic sovereign wealth fund investment and the new alliance capitalism: A network mapping investigation. *Environment and Planning A: Economy and Space*, 43.8. 2011. 1833–1852.

ფუნქციაშიც შედის სახელმწიფოს სხვადასხვა ბიზნესში ჩართვის ხელშეწყობა, მისი ქონებისა და შემოსავლის მართვა და საჯარო ხელისუფლების მიერ მისაღები შემოსავლის მაქსიმალურად გაზრდა⁶¹. სახელმწიფოს მიერ განკარგული კომერციული იურიდიული პირისაგან სწორედ ამ სახის კორპორაციები თამაშობს ყველაზე აქტიურ და, ხშირად კი, უმნიშვნელოვანეს როლს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო კაპიტალის ბაზარზე⁶². ხშირად საინვესტიციო ფონდების შემოსავალი მათი უშუალო საქმიანობის ნაცვლად თავად სახელმწიფოს მიერ თანხების ინექციიდან გამომდინარეობს, რაც ასეთი ტიპის საზოგადოებებს უნიკალურ მდგომარეობას ანიჭებს⁶³. ეს და სხვა განმასხვავებელი ნიშნები, მათ უმნიშვნელოვანესი როლთან ერთად, საინვესტიციო ფონდებს განსაკუთრებით რელევანტურ კომერციულ წარმონაქმნებად აქცევს, რის შედეგადაც მათი საქმიანობისა და მისი შედეგების კრიტიკული ანალიზის საჭიროებაც შესამჩნევად იზრდება.

ერთ-ერთი ძირითადი გზა, რომლითაც სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკურ აქტივობაში არის კერძო-საჯარო პარტნიორობა⁶⁴⁶⁵. აღნიშნული მექანიზმი (რომელსაც ხშირად უწოდებენ „საჯარო და კერძო თანამშრომლობას“ ან, ალტერნატიულად, მოიხსენიებენ ინგლისური აბრევიატურით PPP), განიმარტება, როგორც სახელმეკრულებო ურთიერთობა სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის, რომელიც უკავშირდება ამა თუ იმ კონკრეტულ პროექტს და მოიცავს ორივე მხარის პარალელურ მონაწილეობას⁶⁶. კერძო-საჯარო პარტნიორობის მიზანი, ძირითადად, საჯარო მომსახურების შეთავაზებაა. სახელმწიფოსთან ერთად მასში კერძო პარტნიორის მონაწილეობამ კი უნდა გამოიწვიოს მოცემული სერვისის ხარისხისა და მიწოდების ეფექტურობის ზრდა და, ამავდროულად ფასის შემცირება⁶⁷. მოცემული ინსტრუმენტი გამოიყენება არაერთ სხვადასხვა სფეროში, რომელთა შორისაა ინფრასტრუქტურული პროექტები, სტრატეგიული ინსტალაციები და სხვა⁶⁸. დღეისათვის არსებობს

⁶¹ Schwartz, H. Political Capitalism and the Rise of Sovereign Wealth Funds. *Rutledge Globalizations Journal*, 9.4. 2012. 517-521.

⁶² Morck, R. Yeung, B. Zhao, M. Perspectives on China's outward foreign direct investment. *Journal of International Business Studies*, 39. 2008. 337-350.

⁶³ Haberly, D. Strategic sovereign wealth fund investment and the new alliance capitalism: A network mapping investigation. *Environment and Planning A: Economy and Space*, 43.8. 2011. 1833-1852.

⁶⁴ Cui, C. Liu, Y. Hope, A. Review of studies on the public-private partnerships (PPP) for infrastructure projects. *International Journal of Project Management*, 36.5. 2018. 773-794.

⁶⁵ Broadbent, J. Laughlin, R. Public Private Partnerships: An Introduction. *Accounting, Auditing & Accountability Journal*, 16.3. 2003. 332-341.

⁶⁶ Rahman, M. Public Private Partnership (PPP) for Social Development: A South Asian Perspective. *International Journal of Applied Public-Private Partnerships*, 1, 2. 2011. 1-13.

⁶⁷ Zaharioaie, M. The Utility of Using Public-Private Partnership for Local Governments. *The Journal of Public Administration, Finance and Law*, 2. 2012. 17-24.

⁶⁸ Steijn, A. Klijn, E. Edelenbos, J. Public Private Partnerships: Added Value by Organizational Form or Management? *Public Administration* 89, 4. 2011. 1235-1252.

არაერთი კითხვა PPP-ის დადებით და უარყოფით ასპექტთან დაკავშირებით, მაგრამ, ძირითადად, მიღებულია, რომ კერძო-საჯარო პარტნიორობა საჯარო ხელისუფლებისათვის გამოსადეგი ინსტიტუტია, რაც მის აქტიურ გამოყენებასაც განაპირობებს⁶⁹. ამავდროულად, მასთან დაკავშირებული დიდი ფინანსური ტრანზაქციებისა და მნიშვნელოვანი პროექტების არსებობის გათვალისწინებით, PPP-ით არასწორად სარგებლობამ შეიძლება, უდიდესი ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს. შესაბამისად, აუცილებელია, მოხდეს ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის დეტალურად შესწავლა, რათა შემდგომში დაგვარად გამოირიცხოს პოტენციური პრობლემები.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობა შესაძლებელია შედარებით ირიბად, კერძო კომერციის სუბსიდირების გზითაც განხორციელდეს⁷⁰. სუბსიდირება განიმარტება, როგორც სახელმწიფოს მიერ კერძო პირის ან პირებისათვის თანხის გადახდა, მათი საქმიანობის ხელშეწყობის ან წახალისების მიზნით⁷². სუბსიდირების მიზანი, ხშირად, იგივეა რაც სახელმწიფოს მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელება და, როგორც წესი, მოიცავს სტრატეგიული სექტორის განვითარების სურვილს, ან ამა თუ იმ სერვისისა თუ ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას⁷³. სუბსიდირება წინამდებარე ნაშრომის თემას შედარებით ირიბად უკავშირდება, რადგანაც ის არ წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის პირდაპირ განხორციელებას, თუმცა რადგანაც საჯარო ხელისუფლება ასეთ შემთხვევაში კერძო სექტორის პირდაპირ დამფინანსებლად გვევლინება, უპრიანია მოცემული თემის განხილვა კვლევის ფარგლებში.

ზემოთ მოცემულთა გარდა, სახელმწიფომ აქტიური და ხშირად ძალიან მასშტაბური გავლენა, შეიძლება, მოახდინოს კერძო ბიზნესზე, წარმართოს მისი მიმდინარეობა და გამოიწვიოს მთლიანი სექტორების აღზევება ან დამხოვა ისეთი საკუთარი საჯაროსამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორცაა გადასახადების დაწესება ან მათგან განთავისუფლება, სხვადასხვა წამახალისებელი პროგრამების შემუშავება, საგრანტო კონკურსების შეთავაზება და ასე შემდეგ⁷⁴. თუმცა, ასეთი მექანიზმები და მათი ეფექტი ეკონომიკურ გარემოზე ცდება წინამდებარე ნაშრომის ინტერესის სფეროს. მოცემული კვლევა კონცენტრირებულია სახელმწიფოს შედარებით უფრო აქტიურ და პირდაპირ

⁶⁹ Hodge, G. Greve, C. Public-Private Partnerships: An International Performance Review. *Public Administration Review* 67, 3. 2007. 545-558.

⁷⁰ Green, G.P. Business Subsidies and Municipal Controls. *Journal of Urban Affairs*, 21.3. 2002. 267-279.

⁷¹ Peng, H. Liu, Y. How government subsidies promote the growth of entrepreneurial companies in clean energy industry: An empirical study in China. *Journal of Cleaner Production*, 188. 2018. 508-520.

⁷² Thomson, R. Jensen, P. The Effects of Government Subsidies on Business R&D Employment: Evidence from OECD Countries. *National Tax Journal*, 66.2. 2013. 281-310.

⁷³ Green, G.P. Business Subsidies and Municipal Controls. *Journal of Urban Affairs*, 21.3. 2002. 267-279.

⁷⁴ Shleifer, A. Understanding Regulation. *European Financial Management*, 11.4. 2005. 438-451.

მონაწილეობაზე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში და, შედეგად, სახელმწიფოს მიერ საკუთარი საჯაროსამართლებრივი ფუნქციების განხორციელება, თუნდაც ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენდეს კომერციაზე, მოცემულ ნაშრომში არ იქნება დეტალურად გაანალიზებული.

შედეგად, როგორც ზემოთ განხილულიდან გამოიკვეთა, ძირითადი ინსტრუმენტები, რომლებითაც სახელმწიფო მონაწილეობას იღებს სამეწარმეო საქმიანობაში არის სახელმწიფო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები, კერძო-საჯარო პარტნიორობა და სუბსიდიები. სწორედ ხსენებული მექანიზმების დადებითი და უარყოფითი მხარეები და მათთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები იქნება განხილული წინამდებარე ნაშრომში.

მას შემდეგ, რაც გატარებული იქნება სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის მიზნებისა და მეთოდების ანალიზი, წინამდებარე ნაშრომში გამოკვეთილი იქნება საჯარო ორგანოების ასეთი მოქმედების შედეგი. უფრო ზუსტად კი, წარმოდგენილი იქნება სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური აქტივობის განხორციელების სამართლებრივი და ეკონომიკური ეფექტის კრიტიკული შეფასება.

სამართლებრივი თვალსაზრისით, სახელმწიფოს მიერ მეწარმის როლის შეთავსებას საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება ჰქონდეს ქვეყნის საკანონმდებლო ჩარჩოზე და ნორმატიული აქტის პრაქტიკაში გატარებაზე⁷⁵. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, სამართლებრივი რისკები ხშირად ინტერესთა კონფლიქტიდან გამომდინარეობს⁷⁶. ასეთ პრობლემებს ვხვდებით, ფაქტობრივად, ყველა ქვეყანაში, რომელშიც სახელმწიფო აქტიურ მონაწილეობას იღებს სამეწარმეო საქმიანობაში. მათ შორისაა ამერიკის შეერთებული შტატები⁷⁷, ჩინეთი⁷⁸, ეგვიპტე⁷⁹ და უკრაინა⁸⁰. ინტერესთა კონფლიქტი ძირითადად გამომდინარეობს სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სახელმწიფოს ორმაგი როლიდან, რადგანაც იგი ერთდროულად ცდილობს როგორც კომერციული წარმონაქმნის პარტნიორის, ისე შესაბამისი სფეროს

⁷⁵ Jessop, B. The rise of governance and the risks of failure: The case of economic development. *International Social Science Journal*, 50. 2008. 29-45.

⁷⁶ Armour, J. Jacobs, J. Milhaupt, C. A Comparative Analysis of Hostile Takeover Regimes in the US, UK and Japan (with Implications for Emerging Markets). *Columbia University Center for Law and Economic Studies*, 377. 2010. 21-25.

⁷⁷ Schwartz, H. Governmentally Appointed Directors in a Private Corporation: The Communications Satellite Act of 1962. *The Harvard Law Review Association Journal*, 79.2. 1965. 350-364.

⁷⁸ Hutchens, W. Private Securities Litigation in China: Material Disclosure about China's Legal System. *University of Pennsylvania Journal of International Law*, 24. 2003. 599-607.

⁷⁹ Desoky, A. Mousa, G. Corporate Governance Practices: Transparency and Disclosure - Evidence from the Egyptian Exchange. *Journal of Accounting, Finance and Economics*, 2.1. 2012. 49-72.

⁸⁰ Kostyuk, A. Kostyuk, H. Minority Shareholders vs The State: The Case of JSC "Ukrneft". *Corporate Ownership and Control journal*, 2.3. 2005. 106-111.

მარეგულირებელი ორგანოს ფუნქცია შეითავსოს⁸¹. სახელმწიფო ვალდებულია, შეიმუშავოს საუკეთესო რეგულაცია. ამავდროულად, მას, როგორც სამეწარმეო საზოგადოების კაპიტალში წილის მფლობელს, სურს, საკუთარი შემოსავალი მაქსიმალურად გაზარდოს⁸². ეს ორი ინტერესი ხშირად ერთმანეთს უპირისპირდება და ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს⁸³.

ინტერესთა კონფლიქტი არ არის ერთადერთი საკითხი, რომელიც სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას არსებით გავლენას ახდენს მოქმედ სამართლებრივ ჩარჩოზე⁸⁴. დამატებით, შესაძლებელია, სამართლებრივი ნორმების აღუსრულებლობის ზრდა განპირობებული იყოს სწორედ კერძოსამართლებრივი აქტივობით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად აზარალებს საზოგადოებას⁸⁵. ასევე არსებობს ტენდენცია, რომ სახელმწიფოებში, რომელშიც საჯარო ხელისუფლება აქტიურად მონაწილეობს ბიზნესში, იზრდება კორუფციის დონე⁸⁶. სწორედ ეს და სხვა შედეგები შეიძლება, მოჰყვეს სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას სამეწარმეო საქმიანობაში. მათი დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებელია, მოხდეს ასეთი პოტენციური საფრთხეების ფუნდამენტურად შესწავლა, რათა გამოირიცხოს საზოგადოების დაზარალება და ხელი შეეწყოს საჯარო ხელისუფლების მიერ კერძო ბიზნესში ეფექტურად მონაწილეობას.

რაც შეეხება საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციული ნაბიჯების გადადგმის ეკონომიკურ შედეგებს, ისინი მრავალგვარი შეიძლება, იყოს⁸⁷. მათ შორისაა ისეთი დადებითი გავლენა ეკონომიკაზე, როგორცაა შესაბამისი სექტორის შექმნა ან განვითარება, რამაც კერძო ბიზნესს და, ზოგადად, ფართო საზოგადოებას მნიშვნელოვანი სარგებელი შეიძლება, მოუტანოს⁸⁸. საკუთარი კომერციული საქმიანობის სწორად წარმართვის შემთხვევაში, სახელმწიფოს

⁸¹ Pargendler, M. *State Ownership and Corporate Governance*. Fordham Law Review, 80.6. 2012. 2957-2958.

⁸² ხიტერი, ბ. კორპორაციული მართვის თეორიები: სამართლებრივი ანალიზი. სამართლის ჟურნალი, 18.2. 2017. 159-197.

⁸³ Bortolotti, B. Faccio, M. Government Control of Privatized Firms. *Review of Financial Studies*, 22.8. 2008. 2917-2918.

⁸⁴ Jessop, B. The rise of governance and the risks of failure: The case of economic development. *International Social Science Journal*, 50. 2008. 29-45.

⁸⁵ Desoky, A. Mousa, G. Corporate Governance Practices: Transparency and Disclosure - Evidence from the Egyptian Exchange. *Journal of Accounting, Finance and Economics*, 2.1. 2012. 49-72.

⁸⁶ Baklouti, N. Boujelbene, Y. Impact of government size and corruption on economic growth. *International Journal of Accounting and Economics Studies*, 4.2. 2016. 81-86.

⁸⁷ Gillis, M. The Role of State Enterprises in Economic Development. *Social Research Journal*, 47.2. 1980. 248-289.

⁸⁸ Lin, K.J. Lu, X. Zhang, J. Zheng, Y. State-owned enterprises in China: A review of 40 years of research and practice. *China Journal of Accounting Research*, 13.1. 2020. 31-55.

შეუძლია, უდიდესი წვლილი შეიტანოს ეკონომიკის წარმატებით ფუნქციონირებაში⁸⁹.

მეორე მხრივ, რისკები, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას ასევე საკმაოდ დიდია. აკადემიურ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომელსაც საკმაოდ დიდი ოდენობის მკვლევარები იზიარებენ, რომ სახელმწიფოს მიერ მართული ბიზნესი ყოველთვის ან თითქმის ყოველთვის უფრო ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე ჭეშმარიტად დამოუკიდებელი კომერციული იურიდიული პირის საქმიანობა იქნებოდა⁹⁰. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ხდება სახელმწიფოს ხელთ არსებული რესურსის არაეფექტურად გამოყენება, რაც ზიანს აყენებს საყოველთაო კეთილდღეობას⁹¹.

დამატებით, ასევე არსებობს რისკი, რომელიც სახელმწიფოს მიერ მონოპოლიის შექმნისაგან გამომდინარეობს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახეზეა ამა თუ იმ სტრატეგიულ სექტორში საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელება, ხდება ამ სფეროს მონოპოლიზება⁹². მონოპოლია, მიუხედავად მისი არსებობის განმაპირობებელი მიზეზისა, თითქმის ყოველთვის პრობლემასთან ასოცირდება⁹³, განსაკუთრებით კი გრძელვადიან პერსპექტივაში⁹⁴. შედეგად, თუკი სახელმწიფოს მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელება მონოპოლიის შექმნას ან შენარჩუნებას გულისხმობს, ეს არსებით რისკად და პოტენციურ პრობლემად უნდა იქნეს განხილული⁹⁵. სახელმწიფო, რომელსაც სურს, განავითაროს სექტორი, მის მიერ განზრახ ან შემთხვევით სფეროს მონოპოლიზებით ხელს უშლის კერძო სექტორს, თავად, ორგანულად განავითაროს ბიზნესი, რაც უაღრესად ნეგატიურ მოვლენად უნდა წარმოჩინდეს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც გასათვალისწინებელია საჯარო ხელისუფლების მიერ კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში ჩაბმისას არის მისი

⁸⁹ Gillis, M. The Role of State Enterprises in Economic Development. *Social Research Journal*, 47.2. 1980. 248-289.

⁹⁰ Goldeng, E. Grunfeld, L.A. Benito, G. The Performance Differential between Private and State Owned Enterprises: The Roles of Ownership, Management and Market Structure. *Journal of Management Studies*, 45.7. 2008. 1244-1273.

⁹¹ Megginson, M. Netter, J. From State to Market: a Survey of Empirical Studies on Privatization. *Journal of Economic Literature*, 39. 2001. 321-389.

⁹² Kim, M. Regulating the Visible Hands: Development of Rules on State-Owned Enterprises in Trade Agreements. *Harvard International Law Journal*, 58.1. 2017. 225-272.

⁹³ Fox, E.M. Healey, D. When the State Harms Competition - The Role For Competition Law. *Antitrust Law Journal*, 79.3. 2014. 769-820.

⁹⁴ Abramov, A. Radygin, A. Entov, R. Chernova, M. State ownership and efficiency characteristics. *Russian Journal of Economics*, 3.2. 2017. 129-157.

⁹⁵ Kim, M. Regulating the Visible Hands: Development of Rules on State-Owned Enterprises in Trade Agreements. *Harvard International Law Journal*, 58.1. 2017. 225-272.

მიზანშეწონილობა. თუკი სახელმწიფოს ჩართვის გარეშე ესა თუ ის სექტორი ვერ ახერხებს, დააინტერესოს ბიზნესი, აუცილებელია დაზუსტება, ნამდვილად არის თუ არა ამ სექტორის წინ წამოწევა საჭირო ან, საერთოდ, სასურველი. ხშირად, ამ კითხვაზე პასუხი არასწორად გაცივმა, რასაც კვლავ რესურსების არასათანადო ხარჯვამდე და ეკონომიკის არასწორი მიმართულებით განვითარებამდე მივყავართ⁹⁶.

1.1. ნაშრომის მიზანი

სწორედ ზემოთ მოცემული სამართლებრივი და ეკონომიკური შედეგების ანალიზი წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის ძირითად მიზანს. მას შემდეგ, რაც მოხდება კრიტიკული შეფასების წარმოდგენა, განიხილება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ეფექტები და წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს ნეგატიური ასპექტების მიტიგაცია და, ამავდროულად, წინ იყოს წამოწეული ის პოზიტიური შესაძლებლობები, რომლებიც თან ახლავს სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას.

სამწუხაროდ, მოცემულ თემატიკასთან დაკავშირებით აკადემიური მასალა ქართულ ენაზე ძალიან მწირია. მეორეხრივ, უცხოენოვანი ნაშრომები არსებობს (რაც მოცემული კვლევის აკადემიური წყაროების სიმრავლიდანაც ჩანს), თუმცა ერთიანი კვლევა, რომელიც დეტალურად განიხილავდა სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნებსა და მეთოდებს, შემდეგ კი კრიტიკულად გაანალიზებდა ასეთი ქმედებების სამართლებრივ და ეკონომიკურ შედეგებს, არ ვლინდება. შედეგად, წინამდებარე ნაშრომი შეეცდება, გარკვეულწილად გამოასწოროს არსებული არცთუ სახარბიელო მდგომარეობა და შეიტანოს მოკრძალებული წვლილი აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით არსებული აკადემიური ლიტერატურის გამდიდრებაში.

ყოველივე ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომის მიზანია, კრიტიკულად გაანალიზოს სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნები და მათ მისაღწევად გამოყენებული მექანიზმები, შემდეგ კი დეტალურად განიხილოს საჯარო ხელისუფლების კომერციაში ჩაბმის როგორც სამართლებრივი, ისე ეკონომიკური შედეგები. საბოლოოდ, წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, შესთავაზოს მკითხველს რეკომენდაციები, რომელთა გამოყენების შემთხვევაშიც შედარებით უფრო შესაძლებელი გახდება იმ რისკებისა და საფრთხეების თავიდან არიდება,

⁹⁶ Willemys, I. Disciplines on State-Owned Enterprises in International Economic Law: Are We Moving in the Right Direction? *Journal of International Economic Law*, 19.3. 2016. 657-680.

რომლებიც თან სდევს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ბიზნესში პირდაპირ მონაწილეობას.

1.2. თეზისის რელევანტურობა

სახელმწიფოს, როგორც მეწარმის მიერ საქმიანობის განხორციელება მნიშვნელოვანი ფენომენია გლობალური ეკონომიკისათვის⁹⁷. როგორც 2012 წლის კვლევის შედეგად გამოიკვეთა, ჩინეთში მოქმედი კომპანიების კაპიტალის 80 პროცენტი ეკუთვნის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას. სახელმწიფო გვევლინება ასევე რუსული კომპანიების კაპიტალის 60 პროცენტის მფლობელად, ხოლო ბრაზილიური სამეწარმეო საზოგადოებების 35 პროცენტია ფედერალური ხელისუფლების ხელში⁹⁸. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო ორგანოების მიერ კომერციული იურიდიული პირების ფლობა და მათი საქმიანობის წარმართვაში უმთავრესი როლის თამაში დროსთან ერთად სულ უფრო და უფრო გავრცელებულ პრაქტიკად გვევლინება საერთაშორისო ეკონომიკაში და, შედეგად, დროსთან ერთად მუდმივად იზრდება ამ საკითხის რელევანტურობის დონე თანამედროვე სამყაროსათვის⁹⁹.

აღნიშნულთან ერთად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ, როგორც ზემოთ აღნიშნა, სახეზეა გარკვეული სიმწირე ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის შემსწავლელ აკადემიურ ლიტერატურასთან დაკავშირებით. სფერო, რომელიც სათანადოდ არ არის შესწავლილი, ფარულ რისკებსა და საფრთხეებს შეიძლება, შეიცავდეს, რის გამოსწორებაც აუცილებელია, რადგანაც სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება სახელმწიფოს ეკონომიკურ საქმიანობაში პირდაპირ მონაწილეობის საკითხი¹⁰⁰. შედეგად, წინამდებარე ნაშრომის საგნის შესწავლაც ღირებულ წამოწყებად იკვეთება.

ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომის პოზიციას, რომ მასში მოცემული კვლევა წარმოადგენს მნიშვნელოვან სიახლეს და უაღრესად რელევანტურია თანამედროვე აკადემიური ლიტერატურისათვის, რაც არსებითად ზრდის მის ღირებულებას.

⁹⁷ Sam, C. Understanding the Relationship between the Government and Sovereign Wealth Funds: The Case of Singapore. *New Zealand Journal of Asian Studies*, 14.2. 2012. 86-104.

⁹⁸ Pargendler, M. State Ownership and Corporate Governance. *Fordham Law Review*, 80.6. 2012. 2917-2918.

⁹⁹ Kahan, M. Rock, E. When the Government Is the Controlling Shareholder: Implications for Delaware. *Delaware Journal of Corporate Law*, 35, 2010. 409-412.

¹⁰⁰ Woldring, H.E.S. On the Purpose of the State. Continuity and Change in Political Theories. In: *The Failure of Modernity. The Cartesian Legacy and Contemporary Pluralism*, by: Sweetman, B. Washington (The Catholic University Press), 1999. 155-170.

1.3. კვლევის მეთოდი

აკადემიურ ლიტერატურაში, როგორც წესი, გვხვდება კვლევის ორი დომინანტი მეთოდი - კვალიტატიური და კვანტიტატიური მიდგომები¹⁰¹. კვანტიტატიური მეთოდი კონცენტრირებულია დედუქციურ აზროვნებაზე, ანუ მყარი მონაცემის გამოყენებით მოსაზრების ჭეშმარიტების შემოწმებაზე. მეორე მხრივ, კვალიტატიური კვლევა, ინდუქციურ საფუძველზეა აგებული და გამოიყენება იმ მიზნით, რომ მოხდეს შესაბამისი თეორიების შექმნა და დამუშავება, რათა უკეთ მოხერხდეს ამა თუ იმ საკითხის გაანალიზება¹⁰².

კვანტიტატიური მეთოდი ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისათვის შესაფერისია და ხშირად გამოიყენება სწორედ ასეთ სფეროებში კვლევის ჩატარებისას. მეორე მხრივ, კვალიტატიური მიდგომა უმთავრესად სოციალურ დარგებში სარგებლობს პოპულარულობით. ეს განპირობებულია კვალიტატიური მეთოდის ფილოსოფიური მიდგომებისაგან. ეს მას მნიშვნელოვნად განასხვავებს კვანტიტატიური მიდგომისაგან, რომელიც მყარი მონაცემების ანალიზზეა კონცენტრირებული¹⁰³. სამართალი, როგორც მეცნიერების დარგი, ბევრად უფრო ახლოსაა სოციალურ დარგებთან, ვიდრე ზუსტ და საბუნებისმეტყველო სფეროებთან და, შედეგად, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ სწორედ კვალიტატიური მეთოდი განიხილება სამართლებრივი და მასთან დაკავშირებული კვლევებისათვის იდეალურ მიდგომად¹⁰⁴. აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომის ძირითად მიდგომად სწორედ კვალიტატიური კვლევა გვხვდება. ამავდროულად, ხაზგასასმელია, რომ ის არ არის ერთადერთი მექანიზმი, და ნაშრომის ზოგიერთ ნაწილში, განსაკუთრებით კი ეკონომიკური საკითხების ანალიზისას, გამოყენებულია იქნება კვანტიტატიური მეთოდებიც.

რაც შეეხება წყაროებს, აკადემიურ ნაშრომზე მუშაობისას გამოიყენება პირველადი და მეორეული წყაროები¹⁰⁵. პირველადი წყაროები მოიპოვება ხდება კვლევის ჩამტარებლის ან მასთან დაკავშირებული პირების მიერ გამოკითხვების, ინტერვიუების ან სხვა გზების გამოყენებით. რაც შეეხება მეორეულ წყაროებს,

¹⁰¹ Wood, M. Welch, C., Are 'Qualitative' and 'Quantitative' Useful Terms for Describing Research? *Methodological Innovations Online*, 5.1. 2010. 56-71.

¹⁰² Johnson-Laird, P.N., Deductive Reasoning. *Annual Review of Psychology*, 50, 1999. 109-135.

¹⁰³ Hoepfl, M.C., Choosing qualitative research: A primer for technology education researchers. *Journal of Technology Education*, 9.1. 1997. 47-63.

¹⁰⁴ Johnson-Laird, P.N., Deductive Reasoning. *Annual Review of Psychology*, 50, 1999. 109-135.

¹⁰⁵ Long-Sutehall, T. Sque, M. Addington-Hall, J., Secondary analysis of qualitative data: a valuable method for exploring sensitive issues with an elusive population? *Journal of Research in Nursing*, 16.4., 2010. 335-344.

ისინი მოიცავს დოკუმენტებსა და ინსტრუმენტებს, რომელიც შეიქმნა წინასწარ, კვლევისაგან დამოუკიდებელი მიზნებით და, როგორც წესი, ავტორის მონაწილეობის გარეშე¹⁰⁶. წინამდებარე ნაშრომის საგნის გათვალისწინებით, არაპრაქტიკული იქნებოდა პირველად წყაროებზე აქცენტის გაკეთება, რადგანაც საჭირო ფაქტების უშუალოდ მოპოვება გამოიწვევდა არამართებულად დიდი ოდენობის დროისა და რესურსების გაფლანგვას. შედეგად, კვლევა ძირითადად სწორედ მეორეული წყაროების ანალიზით შემოიფარგლება.

მეორეული წყაროებით სარგებლობისას ხშირად წარმოიშობა მათი დაკავშირებულია სანდოობის საკითხი¹⁰⁷. რადგან შესაბამისი ნაშრომის ავტორი განსხვავდება მის მიერ გამოყენებული და წყაროს ავტორისაგან, შესაძლებელია, კვლევისას მოხდეს ინფორმაციის არასწორად გაგება. დამატებით, თავად წყაროც შეიძლება, იყოს არაზუსტი, მიკერძოებული ან ხარვეზიანი¹⁰⁸. წინამდებარე ნაშრომის შემუშავებისას გადადგმულია ყველა საჭირო ნაბიჯი, რათა მოხდეს მხოლოდ უაღრესად სანდო წყაროებით სარგებლობა, ამიტომ, შესაძლებელი უნდა იყოს არსებული რისკის მიტიგაცია.

მეორეხრივ, მათით სარგებლობის სიმარტივის გარდა, მეორეული აკადემიური წყაროების გამოყენების ფაქტი დადებით გავლენას ახდენს ნაშრომის ხარისხზეც. მათი გაცნობისას და ანალიზისას ნაშრომის ავტორი იღებს როგორც მყარ ინფორმაციას, ასევე შესაბამის მკვლევართა პოზიციებსა და მიდგომებს, რომელთაც შეუძლიათ, დადებითი გავლენა მოახდინონ კვლევის ხარისხზე¹⁰⁹. ასევე, განსხვავებულ დისციპლინებში მოღვაწე პირების შექმნილი წყაროებით სარგებლობა ხელს უწყობს ავტორს, მის მიერ განსახილველი საკითხი შეაფასოს მრავალმხრივად და გაიფართოვოს ჰორიზონტები, რაც მის კვლევაზე დადებით ეფექტს იქონიებს¹¹⁰.

დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ნაშრომი შემუშავებულია ძირითადად ინგლისურ ენაზე ჩატარებული კვლევის შედეგად. როგორც ზევით უკვე ითქვა, განხილულ საკითხზე რელევანტური ლიტერატურა ქართულ ენაზე

¹⁰⁶ Church, R.M., The Effective Use of Secondary Data. *Journal of Learning and Motivation*, 33, 2001. 32-45.

¹⁰⁷ Drost, E.A., Validity and Reliability in Social Science Research. *Education Research and Perspectives*, 38.1. 2011. 105-122.

¹⁰⁸ Thomas, S.L. Heck, R.H., Analysis of Large-Scale Secondary Data in Higher Education Research: Potential Perils Associated with Complex Sampling Designs. *Journal of Research in Higher Education*, 42.5. 2001. 517-540.

¹⁰⁹ Choy, L.T., The Strengths and Weaknesses of Research Methodology: Comparison and Complimentary between Qualitative and Quantitative Approaches. *IOSR Journal Of Humanities And Social Science*, 19.4. 2014. 99-104.

¹¹⁰ Andersen, J.P. Prause, J. Silver, R.C., A Step-by-Step Guide to Using Secondary Data for Psychological Research. *Social and Personality Psychology Compass*, 5.1. 2010. 56-75.

თითქმის არ არსებობს. ამასთან ერთად, ნაშრომის მიერ შესწავლილი საგანი არსებითად საერთაშორისო ბუნების მქონეა და მისი ერთი იურისდიქციის ჭრილში განხილვა ნებისმიერ შემთხვევაში არ იქნებოდა მართებული, ამიტომ, ეროვნულ აკადემიურ ნაშრომებზე კონცენტრაციის არარსებობა არ უნდა იყოს განხილული უარყოფით ფაქტორად.

საბოლოოდ, გამოსაკვეთია ის ფაქტიც, რომ წინამდებარე ნაშრომს გააჩნია ინტერდისციპლინარული ხასიათი. მასში ხდება სამართლებრივი და ეკონომიკური სფეროების კომბინირებულად შესწავლა, რაც შედარებით იშვიათად გვხვდება აკადემიურ ლიტერატურაში¹¹¹. ამის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომის სამეცნიერო ღირებულება გარკვეულწილად იზრდება¹¹², რაც მას უფრო სასარგებლო ნამუშევრად აქცევს.

1.4. ნაშრომის სტრუქტურა

წინამდებარე ნაშრომის პირველ თავად გვევლინება შესავალი. მას მოსდევს სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნების შესწავლა, თითოეული ძირითადი მიზნის ანალიზითა და მათთან დაკავშირებული არსებითი საკითხების დეტალური განხილვით. შემდეგ თავში კი შესწავლილია საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციული აქტივობის განხორციელების მეთოდები, მათი დადებითი თუ უარყოფითი მხარეები და სხვა რელევანტური დეტალები.

კვლევის აღნიშნული ნაწილის დასრულების შემდეგ ხდება წინამდებარე ნაშრომის ძირითად ნაწილზე გადასვლა. პირველ რიგში, ხორციელდება სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობის სამართლებრივი შედეგები ანალიზი (რაც მოიცავს როგორც პოზიტიურ ელემენტებს, ისე მასთან ასოცირებულ რისკებს), შემდეგ კი შეფასდება იმავე მოქმედებების გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე.

შემდგომ, წარმოდგენილი იქნება კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები რისკებისა და პრობლემების თავიდან ასაცილებლად. საბოლოოდ, ნაშრომი დასრულდება შემაჯამებელი დასკვნით.

¹¹¹ Siems, M. The Taxonomy of Interdisciplinary Legal Research: Finding the Way Out of the Desert. *Journal of Commonwealth Law and Legal Education*, 7. 2009. 5-17.

¹¹² Kramer, R. Some Observations on Law and Interdisciplinary Research. *Duke Law Journal*, 4. 1959. 563-570.

2. სახელმწიფოს ლეგიტიმური მიზანი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას

სახელმწიფოთა უმრავლესობისათვის, საჯარო ხელისუფლების დაქვემდებარებაში არსებული სამეწარმეო საზოგადოებები ეკონომიკის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს¹¹³. არსებობს მოსაზრებები, რომ როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული სახელმწიფოსათვის ფაქტობრივად გარდაუვალია სახელმწიფოს კუთვნილი კომპანიების არსებობა და მათ მიერ ეროვნულ ეკონომიკურ რეალობაში არსებითი როლის თამაში¹¹⁴¹¹⁵. ისტორიულადაც, სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ხშირად გვხვდებოდა არაერთი ეკონომიკური კრიზისის მოსაგვარებლად ძირითად ან ერთ-ერთ უმთავრეს მექანიზმად, რის მაგალითადაც დიდი დეპრესიის დასამარცხებლად დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში გადადგმული ნაბიჯები შეიძლება, იქნეს განხილული¹¹⁶. მეორეხრივ კი, ასევე შეიძლება, მოყვანილი იყოს არაერთი მაგალითი, როდესაც საჯარო ხელისუფლების მიერ თავზე მეწარმეობის აღება კრიზისის გამომწვევ არსებით ფაქტორადაა განხილული¹¹⁷.

შედეგად, მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით, მუდმივად სახეზეა პოლიემიკა სახელმწიფოს კუთვნილი კომპანიების საქმიანობის დეტალებთან დაკავშირებით¹¹⁸. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განხილვის საგანია, თუ რატომ, რა მიზნით შეიძლება, მოხდეს საჯარო ხელისუფლების მიერ კერძოსამართლებრივი ნაბიჯების გადადგმა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების საკუთარ თავზე აღება¹¹⁹. აკადემიურ ლიტერატურაში აღნიშნულთან დაკავშირებით არაერთი, უკიდურესად განსხვავებული და ერთმანეთის გამომრიცხავი მოსაზრებები არსებობს¹²⁰. ამავდროულად, იმისათვის, რათა შესაძლებელი იყოს სახელმწიფოს მიზნებზე საუბარი და მათ

¹¹³ Shaheer, N. Yi, J. Li, S. Chen, L. State-Owned Enterprises as Bribe Payers: The Role of Institutional Environment. *Journal of Business Ethics*, 159.1. 2019. 221-238.

¹¹⁴ Polacsek, C. Hungarian State Holding Company: Governance of State Ownership. *Public Enterprise*, 18.2. 2011. 53-59.

¹¹⁵ He, X. Eden, L. Hitt, L. The Renaissance of State-Owned Multinationals. *Thunderbird International Business Review*, 58.2. 2015. 1-13.

¹¹⁶ Shleifer, A. State versus Private Ownership. *Journal of Economic Perspectives*, 12.4. 1998. 133-150.

¹¹⁷ Bel, G. Against the mainstream: Nazi privatization in 1930s Germany. *Economic History Review*, 63.1. 2009. 1-22.

¹¹⁸ Shirley, M. Bureaucrats in business: The roles of privatization versus corporatization in state-owned enterprise reform. *World Development*, 27.1. 1999. 115-136.

¹¹⁹ Sam, C. Understanding the Relationship between the Government and Sovereign Wealth Funds: The Case of Singapore. *New Zealand Journal of Asian Studies*, 14.2. 2012. 86-104.

¹²⁰ Milhaupt, C.J. Pargendler, M. Governance Challenges of Listed State-Owned Enterprises around the World: National Experiences and a Framework for Reform. *Cornell International Law Journal*, 50.3. 2017. 473-542.

მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შეფასება, აუცილებელია, პირველ რიგში, მოხდეს განსაზღვრა იმისა, თუ რა შეიძლება, ჩაითვალოს ლეგიტიმურ მიზნად, და რა ვერ განიხილება ასეთად¹²¹.

შესაბამისად, წინამდებარე თავში განხილული იქნება ყველა ის არსებითი ფუნქცია, რომელთა განხორციელებაც ამა თუ იმ აკადემიურ წყაროში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზნადაა წარმოჩენილი და შემოთავაზებული იქნება მათი კრიტიკული ანალიზი. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, გამოყენებული იქნება რამდენიმე კრიტერიუმი, რომლების დახმარებითაც შეფასდება, სახეზეა თუ არა საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციული აქტივობების განხორციელების ლეგიტიმური საფუძველი. ესენია:

- პირველ რიგში, შემოწმებული იქნება, შეუძლია თუ არა სახელმწიფოს ჩართულობას ამა თუ იმ მიზნის მიღწევის ხელშეწყობა;
- შემდეგ წარმოდგენილი იქნება იმის შეფასება, სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე მოხერხდებოდა თუ არა იმავე მიზნების მიღწევა;
- ამას მოჰყვება ანალიზი იმისა, ასეთი მიზნის მიღწევა საერთოდ სასურველია თუ არა საზოგადოებისათვის.

დასმულ კითხვებზე გაცემულ პასუხებზე დაყრდნობით, შეფასდება, ესა თუ ის მიზანი შეიძლება თუ არა, განხილული იყოს მის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ლეგიტიმურ საფუძველად. რეალურად, ლეგიტიმურად განიხილება მიზანი, რომლის მიღწევასაც სახელმწიფოს ჩართულობა ხელს უწყობს, რომელიც სასურველია საზოგადოებისათვის და რომლის იმავე წარმატებით მიღწევაც ნაკლებად შესაძლებელი იქნებოდა საჯარო ხელისუფლების აქტიური ჩართულობის გარეშე.

საბოლოოდ, ხაზგასასმელია, რომ წინამდებარე თავში განხილულია მხოლოდ ის, შესაძლებელია თუ არა, კონკრეტული საფუძველი ლეგიტიმურად განიხილებოდეს სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად. ეს ნიშნავს, რომ, მაგალითად, თუკი ნაშრომში ასახული იქნება პოზიცია, რომ ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება ნამდვილად შეიძლება, გამართლებული იყოს საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციული საქმიანობის განსახორციელებლად, ეს არანაირად არ უნდა იქნეს გაიგივებული მოსაზრებასთან, რომ ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს შესრულებული ან რომ საჯარო ორგანოების ჩართულობა

¹²¹ Woldring, H.E.S. On the Purpose of the State. Continuity and Change in Political Theories. In: The Failure of Modernity. The Cartesian Legacy and Contemporary Pluralism, by: Sweetman, B. Washington (The Catholic University Press), 1999. 155-170.

ინფრასტრუქტურის მშენებლობაში ყოველთვის კარგი და სასურველია. წინამდებარე თავში უბრალოდ განისაზღვრება, შეიძლება თუ არა, ესა თუ ის მიზანი ლეგიტიმურად ჩაითვალოს, ხოლო მიზნის ლეგიტიმურობა არ ნიშნავს, რომ მის მისაღწევად ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმა გამართლებულია.

2.1. ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება

მიუხედავად იმისა, რომ მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეებში პრივატიზაცია შეუჩერებელ ტრენდად გვევლინება¹²², მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების უმრავლესობა დღემდე კვლავ სახელმწიფოების მიერ ხორციელდება¹²³. ასეთებს შორისაა გზების, ხიდების, გვირაბებისა და აეროპორტების მშენებლობა¹²⁴, ენერგეტიკული ქსელების გაყვანა¹²⁵, კულტურული და სპორტული პროექტები¹²⁶ და სხვა, ძირითადად მასშტაბური ხასიათის წამოწყებები¹²⁷.

მაშინ, როდესაც კერძო სექტორის ხელში უპრეცედენტოდ დიდი რესურსებია, არსებული მდგომარეობის შენარჩუნება ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ ინფრასტრუქტურის შემუშავება მისი საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილად გვევლინება¹²⁸. ინფრასტრუქტურული პროექტები, თავის თავში, საკმაოდ შემოსავლიანი ბიზნესის კომპონენტად შეიძლება, გვევლინებოდეს¹²⁹, თუმცა, ნაცვლად კერძო მეწარმეებისა, ხშირად სწორედ სახელმწიფო ახდენს მათ რეალიზებას. ამის გათვალისწინებით, აუცილებელია, შესწავლილი იყოს, ლეგიტიმურ მიზნად შეიძლება თუ არა, განხილული იყოს სახელმწიფოს მიერ

¹²² Farazmand, A. Privatization or reform? Public enterprise management in transition. *International Review of Administrative Sciences*, 65.4. 2016. 551-567.

¹²³ O'Neill, P. The financialisation of urban infrastructure: A framework of analysis. *Urban Studies*, 56.7. 2019. 1304-1325.

¹²⁴ Christensen, L.T. Greve, C. Choosing state owned enterprises over public-private partnerships for infrastructure governance: explaining institutional change with evidence from Denmark's transport sector. *International Public Management Review*, 18.2. 2018. 137-161.

¹²⁵ Estrin, S. Pelletier, A. Privatization in Developing Countries: What Are the Lessons of Recent Experience? *The World Bank Research Observer*, 33.1. 2018. 65-102.

¹²⁶ Gonzalez-Corzo, M.A. Justo, O. Private Self-Employment under Reform Socialism in Cuba. *The Journal of Private Enterprise*, 32.2. 2017. 45-82.

¹²⁷ Chen, A.H. A new perspective on infrastructure financing in Asia. *Pacific-Basin Finance Journal*, 10.3. 2002. 227-242.

¹²⁸ Meissner, D. Sarpong, D. Vonortas, N.S. Introduction to the Special Issue on "Innovation in State Owned Enterprises: Implications for Technology Management and Industrial Development. *Industry and Innovation*, 26.2. 2019. 121-126.

¹²⁹ Petersen, O.H. Public-private partnerships as converging or diverging trends in public management? A comparative analysis of PPP policy and regulation in Denmark and Ireland. *International Public Management Review*, 12.2. 2011. 1-37.

სამეწარმეო საქმიანობა რათა უზრუნველყოფილი იყოს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის ლეგიტიმური მიზნების განსაზღვრის პირველი კრიტერიუმი, სახელმწიფოს ჩართულობით მიზნის მიღწევის შესაძლებლობა, როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან ჩანს, ცალსახად შესრულებულია. საჯარო ხელისუფლების ჩართულობით ნამდვილად ხდება ამა თუ იმ ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება.

რაც შეეხება სახელმწიფოს გარეშე მიზნის მიღწევის შესრულებადობას, საკითხი შედარებით უფრო კომპლექსურია. მართალია, კერძო სექტორს ნამდვილად ძალუძს, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები დამოუკიდებლად განხორციელოს, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ საკმაოდ მნიშვნელოვანი წამოწყებები დაწყებულიც კი ვერ იქნებოდა სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის გარეშე¹³⁰.

სახელმწიფოს მონაწილეობის საჭიროება ინფრასტრუქტურულ პროექტებში რამდენიმე ფაქტორიდან შეიძლება, გამომდინარეობდეს. პირველ რიგში, ხაზგასასმელია დიდი ოდენობის ინვესტიციის განხორციელების აუცილებლობა¹³¹, რაც ხშირად სახეზეა და კერძო ბიზნესის ინტერესის შემცირებას უწყობს ხელს¹³². მეორეხრივ, განსაკუთრებით გზებისა და მათთან დაკავშირებული პროექტების შემთხვევაში, მოგების მიღების შესაძლებლობა მცირე ან ძალიან გრძელვადიანია, რაც ასევე ამცირებს ასეთ პროექტში კომერციული მოთამაშეების მონაწილეობის სურვილს¹³³. და ბოლოს, ხაზგასასმელია ასევე მაღალი რისკები, რომლებიც ინფრასტრუქტურულ წამოწყებებში ინვესტიციებთან არის დაკავშირებული¹³⁴¹³⁵.

მსგავსი მდგომარეობა წარმოიშვება მაშინაც, როცა არსებობს არა ინფრასტრუქტურის ნულიდან შექმნის, არამედ მისი განვითარების, ან რეაბილიტაციის საჭიროება. მართალია, ასეთ დროს, პროექტი შეიძლება,

¹³⁰ Makarov, I. Plotnikov, V. Public-Private Partnership as a Financial Instrument for the Transport Infrastructure Modernizing. MATEC Web of Conferences, 170. 2018. 1-7.

¹³¹ Sachs, J.D. Woo, W.T. China's Economic Growth After WTO Membership. Journal of Chinese Economic and Business Studies, 1.1. 2003. 1-31.

¹³² Rodriguez-Pose, A. Crescenzi, R. Di Cataldo, M. Institutions and the Thirst for 'Prestige' Transport Infrastructure, 13. 2018. 227-246.

¹³³ Rahman, I.A. Memon, A.H. Zulkiffi, N.S.M. Failure Reasons of PPP Infrastructure Projects: Case Study of Kuala Lumpur LRT Project. Life Science Journal, 11.7. 2014. 238-246.

¹³⁴ Ashton, P. Doussard, M. Weber, R. The Financial Engineering of Infrastructure Privatization: What Are Public Assets Worth to Private Investors? Journal of the American Planning Association, 78.3. 2012. 300-312.

¹³⁵ Romeli, N. Halil, F.M. Ismail, F. Shukor, A.S.A. Economic Challenges in Joint Venture Infrastructure Projects: Towards Contractor's Quality of Life. Procedia - Social and Behavioral Sciences, 234. 2016. 19-27.

შედარებით ნაკლებად მასშტაბური იყოს¹³⁶, თუმცა მისი ნეგატიური ასპექტები, რომლებიც სახელმწიფოს ჩართულობის აუცილებლობას წარმოშობს წარმატებული დასასრულის მისაღწევად, არსებითად იგივეა, რაც ზემოთ უკვე იქნა განხილული¹³⁷.

დაბრკოლებები, რომლების არსებობაც ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჯარო ხელისუფლების მონაწილეობას საჭიროს ხდის, სულ უფრო გამოკვეთილი ხდება, აღნიშნული წამოწყებების მასშტაბებისა და ამბიციური ხასიათის ზრდასთან ერთად¹³⁸. იმის გათვალისწინებით, რომ ზოგჯერ ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი პროექტები, რომლებსაც მაქსიმალური სარგებელი მოაქვთ საზოგადოებისათვის, სწორედ, რომ მასშტაბური და ძვირადღირებულია¹³⁹¹⁴⁰, მათი განუხორციელებლობა შეიძლება, არსებით პრობლემად იქცეს.

ყოველივე აღნიშნულის შედეგად, სახეზეა რეალობა, რომ, როგორც მინიმუმ, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, ინფრასტრუქტურული პროექტების წარმატებით დაწყება და დასრულება შეიძლება, შეუძლებელი იყოს საჯარო ხელისუფლების აქტიური მონაწილეობის გარეშე. შესაბამისად, აღნიშნული კრიტერიუმი დაკმაყოფილებულად უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება იმას, სასურველია თუ არა საზოგადოებისათვის ასეთი პროექტების განხორციელება, პასუხი, როგორც წესი, აშკარაა. მართალია, ნამდვილად შეიძლება, მოხდეს ისეთი ინფრასტრუქტურული წამოწყებების შემუშავება, რომლებმაც შესაძლოა, არანაირი სარგებელი არ მოუტანონ მოსახლეობას¹⁴¹, თუმცა, საკმაოდ ხშირად, გზების მშენებლობა, აეროპორტის აგება თუ ელექტროენერჯის ქსელის გაყვანა სწორედაც, რომ სასარგებლოა საზოგადოებისათვის¹⁴². შედეგად, იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოს მიერ ინფრასტრუქტურული

¹³⁶ Ashton, P. Doussard, M. Weber, R. The Financial Engineering of Infrastructure Privatization: What Are Public Assets Worth to Private Investors? *Journal of the American Planning Association*, 78.3. 2012. 300-312.

¹³⁷ Christensen, L.T. Greve, C. Choosing state owned enterprises over public-private partnerships for infrastructure governance: explaining institutional change with evidence from Denmark's transport sector. *International Public Management Review*, 18.2. 2018. 137-161.

¹³⁸ Rodriguez-Pose, A. Crescenzi, R. Di Cataldo, M. Institutions and the Thirst for 'Prestige' Transport Infrastructure, 13. 2018. 227-246.

¹³⁹ Enshassi, A. Al-Najjar, J. Kumaraswamy, M. Delays and cost overruns in the construction projects in the Gaza Strip. *Journal of Financial Management of Property and Construction*, 14.2. 2009. 126-151.

¹⁴⁰ Goh, K.C. Yang, J. Importance of Sustainability-Related Cost Components in Highway Infrastructure: Perspective of Stakeholders in Australia. *Journal of Infrastructure Systems*, 20.1. 2014. 1-9.

¹⁴¹ Robinson, J. White Elephants. *Journal of Public Economics*, 89.2. 2005. 197-210.

¹⁴² Puthenkalam, J.J. Indian Economic Policies Towards Inclusive Growth. *Sophia Economic Review*, 58. 2013. 133-157.

პროექტების განხორციელება ცალსახად არასასურველია, ვერ ჩაითვლება მართებულად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად, ვიღებთ რეალობას, რომ ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება ნამდვილად შესაძლებელია, სახელმწიფოს ჩართულობით მოხდეს, ხოლო მის გარეშე ასეთი პროექტის წარმატებით დასრულება ზოგჯერ შეუძლებელია. ამავდროულად, ინფრასტრუქტურის არსებობა ხშირად ნამდვილად სასურველია საზოგადოებისთვის. შედეგად, ასეთი ხასიათის პროექტების განხორციელება ნამდვილად უნდა იქნეს განხილული საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობის მიღების ლეგიტიმურ მიზნად.

2.2. მოსახლეობისათვის სერვისების შეთავაზება

სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებელი ინსტრუმენტების გამოყენება ხშირად განპირობებულია მოსახლეობისათვის ამა თუ იმ სერვისის შეთავაზების სურვილით¹⁴³. ეს შეიძლება, განხორციელდეს სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით (მაგალითად, სახელმწიფოს კუთვნილი კომერციული იურიდიული პირის მეშვეობით), თუმცა მიზანი საკმაოდ ხშირად სწორედ ფართო საზოგადოებისათვის პროდუქტის ან მომსახურების მიწოდებაა¹⁴⁴.

მოსახლეობისათვის სერვისების შეთავაზება, როგორც სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზანი, განსხვავდება ზემოთ უკვე განხილული ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების ფუნქციისაგან. განსხვავებით წინა ქვეთავში მიმოხილული პროექტებისაგან, როდესაც სახეზეა საჯარო ხელისუფლების მიერ ფართო საზოგადოებისათვის პროდუქტის ან მომსახურების მიწოდება, ეს ნაკლებად უკავშირდება მასშტაბურ ინვესტიციებს, რომელთა გარეშე შეუძლებელი იქნებოდა იმავე მიზნის მიღწევა¹⁴⁵. ზოგჯერ ამა თუ იმ პროექტის განხორციელება მოიცავს ორივე დანიშნულებას, და გულისხმობს ინფრასტრუქტურის შექმნასა და, შემდგომ, მისი გამოყენებით

¹⁴³ Bezuidenhout, M.L. Bussin, M.H.R. Coetzee, M. The chief executive officer pay-for performance relationship within South African state-owned entities. South African Journal of Human Resource Management, 16. 2018. 142-154.

¹⁴⁴ Iacobucci, E.M. Trebilcock, M.J. The role of crown corporations in the Canadian economy: An analytical framework. University of Calgary SPP Research Papers, 5.9. 2012. 1-41.

¹⁴⁵ Petersen, O.H. Public-private partnerships as converging or diverging trends in public management? A comparative analysis of PPP policy and regulation in Denmark and Ireland. International Public Management Review, 12.2. 2011. 1-37.

სერვისის შეთავაზებას¹⁴⁶, თუმცა ეს უბრალოდ ორი მიზნის კომბინირებას წარმოადგენს და მისი ცალკე განხილვის საჭიროება არ არსებობს. შესაბამისად, წინამდებარე ქვეთავში განხილული იქნება სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ისეთი შემთხვევები, როდესაც მათ მიზანს მხოლოდ მოსახლეობისათვის პროდუქტის ან მომსახურების მიწოდება წარმოადგენს.

პირველ რიგში, განსახილველია, შესაძლებელია თუ არა, რომ საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის განხორციელებას მოჰყვეს საზოგადოებისათვის სერვისების წარმატებით შეთავაზება. პრაქტიკაში, მრავლად არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო კომპანია ან თავად საჯარო ხელისუფლების ორგანო ახდენს ამა თუ იმ მომსახურების ან/და პროდუქტის მოსახლეობისათვის მიწოდებას¹⁴⁷. ასეთებს შორისაა სატრანსპორტო სერვისები¹⁴⁸, ენერჯეტიკა¹⁴⁹, და სხვა მსგავსი სერვისები. შედეგად, აშკარაა, რომ სახელმწიფოს მიერ ნამდვილად შესაძლებელია, უზრუნველყოფილი იყოს კომერციული ნაბიჯების გადადგმის გზით მის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი პირებისათვის სხვადასხვა ხასიათის პროდუქტებისა და მომსახურების წარმატებით მიწოდება, რაც პირველი კრიტერიუმის დაკმაყოფილებად უნდა იყოს განხილული.

რაც შეეხება სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე იმავე სერვისების არსებობის შესაძლებლობას, მდგომარეობა გარკვეულწილად განსხვავდება ზემოთ უკვე განხილული ინფრასტრუქტურული პროექტებისაგან. თუკი პროდუქტის ან მომსახურების მისაწოდებლად საჭირო არ არის მასშტაბური ინფრასტრუქტურის აგება ან განვითარება, ეს ამცირებს დაკავშირებულ ხარჯებს¹⁵⁰. შედეგად, მცირდება რისკები და, ამავდროულად, იზრდება მოგების მიღების შესაძლებლობა. ხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, კერძო ბიზნესის მონაწილეობა ასეთი სერვისების შეთავაზებაში უფრო მიმზიდველი ინვესტიცია უნდა იყოს და, თავის მხრივ, სახელმწიფოს ჩართულობის საჭიროებას უნდა ამცირებდეს.

¹⁴⁶ Rodriguez-Pose, A. Crescenzi, R. Di Cataldo, M. Institutions and the Thirst for 'Prestige' Transport Infrastructure, 13. 2018. 227-246.

¹⁴⁷ Quinn, M. Warren, L. New Public Management a re-packaging of extant techniques? Some archival evidence from an Irish semi-state power company. Qualitative research in Accounting & Management, 14.4. 2017. 407-429.

¹⁴⁸ Christensen, L.T. Greve, C. Choosing state owned enterprises over public-private partnerships for infrastructure governance: explaining institutional change with evidence from Denmark's transport sector. International Public Management Review, 18.2. 2018. 137-161.

¹⁴⁹ Peng, H. Liu, Y. How government subsidies promote the growth of entrepreneurial companies in clean energy industry: An empirical study in China. Journal of Cleaner Production, 188. 2018. 508-520.

¹⁵⁰ Robinson, J. White Elephants. Journal of Public Economics, 89.2. 2005. 197-210.

მიუხედავად ზემოთ მოცემულისა, ის კლასიკური სერვისები, რომლების მიწოდებაც სახელმწიფოს მიერ ხდება, ძირითადად მაინც დიდი ოდენობის ინვესტიციებს საჭიროებს¹⁵¹, ან, მეორემხრივ, მათი განხორციელება უკავშირდება დიდი მოცულობის ქსელის ან აღჭურვილობის მოვლა-პატრონობას¹⁵². მაგალითად, ქალაქში სატრანსპორტო მომსახურების გასაწევად შესაძლოა, საჭირო გახდეს ავტობუსების ფლოტის შეძენა, ხოლო ქვეყანაში მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგების უზრუნველსაყოფად ათასობით კილომეტრის სიგრძის ქსელის გამართულად მდგომარეობაში შენარჩუნებაა აუცილებელი, რაც დიდი ოდენობის ინვესტიციასა და მაღალ რისკებთანაა კავშირში¹⁵³. შედეგად, მართალია, შესაძლებელია, ინფრასტრუქტურული პროექტები შედარებით უფრო ძვირადღირებული წამოწყება იყოს, თუმცა, მთელ რიგ შემთხვევებში, მოსახლეობისათვის სერვისების მიწოდებაც მრავალ დაბრკოლებასთან ასოცირდება და, შედეგად, ასეთი წამოწყებების ინვესტორთათვის მიმზიდველობის დონეც დაბალია. ამიტომ, ნამდვილად შესაძლებელია იმაზე საუბარი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, სახელმწიფო ჩართულობა აუცილებელია ამა თუ იმ პროდუქტის ან მომსახურების საზოგადოებისათვის მიწოდების უზრუნველსაყოფად.

ასევე აღსანიშნავია, რომ მოსახლეობისათვის სერვისების შეთავაზება, როგორც სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის მიზანი, შესაძლოა, გამომდინარეობდეს არა იქიდან, რომ საჯარო ხელისუფლების გარეშე ეს სერვისი ხელმისაწვდომი საერთოდ არ იქნებოდა, არამედ საჭიროებიდან, რომ შესაბამისი პროდუქტი ან მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს მაღალი ხარისხით ან დაბალ ფასად¹⁵⁴¹⁵⁵. ასეთთა შორის შეიძლება, შედიოდეს სახელმწიფოს სურვილი, ტრანსპორტირების, ჯანდაცვის, საკვების ან მსგავსი სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტების ან/და მომსახურების საფასური შემცირდეს ან არ იზრდებოდეს¹⁵⁶. მეორემხრივ, ასევე შესაძლოა, საჯარო ხელისუფლებას ამომრავებდეს მოტივაცია, უზრუნველყოფილი იყოს ასეთი სერვისების მაღალი

¹⁵¹ Del Bo, C. Florio, M. Public enterprises, policy adoption and planning: Three welfare propositions. *Journal of Economic Policy Reform*, 15.4. 2012. 1-27.

¹⁵² Chang, F. Chinese energy and Asian security. *Orbis*, 45.2. 2001. 211-240.

¹⁵³ Jessop, B. The rise of governance and the risks of failure: The case of economic development. *International Social Science Journal*, 50. 2008. 29-45.

¹⁵⁴ Goodwin, N. Leadership in the UK NHS: where are we now? *Journal of Management in Medicine*, 12.1. 1998. 21-32.

¹⁵⁵ Quinn, M. Warren, L. New Public Management a re-packaging of extant techniques? Some archival evidence from an Irish semi-state power company. *Qualitative research in Accounting & Management*, 14.4. 2017. 407-429.

¹⁵⁶ Goodwin, N. Leadership in the UK NHS: where are we now? *Journal of Management in Medicine*, 12.1. 1998. 21-32.

ხარისხი¹⁵⁷. შესაბამისად, თუნდაც ამა თუ იმ მომსახურების მიწოდება შესაძლებელი იყოს სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე, ეს არ ნიშნავს, რომ მისი ჩართულობა ნებისმიერ შემთხვევაში არასასურველად უნდა ჩაითვალოს.

საბოლოოდ, რაც შეეხება საჯარო ხელისუფლების ჩართულობით საზოგადოებისათვის სერვისების მიწოდების სასურველობას, ძირითადად, ეს კრიტერიუმი დაკმაყოფილებულად უნდა ჩაითვალოს. იქნება ეს ტრანსპორტირება, პროდუქციის მიწოდება, ენერგეტიკის სისტემის გამართულობა თუ სხვა, ეს, რა თქმა უნდა, დადებით მოვლენად უნდა განიხილებოდეს. შესაბამისად, სახელმწიფოს ქმედებათა ეს საფუძველი ნამდვილად გამართლებულია.

ყოველივე ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, შესაძლებელია იმაზე საუბარი, რომ ხელისუფლების ორგანოთა მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება იმ მიზნით, რომ გარანტირებული იყოს მოსახლეობის მიერ ამა თუ იმ მომსახურების ან პროდუქციის მიღება, ზოგ შემთხვევებში მაინც, ნამდვილად სასურველია. შესაბამისად, სახელმწიფოს კომერციულ აქტივობებში ჩართულობა სერვისების გარანტირების საფუძველით ნამდვილად ლეგიტიმურ მიზნად უნდა იქნეს განხილული.

2.3. ეკონომიკის სტიმულირება

ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი, რომლითაც საჯარო სტრუქტურები მეწარმეობაში სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას ამართლებენ, ეროვნული ეკონომიკის სტიმულირებაა¹⁵⁸. სახელმწიფოს, რომელსაც, როგორც წესი, კერძო ბიზნესზე დიდი ფინანსური რეზერვები და მატერიალური შესაძლებლობები აქვს, შეუძლია, თავისი დიდი შესაძლებლობები გამოიყენოს, რათა სცადოს ეკონომიკის ამა თუ იმ სფეროს გამოცოცხლება, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკურ ზრდის წინაპირობად შეიძლება, მოგვევლინოს¹⁵⁹. ამას სხვადასხვა ფორმა შეიძლება, ჰქონდეს, და მოიცავდეს სახელმწიფო კომპანიების მიერ შესაბამის სფეროში აქტიური მეწარმეობის გაწევას, ეკონომიკურ სუბსიდიებს, ან სხვა,

¹⁵⁷ Quinn, M. Warren, L. New Public Management a re-packaging of extant techniques? Some archival evidence from an Irish semi-state power company. *Qualitative research in Accounting & Management*, 14.4. 2017. 407-429.

¹⁵⁸ Lopes Júnior, E.P. Camara, S.F. Rocha, L.G. Brasil, A. Influence of corruption on state-owned enterprise expenditures. *Brazilian Journal of Public Administration*, 52.4. 2018. 695-711.

¹⁵⁹ Kaplan, S.B. Banking unconditionally: the political economy of Chinese finance in Latin America. *Review of International Political Economy*, 23.4. 2016. 643-676.

შედარებით ნაკლებად პირდაპირ მოქმედებებს¹⁶⁰. თუმცა, იმისათვის, რომ საჯარო ხელისუფლების მიზნად ეკონომიკის სტიმულირება განხილვებოდეს, საჭიროა, რომ მთავარი საფუძველი სწორედ ამა თუ იმ სფეროს წინ წამოწევა ან განვითარება იყოს.

ეკონომიკის სტიმულირება განიმარტება, როგორც ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც გამოიწვევს როგორც მოსახლეობის, ისე კერძო ბიზნესების მიერ მეტი თანხის დახარჯვას და ნაკლების სამომავლოდ შენახვას¹⁶¹. ეს, თავის მხრივ, ზრდის საჯარო სექტორის შემოსავალს და, სწორად იმპლემენტაციის შემთხვევაში, არსებითად აუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას¹⁶². ეკონომიკის სტიმულირების ძირითად მეთოდებს შორის გვევლინება გადასახადების შემცირება¹⁶³ და სახელმწიფოს მიერ ინვესტიციების განხორციელება¹⁶⁴. სწორედ ამ უკანასკნელის ნაირსახეობად შეიძლება, მოგვევლინოს სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება¹⁶⁵, რაც ხშირად სახელმწიფო კომპანიებისა და საინვესტიციო აქტიური საქმიანობით, ასევე საჯარო სტრუქტურების მიერ კერძო სამეწარმეო იურიდიული პირების სუბსიდირებით გამოირჩევა.

პირველ რიგში, განსახილველია, შესაძლებელია თუ არა, სახელმწიფოს აქტიურმა ჩართულობამ ნამდვილად გამოიწვიოს ეკონომიკის სტიმულირება და მისი დადებითად განვითარება. ამის პრეცედენტი ცალსახად სახეზეა, რადგანაც როგორც ამა თუ იმ დარგის, ის მთლიანად ეროვნული ეკონომიკის უკეთესობისკენ განვითარება სახელმწიფოს მონაწილეობით არაერთხელ განხორციელებულა, რის მაგალითადაც ბრაზილიის ეკონომიკის ზოგიერთი ნაწილისა¹⁶⁶ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთლიანი ეკონომიკის მოყვანა შეიძლება¹⁶⁷. მეორე მხრივ, მარცხებიც არ წარმოადგენს იშვიათობას, რასაც იმავე

¹⁶⁰ Clarke, D.C. Law without Order in Chinese Corporate Governance Institutions. *Northwestern Journal of International Law & Business*, 30.1. 2010. 131-199.

¹⁶¹ McCarthy, J. Imperfect Insurance and Differing Propensities to Consume Across Individuals. *Journal of Monetary Economics*, 36. 1995. 301-327.

¹⁶² Auerbach, A.J. Measuring the Effects of Corporate Tax Cuts. *Journal of Economic Perspectives*, 32.4. 2018. 97-120.

¹⁶³ Steindel, C. The Effect of Tax Changes on Consumer Spending. *Current Issues in Economics and Finance*, 7.11. 2001. 1-6.

¹⁶⁴ Glomm, G. Ravikumar, B. Public Investment in Infrastructure in a Simple Growth Model. *Journal of Economic Dynamics and Control*, 18. 1994. 1173-1187.

¹⁶⁵ Auerbach, A.J. Measuring the Effects of Corporate Tax Cuts. *Journal of Economic Perspectives*, 32.4. 2018. 97-120.

¹⁶⁶ Lopes Júnior, E.P. Camara, S.F. Rocha, L.G. Brasil, A. Influence of corruption on state-owned enterprise expenditures. *Brazilian Journal of Public Administration*, 52.4. 2018. 695-711.

¹⁶⁷ Kaplan, S.B. Banking unconditionally: the political economy of Chinese finance in Latin America. *Review of International Political Economy*, 23.4. 2016. 643-676.

ბრაზილიაში¹⁶⁸, არაბულ ქვეყნებსა¹⁶⁹ და, წარსულში, საბჭოთა კავშირში¹⁷⁰ ვაწყდებით. ფიქსირდება არაერთი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფომ საკუთარ თავზე მეწარმეობა სწორედ, ეკონომიკის სტიმულირების მიზნით აიღო, რასაც ზუსტად საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვა და ხელისუფლების აქტიურობას ჯამში საზიანო აღმოჩნდა¹⁷¹.

ასევე აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის სტიმულირება და სახელმწიფოს ჩართულობა კომერციული საქმიანობის განხორციელებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური კრიზისის დროს¹⁷²¹⁷³. საჯარო ხელისუფლების მიერ სამეწარმეო ქმედებათა თავზე აღება უფრო საჭირო ხდება, როდესაც სახეზეა არასტაბილური გარემო, რაც ეკონომიკის გამოცოცხლების აუცილებლობას წარმოშობს. თუკი ფიქსირდება კრიზისი, კერძო სექტორის სტანდარტული ქმედება შეიძლება, იყოს ინვესტიციების აღებისაგან თავის შეკავება, რაც, ბუნებრივია, საზიანოა გრძელვადიან პერსპექტივებში¹⁷⁴. ამიტომ, კრიზისის გაუარესების გამოსარიცხად, ერთ-ერთი საუკეთესო ნაბიჯი სწორედ სახელმწიფოს გააქტიურებაა¹⁷⁵. შედეგად, ფორსმაჟორულ მდგომარეობებში განსაკუთრებით ეფექტური შეიძლება იყოს ეკონომიკის სტიმულირების მიზნით საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციული საქმიანობის საკუთარ თავზე აღება. მძიმე კრიზისის დროს, კერძო ბიზნესი, არასტაბილური გარემოს გამო, ნაკლებად არის მზად, გაწიოს რისკები და ინვესტიციების ნაცვლად რეზერვების შექმნითაა დაკავებული¹⁷⁶, ხოლო სახელმწიფოს, რომელსაც, როგორც წესი, ისედაც გააჩნია მნიშვნელოვანი რეზერვები¹⁷⁷, ძალუმს, მოახდინოს ეკონომიკის მნიშვნელოვნად

¹⁶⁸ Lopes Júnior, E.P. Camara, S.F. Rocha, L.G. Brasil, A. Influence of corruption on state-owned enterprise expenditures. *Brazilian Journal of Public Administration*, 52.4. 2018. 695-711.

¹⁶⁹ Annacker, C. Protection and Admission of Sovereign Investment under Investment Treaties. *Chinese Journal of International Law*, 10.3. 2011. 531-564.

¹⁷⁰ Buck, T. Filatotchev, I. Wright, M. Zhukov, V. Corporate Governance and Employee Ownership in an Economic Crisis: Entrepreneurial Strategies in the Former USSR. *Journal of Comparative Economics*, 27.3. 1999. 459-474.

¹⁷¹ Kaplan, S.B. Banking unconditionally: the political economy of Chinese finance in Latin America. *Review of International Political Economy*, 23.4. 2016. 643-676.

¹⁷² Clarke, D.C. Law without Order in Chinese Corporate Governance Institutions. *Northwestern Journal of International Law & Business*, 30.1. 2010. 131-199.

¹⁷³ Perkins, D.H. Understanding the Slowing Growth Rate of the People's Republic of China. *Asian Development Review*, 32.1. 2015. 1-30.

¹⁷⁴ Haberly, D. Strategic sovereign wealth fund investment and the new alliance capitalism: A network mapping investigation. *Environment and Planning A: Economy and Space*, 43.8. 2011. 1833-1852.

¹⁷⁵ Clarke, D.C. Law without Order in Chinese Corporate Governance Institutions. *Northwestern Journal of International Law & Business*, 30.1. 2010. 131-199.

¹⁷⁶ Buck, T. Filatotchev, I. Wright, M. Zhukov, V. Corporate Governance and Employee Ownership in an Economic Crisis: Entrepreneurial Strategies in the Former USSR. *Journal of Comparative Economics*, 27.3. 1999. 459-474.

¹⁷⁷ Knight, B. Endogenous Federal Grants and Crowd-out of State Government Spending: Theory and Evidence from the Federal Highway Program. *American Economic Review*, 92.1. 2002. 71-92.

სტიმულირება, რაც ხსენებული სათადარიგო რესურსების ეკონომიკაში ჩადინების გზით შეიძლება, განხორციელდეს¹⁷⁸. ეს კი, თავის მხრივ, ეკონომიკის სტიმულირების კარგი მეთოდია¹⁷⁹ და, შედეგად, ნამდვილად შეიძლება, ეფექტურ ქმედებად მოგვევლინოს.

ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ სახელმწიფოს ჩართულობა კომერციულ საქმიანობაში, თუკი მისი საფუძველი ეკონომიკის სტიმულირებაა, ნამდვილად შეიძლება, ლეგიტიმურ ქმედებად ჩაითვალოს. ამავდროულად, ეს არ უნდა იქნეს განხილული, როგორც გარანტია, რომ საჯარო ხელისუფლების ასეთი მიზნით მოქმედება ცალსახად დადებითი მოვლენაა. ყველა შემთხვევა ცალ-ცალკე უნდა იქნეს შეფასებული. თუმცა, ეკონომიკის სტიმულირება, როგორც საჯარო ხელისუფლების მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზანი, ნამდვილად შეიძლება, ლეგიტიმურ მიზნად იქნეს განხილული.

შემდეგი საკითხი, რომელიც უნდა გაანალიზდეს, არის ის, თუ რამდენად შესაძლებელია, ეკონომიკის სტიმულირება სახეზე იყოს სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე. თავის თავში, ტერმინი „ეკონომიკის სტიმულირება“ ხშირად სწორედ საჯარო ხელისუფლების ქმედებათა აღწერისას გამოიყენება¹⁸⁰. თუმცა, მეორე მხრივ, თუკი მის კომპონენტებს ჩავუღრმავდებით, ეკონომიკის სტიმულირება არის ქმედება ან მათი კომბინაცია, რომლის შედეგადაც გვევლინება ეროვნულ ეკონომიკაში ფინანსების ჩადინება¹⁸¹ და ბიზნესის წახალისება, გაზარდოს ინვესტიციები¹⁸².

კერძო სექტორის სურვილის გაზრდა, განხორციელოს მეტი თანხის ჩადება ბიზნესში, ინვესტიციების განხორციელების წახალისება, ზოგ შემთხვევაში, თავად თავისუფალი ბაზრიდანაც ნამდვილად შესაძლებელია, გამომდინარეობდეს და მიღწეული იყოს სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე¹⁸³. იმისთვის, რომ ეკონომიკური მდგომარეობა არსებითად გაუმჯობესდეს და, ზოგჯერ, არსებითი კრიზისიც იყოს დაძლეული, აუცილებელი არ არის,

¹⁷⁸ Glomm, G. Ravikumar, B. Public Investment in Infrastructure in a Simple Growth Model. Journal of Economic Dynamics and Control, 18. 1994. 1173-1187.

¹⁷⁹ Auerbach, A.J. Measuring the Effects of Corporate Tax Cuts. Journal of Economic Perspectives, 32.4. 2018. 97-120.

¹⁸⁰ Davig, T. Leeper, E.M. Monetary-Fiscal Policy Interactions and Fiscal Stimulus. European Economic Review, 55.2. 2011. 211-227.

¹⁸¹ Glomm, G. Ravikumar, B. Public Investment in Infrastructure in a Simple Growth Model. Journal of Economic Dynamics and Control, 18. 1994. 1173-1187.

¹⁸² Ansar, A. Flyvbjerg, B. Budzier, A. Lunn, D. Does infrastructure investment lead to economic growth or economic fragility? Evidence from China. Oxford Review of Economic Policy, 32.3. 2016. 360-390.

¹⁸³ Davig, T. Leeper, E.M. Monetary-Fiscal Policy Interactions and Fiscal Stimulus. European Economic Review, 55.2. 2011. 211-227.

მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფომ ითამაშოს¹⁸⁴, თუმცა, მის გარეშე დადებითი ცვლილებების აღბათობა შესამჩნევად მცირდება¹⁸⁵. სახელმწიფოს ხელთ არის ყველაზე შედეგობრივი რესურსები მასშტაბური პროგრესის მისაღწევად და მისი მექანიზმების ეფექტურად ამოქმედება ერთ-ერთი საუკეთესო გზაა ეკონომიკის სტიმულირებისათვის¹⁸⁶. ამიტომ, მიუხედავად საწინააღმდეგო შესაძლებლობის არსებობისა, როდესაც საჭიროა ეკონომიკის სტიმულირება, უმჯობესია, ამის სახელმწიფოს მონაწილეობით განხორციელება ხშირად სასურველია, ხოლო ინსტრუმენტი, აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ნამდვილად შეიძლება, საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელება იყოს¹⁸⁷.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის სტიმულირების სურვილს ხშირად ნეგატიური შედეგებიც შეიძლება, მოჰყვეს. ნაბიჯები, რომლებიც, ერთი შეხედვით, ბაზრის დასახმარებლადაა გადადგმული, ზოგჯერ მდგომარეობას არ შველის ან აუარესებს კიდევ სიტუაციას¹⁸⁸¹⁸⁹. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ჩართულობა ეკონომიკის სტიმულირების ერთ-ერთ საუკეთესო მეთოდად აღიქმება¹⁹⁰, ის განსაკუთრებით ფრთხილად უნდა მოქმედებდეს, რათა არ იქნეს დაშვებული უარესი კრიზისის გამოწვევა.

საბოლოოდ, უნდა იქნეს შეფასებული, ზოგადად, სასურველია თუ არა ეკონომიკის სტიმულირება სახელმწიფოს მიერ. არსებობს მოსაზრებები, რომ საჯარო ხელისუფლების კერძო სექტორში ჩარევა მდგომარეობას აუარესებს და მოკლევადიან პერსპექტივებში დადებითი შედეგის მისაღებად გრძელვადიან პროგნოზს აუარესებს, რაც ჩარევის ხელოვნური ბუნებიდან გამომდინარეობს¹⁹¹. ასეთი შეფასებები კეთდება იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ კრიზისში მყოფი ეკონომიკა, თავისუფალი ბაზრის მეშვეობით, ყოველთვის იპოვის გამოსავალს, ხოლო სახელმწიფოს მიერ მისი სტიმულირება არაფერია, თუ არა მხოლოდ

¹⁸⁴ Reyes, O. What goes up must come down – Carbon trading, industrial subsidies and capital market governance. *What Next Journal*, 3. 2010. 185-209.

¹⁸⁵ Brunick, N.J. Maier, P.O.B. Renewing the Land of Opportunity. *Journal of Affordable Housing & Community Development Law*, 19.2. 2010. 161-190.

¹⁸⁶ Ansar, A. Flyvbjerg, B. Budzier, A. Lunn, D. Does infrastructure investment lead to economic growth or economic fragility? Evidence from China. *Oxford Review of Economic Policy*, 32.3. 2016. 360-390.

¹⁸⁷ Auerbach, A.J. Measuring the Effects of Corporate Tax Cuts. *Journal of Economic Perspectives*, 32.4. 2018. 97-120.

¹⁸⁸ Clarke, D.C. Law without Order in Chinese Corporate Governance Institutions. *Northwestern Journal of International Law & Business*, 30.1. 2010. 131-199.

¹⁸⁹ Zhang, Y. Social class differences in consumption propensity in contemporary China – from survival-oriented consumption to development-oriented consumption. *The Journal of Chinese Sociology*, 4.1. 2017. 21-44.

¹⁹⁰ Knight, B. Endogenous Federal Grants and Crowd-out of State Government Spending: Theory and Evidence from the Federal Highway Program. *American Economic Review*, 92.1. 2002. 71-92.

¹⁹¹ Zafar, A. The Growing Relationship between China and Sub-Saharan Africa: Macroeconomic, Trade, Investment, and Aid Links. *The World Bank Research Observer*, 22.1. 2007. 103-130.

სიმპტომების მკურნალობა, რის შედეგადაც ყველა ის ფაქტორი, რამაც კრიზის გამოიწვია, ისევე სახეზე რჩება და ახალ კატასტროფას გარდაუვალს ხდის¹⁹². მეორემხრივ კი, ფაქტად რჩება ისიც, რომ არაერთ შემთხვევაში, კრიზისი თავიდან აცილებული იქნა ან მდგომარეობა გაუმჯობესდა ძირითადად სწორედ სახელმწიფოს ქმედებათა შედეგად, და წლების განმავლობაში მაინც იგივე პრობლემა არ წარმოშობილა¹⁹³. ამიტომ, ერთპიროვნულად საჯარო ხელისუფლების მიერ ეკონომიკის სტიმულირებაზე უარის თქმა გაუმართლებელია. საჯარო ხელისუფლების კომერციულ სფეროში ჩართულობა, ისევე, როგორც სხვა მსგავსი ინსტრუმენტები, სახელმწიფოს მიერ გამოსაყენებელი მექანიზმია, და მისი ეფექტი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სწორად მოხდება პრაქტიკაში იმპლემენტაცია თეორიული სურვილებისა¹⁹⁴. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის სტიმულირება ნამდვილად შეიძლება, დადებით ნაბიჯად განვიხილოთ, თუმცა არ უნდა იქნეს დავიწყებული მასთან დაკავშირებული საკმაოდ მოცულობითი რისკები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციულ საქმიანობაში ჩართულობა ნამდვილად შეიძლება, გამართლებული იყოს, თუკი მის მიზნად ეკონომიკის სტიმულირება გვეკლინება. ასეთი დანიშნულებით ხსენებული ინსტრუმენტის გამოყენებასთან ბევრი საფრთხე ასოცირდება, თუმცა, ჯამში, შეუძლებელია იმის თქმა, რომ დადებითი შედეგები არ არის სავარაუდო. შესაბამისად, ეკონომიკის სტიმულირება ნამდვილად უნდა იქნეს განხილული, როგორც სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ლეგიტიმური მიზანი.

2.4. ეკონომიკის სასურველი მიმართულებით წარმართვა

ზემოთ უკვე განხილული ეკონომიკის სტიმულირებისაგან განსხვავებით, რომელიც, როგორც წესი, კრიზისში მყოფი ეკონომიკური ატმოსფეროს სახელმწიფოს მოქმედების გზით გამოსწორებას ემსახურება¹⁹⁵, ეკონომიკის მიმართულების წარმართვა შედარებით უფრო გრძელვადიან პერსპექტივებზე

¹⁹² Woods, N. Whose Aid? Whose Influence? China, Emerging Donors and the Silent Revolution in Development Assistance. *International Affairs*, 84.6. 2008. 1205-1221.

¹⁹³ Kaplan, S.B. Banking unconditionally: the political economy of Chinese finance in Latin America. *Review of International Political Economy*, 23.4. 2016. 643-676.

¹⁹⁴ Zhang, Y. Social class differences in consumption propensity in contemporary China – from survival-oriented consumption to development-oriented consumption. *The Journal of Chinese Sociology*, 4.1. 2017. 21-44.

¹⁹⁵ Woods, N. Whose Aid? Whose Influence? China, Emerging Donors and the Silent Revolution in Development Assistance. *International Affairs*, 84.6. 2008. 1205-1221.

ორიენტირებული მიზანია¹⁹⁶. ასეთ დროს, საჯარო ორგანოები დგამენ ნაბიჯებს, რათა უზრუნველყოს, რომ ეროვნული ეკონომიკა განვითარდება ისე და იმ მიმართულებით, როგორც თავად ხელისუფლებისთვისაა სასურველი¹⁹⁷.

ეკონომიკის განვითარების მიმართულების წარმართვას რამდენიმე სხვადასხვა სახე შეიძლება, ჰქონდეს. ეს შეიძლება, მოიცავდეს სტრატეგიული მიმართულებების წარმოქმნასა და მართვას¹⁹⁸, რაც წინამდებარე ნაშრომში ქვემოთ იქნება განხილული. გარდა ამისა, ეკონომიკის ხელისუფლებისათვის სასურველი კურსით წაყვანა სხვა ფაქტორებითაც შეიძლება, იყოს განპირობებული. ეს შეიძლება, მოიცავდეს ისეთ განსხვავებულ მიზეზებს, როგორცაა დასაქმების უზრუნველყოფა¹⁹⁹²⁰⁰, გარემოს დაცვა²⁰¹²⁰² და „ეთიკური“ ბიზნესის ხელშეწყობა²⁰³²⁰⁴.

მიზანთა მრავალფეროვნების მიუხედავად, ეკონომიკის სასურველი მიმართულებით წარმართვით მოტივირებული სახელმწიფო ჩართულობა სამეწარმეო საქმიანობაში, თუკი მისი მთავარი საფუძველი სტრატეგიული მიმართულებების წარმოქმნა ან მართვა არ არის²⁰⁵, ძირითადად, ნეგატიურ შედეგებს იწვევს²⁰⁶²⁰⁷. დასაქმების უზრუნველყოფა, გარემოს დაცვა ან საზოგადოებრივი ეთიკის წინ წამოწევა შეიძლება, მნიშვნელოვან და ღირსეულ

¹⁹⁶ Gerritsen, R. Zeng, B. The Future of the Chinese Miracle: Will Neo-statist SOEs Persist in China's Development Model? *Australasian Journal of Regional Studies*, 20.2. 2014. 258-285.

¹⁹⁷ Liu, M. Liu, L. Xu, S. Du, M. Liu, X. Zhang, Y. The Influences of Government Subsidies on Performance of New Energy Firms: A Firm Heterogeneity Perspective. *Sustainability*, 11.17. 2019. 1-19.

¹⁹⁸ Wang, R. Strategic Deviance and Accounting Conservatism. *American Journal of Industrial and Business Management*, 8. 2018. 1197-1228.

¹⁹⁹ Amo, H.F. Hyamerah, S. The Pre and Post Financial Performance of Privatized State-Owned Enterprises in Ghana. *Research Journal of Finance and Accounting*, 7.19. 2016. 100-107.

²⁰⁰ Putnins, T.J. Economics of State-Owned Enterprises. *International Journal of Public Administration*, 38.11. 2015. 1-18.

²⁰¹ Haberly, D. Strategic sovereign wealth fund investment and the new alliance capitalism: A network mapping investigation. *Environment and Planning A: Economy and Space*, 43.8. 2011. 1833-1852.

²⁰² Mazzucato, M. Semeniuk, G. Financing renewable energy: Who is financing what and why it matters. *Technological Forecasting and Social Change Journal*, 127. 2018. 8-22.

²⁰³ Ip, P. Business ethics and a state-owned enterprise in China. *Business Ethics: A European Review*, 12.1. 2003. 64-77.

²⁰⁴ Mathenge, G.D. Corporate Governance and Organizational Management: An Ethical Perspective of the Challenges Facing Effective Corporate Management in Kenyan State Owned Enterprises (SOEs). *Global Journal of Management and Business Research Administration and Management*, 13.10. 2013. 43-53.

²⁰⁵ Wang, R. Strategic Deviance and Accounting Conservatism. *American Journal of Industrial and Business Management*, 8. 2018. 1197-1228.

²⁰⁶ Amjad, R. Burki, S.J. Pakistan: Moving the Economy Forward. Lahore School of Economics Press (Lahore, Pakistan). 2013. 154-162.

²⁰⁷ Sokol, D.D. State Capitalism in Cuba: The Lessons of the Literature on State Owned Enterprises and Market Liberalization. *Florida Journal of International Law*, 29.1. 2017. 211-224.

მიზნებად ჩაითვალოს, თუმცა მათ მისაღწევად სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ნამდვილად ვერ ჩაითვლება საუკეთესო მექანიზმად²⁰⁸²⁰⁹²¹⁰. პრაქტიკაში, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკისათვის მიმართულების მიცემა, როგორც წესი, ეკონომიკის დაზიანებას უფრო იწვევს²¹¹²¹², ამიტომ აუცილებელია, მაქსიმალურად ფრთხილად მოხდეს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა. ეკონომიკაში ჩარევა ეკონომიკური მიზნებითვე უნდა იყოს განპირობებული, თორემ, ალტერნატიულად, ალბათობა ნეგატიური შედეგებისა მნიშვნელოვნად იზრდება, ხოლო წარმატების შანსი შესამჩნევად მცირდება²¹³.

დამატებით, ხაზგასასმელია, რომ სახელმწიფოს ნამდვილად ძალუძს, უზრუნველყოს ეკონომიკის მისთვის სასურველი მიმართულებით განვითარება, რადგანაც მის ხელთ დიდი ოდენობის რესურსებია და სწორედ მათი ეფექტურად გამოყენებით შესაძლებელია, განხორციელდეს ეკონომიკური კურსის ცვლილება ან ამა თუ იმ სტრატეგიული სექტორის ამოქმედება²¹⁴. თუმცა, ამავდროულად, ხშირად სახეზეა დიდი ოდენობით რისკები, რომელთა სათანადოდ გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში არსებობს საფრთხე, რომ საჯარო სექტორის ჩართულობამ კომერციულ საქმიანობაში მხოლოდ ზიანი მოუტანოს ეროვნულ ეკონომიკას²¹⁵.

ზემოთ მოცემულთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ არსებობს პოზიცია, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მისთვის სასურველი მიმართულებით წარმართვა ყოველთვის დადებითი ქმედებაა, რადგან ასეთი მოქმედებით საჯარო ხელისუფლება ცდილობს, თავისუფალი ბაზრის შეცდომები და მარცხები გამოასწოროს²¹⁶. წინამდებარე ნაშრომი აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს. ის, რომ სახელმწიფოს სურვილი არ ემთხვევა

²⁰⁸ Annacker, C. Protection and Admission of Sovereign Investment under Investment Treaties. *Chinese Journal of International Law*, 10.3. 2011. 531-564.

²⁰⁹ Xu, K. The Analysis on Employment Rights of “Zero-Hours Contracts” Workers in the UK. *World Journal of Social Science Research*, 5.1. 2018. 16-21.

²¹⁰ Ip, P. Business ethics and a state-owned enterprise in China. *Business Ethics: A European Review*, 12.1. 2003. 64-77.

²¹¹ Royo, S. Yetano, A. Garcia-Lacalle, J. Accountability Styles in State-Owned enterprises: The good, the bad, the ugly and the pretty. *Spanish Accounting Review*, 22.2. 2019. 156-170.

²¹² Annacker, C. Protection and Admission of Sovereign Investment under Investment Treaties. *Chinese Journal of International Law*, 10.3. 2011. 531-564.

²¹³ Ansar, A. Flyvbjerg, B. Budzier, A. Lunn, D. Does infrastructure investment lead to economic growth or economic fragility? Evidence from China. *Oxford Review of Economic Policy*, 32.3. 2016. 360-390.

²¹⁴ Liu, M. Liu, L. Xu, S. Du, M. Liu, X. Zhang, Y. The Influences of Government Subsidies on Performance of New Energy Firms: A Firm Heterogeneity Perspective. *Sustainability*, 11.17. 2019. 1-19.

²¹⁵ Woods, N. Whose Aid? Whose Influence? China, Emerging Donors and the Silent Revolution in Development Assistance. *International Affairs*, 84.6. 2008. 1205-1221.

²¹⁶ Liu, M. Liu, L. Xu, S. Du, M. Liu, X. Zhang, Y. The Influences of Government Subsidies on Performance of New Energy Firms: A Firm Heterogeneity Perspective. *Sustainability*, 11.17. 2019. 1-19.

თავისუფალი ბაზრის მოქმედებების შედეგს, არ ნიშნავს, რომ ასეთ კონფლიქტში სახელმწიფოა მართალი²¹⁷. რაც შეეხება პრაქტიკას, ის გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის სასურველი მიმართულებით განვითარება შესაძლოა, მისაღები იყოს მხოლოდ სტრატეგიული სექტორების განვითარებისა და მართვის თვალსაზრისით, ხოლო სხვა, მსგავსი მიზნები ლეგიტიმურად ვერ იქნება განხილული. შედეგად, წინამდებარე თავის ფარგლებში, მოხდება აღნიშნული ორი საფუძვლის შეფასება.

2.4.1. სტრატეგიული სექტორების განვითარება

სახელმწიფოს მიზანი, განავითაროს ესა თუ ის სტრატეგიული მიმართულება, მოიცავს როგორც სურვილს, შექმნას ახალი სტრატეგიული მნიშვნელობის სექტორი, ისე შესაძლებლობას, წინ წამოწიოს უკვე არსებული, თუმცა არასაკმარისად ეფექტურად მოქმედი სფერო²¹⁸²¹⁹. ეს მიზანი სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის სასურველი მიმართულებით განვითარების ნაირსახეობად შეიძლება, იქნეს განხილული, თუმცა, მისი ტიპების უმრავლესობისგან განსხვავებით, ნაკლებად შესაძლებელია საუბარი იმაზე, რომ ამ საფუძვლით მოქმედება ყოველთვის არასასურველია²²⁰.

აღნიშნულ მიზანზე საუბრის დაწყებამდე, პირველ რიგში, აუცილებელია იმის იდენტიფიცირება, თუ რას ნიშნავს სტრატეგიული სექტორი. იგი განისაზღვრება, როგორც ეკონომიკის სფერო, რომელსაც აქვს არსებითი გავლენა ქვეყნის უსაფრთხოებაზე²²¹, ან რომელსაც აქვს განსაკუთრებით დიდი გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე²²². მაგალითად, ისლანდიაში, სადაც ტურიზმის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 8 პროცენტზე მეტია და კიდევ უფრო დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე²²³, ის სტრატეგიულ სექტორად უნდა იქნეს განხილული, თუმცა

²¹⁷ Megginson, M. Netter, J. From State to Market: a Survey of Empirical Studies on Privatization. *Journal of Economic Literature*, 39. 2001. 321-389.

²¹⁸ O'Toole, C.M. Morgenroth, E.L.W. Thuy, H.T.T. Investment efficiency, state-owned enterprises and privatization: Evidence from Viet Nam in Transition. *Journal of Corporate Finance*, 37. 2015. 93-108.

²¹⁹ Singh, J.N. Chen, G.C. State-owned enterprises and the political economy of state-state relations in the developing world. *Third World Quarterly*, 39.6. 2018. 1077-1097.

²²⁰ Annacker, C. Protection and Admission of Sovereign Investment under Investment Treaties. *Chinese Journal of International Law*, 10.3. 2011. 531-564.

²²¹ Lewandowski, R. Economic Sectors of Strategic Importance to the National Security. A Case of Poland. *Quarterly Journal of Economics and Economic Policy*, 11.3. 2016. 473-498.

²²² Klein, N. Ramos, T.B. Deutz, P. Circular Economy Practices and Strategies in Public Sector Organizations: An Integrative Review. *Sustainability*, 12.10. 2020. 1-24.

²²³ Sæþórsdóttir, A.D. Hall, C.M. Wendt, M. Overtourism in Iceland: Fantasy or Reality? *Sustainability*, 12.18. 2020. 1-25.

რუსეთის ფედერაციაში, სადაც ტურიზმის გავლენა მშპ-ზე 1 პროცენტზე ნაკლებია, და ზრდის ტენდენციაც არ არსებობს²²⁴, იმავეს თქმა შეუძლებელია.

წარმოდგენილი დეფინიციის მიუხედავად, ხშირად ძალიან რთულია იმის თქმა, თუ რომელი სექტორი ან ეკონომიკური მიმართულება შეიძლება, განიხილებოდეს სტრატეგიულად²²⁵²²⁶. რამდენად არსებითი გავლენა უნდა ჰქონდეს მას ქვეყნის უსაფრთხოებაზე, ან რაოდენ დიდ როლს თამაშობდეს მოსახლეობის ცხოვრებაში, ამაზე კონსესუსი, ფაქტობრივად, არ არსებობს. მდგომარეობა ფაქტობრივად იდენტურია აკადემიურ ლიტერატურაშიც, სადაც ერთმანეთის გამომრიცხავ პოზიციებს ვაწყდებით²²⁷²²⁸²²⁹. ასეთი მდგომარეობა დამატებით სირთულეს ქმნის აღნიშნულ თემაზე საუბრისას. თუკი ესა თუ ის სექტორი ნამდვილად სტრატეგიული მნიშვნელობისაა ეროვნული ეკონომიკისათვის, მაშინ მასში ჩარევა, ზოგიერთი მოსაზრებით, ნამდვილად უფრო გამართლებულია²³⁰. ამავდროულად, თუ როდის და რა შემთხვევაში შეიძლება, სექტორის სტრატეგიულად განხილვა, ამის შეფასება წინამდებარე ნაშრომის შესწავლის სფეროს ცდება, თუმცა ხაზგასასმელია, რომ, სახელმწიფოს მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელების შეფასებისას, მაქსიმალურად ზუსტად, ინდივიდუალურ დონეზე, უნდა შეფასდეს, რამდენად შეიძლება, შესაბამისი მიმართულება ჩაითვალოს სტრატეგიულად.

რაც შეეხება იმას, რამდენად ძალუძს საჯარო ხელისუფლებას, საკუთარი ჩარევის გზით უზრუნველყოს სტრატეგიული სექტორის განვითარება, მდგომარეობა შედარებით ნაკლებად ბუნდოვანია. როდესაც სახელმწიფო ახდენს შესაბამისი მიმართულების წინ წამოწევას და მის ჩამოყალიბებასა თუ განვითარებაზე ზრუნვას, ხშირია შემთხვევები, როდესაც შესაბამისი სფერო ნამდვილად უფრო

²²⁴ Ovcharov, A.O. Vasiljeva, M.V. Shirin, S.S. The Russian Tourist Industry: Structure, Trends, Competitiveness at the World Market. Review of European Studies, 7.9. 2015. 151-161.

²²⁵ McGuinness, P.B. Ferguson, M.J. The ownership structure of listed Chinese State-owned enterprises and its relation to corporate performance. Applied Financial Economics, 15.4. 2005. 231-246.

²²⁶ Lewandowski, R. Economic Sectors of Strategic Importance to the National Security. A Case of Poland. Quarterly Journal of Economics and Economic Policy, 11.3. 2016. 473-498.

²²⁷ McGuinness, P.B. Ferguson, M.J. The ownership structure of listed Chinese State-owned enterprises and its relation to corporate performance. Applied Financial Economics, 15.4. 2005. 231-246.

²²⁸ Mayer, B. Rajavuori, M. Fang, M.M. The Contribution of State-Owned Enterprises to Climate Change Mitigation in China. Climate Law Journal, 7. 2017. 97-124.

²²⁹ Modell S. Yang C. Financialisation as a strategic action field: an historically informed field study of governance reforms in Chinese State Owned enterprises. Critical Perspectives on Accounting, 54. 2017. 41-59.

²³⁰ Klein, N. Ramos, T.B. Deutz, P. Circular Economy Practices and Strategies in Public Sector Organizations: An Integrative Review. Sustainability, 12.10. 2020. 1-24.

სწრაფად განიცდის პროგრესს, ვიდრე ასეთ ჩარევამდე²³¹²³². ამის მაგალითად შეგვიძლია, მოვიყვანოთ, ერთი მხრივ, საფრანგეთის ენერგეტიკის სექტორი, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებადი ეკონომიკური განშტოებაა²³³, და რომლის მთავარ მოთამაშედაც სახელმწიფოს კუთვნილი კომპანია, Électricité de France S.A. გვევლინება²³⁴. იგივე შეიძლება, ითქვას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იშვიათ მიწათა ელემენტების ინდუსტრიაზე, რომელიც წარსულში, ფაქტობრივად, არ არსებობდა²³⁵, თუმცა სახელმწიფო ინვესტიციებისა და ხელისუფლების კუთვნილი კომერციული იურიდიული პირების აქტიური ჩართულობის წყალობით დღეს იმდენად განვითარდა, რომ ჩინეთი აღნიშნულ დარგში მსოფლიო ინდუსტრიის ლიდერად ჩამოყალიბდა²³⁶.

მეორემხრივ, უაღრესად ნეგატიურ მაგალითად გვევლინება ბრაზილიისა და ვენესუელის სანავთობო სექტორები²³⁷. ორივე შემთხვევაში, სახელმწიფომ შექმნა მის საკუთრებაში მყოფი სამეწარმეო იურიდიული პირი, რომელსაც შესაბამის სფეროში მონოპოლია მიანიჭა ან უდიდესი ქონება გადასცა და კომერციული უპირატესობები შეუქმნა, მიზნად კი ამავე სექტორის უკეთ განვითარება დაუსახა²³⁸²³⁹. ყოველივე აღნიშნულის შედეგად, ბრაზილიამ, კომპანია Petrobras-ისაგან „მხოლოდ“ უამრავი სკანდალი²⁴⁰, განსაკუთრებით გაზრდილი კორუფცია²⁴¹ და არასაკმარისად წარმატებული, სახელმწიფო ინვესტიციასთან

²³¹ Du, F. Tang, G. Young, S.M. Influence Activities and Favoritism in Subjective Performance Evaluation: Evidence from Chinese State-Owned Enterprises. *The Accounting Review*, 87.5. 2012. 1555-1588.

²³² Wei, Z. Xie, F. Zhang, S. Ownership Structure and Firm Value in China's Privatized Firms: 1991-2001. *Journal of financial and quantitative analysis*, 40.1. 2005. 87-108.

²³³ Gielen, D. Boshell, F. Saygin, D. Bazilian, M.D. Wagner, N. Gorini, R. The role of renewable energy in the global energy transformation. *Energy Strategy Reviews*, 24. 2019. 38-50.

²³⁴ De Carvalho, L. Questioning the UK state capacity to govern controversial technologies such as nuclear power. *Observatoire de la société britannique*, 16. 2014. 65-81.

²³⁵ Bielawski, R. Rare Earth Elements - a Novelty in Energy Security. *Journal of Ecological Engineering*, 21.4. 2020. 134-149.

²³⁶ De Medeiros, C.A. Trebat, N.M. Transforming natural resources into industrial advantage: the case of China's rare earths industry. *Brazilian Journal of Political Economy*, 37.3. 2017. 504-526.

²³⁷ Goldstein, A. Baena, C. Drivers of internationalisation of companies from emerging economies: comparing Petrobras (Brazil) and PDVSA (Venezuela). *International Journal of Technological Learning Innovation and Development*, 3.4. 2010. 392-407.

²³⁸ Massi, E. Singh, J. Industrial policy and state-making: Brazil's attempt at oil-based industrial development. *Third World Quarterly*, 39.6. 2018. 1133-1150.

²³⁹ Wiseman, C. Beland, D. The Politics of Institutional Change in Venezuela: Oil Policy during the Presidency of Hugo Chávez. *Canadian Journal of Latin American and Caribbean Studies*, 35.70. 2010. 141-164.

²⁴⁰ Barros, M. Tools of Legitimacy: The Case of the Petrobras Corporate Blog. *Organization Studies*, 35.8. 2014. 1-50.

²⁴¹ Vartanian, P.R. De Moura Junior, A.A. Racy, J.C. Santos Silva, V.B. Oil and gas sector in Brazil: an analysis of recent activity based on the SCP model. *International Journal of Development Research*, 10.9. 2020. 40749-40761.

შეუსაბამოდ სუსტი სანავთობო ინდუსტრია მიიღო²⁴². რაც შეეხება ვენესუელას, მისმა ფლაგმანმა, PDVSA-მ, შესამჩნევად უარესი შედეგის მიღწევა „შემლო“. საჯარო ხელისუფლების მხრიდან კომპანიის განსაკუთრებით არაკომპეტენტური მენეჯმენტისა და კორუმპირებული მმართველობის²⁴³ გამო, ჯერ სანავთობო სექტორმა განიცადა სრული კოლაფსი²⁴⁴, შემდეგ კი ქვეყნის ისტორიაში უპრეცედენტო ეკონომიკური კრიზისი იქნა გამოწვეული²⁴⁵. ორივე შემთხვევაში სახეზე იყო სახელმწიფოს სურვილი, სტრატეგიული სექტორის სწრაფი განვითარების ხარჯზე ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობა უზრუნველყოფილი ყოფილიყო, თუმცა, სანაცვლოდ, არასწორად მართულმა მიმართულებამ მეტი ზიანი მოიტანა, ვიდრე სარგებელი. შედეგად, ადვილი შესაძლებელია, როგორც ბრაზილიაში, ისე ვენესუელაში, არსებითად უკეთესი მდგომარეობა ყოფილიყო სახეზე, თუკი სახელმწიფო არ ჩაერეოდა კომერციულ საქმიანობაში და სანავთობო სფეროს კერძო სექტორს მიანდობდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მართალია, ცალსახაა საფრთხეები და შესაძლებლობა, რომ საჯარო ხელისუფლების მონაწილეობამ შეიძლება, მხოლოდ ზიანი გამოიწვიოს, თუმცა ერთპიროვნულად შეიძლება იმაზე საუბარიც, რომ ზოგჯერ სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შედეგად ნამდვილად ხერხდება ეკონომიკის სტრატეგიული სექტორის კარგად განვითარება. მიზანი, თავის თავში, პრობლემას არ წარმოადგენს. საფრთხე იმაშია, რომ ეკონომიკის სტრატეგიული სექტორები დიდი მნიშვნელობით გამოირჩევა²⁴⁶ და, შედეგად, მათში მოღვაწეობისას დაშვებული შეცდომები განსაკუთრებით მძიმედ შეიძლება, სახელმწიფოს ფინანსურ მდგომარეობაზე აისახოს²⁴⁷.

რაც შეეხება იმას, რამდენად შესაძლებელია სახელმწიფოს ჩართულობის გარეშე სტრატეგიული სექტორის განვითარება, ხშირად პასუხი დადებითია. ეკონომიკის დარგი, რომელიც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიულად განიხილება,

²⁴² Ribeiro, C. The irrationality of Petrobras' divestments in refining. *Brazilian Keynesian Review*, 5.1. 2019. 69-98.

²⁴³ Bull, B. Rosales, A. The crisis in Venezuela: Drivers, transitions, and pathways. *European Review of Latin American and Caribbean Studies*, 109. 2020. 1-20.

²⁴⁴ Hernandez, J.I. Bellorin, C. The case for a new Venezuelan Hydrocarbons Law as the basis of a new Hydrocarbons Policy: unlocking the path for recovery, stabilization and growth. *The Journal of World Energy Law & Business*, 12.5. 2019. 394-407.

²⁴⁵ Nitzberg, H. Caution and Infection: Trying to Fix the Venezuelan Economy. *Towson University Journal of International Affairs*, 51.2. 2018. 44-68.

²⁴⁶ Du, F. Tang, G. Young, S.M. Influence Activities and Favoritism in Subjective Performance Evaluation: Evidence from Chinese State-Owned Enterprises. *The Accounting Review*, 87.5. 2012. 1555-1588.

²⁴⁷ McGuinness, P.B. Ferguson, M.J. The ownership structure of listed Chinese State-owned enterprises and its relation to corporate performance. *Applied Financial Economics*, 15.4. 2005. 231-246.

ადრე თუ გვიან, შეძლებს, რომ განვითარების გზას დაადგეს²⁴⁸. ამავდროულად, საჯარო ხელისუფლების მონაწილეობამ შეიძლება, მნიშვნელოვნად დააჩქაროს ეს პროცესი²⁴⁹ და არსებითად გაზარდოს შესაბამისი სექტორის მუშაობით მიღებული სარგებელი²⁵⁰. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს გარეშეც შესაძლოა, მსგავსი შედეგი მიღწევადი იყოს, პოტენციური სარგებელი, რომელიც ხელისუფლების მიერ კომერციული საქმიანობის სტრატეგიული სექტორის განვითარების მიზნით განხორციელებას შეიძლება, მოჰყვეს, არ უნდა იყოს იგნორირებული.

უკანასკნელი კრიტერიუმი, რომლის შეფასებაც აუცილებელია, არის ის, თუ რამდენად სასურველია სახელმწიფოს მიერ სტრატეგიული სექტორის განვითარების მიზნით სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება. მართალია, ზოგჯერ საჯარო რესურსების გამოყენება არასწორად ხდება, არათანაზომიერი ხარჯები გაიწევა და არასახარბიელო შედეგი მიიღება²⁵¹, თუმცა ეს უნდა იქნეს განხილული, როგორც სასურველი მიზნის მისაღწევად საჭირო ზომების არასათანადოდ იმპლემენტაციის შედეგი და არ იქნეს გამოყენებული, როგორც სახელმწიფოს მიერ სტრატეგიული სექტორების განვითარებაზე ზრუნვის, როგორც ასეთის, გაბათილების საფუძველი. შეცდომების დაშვება ხშირად ხდება, თუმცა, ძირითადად, მნიშვნელოვანი სამეწარმეო სფეროს განვითარება ნამდვილად სასურველი მოვლენაა და თუკი ეს საჯარო ხელისუფლების ჩართულობით მოხდება, აღნიშნული ფაქტი პრობლემურად არ უნდა ჩაითვალოს.

ყოველივე ზემოთ მოცემულის შედეგად, ჩანს, რომ სახელმწიფოს მიერ სტრატეგიული სექტორის განვითარების მიზნით კომერციულ აქტივობებში პირდაპირ მონაწილეობის მიღებას შეიძლება, დადებითი შედეგი მოჰყვეს. ასეთი ნაბიჯები ხშირად ეფექტურია და მათთან დაკავშირებული რისკების მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან მექანიზმად გვევლინებიან. ამიტომ, წინამდებარე ნაშრომის პოზიციას, რომ სტრატეგიული სექტორის განვითარება სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ლეგიტიმურ მიზნად უნდა იქნეს განხილული.

²⁴⁸ Halpin, D. Daugbjerg, C. Associative Deadlocks and Transformative Capacity: Engaging in Australian Organic Farm Industry Development. *Australian Journal of Political Science*, 43.2. 2008. 189-206.

²⁴⁹ Murtinu, S. Scalera, V.G. Sovereign Wealth Funds' Internationalization Strategies: The Use of Investment Vehicles. *Journal of International Management*, 22.3. 2016. 249-264.

²⁵⁰ Naser, H. The Role of the Gulf Cooperation Council's Sovereign Wealth Funds in the New Era of Oil. *International Journal of Economics and Financial Issues*, 6.4. 2016. 1657-1664.

²⁵¹ Goldstein, A. Baena, C. Drivers of internationalisation of companies from emerging economies: comparing Petrobras (Brazil) and PDVSA (Venezuela). *International Journal of Technological Learning Innovation and Development*, 3.4. 2010. 392-407.

2.4.2. სტრატეგიული სექტორების მართვა

განსხვავებით წინა ქვეთავში განხილულისგან, სტრატეგიული სექტორების მართვა, როგორც სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის მიზანი, მოიცავს შესაბამის ეკონომიკურ მიმართულებაში სახელმწიფოს დომინანტი პოზიციის უზრუნველყოფას²⁵². შედეგად, მაშინ, როდესაც სექტორის განვითარებაზე ზრუნვისას საჯარო ორგანოების მიერ კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობის მექანიზმებს შეიძლება, არც ჰქონდეთ მონოპოლია ან მასთან მიახლოებული მდგომარეობაც კი²⁵³, როცა სახელმწიფოს მიზანი სტრატეგიული სექტორების მართვაა, კონკურენტების არსებობა თითქმის ყოველთვის მიუღებლად ითვლება²⁵⁴. ამავდროულად, კიდევ ერთი განსხვავება ისაა, რომ როდესაც საჯარო ხელისუფლება შესაბამისი სფეროს მართვაზეა ორიენტირებული, სწრაფი ეკონომიკური პროგრესი და სექტორის ჩქარი ტემპით განვითარება, რომელიც წინა ქვეთავში იყო არაერთხელ მოხსენიებული, ნაკლებადაა მოსალოდნელი²⁵⁵.

სახელმწიფოს მიერ სტრატეგიული სექტორების მართვისა და, რეალურად, მონოპოლიზების მიზანი ხშირად მათი განსაკუთრებული მნიშვნელობაა²⁵⁶. ხელისუფლება თვლის, რომ შესაბამისი ეკონომიკური მიმართულება ქვეყნის უსაფრთხოების ან ფინანსური მდგომარეობისათვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი განკარგვა აუცილებლად საჯარო ორგანოთა მიერ უნდა მოხდეს²⁵⁷.

სტრატეგიული სექტორი, როგორც ზემოთ უკვე განიმარტა, სხვადასხვაგვარად შეიძლება, აღქმული იყოს და ნებისმიერი კომერციული მიმართულების „სტრატეგიულობა“ დამოკიდებულია სახელმწიფოსა და მისი ხელისუფლების პოზიციაზე. თუმცა, პრაქტიკაში, სექტორები, რომლებიც ყველაზე მეტად არის ხელისუფლების ორგანოთა მიერ მონოპოლიზებული, მოიცავს საფოსტო

²⁵² Cao, W. Chen, J. Chi, J. Bank firm relationship and firm performance under a state-owned bank system: Evidence from China. *Banks and Bank Systems*, 5.3. 2010. 68-79.

²⁵³ Latipulhayat, A. State Control and the Privatisation of the Indonesian Telecommunications Industry: From Ownership to Regulation. *Journal of International Commercial Law and Technology*, 5.2. 2010. 58-72.

²⁵⁴ Konomi, I. An Overview of the Albanian Privatization Process. *European Scientific Journal* November, 11.31. 2015. 358-367.

²⁵⁵ Guan, E.J. Understanding Brazil's Oil Industry: Policy Dynamics and Self-Sufficiency. *Journal of Emerging Knowledge on Emerging Markets*, 2. 2010. 1-23.

²⁵⁶ Lewandowski, R. Economic Sectors of Strategic Importance to the National Security. A Case of Poland. *Quarterly Journal of Economics and Economic Policy*, 11.3. 2016. 473-498.

²⁵⁷ Boubakri, N. Cosset, J. Guedhami, O. From state to private ownership: Issues from strategic industries. *Journal of Banking & Finance*, 33.2. 2009. 367-379.

მომსახურებას²⁵⁸, ენერგეტიკას²⁵⁹, სამხედრო წარმოებას²⁶⁰, ბუნებრივი რესურსების მოპოვებას²⁶¹, ტელეკომუნიკაციების სექტორსა²⁶² და საგზაო სისტემებს²⁶³.

აღნიშნულ სექტორებში სახელმწიფოს მონაწილეობის მიზნად რომ განვიხილოთ სტრატეგიული მიმართულების მართვა, პირველ რიგში, უნდა გამოირიცხოს სხვა მიზნები, რომლებიც შეიძლება, საჯარო ორგანოთა ჩართულობის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად გვევლინებოდეს. ერთი მხრივ, უნდა გამოვრიცხოთ ზემოთ უკვე განხილული სხვა მიზნები, ანუ ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება, მოსახლეობისთვის სერვისების შეთავაზება, ეკონომიკის სტიმულირება და სტრატეგიული მიმართულების შექმნა-განვითარება. თუკი სახეზე აღნიშნულთაგან რომელიმე გვხვდება, მაშინ, შეიძლება ვარაუდი, რომ საჯარო მმართველობის მოცემულ სფეროში მონაწილეობა სწორად მათით არის განპირობებული. მაგალითად, საგზაო სისტემების სახელმწიფოს მიერ მშენებლობა გამოწვეულია არა ხელისუფლების სურვილით, სხვამ არავინ ააშენოს გზები, არამედ იმით, რომ საჭიროა ინფრასტრუქტურის შექმნა და საჯარო ორგანოთა ჩართულობის გარეშე შესაბამისი პროექტი ვერ შედგება ან არასათანადოდ იქნება განხორციელებული^{264,265}.

ზემოთ მოცემულის მსგავსად, ასევე შესაძლებელია, ესა თუ ის სექტორი მონოპოლიზებული იყოს სახელმწიფოს მიერ, რადგანაც მას არ სურს, იგი ბიზნესად იქცეს და უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია, გარანტირებული იყოს მოსახლეობისათვის შესაბამისი სერვისების შეთავაზება. ასეთ მდგომარეობას

²⁵⁸ Geddes, R.R. Pricing by state-owned enterprises: The case of postal services. *Managerial and Decision Economics*, 29.7. 2008. 575-591.

²⁵⁹ Singh, J.N. Chen, G.C. State-owned enterprises and the political economy of state-state relations in the developing world. *Third World Quarterly*, 39.6. 2018. 1077-1097.

²⁶⁰ Radygin, A. Simachev, Y. Entov, R. The state-owned company: “State failure” or “market failure”? *Russian Journal of Economics*, 1.1. 2015. 55-80.

²⁶¹ Wang, J. The Political Logic of Corporate Governance in China's State-Owned Enterprises. *Cornell International Law Journal*, 47.3. 2014. 631-669.

²⁶² Young, A. Rahaju, S. Li, G. Regulatory Multiplicities in Telecommunications Reforms in Indonesia and China. *Macquarie Journal of Business Law*, 2. 2005. 135-167.

²⁶³ Stephen, C.C. Omokhudu, O.W. Anthony, K.A. The impact of privatization and commercialization in Nigeria. *International Research Journal of Management, IT and Social sciences*, 3.9. 2016. 91-102.

²⁶⁴ Goh, K.C. Yang, J. Importance of Sustainability-Related Cost Components in Highway Infrastructure: Perspective of Stakeholders in Australia. *Journal of Infrastructure Systems*, 20.1. 2014. 1-9.

²⁶⁵ Enshassi, A. Al-Najjar, J. Kumaraswamy, M. Delays and cost overruns in the construction projects in the Gaza Strip. *Journal of Financial Management of Property and Construction*, 14.2. 2009. 126-151.

ხშირად ვაწყდებით ენერგეტიკის²⁶⁶, ფოსტისა²⁶⁷ და ტელეკომუნიკაციების²⁶⁸ შემთხვევაში.

შედეგად, შეიძლება საუბარი, რომ სახელმწიფოს მიერ სტრატეგიულად განხილული ისეთი სექტორებიდან, რომლებიც, ძირითადად, ხელისუფლების მიერ იმართება, და რომლებთან მიმართებაშიც უკვე განხილული სხვა მიზნები არ ვლინდება, დარჩენილია მხოლოდ ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და სამხედრო წარმოების სექტორები. ორივე მათგანი ხშირად საჯარო კონტროლის ქვეშაა, მიუხედავად იმისა, რომ მათი ასეთი მდგომარეობის ერთადერთი არსებითი მიზეზი სახელმწიფოს სურვილია, მართოს მისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის სექტორი.

ზემოთ მოცემულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ სახელმწიფოს ნამდვილად შეუძლია, მართოს სტრატეგიული სექტორი და, ამავდროულად, ფაქტია ისიც, რომ ამა თუ იმ სფეროში საჯარო ორგანოთა ჩართულობის გარეშე იგი არსებობას შეძლებდა. ამიტომ, განსახილველია ის, თუ რამდენად სასურველია ხელისუფლების მიერ შესაბამისი მიმართულების ერთპიროვნულად მართვა. არსებობს მოსაზრებები, რომ სახელმწიფო მონოპოლია, განსაკუთრებით კი მაშინ, თუკი საუბარია სტრატეგიული მნიშვნელობის სფეროზე, დაუშვებელია და ყოველთვის ზიანის მომტანია ეროვნული ეკონომიკისათვის²⁶⁹. ამ პოზიციის ოპონენტები, ძირითადად, აპელირებენ უსაფრთხოებასა²⁷⁰ და სახელმწიფოს მიერ შემოსავლის მიღების საჭიროებაზე²⁷¹.

იმ შემთხვევაში, თუკი ხელისუფლება მართავს ამა თუ იმ სექტორს და მისი ძირითადი მოტივაცია შემოსავლის მიღებაა, მაშინ ამ ქმედების განმაპირობებელ მიზნად ვერ განიხილება სტრატეგიული სექტორის კონტროლის საჭიროება. რაც შეეხება თავად მოგებას, როგორც სახელმწიფოს მიზანს, იგი ქვემოთ იქნება განხილული. ამიტომ, მოცემული საფუძველი ვერ ჩაითვლება ეკონომიკის მთლიანი მიმართულების მონოპოლიზებისთვის საკმარის საფუძველად.

²⁶⁶ Peng, H. Liu, Y. How government subsidies promote the growth of entrepreneurial companies in clean energy industry: An empirical study in China. *Journal of Cleaner Production*, 188. 2018. 508-520.

²⁶⁷ Geddes, R.R. Pricing by state-owned enterprises: The case of postal services. *Managerial and Decision Economics*, 29.7. 2008. 575-591.

²⁶⁸ Young, A. Rahaju, S. Li, G. Regulatory Multiplicities in Telecommunications Reforms in Indonesia and China. *Macquarie Journal of Business Law*, 2. 2005. 135-167.

²⁶⁹ Little, J.W. A Critique of No-Fault Reparation for Traffic Crash Victims. *Indiana Law Journal*, 51.3. 1976. 635-681.

²⁷⁰ Lewandowski, R. Economic Sectors of Strategic Importance to the National Security. A Case of Poland. *Quarterly Journal of Economics and Economic Policy*, 11.3. 2016. 473-498.

²⁷¹ Wang, J. The Political Logic of Corporate Governance in China's State-Owned Enterprises. *Cornell International Law Journal*, 47.3. 2014. 631-669.

საბოლოოდ, განსახილველია, შეიძლება თუ არა, სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნად განხილული იყოს სტრატეგიული სექტორის მართვა იმ საფუძვლით, რომ ეს აუცილებელია ქვეყნის უსაფრთხოებისათვის. ძირითადი სფერო, რომლის მონოპოლიზებაც ამ საბაზით არის ხშირად დასაბუთებული, სამხედრო წარმოებაა²⁷²²⁷³, ამიტომ წინამდებარე ნაშრომიც სწორედ მასზე შეჩერდება.

ისტორიულად, იარაღისა და თავდაცვის სხვა საშუალებების წარმოების უფლება თითქმის ყოველთვის ხელისუფლების ხელში იყო და სხვასთან მისი „გაყოფა“ არ ხდებოდა²⁷⁴. თუმცა, დროსთან ერთად, ეს მდგომარეობა გარკვეულწილად შეცვლილია და, მართალია, სახელმწიფო თავადაც ხშირად გვევლინება იარაღის მწარმოებლად, მაგრამ დღეისათვის კერძო კომპანიები, რომლებიც სამხედრო წარმოებით არიან დაკავებული, იშვიათობას აღარ წარმოადგენს²⁷⁵. აღნიშნული სფერო ზოგჯერ კვლავ მხოლოდ სახელმწიფოს ექსკლუზიურ სამფლობელოდ განიხილება²⁷⁶, თუმცა სულ უფრო და უფრო ხშირად ვაწყდებით შემთხვევებს, როდესაც კერძო კომპანიები, რომლებსაც შეიძლება არც ჰქონდეთ არანაირი პირდაპირი ხელისუფლებასთან და უბრალოდ მისი მოთხოვნების შესაბამისად თავდაცვის ინსტრუმენტებს აწარმოებდნენ, ანაცვლებენ იმ წარმონაქმნებს, რომლებიც სახელმწიფოს ქოლგის ქვეშ არსებობდნენ და მისთვის იარაღსა თუ სხვა სამხედრო საშუალებებს ქმნიდნენ²⁷⁷.

ზემოთ მოცემულის მიუხედავად, ერთპიროვნულად ფაქტად რჩება, რომ სახელმწიფოს არ აქვს არავითარი სურვილი, დათმოს საკუთარი მონოპოლია სამხედრო ინდუსტრიის შედეგის - თავდაცვის საშუალებების გამოყენებაზე²⁷⁸²⁷⁹. სამხედრო ძალით სარგებლობის უფლება კვლავ საჯარო ხელისუფლების

²⁷² Krahnmann, E. The United States, PMSCs and the state monopoly on violence: Leading the way towards norm change. *Security Dialogue*, 44.1. 2013. 53-71.

²⁷³ Lewandowski, R. Economic Sectors of Strategic Importance to the National Security. A Case of Poland. *Quarterly Journal of Economics and Economic Policy*, 11.3. 2016. 473-498.

²⁷⁴ Krahnmann, E. The United States, PMSCs and the state monopoly on violence: Leading the way towards norm change. *Security Dialogue*, 44.1. 2013. 53-71.

²⁷⁵ Wolf, H. The Privatization of Violence: A Challenge to State-Building and the Monopoly on Force. *The Brown Journal of World Affairs*, 18.1. 2011. 137-149.

²⁷⁶ Coyne, C.J. Hall, A.R. Cronyism Necessary for the Minimal, Protective State. *The Independent Review*, 23.3. 2019. 399-410.

²⁷⁷ Eichler, M. Citizenship and the contracting out of military work: from national conscription to globalized recruitment. *Citizenship Studies*, 6.7. 2014. 600-614.

²⁷⁸ Kees, A. Regulation of Private Military Companies. *Goettingen Journal of International Law*, 3.1. 2011. 199-216.

²⁷⁹ Wolf, H. The Privatization of Violence: A Challenge to State-Building and the Monopoly on Force. *The Brown Journal of World Affairs*, 18.1. 2011. 137-149.

ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს²⁸⁰ და აღნიშნული ცვლილებას ნაკლებად სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში დაექვემდებაროს²⁸¹. თუმცა, სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების თვალსაზრისით, ვინ იყენებს იარაღს, გადამწყვეტი მნიშვნელობის ნამდვილად არ არის.

შედეგად, წინამდებარე ნაშრომისთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ნელ-ნელა უარს ამბობს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ამ სექტორის, სამხედრო ინდუსტრიის ერთპიროვნულად მართვაზე პირდაპირი მეთოდების გამოყენებით. ხაზგასასმელია ისიც, რომ რაც უნდა მნიშვნელოვანი იყოს კერძო კომპანიისთვის, რომელიც, მაგალითად, იარაღს აწარმოებს, ხელისუფლებისგან მიღებული შეკვეთები და რაც უნდა დამოკიდებული იყოს იგი საჯარო ორგანოებზე, ეს ვერ ჩაითვლება სახელმწიფოს მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელებად. მართალია, არაერთი დამოუკიდებელი კომპანია, რომელიც სამხედრო ინდუსტრიის სექტორში მოღვაწეობს, სახელმწიფოს შეკვეთებზეა ორიენტირებული და მისი წარმოება განპირობებულია ხელისუფლების საჭიროებებით²⁸², მაგრამ ისინი მაინც ვერანაირად ვერ განიხილებიან საჯარო კონტროლში მყოფ სუბიექტებად. შესაბამისად, ასეთი კომპანიების საქმიანობაც ვერ ჩაითვლება, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში, სახელმწიფოს მიერ მეწარმეობის თავზე აღებად.

რაც შეეხება ხელისუფლების ორგანოთა მიერ, კომერციული საქმიანობის ფარგლებში, სამხედრო ინდუსტრიის მონოპოლიზებას სტრატეგიული ეკონომიკური სექტორის მართვის მოტივით, როგორც უკვე ითქვა, ეს პრაქტიკა დროსთან ერთად მცირდება. კერძო კომპანიები, რომლებიც სახელმწიფოს შეკვეთით ამზადებენ შესაბამის პროდუქციას, არანაკლები წარმატებით ახერხებენ, დააკმაყოფილონ სახელმწიფოს მოთხოვნილებები, რაც სახეზე იყო თავად საჯარო წარმონაქმნების მიერ ექვივალენტური საქმიანობის განხორციელებისას^{283,284}, თუმცა, პრაქტიკაში, დამოუკიდებელი მწარმოებლების

²⁸⁰ Eichler, M. Citizenship and the contracting out of military work: from national conscription to globalized recruitment. *Citizenship Studies*, 6.7. 2014. 600-614.

²⁸¹ Krahnemann, E. The United States, PMSCs and the state monopoly on violence: Leading the way towards norm change. *Security Dialogue*, 44.1. 2013. 53-71.

²⁸² Wenger, A. Mason, S.J.A. The civilianization of armed conflict: trends and implications. *International Review of the Red Cross*, 90.872. 2008. 835-852.

²⁸³ Mattar, H.B.H. Organizational Design: The Military Perspective. *Pointer, the Journal of the Singapore Armed Forces*, 44.3. 2018. 61-74.

²⁸⁴ Cohn, L.P. Relations between uniformed and contractor personnel in complex operations. *Small Wars & Insurgencies*, 24.2. 2013. 295-305.

მონაწილეობით შედეგი ხშირად მიიღწევა შედარებით უფრო ეფექტურად²⁸⁵²⁸⁶ და იაფად²⁸⁷²⁸⁸.

ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, არგუმენტი, რომ სახელმწიფოს მიერ ხსენებული სტრატეგიული სექტორის მართვა აუცილებელია, შესამჩნევად სუსტდება. თუკი კერძო ბიზნესი უკეთ ახერხებს წარმოების წარმართვას, მაშინ, ერთადერთი ლეგიტიმური საფუძველი შეიძლება, იყოს უსაფრთხოება, ანუ მოსაზრება, რომ ასეთი სფეროს მართვა აუცილებელია, მოხდეს ხელისუფლების მიერ, რადგანაც მას ვერ მიახლოებენ გარეშე ინდივიდებს²⁸⁹.

აღნიშნული პოზიცია, აკადემიურ ლიტერატურაში, ნაკლებად დამაჯერებლად განიხილება²⁹⁰²⁹¹. მაგალითად, ინფორმაციული უსაფრთხოების თვალსაზრისით, არ არსებობს მყარი მტკიცებულება, რომ სახელმწიფოს უკეთ გამოსდის საკუთარი მნიშვნელოვანი საიდუმლოების შენახვა, ვიდრე კორპორაციებს²⁹²²⁹³²⁹⁴. რაც შეეხება სახელმწიფოს საჭიროებას, განსაზღვროს სტრატეგიული სექტორის განვითარების მიმართულება და დარწმუნებული იყოს, რომ შესაბამისი მწარმოებლები ყოველთვის ისეთ პროდუქტს შექმნიან, როგორც სახელმწიფოსთვისაა აუცილებელი, ამის მიღწევა ყოველთვის შესაძლებელია მათი ეფექტური რეგულირებით²⁹⁵, რაც ბევრად უფრო ნაკლებად გამოიწვევს საჯარო ხელისუფლების კერძო ბიზნესში ჩარევას²⁹⁶.

²⁸⁵ Krahmman, E. Security governance and the private military industry in Europe and North America. *Conflict Security and Development*, 5.2. 2005. 247-268.

²⁸⁶ Turcan, M. Ozpinar, N. Who let the dogs out? A critique of the security for hire option in weak states. *Dynamics of Asymmetric Conflict*, 2.3. 2009. 143-171.

²⁸⁷ Pattison, J. Deeper Objections to the Privatization of Military Force. *The Journal of Political Philosophy*, 16.4. 2010. 425-447.

²⁸⁸ Leander, A. The Power to Construct International Security: On the Significance of Private Military Companies. *Millennium - Journal of International Studies*, 33.3. 2005. 803-825.

²⁸⁹ Shirley, M. Bureaucrats in business: The roles of privatization versus corporatization in state-owned enterprise reform. *World Development*, 27.1. 1999. 115-136.

²⁹⁰ Dunne, J.P. The making of arms in South Africa. *The Economics of Peace and Security Journal*, 1.1. 2006. 40-48.

²⁹¹ Kaleck, W. Saage-Maass, M. Corporate Accountability for Human Rights Violations Amounting to International Crimes. *Journal of International Criminal Justice*, 8. 2010. 699-724.

²⁹² Peltz-Steele, R.J. Booth, E. In Tort Pursuit of Mass Media: Big Tobacco, Big Banks, and Their Big Secrets. *University of Memphis Law Review*, 44.2. 2013. 267-355.

²⁹³ Broeders, D. The Secret in the Information Society. *Philosophy & Technology*, 29. 2016. 293-305;

²⁹⁴ Mattis, P.L. Assessing Western Perspectives on Chinese Intelligence. *International Journal of Intelligence and Counterintelligence*, 25. 2012. 678-699.

²⁹⁵ Kees, A. Regulation of Private Military Companies. *Goettingen Journal of International Law*, 3.1. 2011. 199-216.

²⁹⁶ Young, A. Rahaju, S. Li, G. Regulatory Multiplicities in Telecommunications Reforms in Indonesia and China. *Macquarie Journal of Business Law*, 2. 2005. 135-167.

შედეგად, ვიღებთ მდგომარეობას, რომ სახელმწიფოს თუნდაც განსაკუთრებით სტრატეგიულად მიაჩნდეს ესა თუ ის სექტორი, მისი მონოპოლისტურად მართვის გამართლება შეუძლებელია უსაფრთხოებაზე აპელირებით. თუკი ხელისუფლება არ არის ორიენტირებული შესაბამისი სფეროს არსებითად განვითარებაზე (რაც ზემოთ ცალკე უკვე იქნა განხილული წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში), შესაბამისი მიმართულების მხოლოდ კონტროლი ვერ ზრდის მოსახლეობის უსაფრთხოების დონეს.

ასევე განსახილველი საკითხია სტრატეგიული სექტორის განვითარებისა და მისი მართვის მიზნებს შორის მყარი ზღვარის არარსებობა. როგორც ზემოთ უკვე იქნა წარმოდგენილი, ეკონომიკის ამა თუ იმ მიმართულებაში სახელმწიფოს ჩართულობა მისი განვითარების საბაზით ლეგიტიმურ საფუძვლად ითვლება ასეთი მოქმედების განხორციელებისათვის. მეორემხრივ კი, როგორც მოცემულ მსჯელობაში იკვეთება, იმავეს თქმა ვერ ხერხდება სტრატეგიული სექტორის კონტროლთან დაკავშირებით. მოცემულ ორ მიზანს შორის როგორც საზღვრის გავლება, ისე მათ მიმართ განსხვავებული დამოკიდებულების არსებობა გამომდინარეობს ერთი ფაქტორისგან. ესაა სახელმწიფოს უნიკალური მდგომარეობა და მის ხელთ არსებული რესურსები²⁹⁷. საჯარო ხელისუფლებას უნიკალურად შეუძლია, ჩადოს ინვესტიცია ეკონომიკის შტოში და ხელი შეუწყოს მის შექმნას ან გამოცოცხლებას, რაც, ადვილად შეიძლება, კერძო ბიზნესისათვის გაუმართლებელ ფუფუნებად გვევლინებოდეს²⁹⁸. მაგალითად, ე.წ. „მწვანე“ სექტორები, რომლებიც მომართულია გარემოს დაცვაზე, სახელმწიფო ინიციატივების გარეშე ნაკლებად შეძლებდა განვითარებას²⁹⁹, თუმცა, დღეს, უკვე, შესაძლებელი გახდა კერძო სექტორის მიერ სფეროზე ზრუნვის „გადაბარება“³⁰⁰. და სწორედ აქაა ზღვარიც. სანამ სახელმწიფოს შეუძლია, თავისი მდგომარეობა გამოიყენოს და იმოქმედოს ისე, როგორც კომერციული იურიდიული პირები ვერ მოახერხებდნენ, და ამ გზით განავითაროს სფერო, სახეზეა მისი მოქმედების ლეგიტიმური მიზანი. მეორემხრივ კი, როგორც კი საჯარო ორგანოები უბრალოდ მონოპოლისტის მდგომარეობაში აღმოჩნდებიან და არ აკეთებენ ისეთს არაფერს, რასაც კერძო ბიზნესი ვერ ან არ გააკეთებდა, სახეზე უბრალოდ კონტროლია, რაც ნიშნავს, რომ ხელისუფლება მხოლოდ სტრატეგიული სექტორის მართვას ახორციელებს და აღარ არის ორიენტირებული მის განვითარებაზე.

²⁹⁷ Enshassi, A. Al-Najjar, J. Kumaraswamy, M. Delays and cost overruns in the construction projects in the Gaza Strip. *Journal of Financial Management of Property and Construction*, 14.2. 2009. 126-151.

²⁹⁸ Makarov, I. Plotnikov, V. Public-Private Partnership as a Financial Instrument for the Transport Infrastructure Modernizing. *MATEC Web of Conferences*, 170. 2018. 1-7.

²⁹⁹ Mazzucato, M. Semeniuk, G. Financing renewable energy: Who is financing what and why it matters. *Technological Forecasting and Social Change Journal*, 127. 2018. 8-22.

³⁰⁰ Haberly, D. Strategic sovereign wealth fund investment and the new alliance capitalism: A network mapping investigation. *Environment and Planning A: Economy and Space*, 43.8. 2011. 1833-1852.

ყოველივე განხილულის შესაბამისად, სახეზეა რეალობა, რომ ვერ ხერხდება სათანადო დასაბუთების მოპოვება, რომელიც საკმარისი იქნებოდა სახელმწიფოს მიერ კომერციული საქმიანობის გასამართლებლად, თუკი მისი ერთადერთი მიზანი იქნება მოთხოვნილება, აკონტროლოს ეკონომიკის სტრატეგიული სექტორი. საჯარო ხელისუფლების მიერ სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელია, სახეზე იყოს ლეგიტიმური საფუძველი შესაბამისი ქმედებისათვის, და, როგორც მოცემულ ქვეთავში იქნა ჩამოყალიბებული, ასეთად ვერ იქნება განხილული სტრატეგიული სექტორის მართვის სურვილი.

2.5. შემოსავლის მიღება, როგორც სახელმწიფოს ლეგიტიმური მიზანი

სახელმწიფოს მიერ კომერციულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა, თითქმის ყოველთვის, განპირობებულია საჯარო მიზნებით³⁰¹³⁰². თუმცა, არსებობს პოზიცია, რომ ასეთი საფუძვლის არსებობა სრულებით არ არის აუცილებელი და ხელისუფლებას შეუძლია, იმოქმედოს, როგორც მეწარმემ, მხოლოდ იმ საბაზითაც, რომ მიიღოს შემოსავალი, დამატებითი საჯაროსამართლებრივი ან მსგავსი საჭიროებების გარეშე³⁰³³⁰⁴³⁰⁵. ამ მოსაზრების მხარდამჭერების აზრით, სახელმწიფო არ უნდა იყოს ვალდებული, თავი შეიზღუდოს და თუკი აქვს შესაძლებლობა, მიიღოს შემოსავალი, უარის თქმის საჭიროება არ არსებობს. მეორე მხრივ, აკადემიურ ლიტერატურაში გამოთქმულია ასევე პოზიციები, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია, აკეთოს ბიზნესი მხოლოდ მოგების მიღების მიზნით, თუკი შემდეგ შესაბამისი თანხები საჯარო სიკეთეს მოხმარდება³⁰⁶.

იმისათვის, რომ მოხდეს სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის შემოსავლის მიღების, როგორც ლეგიტიმური მიზნის

³⁰¹ Putnins, T.J. Economics of State-Owned Enterprises. *International Journal of Public Administration*, 38.11. 2015. 1-18.

³⁰² Esposito, P. Dicorato, S.L. Sustainable Development, Governance and Performance Measurement in Public Private Partnerships (PPPs): A Methodological Proposal. *Sustainability*, 12.14. 2020. 1-25.

³⁰³ Duckett, J. The emergence of the entrepreneurial state in contemporary China. *The Pacific Review*, 9.2. 1996. 180-198.

³⁰⁴ Temu, A.E. Due, J.M. The Business Environment in Tanzania after Socialism: Challenges of Reforming Banks, Parastatals, Taxation and the Civil Service. *The Journal of Modern African Studies*, 38.4. 2009. 683-712.

³⁰⁵ Johns, D.K. Reforming the State-Enterprise Property Relationship in the People's Republic of China: The Corporatization of State-Owned Enterprises. *Michigan Journal of International Law*, 16.3. 1995. 911-940.

³⁰⁶ Obara, C. Ogoun, S. Fiscal transparency, accountability, and corporate collapse: A post-mortem analysis of failure of state-owned enterprises (SOEs) in Nigeria. *Research Journal of Finance and Accounting*, 5. 2014. 183-190.

შეფასება, საჭიროა ხელისუფლების ფუნქციების გაანალიზება. სახელმწიფოს კლასიკური, საყოველთაოდ მიღებული მიზანი სტაბილური და პროგრესირებადი საყოველთაო კეთილდღეობაა, რის მისაღწევად გამოსაყენებელ ძირითად მეთოდადაც საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შტოების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა აღიქმება³⁰⁷. საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევა, როგორც თვითმიზანი, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, თუ რა მეთოდით მოხდება შესაბამისი შედეგის რეალიზება, თუმცა აუცილებელია, რომ სახელმწიფოს მოქმედება სწორედ მისკენ ლტოლვას ემსახურებოდეს³⁰⁸.

შედეგად, თუკი დაშვება, რომ აუცილებელია, საჯარო ხელისუფლების მოქმედებები საყოველთაო კეთილდღეობას ემსახურებოდეს, მიღებულად ჩაითვლება, დასასმელია ახალი კითხვა - სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ამ მიზნისთვის კარგი მეთოდია თუ არა. აღნიშნული ორ კომპონენტად უნდა იქნეს გაყოფილი. პირველ რიგში, შესაფასებელია, სახელმწიფო უფრო „წარმატებული მეწარმეა“ თუ არა, კერძო სექტორთან მიმართებაში და, მეორეხრივ, გასაანალიზებელია, სახელმწიფო უფრო „კარგად“ ხარჯავს თუ არა კომერციული საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებულ მოგებას, კვლავ კერძო სექტორთან შედარებით. თუკი ორივე ამ კითხვაზე პასუხი დადებითი იქნება, შესაძლებელი იქნება იმაზე საუბარი, რომ სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება მხოლოდ მოგების მიღების მიზნით ნამდვილად უნდა ჩაითვალოს ლეგიტიმურად და რომ დამატებითი საფუძვლები არ უნდა განიხილებოდეს აუცილებელ კომპონენტად.

სახელმწიფოს, როგორც მეწარმის ეფექტურობა და მისი საქმიანობის ეკონომიკური შედეგები წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი ძირითადი კვლევის საგანია და, შედეგად, ხელისუფლების კომერციული მოღვაწეობის დეტალური შეფასება ქვემოთ იქნება შეფასებული. თუმცა, მოცემული ანალიზის ფარგლებში, შედარებით მოკლედ შეიძლება იმის წარმოჩენა, რომ, პრაქტიკაში, სახელმწიფო იშვიათად ახერხებს, ისეთივე ეფექტური მეწარმე იყოს, როგორც კერძო ბიზნესი³⁰⁹³¹⁰³¹¹. ეს რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული. მათ შორისაა

³⁰⁷ Messaoud, B. Teheni, Z. Business regulations and economic growth: What can be explained? *International Strategic Management Review*. 2.2. 2014. 69-78.

³⁰⁸ Nagal-Meger, P. The Quality of Business Legal Environment and Its Relation with Business Freedom. *International Journal of Contemporary Management*. 17.2. 2018. 111-136.

³⁰⁹ Kamaludin, K. Usman, B. Capital Structure: New Evidence across the Broad Spectrum of State-Owned Enterprises Performance in Indonesia. *Pertanika Journal of Social Sciences & Humanities*, 25. 2017. 117-132.

³¹⁰ Ticha, M. State or Private Ownership? A Survey of Empirical Studies. *Review of Economic Perspectives*, 12.2. 2012. 120-144.

³¹¹ Qian, Y. Xu, C. Why China's economic reforms differ: the M-form hierarchy and entry/expansion of the non-state sector. *Economics of Transition and Institutional Change*, 1.2. 1993. 135-170.

სახელმწიფოს საჭიროება, იზრუნო საყოველთაო კეთილდღეობაზე³¹², რაც ზოგჯერ კონფლიქტში მოდის ბიზნესის მოთხოვნებებთან და იწვევს ერთ-ერთი მიმართულების (ხშირად კომერციულის განხრის) დაზარალებას³¹³³¹⁴. ამასთან, სახელმწიფოსთვის ინჰერენტულად დამახასიათებელი ბიუროკრატია შესამჩნევად მოქმედებს მოქნილობის შესაძლებლობაზე, რაც წამგებიანი შეიძლება იყოს სამეწარმეო ნაბიჯების გადგმის ეტაპზე³¹⁵³¹⁶. გარდა ამისა, ხშირად, სახელმწიფოს უჭირს ისეთი ტიპის კადრების მოზიდვა, რომელიც შესაძლოა, აუცილებელი იყოს ბიზნესის წარმატებისათვის³¹⁷.

ცალკეულად, მოცემული ძირითადი მიზეზები, ისევე, როგორც სხვა, შედარებით ნაკლებად აქტუალური პრობლემები, შეიძლება, არ ყოფილიყო საკმარისი, მაგრამ მათი ერთობლიობა საკმაოდ აშკარა საფუძველია იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ ხელისუფლება ნამდვილად ვერ ჩაითვლება კერძო სექტორზე უკეთეს მეწარმედ. შესაბამისად, მოცემული კრიტერიუმი დაკმაყოფილებულად ვერ იქნება განხილული.

რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ მიღებული შემოსავლის ხარჯვის ეფექტურობას, მოცემულიც კომპლექსური საკითხია, თუმცა, როგორც მეწარმეობის წარმატებასთან დაკავშირებით, შეუძლებელია იმაზე საუბარი, რომ ხელისუფლება უკეთ ახერხებს, თანხების განაწილებას, ვიდრე კერძო პირები³¹⁸³¹⁹. ხაზგასასმელია, რომ, როგორც წესი, სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ პროექტის უკეთესად განხორციელება ხშირად განპირობებულია მისთვის ხელმისაწვდომი დიდი ოდენობის რესურსებითა და იმ ფაქტით, რომ მას წარუმატებლობის

³¹² Pargendler, M. *State Ownership and Corporate Governance*. Fordham Law Review, 80.6. 2012. 2957-2958.

³¹³ Nguyen, H.T. Turksen, U. *Divestment of State-Owned Enterprises and Competition in Oil & Gas Sectors in Vietnam*. Vietnamese Journal of Legal Sciences, 1.1. 2019. 1-32.

³¹⁴ Radon, J. Thaler, J. *Resolving conflicts of interest in state-owned enterprises*. International Social Science Journal, 57.1. 2009. 11-20.

³¹⁵ Auer, M. *Energy and Environmental Politics in Post-Corporatist Mexico*. Policy Studies Journal, 29.3. 2001. 437-455.

³¹⁶ Becker, U. Vasileva, A. *Russia's political economy re-conceptualized: A changing hybrid of liberalism, statism and patrimonialism*. Journal of Eurasian Studies, 8.1. 2017. 83-96.

³¹⁷ Fernandes, C.C.C. Palotti, P.L.M. *Professionalizing bureaucracy and building state capacities: are there unequal advances in Brazilian public administration?* Revista de Administração Pública, 53.4. 2019. 687-710.

³¹⁸ Albassam, B.A. *A model for assessing the efficiency of government expenditure*. Cogent Economics & Finance, 8.1. 2020. 1-12.

³¹⁹ Ag, M. Syechalad, M.N. Silvia, V. *The Effect of Government Expenditures, Private Investment and Labor on Economic Growth in Pidie District*. Sriwijaya International Journal of Dynamic Economics and Business, 1.4. 2017. 357-374.

შემთხვევაში ნაკლები საფრთხე ემუქრება კერძო სექტორთან მიმართებაში³²⁰. მეორე მხრივ კი, ხელისუფლების მიერ ეკონომიკისათვის ყველაზე სასარგებლოდ მიჩნეულ მოქმედებათა შორის შედის ისეთი მექანიზმები, როგორცაა სუბსიდიები, კერძო-საჯარო პარტნიორობა და მასტიმულირებელი ნაბიჯები, რომლებიც თანხის კერძოსამართლებრივი სუბიექტებისთვის გადაცემას მოიცავს³²¹.

გარდა ამისა, არსებობს არაერთი მოსაზრება, რომ საჯარო სექტორი თანხის ხარჯვას ხშირად ძალიან არაეფექტურად ახორციელებს³²². მოცემული პოზიციის მქონეთა აზრით, სახელმწიფო ვერ ახერხებს, მიიღოს მაქსიმალური მის ხელთ არსებული რესურსების საპირწონედ³²³ და უმჯობესია, მაქსიმალურად მეტი კომერციული ან მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება თუ გარიგების დადების შესაძლებლობა სწორედ კერძო სექტორს გადაეცეს³²⁴.

შედეგად, ნაკლებად რეალისტურია დავა, რომ ეკონომიკური რესურსების გამოყენება ყოველთვის უფრო ეფექტურად შეუძლია სახელმწიფოს. მართალია, საჯარო ორგანოები ზოგჯერ შეიძლება, შექმნილ სიტუაციასთან მიმართებაში, უკეთ იყონ მორგებული მდგომარეობას და, შედეგად, უფრო წარმატებით განახორციელონ ამა თუ იმ თანხის დახარჯვა, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა შემთხვევაში იგივე შედეგი იქნება მიღებული. არ არსებობს მტკიცებულება, რომ სახელმწიფო ყოველთვის უფრო წარმატებულია მოგების განაწილებაში, მაშინ, როდესაც საწინააღმდეგოს მტკიცება, რომ კერძო სექტორს შემოსავლის ეკონომიკისათვის სასარგებლო გზით მოხმარება უკეთ გამოსდის, ნამდვილად გვხვდება აკადემიურ ლიტერატურაში.

ზემოთ მოცემულის შედეგად, აშკარაა, რომ სახელმწიფო, არსებული მტკიცებულებებისა და მოსაზრებების ერთობლიობით, ვერც კერძო ბიზნესზე უკეთეს მეწარმედ იქნება განხილული და მას არც მიღებული შემოსავლის უკეთ ხარჯვაზე უნდა ჰქონდეს პრეტენზია. ეს, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ღირსეული მიზანი, საყოველთაო კეთილდღეობისათვის ზრუნვა, ვერ იქნება საკმარისად ეფექტურად მიღწეული, თუკი საჯარო ხელისუფლება მეწარმეობაზე იქნება ორიენტირებული მხოლოდ იმიტომ, რომ მიიღოს შემოსავალი. ეს ფაქტი ჭეშმარიტებად რჩება მაშინაც, თუკი მიღებული მოგება

³²⁰ Cakem, L. Patanaj, M. Muharremi, O. The effect of government expenditures on economic growth. The case of Albania. *European Journal of Social Sciences Education and Research*, 1.2. 2014. 242-254.

³²¹ Paternostro, S. Rajaram, A. Tiongson, E.R. How Does the Composition of Public Spending Matter? *Oxford Development Studies*, 35.1. 2007. 47-82.

³²² Eguia, J.X. Nicolo, A. Information and targeted spending. *Theoretical Economics*, 14. 2019. 373-402.

³²³ Haque, M. Deficit Financing in Contemporary Economies: Effects and Implications. *Journal of King Abdulaziz University-Islamic Economics*, 32.1. 2019. 87-95.

³²⁴ Anderson, J.E. Martin, W. Costs of Taxation and Benefits of Public Goods with Multiple Taxes and Goods. *Journal of Public Economy Theory*, 13.2. 2011. 289-309.

საჯარო მიზნებს მოხმარდება სწორედ საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევის მიზნით.

განხილულის შედეგად, შესაძლებელია, განვითარებული იყოს პოზიცია, რომ არასასურველია, ხელისუფლება მხოლოდ „ფულის შოვნის“ დანიშნულებით ერეოდეს პირდაპირ კომერციულ საქმიანობაში. მის ხელთ სხვა არაერთი ინსტრუმენტი, რათა დადებითი გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ სისტემაზე, და ბიზნესის წარმოება არ არის ამისათვის იდეალური ინსტრუმენტი. სახელმწიფოს, რა თქმა უნდა, შეუძლია, კომერციული ნაბიჯები, თუმცა ამისათვის სხვა საბაზია აუცილებელი. ამიტომ, შეიძლება იმის თქმა, რომ მოგების მიღება სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ლეგიტიმურ მიზნად ვერ იქნება განხილული.

2.6. შუალედური დასკვნა

სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა, მას ამოძრავებდეს საჯაროსამართლებრივი მიზანი³²⁵. როგორც წინამდებარე თავში იქნა განხილული, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია, მოხდეს იდენტიფიცირება იმისა, თუ, ერთი მხრივ, რა საფუძველი შეიძლება, ჩაითვალოს ლეგიტიმურად და, მეორე მხრივ, რომელი საბაზი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ხელისუფლების ორგანოების მიერ კერძოსამართლებრივ გარემოში პირდაპირ ჩარევა კომერციის წარმოების გზით მისაღებ ნაბიჯად ჩაითვალოს.

როგორც ჩამოყალიბებული იქნა მოცემულ ნაშრომში, სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ეკონომიკის სასურველი მიმართულებით წარმართვის, სტრატეგიული სექტორების მართვის ან უბრალოდ შემოსავლის მიღების მიზნით ლეგიტიმურად ვერ განიხილება. ხელისუფლების ორგანოები საჯაროსამართლებრივი წარმონაქმნებია და მათი ბუნებიდან გამომდინარე, მოცემული საფუძველით კერძოსამართლებრივ გარემოში გადანაცვლება სახელმწიფოს ხელთ არსებული რესურსების არასათანადოდ გამოყენებად უნდა ჩაითვალოს, რაც მოსახლეობისათვის არასასურველ შედეგამდე მისვლას გამოიწვევს.

ამავდროულად, როგორც გამოიკვეთა, საჯარო მხარის მიერ კომერციულ სფეროში პირდაპირ მოღვაწეობა გამართლებულია ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარების, მოსახლეობისათვის სერვისების შეთავაზების, ეკონომიკის სტიმულირებისა და მისი სტრატეგიული სექტორების განვითარების მიზნით. ეს

³²⁵ Bezuidenhout, M.L. Bussin, M.H.R. Coetzee, M. The chief executive officer pay-for performance relationship within South African state-owned entities. South African Journal of Human Resource Management, 16. 2018. 142-154.

არ ნიშნავს, რომ რომელიმე ამ საბაზით საჯარო ორგანოების მიერ განხორციელებული ყველა მოქმედება მისაღებია, თუმცა, სახელმწიფოს უნიკალური მდგომარეობა ნამდვილად შეიძლება, იყოს ისე გამოყენებული, რომ საყოველთაო კეთილდღეობისაკენ იქნეს ნაბიჯი გადადგმული სამეწარმეო საქმიანობაში ხელისუფლების მონაწილეობის გზით.

შედეგად, სახელმწიფოს მიერ კომერციული მოქმედებების განხორციელებისას, უნდა შეფასდეს, პირველ რიგში, თუ რას ემსახურება მისი აქტივობა და არის თუ არა სახეზე ზემოთ მოცემული ესა თუ ის ლეგიტიმური მიზანი. მათი არარსებობის შემთხვევაში სახეზეა არასათანადო მოქმედებების განხორციელების ფაქტი. თავის მხრივ, ეს ნიშნავს, რომ ნეგატიური ეკონომიკური და იურიდიული შედეგები გარდაუვალია და მაქსიმალურად სასურველია, შეწყდეს არალეგიტიმური მიზნით სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება.

სახელმწიფო, როგორც საჯაროსამართლებრივი წარმონაქმნი, ვალდებულია, საყოველთაო კეთილდღეობას ემსახურებოდეს და მის ხელთ არსებული რესურსები ეფექტურად გამოიყენოს. ამ მიზნის მიღწევა, სათანადო საბაზის გარეშე, არ არის შესაძლებელი. ის არასასურველი შედეგები, რომლებიც ხელისუფლების მიერ სამეწარმეო საქმიანობის ლეგიტიმური მიზნის გარეშე განხორციელებას მოჰყვება, წინამდებარე ნაშრომში, ქვემოთ იქნება განხილული. თუმცა, ამ ეტაპზე, ნამდვილად შეიძლება იმის თქმა, რომ სახელმწიფო, რომელსაც სურს, იზრუნოს საკუთარ მოსახლეობაზე, მხოლოდ მაშინ უნდა ჩაეროს კომერციულ აქტივობებში და დაიწყოს სამეწარმეო საქმიანობის თავად განხორციელება, თუკი ამას საფუძვლად დაედება წინამდებარე თავში განხილული ერთ-ერთი ის საბაზი მაინც, რომელიც შესაბამისი ქმედებისათვის საჭირო ლეგიტიმურ მიზნად იქნა მიჩნეული.

3. სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ინსტრუმენტები

მას შემდეგ, რაც შერჩეული იქნება საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ლეგიტიმური მიზანი, სახელმწიფოს მიერ კომერციული აქტივობის დაწყებამდე ასევე აუცილებელია, შესაბამისი ინსტრუმენტის იდენტიფიცირება³²⁶. ხელისუფლების ხელთ არსებობს სხვადასხვა მექანიზმები, რომლებიც საჯარო ორგანოთა მიერ ბიზნესის საკეთებლად შეიძლება, გამოყენებული იყოს³²⁷. მოცემული საშუალებები ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება, როგორც დანიშნულებით, ისე ფუნქციურად³²⁸. შესაბამისად, ზოგ კონტექსტში ერთ-ერთი მათგანი შეიძლება, გამოსადეგი იყოს, ხოლო განსხვავებულ სიტუაციაში კარდინალურად სხვა ინსტრუმენტი აღმოჩნდეს საჭირო³²⁹.

სახელმწიფოს მიერ კომერციული აქტივობების განსახორციელებლად ძირითადად აკადემიურ ლიტერატურასა და პრაქტიკაში ვლინდება შემდეგი ინსტრუმენტები:

- **სახელმწიფოს მიერ მართული კერძოსამართლებრივი პირები** - მათ შორისაა სახელმწიფოს კუთვნილი კერძო კომპანიები და საინვესტიციო ფონდები³³⁰. ესაა კერძო სამართლის შესაბამისად შექმნილი სამეწარმეო იურიდიული პირები, რომლების მესაკუთრედაც საჯარო ხელისუფლება გვევლინება³³¹. სხვადასხვა ქვეყანაში მათი სამართლებრივი მდგომარეობა სხვადასხვაგვარია³³², თუმცა ხშირად მათთან მიმართებით „ჩვეულებრივი“ კომერციული კომპანიებისაგან განსხვავებული მოწესრიგება არსებობს³³³.

³²⁶ Agburuga, U.T. The Effect of Public Sector Accrual Accounting Reform on Fiscal Performance. *Research Journal of Finance and Accounting*, 9.18. 2018. 50-57.

³²⁷ Valach, M. Agh, P. Entrepreneurship of Cities through Business Companies in the Slovak Republic. *Acta Regionalia et Environmentalica*, 16.1. 2019. 5-9.

³²⁸ Mahmood, S.A.I. Public procurement and corruption in Bangladesh confronting the challenges and opportunities. *Journal of public administration and policy research*, 2.6. 2010. 103-111.

³²⁹ Zeng, J.S. State Ownership and Regulatory Costs: A Law and Economic Explanation for the Prevalence of State-Owned Enterprises in China. *Columbia Journal of Asian Law*. 31.1. 2017. 1-62.

³³⁰ Bortolotti, B. Fotak, V. Megginson, W. L. The Sovereign Wealth Fund discount: Evidence from public equity investments. *The Review of Financial Studies*, 28.11. 2015. 2993-3035

³³¹ Ferry, L. Andrews, R. Skelcher, C. Wegorowski, P. New development: Corporatization of local authorities in England in the wake of austerity 2010-2016. *Public Money & Management*, 38.6. 2018. 477-480.

³³² Haberly, D. Strategic sovereign wealth fund investment and the new alliance capitalism: A network mapping investigation. *Environment and Planning A: Economy and Space*, 43.8. 2011. 1833-1852.

³³³ Goldeng, E. Grunfeld, L.A. Benito, G. The Performance Differential between Private and State Owned Enterprises: The Roles of Ownership, Management and Market Structure. *Journal of Management Studies*, 45.7. 2008. 1244-1273.

პრაქტიკაში, სწორედ ეს მექანიზმები გვევლინება სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ძირითად სახეობად³³⁴.

- **საჯაროსამართლებრივი ინსტრუმენტები, როგორც სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის ირიბად განხორციელების მექანიზმები** - ზოგჯერ საჯარო სამართლის ინსტრუმენტები (მაგალითად, საჯარო სამართლის იურიდიული პირები ან საგადასახადო სისტემა) სახელმწიფოს მიერ ისე შეიძლება, გამოყენებული იყოს, რომ ამან აქტიური გავლენა მოახდინოს კომერციულ სფეროებზე³³⁵. ასეთ ინსტრუმენტებს შორის ყველაზე აქტიურად გამოიყენება ორი ინსტრუმენტი: პირველი მათგანია **კერძო-საჯარო პარტნიორობა**, ხელისუფლებისა და კერძო ბიზნესის სინთეზის უნიკალური ფორმატი³³⁶, რომელიც სახელმწიფოსა და მეწარმეთა სინერგიას გვთავაზობს³³⁷. მეორე ინსტრუმენტად კი გვევლინება **კერძო კომერციის სუბსიდირება**, ანუ სახელმწიფოს მიერ კერძო კომპანიებისათვის ფინანსური მხარდაჭერის გაწევა³³⁸, რაც სახელმწიფოს კომერციაში ჩართულობის არაპირდაპირ შესაძლებლობას მოიცავს³³⁹.

სწორედ მოცემული ინსტრუმენტები გვევლინება სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის ძირითად სახედ. წინამდებარე თავში წარმოდგენილი იქნება მათი მიმოხილვა, კრიტიკული ანალიზი და იმის იდენტიფიცირება, თუ როდის, რა შემთხვევაში და რა მიზნითაა მართებული მათი გამოყენება სახელმწიფოს მიერ.

³³⁴ Zeng, J.S. State Ownership and Regulatory Costs: A Law and Economic Explanation for the Prevalence of State-Owned Enterprises in China. *Columbia Journal of Asian Law*, 31.1. 2017. 1-62.

³³⁵ Shleifer, A. Understanding Regulation. *European Financial Management*, 11.4. 2005. 438-451.

³³⁶ Broadbent, J. Laughlin, R. Public Private Partnerships: An Introduction. *Accounting, Auditing & Accountability Journal*, 16.3. 2003. 332-341.

³³⁷ Cui, C. Liu, Y. Hope, A. Review of studies on the public-private partnerships (PPP) for infrastructure projects. *International Journal of Project Management*, 36.5. 2018. 773-794.

³³⁸ Thomson, R. Jensen, P. The Effects of Government Subsidies on Business R&D Employment: Evidence from OECD Countries. *National Tax Journal*, 66.2. 2013. 281-310.

³³⁹ Peng, H. Liu, Y. How government subsidies promote the growth of entrepreneurial companies in clean energy industry: An empirical study in China. *Journal of Cleaner Production*, 188. 2018. 508-520.

3.1. სახელმწიფოს მიერ მართული კერძოსამართლებრივი პირები

სახელმწიფო, ისევე, როგორც მისი ცალკეული ორგანოები, უფლებამოსილია, დააფუძნოს და მართოს კერძო სამართლის იურიდიული პირები³⁴⁰³⁴¹. ძირითადად, ასეთ კომპანიებზე ვრცელდება იგივე წესები, რაც დამოუკიდებელ ბიზნესებზე³⁴². საჯარო ხელისუფლება, თავის მხრივ, უფლებამოსილია, განკარგოს შესაბამისი იურიდიული პირები სხვადასხვა მიზნით, ჩაერიოს მათ მმართველობაში ამა თუ იმ საფუძვლით, რაც მოიცავს მათი საშუალებით სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასაც³⁴³.

სახელმწიფოს მიერ მართული კერძოსამართლებრივი იურიდიული პირები, როგორც წესი, იყოფა ორ ნაწილად. ესენია სახელმწიფოს კუთვნილი კერძო კომპანიები და საინვესტიციო ფონდები³⁴⁴. ეს უკანასკნელი კერძო კომპანიის ნაირსახეობად შეიძლება, მოიაზრებოდეს³⁴⁵, თუმცა მისი შედარებით უნიკალური ფუნქციებისა და გამოყენების გზის გათვალისწინებით, ძირითადად, ხდება მისი ცალკე გამოყოფა და განყენებულად განხილვა³⁴⁶. წინამდებარე ნაშრომშიც მოცემული ორი სახის იურიდიული პირი ცალკე იქნება წარმოდგენილი.

ზემოთ მოცემულის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ მოცემულ იურიდიულ პირებს ბევრი საერთო მახასიათებელიც გააჩნიათ³⁴⁷. ორივე მათგანი, წესით და რიგით, კერძოსამართლებრივი წარმონაქმნებია და მათი მიზნებიც კერძო სამართლიდან, ბიზნეს-ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს³⁴⁸, თუმცა, როგორც ზემოთ უკვე განვიხილეთ, ეს შესაბამისობაში ვერ იქნება სახელმწიფოს ლეგიტიმურ ფუნქციებთან. ამიტომ, როგორც სახელმწიფოს კუთვნილ კერძო კომპანიებს, ისე საინვესტიციო ფონდებს, უწევთ მათთვის ზოგჯერ

³⁴⁰ Modell S. Yang C. Financialisation as a strategic action field: an historically informed field study of governance reforms in Chinese State Owned enterprises. *Critical Perspectives on Accounting*, 54. 2017. 41-59.

³⁴¹ Pargendler, M. *State Ownership and Corporate Governance*. *Fordham Law Review*, 80.6. 2012. 2957-2958.

³⁴² Zeng, J.S. State Ownership and Regulatory Costs: A Law and Economic Explanation for the Prevalence of State-Owned Enterprises in China. *Columbia Journal of Asian Law*. 31.1. 2017. 1-62.

³⁴³ Shirley, M. Bureaucrats in business: The roles of privatization versus corporatization in state-owned enterprise reform. *World Development*, 27.1. 1999. 115-136.

³⁴⁴ Wagner, D. Sovereign wealth funds: Investment objectives and asset allocation strategies. *Journal of Governance and Regulation*, 3.2. 2014. 32-52.

³⁴⁵ Okhmatovskiy, I. Performance Implications of Ties to the Government and SOEs: A Political Embeddedness Perspective. *Journal of Management Studies*, 47.6. 2010. 1020-1047.

³⁴⁶ Alami, I. Dixon, A.D. State capitalism(s) redux? Theories, tensions, controversies. *Competition & Change*, 24.1. 2020. 70-94.

³⁴⁷ Shirley, M. Bureaucrats in business: The roles of privatization versus corporatization in state-owned enterprise reform. *World Development*, 27.1. 1999. 115-136.

³⁴⁸ Klein, N. Ramos, T.B. Deutz, P. Circular Economy Practices and Strategies in Public Sector Organizations: An Integrative Review. *Sustainability*, 12.10. 2020. 1-24.

არაბუნებრივი ნაბიჯების გადადგმა და საჯაროსამართლებრივი მიზნების მისაღწევად შრომა³⁴⁹.

გარდა ამისა, მართალია, ძირითადად კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, მიუხედავად იმისა, ვის საკუთრებაში არიან ისინი, ერთი და იგივე ნორმატიული აქტები აწესრიგებს, თუმცა ეს არ არის ყოველთვის ასე. ზოგჯერ ვაწყდებით ეროვნულ მოწესრიგებას, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოს მმართველობაში არსებულ კომერციულ პირებზე ვრცელდება ან, პირიქით, შეიძლება სახეზე იყოს რეალობა, როდესაც მხოლოდ ხსენებული პირები გვევლინებიან რეგულაციიდან გამონაკლისად³⁵⁰.

ყოველივე ზემოთ განხილულის შესაბამისად, აუცილებელია, წარმოჩენილი იყოს სახელმწიფოს მმართველობაში არსებული კომერციული იურიდიული პირების კრიტიკული ანალიზი. წინამდებარე თავში განხილული იქნება ორივე ძირითადი ნაირსახეობა, გამოიკვეთება მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ის ფუნქციები, რომელთა შესასრულებლადაც ხსენებული პირები გვევლინებიან სასარგებლო ინსტრუმენტად.

3.1.1. სახელმწიფოს კუთვნილი კერძო კომპანიები

სახელმწიფოს კუთვნილი კერძო კომპანიები მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედს წარმოადგენენ³⁵¹. სწორედ ისინი შეგვიძლია, მოვიხსენიოთ, როგორც საჯარო ხელისუფლების მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ყველაზე აქტიური მეთოდი³⁵². შედეგად, აუცილებელია, მოხდეს მათი მაქსიმალურად დეტალურად შესწავლა, რათა კარგად იქნეს შეფასებული, თუ რა გავლენას ახდენს სახელმწიფოს კუთვნილი კერძო კომპანიების საქმიანობა ეროვნულ და საერთაშორისო ეკონომიკაზე. აღნიშნულის განხორციელების შედეგად, შესაძლებელი იქნება, მოხდეს მათი მოღვაწეობის ეკონომიკური და იურიდიული შედეგების კრიტიკული ანალიზი.

³⁴⁹ Glomm, G. Ravikumar, B. Public Investment in Infrastructure in a Simple Growth Model. *Journal of Economic Dynamics and Control*, 18. 1994. 1173-1187.

³⁵⁰ Okhmatovskiy, I. Performance Implications of Ties to the Government and SOEs: A Political Embeddedness Perspective. *Journal of Management Studies*, 47.6. 2010. 1020-1047.

³⁵¹ Grossi, G. Papenfuss, U. Tremblay, M. Corporate governance and accountability of state-owned enterprises Relevance for science and society and interdisciplinary research perspectives. *International Journal of Public Sector Management*, 28.4. 2015. 274-285.

³⁵² Jakob, B. Performance in Strategic Sectors: A Comparison of Profitability and Efficiency of State-Owned Enterprises and Private Corporations. *The Park Place Economist*, 25. 2017. 9-20.

სახელმწიფოს კუთვნილი კერძო კომპანიების საქმიანობა პასუხისმგებელია მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10 პროცენტზე³⁵³. ამასთან, მათი აქტივობა დროსთან ერთად სულ უფრო და უფრო იზრდება³⁵⁴³⁵⁵. მიუხედავად მსოფლიო ეკონომიკის ზრდისა, სახელმწიფოს კუთვნილი კერძო კომპანიები ახერხებენ, ფეხი აუწყონ მას³⁵⁶ და, მეტიც, გამოსდით, გაზარდონ საკუთარი წილი საერთაშორისო ეკონომიკის მიერ შექმნილ მთლიან შიდა პროდუქტში³⁵⁷. ასეთი წარმატება, კომბინირებული მოცემული ინსტრუმენტის გამოყენების ზრდასთან, იწვევს კითხვას, თუ რითია განპირობებული სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების სწორედ ამ მეთოდზე შეჩერება.

პირველ რიგში, განსახილველია, თუ ზუსტად რას წარმოადგენს ასეთი სახის იურიდიული პირები. მსოფლიო იურისდიქციათა დიდ უმრავლესობაში, სახელმწიფოს კუთვნილ კერძო კომპანიებზე ვრცელდება მეტწილად იგივე წესები, რაც ზოგადად არსებულ ბიზნეს წარმონაქმნებზე³⁵⁸³⁵⁹. ბუნებრივია, არსებობს გამონაკლისები³⁶⁰, და, ამავედროულად, ფიქსირდება სპეციალური, მხოლოდ საჯარო საკუთრებაში მყოფ კომპანიებზე გავრცელებული ნორმატიული აქტები³⁶¹, თუმცა, ძირითადად, საკანონმდებლო ჩარჩო, რომელშიც ხელისუფლების დაქვემდებარებაში არსებულ კომერციულ იურიდიულ პირებს უწევთ მოღვაწეობა, ფუნდამენტურად არ განსხვავდება მათი კონკურენტი კერძო

³⁵³ Grossi, G. Papenfuss, U. Tremblay, M. Corporate governance and accountability of state-owned enterprises Relevance for science and society and interdisciplinary research perspectives. *International Journal of Public Sector Management*, 28.4. 2015. 274-285.

³⁵⁴ Ahuja, G. Majumdar, S.K. An Assessment of the Performance of Indian State-Owned Enterprises. *Journal of Productivity Analysis*, 9. 1998. 113-122.

³⁵⁵ Matsiliza, N.S. Corporate Governance of the State Owned Enterprises in an Emerging Country: Risk Management and Related Issues. *Risk governance & control: financial markets & institutions*, 7.3. 2017. 35-43.

³⁵⁶ Doamekpor, F. Contributions of State-Owned Enterprises to the Growth of Total Output. *International Economic Journal*, 12.4. 1998. 65-77.

³⁵⁷ Grossi, G. Papenfuss, U. Tremblay, M. Corporate governance and accountability of state-owned enterprises Relevance for science and society and interdisciplinary research perspectives. *International Journal of Public Sector Management*, 28.4. 2015. 274-285.

³⁵⁸ Barton, B. Electricity Regulation in New Zealand: the Early Stages of a New Regime. *Journal of Energy & Natural Resources Law*, 26.2. 2008. 207-233.

³⁵⁹ Kroll, H. Innovation output and state ownership: empirical evidence from China's listed firms. *Industry and Innovation*, 26.2. 2019. 176-198.

³⁶⁰ Milhaupt, C.J. Pargendler, M. Governance Challenges of Listed State-Owned Enterprises around the World: National Experiences and a Framework for Reform. *Cornell International Law Journal*, 50.3. 2017. 473-542.

³⁶¹ Willemyns, I. Disciplines on State-Owned Enterprises in International Economic Law: Are We Moving in the Right Direction? *Journal of International Economic Law*, 19.3. 2016. 657-680.

ბიზნესებისათვის ძალაში მყოფი რეგულირებისაგან³⁶². შედეგად, სახელმწიფოს კუთვნილი კერძო კომპანიების სახელწოდება საკმაოდ ზუსტად შეგვიძლია, ჩავთვალოთ, რადგანაც, არსებითად, ისინი ჩვეულებრივი სამეწარმეო იურიდიული პირები არიან, რომელთა მესაკუთრედაც საჯარო ხელისუფლება გვევლინება.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ „საჯარო ხელისუფლება“ შესაძლოა, ფართო ტერმინად იქნეს განხილული. სახელმწიფოს კუთვნილი კერძო კომპანიები ყოველთვის პირდაპირ სამთავრობო ორგანოების კუთვნილებაში არ არის³⁶³. სამეწარმეო საქმიანობაში კერძო კომპანიის აქციონერის როლში მონაწილეობას შესაძლოა, ახორციელებდეს თავად სახელმწიფო, მისი რომელიმე ორგანო, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეული ან სხვა საჯარო ორგანო³⁶⁴. მეტიც, შესაძლებელია, იმავე სახის აქტივობა ხორციელდებოდეს ირიბად³⁶⁵, სხვა კერძო სამართლის იურიდიული პირების გამოყენებით³⁶⁶. ამავდროულად, ხაზგასასმელია, რომ საკორპორაციო მმართველობის თვალსაზრისით, ისევე, როგორც მათი მოქმედების იურიდიულ და ეკონომიკურ შედეგებთან მიმართებაში, არსებითი სხვაობა არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ საჯარო ხელისუფლების რომელი ორგანო იქნება სამეწარმეო იურიდიული პირის მესაკუთრე^{367,368}. მეტიც, წინამდებარე ნაშრომის მიზნებთან დაკავშირებით, არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელი საჯარო ორგანო ჩაერევა კომერციულ საქმიანობაში. შედეგად, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში, როდესაც საუბარი იქნება სახელმწიფოს კუთვნილ იურიდიულ პირებზე, ეს ტერმინი მოიცავს არა მხოლოდ უშუალოდ ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების კუთვნილ კომერციულ წარმონაქმნებს, არამედ ზოგადად,

³⁶² Ho, V.H. Corporate Governance as Risk Regulation in China: A Comparative View of Risk Oversight, Risk Management, and Accountability. *European Journal of Risk Regulation*, 3.4. 2012. 463-475.

³⁶³ Bruton, G.D. Peng, M.W. Ahlstrom, D. Stan, C. Xu, K. State-owned enterprises around the world as hybrid organizations. *Academy of Management Perspectives*, 29.1. 2015. 92-114.

³⁶⁴ Grossi, G. Papenfuss, U. Tremblay, M. Corporate governance and accountability of state-owned enterprises Relevance for science and society and interdisciplinary research perspectives. *International Journal of Public Sector Management*, 28.4. 2015. 274-285.

³⁶⁵ Bortolotti, B. Fotak, V. Megginson, W. L. The Sovereign Wealth Fund discount: Evidence from public equity investments. *The Review of Financial Studies*, 28.11. 2015. 2993-3035

³⁶⁶ Haberly, D. Strategic sovereign wealth fund investment and the new alliance capitalism: A network mapping investigation. *Environment and Planning A: Economy and Space*, 43.8. 2011. 1833-1852.

³⁶⁷ Milhaupt, C.J. Pargendler, M. Governance Challenges of Listed State-Owned Enterprises around the World: National Experiences and a Framework for Reform. *Cornell International Law Journal*, 50.3. 2017. 473-542.

³⁶⁸ Grossi, G. Papenfuss, U. Tremblay, M. Corporate governance and accountability of state-owned enterprises Relevance for science and society and interdisciplinary research perspectives. *International Journal of Public Sector Management*, 28.4. 2015. 274-285.

საჯარო ხელისუფლების ნებისმიერი განშტოების დაქვემდებარებაში არსებულ სამეწარმეო ორგანიზაციას.

შემდეგი განსახილველი საკითხი, რომელიც ორგანიზაციულ-სამართლებრივ მოწესრიგებას უკავშირდება, არის სახელმწიფოს კუთვნილი კომერციული საზოგადოებების კორპორატიული მმართველობა. იმის გათვალისწინებით, რომ საკორპორაციო სამართალში კომპანიის მეწილეები და აქციონერები მის ყველაზე მნიშვნელოვან მმართველებად³⁶⁹³⁷⁰ და მისი ხელმძღვანელების ძალაუფლების წყაროდ განიხილებიან³⁷¹³⁷², შესამოწმებელია, თუ რამდენად ახერხებს სახელმწიფო, ეფექტურად ითამაშოს ეს როლი.

კომერციულ იურიდიულ პირებში, შეიძლება, ითქვას, რომ აქციონერებს და სხვა სახის მეწილეებს აქვთ სამი უმნიშვნელოვანესი როლი: კომპანიის ხელმძღვანელთა (ძირითადად სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ან/და დირექტორების³⁷³) დანიშვნა³⁷⁴, მათი საქმიანობის კონტროლი³⁷⁵ და საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი³⁷⁶, მისი ყოველდღიური მოღვაწეობის ფარგლებს მიღმა არსებული გადაწყვეტილებების მიღება³⁷⁷. რა თქმა უნდა, აქციონერებს სხვა უფლებამოსილებებიც გააჩნიათ³⁷⁸, და მათი კომპეტენციის ფარგლები სხვადასხვა იურისდიქციაში ცვალებადია³⁷⁹, თუმცა სწორედ აღნიშნული ფუნქციები შეიძლება, ჩათვალოს ყველაზე ფუნდამენტური

³⁶⁹ Pejovic, C. Reforms of Japanese Corporate Governance: Convergence in the Eye of the Beholder. *Journal of Japanese Law*, 35. 2013. 107-154.

³⁷⁰ Padachi, K. Urdhin, H.R. Ramen, M. Assessing Corporate Governance Practices of Mauritian Companies. *International Journal of Accounting and Financial Reporting*, 6.1. 2016. 38-71.

³⁷¹ Ishak, Z. Manaf, N.A.A. Abdullah, S.N. Is agency theory dominant in explaining the board roles of Malaysian listed firms? *Corporate Ownership and Control*, 13.3. 2016. 533-542.

³⁷² Tan, L.H. Wang, J. Modelling an Effective Corporate Governance System for China's Listed State-Owned Enterprises: Issues and Challenges in a Transitional Economy. *Journal of Corporate Law Studies*, 7.1. 2007. 1-37.

³⁷³ Scarpa, D. Adequacy, Information and Capitalisation as a Function of Proper Corporate Governance. *Review of Contemporary Business Research*, 4.2. 2015. 109-121.

³⁷⁴ Iqbal, K. Kakakhel, S.J. Corporate Governance and its Impact on Profitability of the Pharmaceutical Industry in Pakistan. *Journal of Managerial Sciences*, 10.1. 2016. 73-82.

³⁷⁵ Keay, A.R. Loughrey, J. The framework for board accountability in corporate governance. *Legal Studies*, 35.2. 2015. 252-279.

³⁷⁶ Shen, W. Gentry, R.J. A cyclical view of the relationship between corporate governance and strategic management. *Journal of Management and Governance*, 18.4. 2014. 1-15.

³⁷⁷ Johnson, L.P.Q. The Eventual Clash Between Judicial and Legislative Notions of Target Management Conduct. *Journal of Corporation Law*, 14. 1988. 35-88.

³⁷⁸ Kirkbride, J. Letza, S. Smallman, C. Minority shareholders and corporate governance: Reflections on the derivative action in the UK, the USA and in China. *International Journal of Law and Management*, 51.4. 2009. 206-219.

³⁷⁹ Saez, M.I. Riano, D. Corporate Governance and the Shareholders' Meeting: Voting and Litigation. *European Business Organization Law Review*, 14.3. 2013. 343-399.

ღირებულების მქონედ³⁸⁰³⁸¹. შედეგად, საჯარო ხელისუფლების, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის მესაკუთრის ეფექტურობაც სწორედ მოცემული ფუნქციების შესრულების ხარისხზე დაყრდნობით შეიძლება, შეფასდეს.

აკადემიურ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ სახელმწიფო, როგორც კორპორატიული მმართველობის განმახორციელებელი პირი, შედარებით უფრო ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე კერძო ბიზნესში ჩართული კომერციული იურიდიული პირი ან ფიზიკური პირი იქნებოდა ექვივალენტურ გარემოებაში ყოფნისას³⁸². ის, თუ რამდენად კარგად გამოსდის საჯარო ხელისუფლებას კომპანიათა მართვა, რა თქმა უნდა, უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმცა ხსენებული საკითხი წინამდებარე ნაშრომის მომდევნო თავებში იქნება განხილული. აღნიშნულის ნაცვლად, მოცემულ ეტაპზე, საჭიროა იმის შეფასება, თუ როგორ, რა მექანიზმების გამოყენებით ახდენს სახელმწიფო კორპორატიული მმართველობის განხორციელებას და ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილებების მიღებას.

კომერციულ იურიდიულ პირებში, რეალურად, აქციონერთა და სხვა მეწილეთა გადაწყვეტილებები მათი საერთო კრების ჩატარების გზით მიიღება³⁸³. სახელმწიფოს კუთვნილი სამეწარმეო საზოგადოებების შემთხვევაში, ძირითადად, საჯარო ხელისუფლება ერთადერთი აქციონერია³⁸⁴ ან, ზოგჯერ, „მხოლოდ“ საკონტროლო პაკეტს ფლობს³⁸⁵. ასეთ დროს საერთო კრების ღირებულება ფუნდამენტურად შემცირებულია³⁸⁶. შესაბამისად, პრაქტიკაში, საჯარო ხელისუფლებას დაქვემდებარებული იურიდიული პირების

³⁸⁰ Keay, A.R. Loughrey, J. The framework for board accountability in corporate governance. *Legal Studies*, 35.2. 2015. 252-279.

³⁸¹ Saez, M.I. Riano, D. Corporate Governance and the Shareholders' Meeting: Voting and Litigation. *European Business Organization Law Review*, 14.3. 2013. 343-399.

³⁸² Goldeng, E. Grunfeld, L.A. Benito, G. The Performance Differential between Private and State Owned Enterprises: The Roles of Ownership, Management and Market Structure. *Journal of Management Studies*, 45.7. 2008. 1244-1273.

³⁸³ Apostolides, N. Exercising corporate governance at the annual general meeting. *Corporate Governance International Journal of Business in Society*, 10.2. 2010. 140-149.

³⁸⁴ Suleiman, S.M. Hamad, A.U. Sulaiman, M.B. Governance and Management of State-Owned Enterprises in Zanzibar: A Proposed Model for Effective Performance. *Mediterranean Journal of Social Sciences*, 8.5. 2018. 159-169.

³⁸⁵ Hope, O.K. Large shareholders and accounting research. *China Journal of Accounting Research*, 6.1. 2013. 3-20.

³⁸⁶ Nwafor, A.O. Transparency in corporate governance: Extent of directors duty to declare interest in company's transactions. *Corporate Board: Role, Duties and Composition*, 11.1. 2015. 137-148.

შემთხვევაში, როგორც წესი, საერთო კრების შეკრება საერთოდ არ ხდება, ან ის მხოლოდ ფორმალობას წარმოადგენს³⁸⁷.

ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, ვიღებთ რეალობას, რომლის თანახმადაც ერთი მხრივ, სახელმწიფო ერთადერთი ან დომინანტი აქციონერია სამეწარმეო საზოგადოებაში და, მეორე მხრივ, საერთო კრება არ იმართება ან ფორმალობას წარმოადგენს. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, თუ როგორ მიიღება გადაწყვეტილება სახელმწიფოს მიერ, ან როგორ ხორციელდება მათი პრაქტიკაში გატარება.

აღნიშნულ კითხვაზე პასუხი ორგვარია. ერთი კუთხით, შეიძლება იმის გაანალიზება, თუ როგორ ხდება ყველაფერი თეორიულად, კანონმდებლობისა და სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად. ამავე დროს, ხშირად, ის, თუ როგორ მიიღება გადაწყვეტილებები პრაქტიკაში, განსხვავებულია იმისგან, როგორ უნდა ხდებოდეს ეს წესების შესაბამისად³⁸⁸.

მაგალითად, რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც სახელმწიფოს კუთვნილი კერძო კომპანიები ეროვნული ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენენ³⁸⁹, ასეთი საზოგადოებების კორპორატიული მმართველობა პოლიტიკურ საკითხს წარმოადგენს. შესაბამისად, გადაწყვეტილებებიც „კურატორი“ სამინისტროების მიერ, პოლიტიკური პროცესების შედეგად მიიღება³⁹⁰. ეს ნიშნავს, რომ, მაგალითად, დირექტორის დანიშვნა ნაკლებად გამომდინარეობს კომპანიის ინტერესებიდან და ბევრად უფრო იმაზეა დამოკიდებული, შესაბამისი კანდიდატი რამდენად წარმოადგენს პოლიტიკური პირებისათვის მისაღებ პიროვნებას. მსგავსი სიტუაცია გვხვდება, ეგვიპტის პრაქტიკაშიც, სადაც სახელმწიფოს კონტროლი მის კუთვნილებაში მყოფი იურიდიული პირების მიმართ ასევე პოლიტიკურ ელფერს ფლობს³⁹¹. შესაბამისად, ასეთ ქვეყნებში არსებითი მნიშვნელობა არ აქვს თეორიულ კანონმდებლობას და კორპორატიული მმართველობის რეალობა მთლიანად და ექსკლუზიურად პოლიტიკურ პროცესებზეა დამოკიდებული.

საქართველოში არსებული პრაქტიკაც დაახლოებით ემსგავსება რუსეთში არსებულ მიდგომას. პირველ რიგში, ზოგადი, სამართლებრივი ჩარჩოს

³⁸⁷ Lampropoulou, M. State-Owned Enterprises in Greece: The Evolution of a Paradigm 1996-2016. *Annals of Public and Cooperative Economics*, 89.3. 2018. 491-526.

³⁸⁸ Lu, Z. Zhu, J. Tracing back to the source: Understanding the corporate governance of boards of directors in Chinese SOEs. *China Journal of Accounting Research*, 13.2. 2020. 129-145.

³⁸⁹ Kaznacheev, P. Bazaleva, R. A comparison of the roles of privately and state-owned oil companies in developing the Arctic shelf. *Energy Exploration & Exploitation*, 34.1. 2016. 99-112.

³⁹⁰ Iwasaki, I. The Determinants of Board Composition in a transforming economy: Evidence from Russia. *Journal of Corporate Finance*, 14.5. 2008. 532-549.

³⁹¹ Cossu, M.M. State-Appointed Directors, Related-Party Transactions and Corporate Opportunities in “Open” State-Owned Companies. *The Italian Law Journal*, 4.2. 2018. 557-588.

თვალსაზრისით, ეროვნული სახელმწიფო კომპანიების მმართველობაზე პასუხისმგებელი საქართველოს მთავრობა, უფრო ზუსტად კი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო³⁹², რაც ნიშნავს, რომ სახეზეა ცენტრალიზებული, ერთიანი მმართველობის მოდელი. ამასთან, თუკი მოხდება კორპორატიული მართვის სისტემის შეფასება, სტანდარტულად ვიღებთ, რომ სახელმწიფო არამართო ერთადერთი პარტნიორის როლშია, არამედ მონოპოლიზებული აქვს მმართველობის სხვა ასპექტებიც. მაგალითად, ქვეყნის მთავარ საინვესტიციო ფონდსა და ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სახელმწიფო კომპანიას, სს „საპარტნიორო ფონდსა“ და შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ თუკი შევამოწმებთ, ორივეგან აღმოვაჩინებთ, რომ მათს სტრუქტურაში შედის სამეთვალყურეო საბჭოც, რომელიც ძირითადად პოლიტიკური პირებით არის დაკომპლექტებული (პრემიერ-მინისტრი, მინისტრები და მათ მიერ მოწვეული პირები სს „საპარტნიორო ფონდის“ შემთხვევაში³⁹³ და სხვადასხვა მინისტრების მოადგილეები შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ შემთხვევაში³⁹⁴). როგორც უკვე ითქვა, ასეთი მდგომარეობა შესამჩნევად ზრდის პოლიტიკის როლს კომპანიის ყოველდღიურ ცხოვრებაში და მასთან მნიშვნელოვანი რისკები ასოცირდება, რაც ნიშნავს, რომ ის ოპტიმალურ მოწესრიგებად ვერ იქნება განხილული.

მეორემხრივ, ისეთ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკა ნაკლებად ერევა ეკონომიკურ საქმიანობაში, სახელმწიფოს კუთვნილი კომერციული იურიდიული პირების მმართველობისათვის სპეციალური ორგანოებია ხშირად გამოყოფილი³⁹⁵. ამის მაგალითად შესაძლებელია შვეიცარიის მოყვანა, რომელშიც სახელმწიფო აუდიტორია პასუხისმგებელი ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი კომერციული საზოგადოებების დირექტორების დანიშვნაზე, კონტროლზე და გათავისუფლებაზე³⁹⁶. ასეთი მოდელი ნაკლებად პოპულარულია, რაც განპირობებულია იმით, რომ იშვიათად მიიჩნევა რეალისტურად, რომ სახელმწიფოს კუთვნილი კერძო კომპანიები, რომელთა რაოდენობაც, როგორც

³⁹² საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“. 3512. 21.07.2010. მუხლი 1.

³⁹³ საქართველოს მთავრობის დადგენილება „სს „საპარტნიორო ფონდის“ წესდების დამტკიცებისა და კაპიტალის ფორმირების შესახებ“. 230. 02.06.2011. მუხლი 5.

³⁹⁴ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ წესდება. 2012. მუხლი 8.

³⁹⁵ Milhaupt, C.J. Pargendler, M. Governance Challenges of Listed State-Owned Enterprises around the World: National Experiences and a Framework for Reform. *Cornell International Law Journal*, 50.3. 2017. 473-542.

³⁹⁶ Cossu, M.M. State-Appointed Directors, Related-Party Transactions and Corporate Opportunities in “Open” State-Owned Companies. *The Italian Law Journal*, 4.2. 2018. 557-588.

წესი, საკმაოდ მაღალია³⁹⁷, ეფექტურად იმართებოდეს მხოლოდ ერთი, სპეციალიზებული ორგანოს მიერ.

საბოლოოდ, ყველაზე ხშირად გამოიყენება ე.წ. „გაბნეული“ მოდელი, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებულ სხვადასხვა სამეწარმეო იურიდიულ პირებზე პასუხისმგებელი არის არა ერთი პირი, არამედ კონტროლი განაწილებულია ხელისუფლების ბევრ შტოზე³⁹⁸. ეს ნიშნავს, რომ მიუხედავად სახელმწიფოს, როგორც „მესაკუთრის“ როლის შენარჩუნებისა, ის, როგორც ერთიანი წარმონაქმნი, არ მოქმედებს და მას სხვადასხვა ორგანოები წარმოადგენენ ამა თუ იმ კომპანიასთან მიმართებაში.

კორპორატიული მმართველობის ასეთი დეცენტრალიზაცია, ერთი მხრივ, ამარტივებს ბიზნესის ხელმძღვანელობას, რადგანაც სახელმწიფოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განაწილებისას, როგორც წესი, ხდება ისეთი საჯარო ორგანოების შერჩევა, რომელთა საქმიანობის სპეციფიკაც გარკვეულწილად მაინც კავშირშია იმ სამეწარმეო საზოგადოების მოღვაწეობასთან, რომლის მართვაც მას დაევალება³⁹⁹. შედეგად, ხშირად კომპანიის მართვაზე პასუხისმგებელი ხდება ისეთი პირები, რომლებიც შესაბამის სფეროში ისედაც კარგად ერკვევიან. თუმცა, მეორე მხრივ, იმის გამო, რომ შესაძლოა, საჯარო ორგანოებს შორის კომუნიკაცია სრულყოფილისაგან შორს იყოს, ხშირად არ არსებობს ერთიანი ეროვნული სტრატეგია, ან ხდება მისი არასათანადოდ იმპლემენტაცია, რის შედეგადაც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიის ის საჯარო მიზნები, რომლებიც წინამდებარე ნაშრომში ზემოთ უკვე იქნა განხილული, ვერ მიიღწევა სათანადოდ⁴⁰⁰.

შედეგად, პრაქტიკაში, სახელმწიფოს კუთვნილი კერძო იურიდიული პირების მმართველობა ხდება სამგვარად: პოლიტიკური მოტივებით, რომელიც ყველაზე ნაკლებად სასურველად უნდა იყოს განხილული, რადგანაც იგი არც სამეწარმეო საქმიანობას, და, ძირითადად, არც საჯარო მიზნებს არ ემსახურება; ცენტრალიზებულად, ერთიანი სპეციალიზებული ორგანოს მიერ ხელმძღვანელობის განხორციელებით, რაც ერთიანი, სახელმწიფოებრივი სტრატეგიის იმპლემენტაციას ხელს უწყობს, თუმცა ამცირებს კომერციული

³⁹⁷ Doamekpor, F. Contributions of State-Owned Enterprises to the Growth of Total Output. *International Economic Journal*, 12.4. 1998. 65-77.

³⁹⁸ Thabane, T. Deventer, E.S. Pathological Corporate Governance Deficiencies in South Africa's State-Owned Companies: A Critical Reflection. *Potchefstroom Electronic Law Journal*, 21. 2018. 1-32.

³⁹⁹ Milhaupt, C.J. Pargendler, M. Governance Challenges of Listed State-Owned Enterprises around the World: National Experiences and a Framework for Reform. *Cornell International Law Journal*, 50.3. 2017. 473-542.

⁴⁰⁰ Temu, A.E. Due, J.M. The Business Environment in Tanzania after Socialism: Challenges of Reforming Banks, Parastatals, Taxation and the Civil Service. *The Journal of Modern African Studies*, 38.4. 2009. 683-712.

საქმიანობის ეფექტურობას; და „გაბნეულად“, როდესაც შესაბამისი, მსგავსი პროფილის მქონე საჯარო დაწესებულებები ცალ-ცალკე მართავენ კომერციულ წარმონაქმნებს, რის შედეგადაც სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურობა იზრდება, თუმცა ეს საჯარო მიზნების მიღწევის ალბათობას ამცირებს.

წინამდებარე ნაშრომში გაზიარებულია პოზიცია, რომ უმჯობესია სწორედ ამ უკანასკნელი მოდელით სარგებლობა. მართალია, სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას საჯარო მიზნების მიღწევა უმნიშვნელოვანესია, მაგრამ გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. პირველ რიგში, ხაზგასასმელია, რომ სახელმწიფოს კუთვნილი კერძო კომპანიების გამოყენება, როგორც წესი, ყველაზე უფრო „კერძო“ მეთოდია საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციაში მონაწილეობისა⁴⁰¹. ეს ნიშნავს, რომ თუკი საჯარო მიზნები კერძო ბიზნესის ეფექტურად მართვაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, უმჯობესია, გამოყენებული იყოს ამის სხვა მეთოდი⁴⁰², რომლებიც წინამდებარე ნაშრომში, ქვემოთ იქნება განხილული. გარდა ამისა, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ერთიანი მმართველობითი ორგანოს არსებობა არასაკმარისად ზრდის საჯარო მიზნების ეფექტურობას, ხოლო გაბნეული მართვის მოდელი შესამჩნევად აუმჯობესებს ხარისხიანი საკორპორაციო მმართველობის შედეგად არსებულ კომერციულ ასპექტებს⁴⁰³. აღნიშნულთა გათვალისწინებით, სწორედ დეცენტრალიზებული გზით, სხვადასხვა საჯარო ორგანოთა გამოყენებით კომერციული იურიდიული პირების სახელმწიფოს მიერ მართვა მიიჩნევა უპირატესად მოცემული ნაშრომის მიერ.

იმისდა მიუხედავად, თუ რა სახის ორგანოების მიერ იქნება დანიშნული საზოგადოების ხელმძღვანელობა, როგორც წესი, სახელმწიფოს კუთვნილი კომერციული პირის უშუალო მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები საჯარო მოხელეებს არ წარმოადგენენ⁴⁰⁴. საერთაშორისო დონეზე ყველაზე მეტად გავრცელებული მოდელით, საჯარო დაწესებულებების მიერ ხდება სამეთვალყურეო საბჭოს ან ექვივალენტური ორგანოს წევრთა შერჩევა, ხოლო, შემდგომ, სწორედ ისინი ნიშნავენ კომპანიის დირექტორს⁴⁰⁵⁻⁴⁰⁶. სამეთვალყურეო

⁴⁰¹ Alami, I. Dixon, A.D. State capitalism(s) redux? Theories, tensions, controversies. *Competition & Change*, 24.1. 2020. 70-94.

⁴⁰² Iwasaki, I. The Determinants of Board Composition in a transforming economy: Evidence from Russia. *Journal of Corporate Finance*, 14.5. 2008. 532-549.

⁴⁰³ Cossu, M.M. State-Appointed Directors, Related-Party Transactions and Corporate Opportunities in “Open” State-Owned Companies. *The Italian Law Journal*, 4.2. 2018. 557-588.

⁴⁰⁴ Shirley, M. Bureaucrats in business: The roles of privatization versus corporatization in state-owned enterprise reform. *World Development*, 27.1. 1999. 115-136.

⁴⁰⁵ Lopes Júnior, E.P. Camara, S.F. Rocha, L.G. Brasil, A. Influence of corruption on state-owned enterprise expenditures. *Brazilian Journal of Public Administration*, 52.4. 2018. 695-711.

⁴⁰⁶ Wang, J. The Political Logic of Corporate Governance in China's State-Owned Enterprises. *Cornell International Law Journal*, 47.3. 2014. 631-669.

საბჭო, რომელიც იშვიათადაა განსაკუთრებით აქტიური კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში⁴⁰⁷, ზოგჯერ საჯარო მოხელეებით კომპლექტდება (ან, შეიძლება, ასეთი საბჭოს წევრობა მთლიანად დამოკიდებული იყოს ამა თუ იმ საჯარო პოზიციის დაკავებაზე, და ვინც შესაბამის ვალდებულებას ასრულებს, ავტომატურად ხდება საბჭოს შემადგენელი ნაწილიც)⁴⁰⁸, თუმცა ხშირად სახეზეა დამოუკიდებელი წევრებიც (მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც)⁴⁰⁹.

სახელმწიფოს მიერ კორპორატიული მმართველობის ასე ირიბად განხორციელების შედეგად, ხშირად საჯარო ხელისუფლების კონტროლის ქვეშ არსებული კომპანიების დირექტორები საკმაოდ მაღალი ხარისხის დამოუკიდებლობით სარგებლობენ⁴¹⁰. ეს განსაკუთრებით მართალია მაშინ, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოში საჯარო მოხელეები უმრავლესობას არ ფლობენ, ან საერთოდ არ შედიან მასში⁴¹¹. ზოგ შემთხვევაში, საუბარი შეიძლება იმაზეც, რომ სახელმწიფოს კუთვნილი კერძო კომპანიების დირექტორები უფრო დამოუკიდებლები არიან, ვიდრე მთელი რიგი კერძო ბიზნესების მმართველი პირებისა (თუკი ისინი ამავდროულად თავადაც არ არიან აქციონერები)⁴¹². პრაქტიკაში, ეს ხშირად დადებითად აისახება კომერციული იურიდიული პირის წარმატებაზე, თუმცა გარკვეულწილად ხელს უშლის ერთიანი, სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულებას⁴¹³.

ზემოთ მოცემული შეიძლება, სახელმწიფოს კუთვნილი კომერციული იურიდიული პირების საქმიანობის ორგანიზაციული საკითხების ანალიზად იქნეს განხილული. ამავდროულად, მოცემულის შესწავლა წინამდებარე ნაშრომისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია, მოხდეს იმის შეფასება, თუ როდის, რა შემთხვევაში და რა მიზნებითაა უმჯობესი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სამეწარმეო საზოგადოებების გამოყენება, რათა უკეთ იქნეს მიღწეული როგორც კერძო, ისე საჯარო მიზნები და საჯარო ხელისუფლების მიერ

⁴⁰⁷ Goldeng, E. Grunfeld, L.A. Benito, G. The Performance Differential between Private and State Owned Enterprises: The Roles of Ownership, Management and Market Structure. *Journal of Management Studies*, 45.7. 2008. 1244-1273.

⁴⁰⁸ Matei, A. Drumasu, C. Corporate Governance and Public Sector Entities. *Procedia Economics and Finance*, 26. 2015. 495-504.

⁴⁰⁹ Mbecke, P. Corporate Municipal Governance for Effective and Efficient Public Service Delivery in South Africa. *Journal of Governance and Regulation*, 3.4. 2014. 98-106.

⁴¹⁰ Gnan, L. Hinna, A. Scarozza, D. Montaduro, F. SOEs ownership and control: Independence and competence of boards' members. *Corporate Ownership & Control*, 8.1. 2010. 720-740.

⁴¹¹ Khan, A. Tanveer, S. Malik, U. An empirical analysis of corporate governance and firm value: Evidence from KSE-100 Index. *Accounting*, 3. 2017. 119-130.

⁴¹² Sabbaghi, O. Corporate Governance in China: a Review. *The International Journal of Business in Society*, 16.5. 2016. 866-882.

⁴¹³ Cuervo-Cazurra, A. Thanks but No Thanks: State-Owned Multinationals From Emerging Markets and Host Country Policies. *Journal of International Business Policy*, 1.3. 2018. 128-156.

კომერციული საქმიანობის განხორციელების იურიდიული და ეკონომიკური შედეგები იყოს მაქსიმალურად პოზიტიური.

როდესაც სახელმწიფო ახორციელებს სამეწარმეო აქტივობას მის საკუთრებაში არსებული კომპანიის გამოყენებით, ასეთ დროს სახეზეა შედარებით უფრო კერძოსამართლებრივი ბუნების მქონე მოქმედება, ვიდრე იქნებოდა, მაგალითად, თუკი საჯარო ორგანო თავად, პირდაპირ ეცდებოდა, ბიზნესში ჩართული ყოფილიყო⁴¹⁴. სახელმწიფოს მიერ კერძოსამართლებრივი ინსტრუმენტის გამოყენებით, ის იტოვებს მხოლოდ მესაკუთრის როლს, ხოლო კომპანია, როგორც წესი, ფუნქციონირებს კომერციული მიზნების მისაღწევად⁴¹⁵. ეს ნიშნავს, რომ თუკი პრაქტიკა თეორიასთან შესაბამისობაშია (და პოლიტიკური მიზნებით არ ხდება კანონმდებლობისთვის გვერდის ავლა), სამეწარმეო საზოგადოებამ უნდა განახორციელოს საკუთარი ფუნქციების შესრულება ისე, როგორც მოიქცეოდა, თუკი მისი მესაკუთრე ჩვეულებრივი კომერსანტი იქნებოდა⁴¹⁶. შედეგად, ჯანსაღი მოწესრიგებისა და მათი პრაქტიკაში სწორად იმპლემენტაციის დროს, სახელმწიფოს კუთვნილი კერძო კომპანია მოქმედებს კომერციული მიზნების მისაღწევად, ხოლო საჯარო მიზნები ვლინდება მხოლოდ მისი დაფუძნების და საქმიანობის უზოგადეს მონახაზთან დაკავშირებით⁴¹⁷. შედეგად, თუკი სახელმწიფოს მიზანია, მაგალითად, ამა თუ იმ სერვისის საბაზრო ღირებულებაზე იაფად (ან საერთოდ უფასოდ) მიწოდება მოსახლეობისათვის, ეს უმჯობესია, არ განხორციელდეს კერძო კომპანიის დაფუძნებისა და მისი შესაბამის სფეროში მოღვაწეობის გზით, რადგანაც სამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც საჯარო მიზნებით გაუმართლებელ კომერციულ ნაბიჯებს დგამს, ან კოტრდება, ანაც საკუთარ არსს ეწინააღმდეგება⁴¹⁸. იმავეს თქმა შეიძლება, მაგალითად ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებითაც, რომლებიც, სახელმწიფოს ფუნქციებიდან გამომდინარე, საჭიროა, თუმცა მათი პრაქტიკაში გამტარებელი კომპანიისათვის კომერციული თვალსაზრისით გაუმართლებელია.

მეორემხრივ, როდესაც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანია ფუძნდება ისეთ სფეროში, რომელსაც ინვესტიცია სჭირდება, თუმცა სწორი

⁴¹⁴ Wang, J. The Political Logic of Corporate Governance in China's State-Owned Enterprises. *Cornell International Law Journal*, 47.3. 2014. 631-669.

⁴¹⁵ Roper, J. Schoenberger-Orgad, M. State-Owned Enterprises: Issues of Accountability and Legitimacy. *Management Communication Quarterly*, 25.4. 2011. 693-709.

⁴¹⁶ Melnyk, A. Tynska, I. Genesis of State Entrepreneurship in Ukraine and the World: From Privatization to Internationalization. *Journal of European Economy*, 16.1. 2017. 86-109.

⁴¹⁷ Akdogan, Y.E. Boyacioglu, M.A. The effect of corporate governance on firm performance: a case of Turkey. *International Journal of Critical Accounting*, 6.2. 2014. 187-210.

⁴¹⁸ Kucher, A. Mayr, S. Mitter, C. Duller, C. Feldbauer-Durstmüller, B. Firm age dynamics and causes of corporate bankruptcy: age dependent explanations for business failure. *Review of Managerial Science*, 14. 2020. 633-661.

მმართველობისა და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში, მომგებიანი შეიძლება, იყოს, ის შედარებით უფრო ხშირად აღწევს წარმატებას⁴¹⁹. როდესაც კერძო კომპანიას, თუნდაც მისი ერთადერთი აქციონერი სახელმწიფო იყოს, ეძლევა საშუალება, იმოქმედოს, როგორც მეწარმემ, მის მიერ დასახული მიზნების მიღწევა ბევრად უფრო რეალისტური ხდება⁴²⁰. ასეთ დროს, რეალისტურად, შეიძლება ბიზნესის წარმატების პარალელურად, სახეზე იყოს ეკონომიკის სტიმულირება, ან სტრატეგიული სექტორის განვითარება, რაც კომერციულ ფუნქციასთან ერთად სახელმწიფოს ლეგიტიმური საჯარო მიზნის მიღწევისადაც გამოიწვევს.

შედეგად, მიიღება რეალობა, რომელშიც თუკი სახელმწიფო სურს, მის კონტროლს დაქვემდებარებულმა სამეწარმეო ორგანიზაციამ წარმატებას მიაღწიოს, მან უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ საჯარო ფუნქციები, არამედ ყურადღება მიაქციოს იმას, რომ კომპანია საკუთარ, კომერციულ დანიშნულებასაც ემსახურებოდეს. თუკი კერძო სამართლის იურიდიული პირი ვერ შეძლებს, გარკვეულწილად მაინც ორიენტირდეს მოგებაზე, ის, დიდი ალბათობით, კრახს განიცდის, რაც მის მიერ საჯარო მიზნების მიღწევისადაც გამორიცხავს. ამავდროულად, ისიც მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ არ დაივიწყოს მის მიერ ბიზნესში აქტიური ჩარევისათვის ლეგიტიმური საბაზის აუცილებლობა. სწორედ ამის შედეგია, რომ საჯარო ორგანოების მიერ კომერციაში მონაწილეობა საკმაოდ საფრთხილო საკითხია და აუცილებელია სახელმწიფოებრივი და კერძოსამართლებრივი მიზნების მაქსიმალურად ეფექტურად დაბალანსება, რათა არც ერთმა არ გადაწონოს მეორე და არასათანადოდ დიდი როლი არ ითამაშოს სახელმწიფოს კუთვნილი კომერციული იურიდიული პირის ფუნქციონირებაში.

ზემოთ განხილულის გათვალისწინებით, შეიძლება იმაზე საუბარი, რომ ხელისუფლების ორგანოთა მიერ კომპანიის დაფუძნებისას და მისი საქმიანობის დაწყებისას, აუცილებელია, სახეზე იყოს შესაბამისი ლეგიტიმური საჯარო მიზანი. ამავდროულად, საზოგადოების საქმიანობა ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ მისი მართვა კომერციულ საწყისებზე დაყრდნობით ხდებოდეს. ბიზნესი ბიზნესად უნდა დარჩეს და წარმატება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუკი სახელმწიფო ინვესტიციას მომგებიან ბიზნესში ჩადებს, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება საჯარო მიზნების მიღწევა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლოა, გაჩნდეს კითხვა, თუ საერთოდ რა საჭიროა სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო იურიდიული პირის დაფუძნება და

⁴¹⁹ O'Toole, C.M. Morgenroth, E.L.W. Thuy, H.T.T. Investment efficiency, state-owned enterprises and privatization: Evidence from Viet Nam in Transition. *Journal of Corporate Finance*, 37. 2015. 93-108.

⁴²⁰ Bortolotti, B. Fotak, V. Megginson, W. L. The Sovereign Wealth Fund discount: Evidence from public equity investments. *The Review of Financial Studies*, 28.11. 2015. 2993-3035

მართვა, თუკი ეს მისაღებია მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაბამისი ბიზნესი წარმატებულია. თუკი ინვესტიცია გამართლებულია და ამას საჯარო ხელისუფლება ხედავს, რატომ არ შეიძლება, იგივე შედეგები მისი ჩარევის გარეშე განხორციელდეს? ერთი მხრივ, სახელმწიფოს გარეშე თავისუფალი ბაზარი, როგორც წესი, კარგად ხედავს შესაძლებლობებს⁴²¹. მეორე მხრივ კი, რადგანაც საჯარო ორგანოთა კერძო ბიზნესში ჩარევა ამის აუცილებლობის გარეშე არასასურველ მოვლენად განიხილება⁴²², თუნდაც წარმატების შანსს მხოლოდ ის ხედავდეს, სახელმწიფოს არაფერი უნდა უშლიდეს ხელს, შესაძლებლობაზე ინფორმაცია კერძო სექტორს მიაწოდოს. ამიტომ, აუცილებელია იმის განმარტება, თუ რა შემთხვევაშია ხელისუფლების მიერ კომერციული საზოგადოების დაფუძნება და მისი აქტიურად გამოყენება მისაღები.

რადგანაც როდესაც ერთი და იმავე მიზნის მიღწევა სახელმწიფოს ჩართულობის გარეშე ისევე შეიძლება, როგორც მისი მონაწილეობით, საჯარო ხელისუფლებისაგან სწორ მოქმედებად გვერდზე გადგომა განიხილება, საჭიროა, შეფასდეს, თუ როდის აქვს საჯარო ორგანოებს უნიკალური შესაძლებლობა, მიიღონ შედეგი, რომელამდე მისვლაც არ ძალუძს კერძო სექტორს. ასეთი შემთხვევები მთლიანად სახელმწიფოს ბუნებიდან გამომდინარეობს და მათი შეფასების მიზნით საჭიროა იმის განხილვა, თუ რა კონკურენტული უპირატესობა გააჩნია ხელისუფლებას კომერციულ საქმიანობაში ჩართულ სხვა პირებთან მიმართებაში.

აღნიშნული ანალიზის თვალსაზრისით ძირითადი განმასხვავებელი თვისება, რომელიც სახელმწიფოს, კერძო სექტორისაგან განსხვავებით, გააჩნია, არის მისი წვდომა საჯარო ფინანსებთან. სახელმწიფოს შეუძლია, დააფინანსოს განსაკუთრებით დიდი მოცულობის პროექტები⁴²³. მნიშვნელოვანია ის, რომ ხშირად სახელმწიფოს საჭირო ინვესტიციის მოზიდვა გარედან საერთოდ არ სჭირდება, რაც მას ათავისუფლებს დამატებითი ხარჯებისაგან (როგორცაა, მაგალითად, სესხზე პროცენტის გადახდის საჭიროება)⁴²⁴. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ხელისუფლებას არ გააჩნია თავისუფალი თანხები, მისთვის ხელმისაწვდომია შედარებით უფრო ადვილი მეთოდები ასეთი ფინანსების შესაგროვებლად (მაგალითად, ფასიანი ქაღალდების გამოცემა)⁴²⁵, რაც ზოგიერთი

⁴²¹ Buckley, P.J. Prashantham, Global Interfirm Networks: The Division of Entrepreneurial Labor between MNEs and SMEs. *Academy of Management Perspectives*, 30.1. 2016. 40-58.

⁴²² Sam, C. Understanding the Relationship between the Government and Sovereign Wealth Funds: The Case of Singapore. *New Zealand Journal of Asian Studies*, 14.2. 2012. 86-104.

⁴²³ Klakegg, O.J. Governance of major public investment projects: in pursuit of relevance and sustainability. *International Journal of Managing Projects in Business*, 4.1. 2011. 157-167.

⁴²⁴ Kamiguchi, A. Tamai, T. Public investment, public debt, and population aging under the golden rule of public finance. *Journal of Macroeconomics*, 60. 2019. 110-122.

⁴²⁵ Livingston, M. Poon, W.P.H. Zhou, L. Are Chinese credit ratings relevant? A study of the Chinese bond market and credit rating industry. *Journal of Banking and Finance*, 87. 2018. 216-232.

ინვესტორისათვის შეიძლება, არც იყოს რეალისტური. საბოლოოდ კი, თუკი საჭირო გახდება სესხის აღება, სახელმწიფოს, ხშირად, სესხის გადახდა უფრო იაფი უჯდება, ვიდრე კერძო სექტორს, რაც, პრაქტიკაში, მის მიმართ დარიცხული შედარებით ნაკლები პროცენტის გათვალისწინებით ხდება⁴²⁶. ამიტომ, როდესაც საჭიროა განსაკუთრებით დიდი ინვესტიცია, რაც იწვევს კერძო სექტორის მიერ შესაბამის პროექტზე უარის თქმას, საჯარო ორგანოთა მიერ საკუთარ კუთვნილებაში არსებული კომერციული იურიდიული პირების გამოყენება და შესაბამის ბიზნესში ჩართულობა ნამდვილად შეიძლება, პოზიტიურ ნაბიჯად ჩაითვალოს.

გარდა იმისა, რომ სახელმწიფოსთვის შესამჩნევად უფრო ადვილია დიდი ოდენობის თანხების მოძიება, ასევე მნიშვნელოვანია, რომ საჯარო ხელისუფლებას შედარებით უფრო დიდხანს შეუძლია ლოდინი, სანამ ბიზნესი მომგებიანი გახდება. თუნდაც კომერციული საქმიანობა საწყის ეტაპზე მხოლოდ ზარალს იწვევდეს, საჯარო ფინანსებზე წვდომის ფაქტი, როგორც წესი, ნიშნავს, რომ გაკოტრების რისკი სახელმწიფოს ნაკლებად ემუქრება⁴²⁷. რა თქმა უნდა, როგორც უკვე იქნა წინამდებარე ნაშრომში განხილული, ხელისუფლების ორგანოთა მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას აუცილებელია, მათი კუთვნილი კერძო კომპანიების ფუნქცია წარმატებული ბიზნესის მართვა იყოს, თუმცა, ამავდროულად, დრო მათთვის ნაკლებად წარმოადგენს საფრთხეს კერძო სექტორთან შედარებით. აღნიშნულის ნაწილად შეიძლება, ჩაითვალოს ისიც, რომ სახელმწიფოს კონტროლქვეშ არსებული წარმონაქმნები, რეალურად, დაცული არიან იმ ორი დიდი საფრთხისაგან, რომელიც მუდმივად ემუქრება კერძო ბიზნესს - გაკოტრება და კონკურენტის მიერ მისი შესყიდვა⁴²⁸.

შესაბამისად, სახელმწიფოს აქვს იმის ფუფუნება, რომ ინვესტიცია ჩადოს ისეთ სექტორში ან ისეთ კონკრეტულ წამოწყებაში, რომლის მიერ მოგების მოტანაც შესაძლოა, კიდევ წლების განმავლობაში არ იყოს მოსალოდნელი⁴²⁹. მსგავსი მდგომარეობა ასევე ისეთ სფეროებში, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივებში მომგებიანია, თუმცა, მანამდე, მნიშვნელოვან კვლევებს ან ტექნოლოგიურ განვითარებას საჭიროებენ⁴³⁰. ასეთ შემთხვევებში, ხშირად, შესაბამისი ბიზნესი საჯარო მონაწილეობის გარეშე ვერ იქცეოდა რეალობად და, შედეგად,

⁴²⁶ Holmström, B. Tirole, J. Financial Intermediation, Loanable Funds, and the Real Sector. *The Quarterly Journal of Economics*, 112.3. 1997. 663-691.

⁴²⁷ Rahman, F. Defeating or delaying the defaults: bailout strategy of the Chinese government for its state-owned enterprises on their bond payments. *Journal of Chinese Governance*, 3.1. 2017. 1-15.

⁴²⁸ Kloviene, R. Gumzauskiene, E. Performance measurement model formation in state-owned enterprises. *Procedia - Social and Behavioral Sciences*, 156. 2014. 594-598.

⁴²⁹ Benito, G.R.G. Rygh, A. Lunnan, R. The Benefits of Internationalization for State-Owned Enterprises. *Global Strategy Journal*, 6.4. 2016. 269-288.

⁴³⁰ Ruiqi, W. Wang, F. Xu, L. Yuan, C. R&D expenditures, ultimate ownership and future performance: Evidence from China. *Journal of Business Research*, 71. 2017. 47-54.

სახელმწიფოს მიერ ასეთ წამოწყებაში მონაწილეობა ცალსახად შეიძლება, გამართლებულ ქმედებად იქნეს განხილული.

კიდევ ერთი უპირატესობა, რომელიც სახელმწიფოს გააჩნია, არის ის, რომ რადგანაც მის მიერ სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობისას სახეზეა არა მხოლოდ კომერციული, არამედ საჯარო მიზანიც, ამ ორი ფუნქციის კომბინირებისას მისთვის შედარებით უფრო ადვილია, რისკი გაწიოს⁴³¹. მხოლოდ მოგების მიღების მიზნით, შეიძლება, კერძო სექტორმა სარისკო ინვესტიციის განხორციელება მიუღებლად ჩათვალოს, თუმცა როდესაც ასეთ შესაძლებლობას საყოველთაო კეთილდღეობის დონის ამაღლების შესაძლებლობაც ემატება, სახელმწიფო და მის საკუთრებაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირები შედარებით უფრო ადვილად გადადგამენ საჭირო ნაბიჯებს, რათა სარისკო, მაგრამ პოტენციურად მომგებიანი სამეწარმეო მოქმედებები განხორციელდეს⁴³². შედეგად, განსაკუთრებით მაშინ, თუკი შესაძლო საჯარო სიკეთე განსაკუთრებით მაღალი ღირებულებისაა, ხელისუფლების მიერ სწორი ნაბიჯი იქნება სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ისეთი რისკების გაწევა, რომელსაც კერძო ბიზნესი ნაკლებად გაბედავდა.

საბოლოოდ, ასევე ზოგჯერ არსებობს შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოს წვდომა აქვს ისეთ ადამიანურ რესურსებზე, რომლებიც ბიზნესის წარმატებისთვის აუცილებელია, თუმცა იგივე კერძო სექტორისთვის არ არის ხელმისაწვდომი⁴³³. ასეთი შემთხვევები ხშირი არ არის, თუმცა მათი არსებობისას ნამდვილად შეიძლება, ითქვას, რომ ასეთ დროს სახელმწიფოს მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელება მისაღებია.

შედეგად, აშკარაა, რომ მართალია, სახელმწიფოს კუთვნილი კერძო კომპანიების მოქმედება ყოველთვის სასურველი არაა და ზოგჯერ ნამდვილად, შეიძლება, უმჯობესი ყოფილიყო, ხელისუფლება არ ჩარეულიყო და თავისუფალ ბაზარს განეხორციელებინა შესაბამისი ბიზნესი, მაგრამ საჯარო კუთვნილებაში არსებულ კომპანიებსაც აქვთ არსებობის უფლება. სახელმწიფო უნიკალური წარმონაქმნია და, თუკი მისი განსხვავებულობა სწორად იქნება გამოყენებული, შედეგად მიიღება სწორად განხორციელებული ინვესტიციები და საყოველთაო კეთილდღეობის დონის მაქსიმალურად გაზრდა.

⁴³¹ Rygh, A. Welfare effects of state-owned multinational enterprises: A view from agency and incomplete contracts theory. *International Journal of Public Sector Management*, 31.2. 2018. 207-220.

⁴³² Herranz, N. Krasa, S. Villamil, A.P. Entrepreneurs, Risk Aversion, and Dynamic Firms. *Journal of Political Economy*, 123.5. 2015. 1133-1176.

⁴³³ Sutyono, W. Human Resource Management in State-Owned and Private Enterprises in Indonesia. *Bulletin of Indonesian Economic Studies*, 47.3. 2007. 377-394.

ყოველივე ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, შეიძლება, მოხდეს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კერძო კომპანიების მიმართ შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- ისინი ფართოდ გამოყენებადი და უაღრესად დიდი გავლენის მქონე წარმონაქმნებია, ამიტომ აუცილებელია, მათთან დაკავშირებით სწორად მოხდეს ნაბიჯების გადადგმა;
- უმჯობესია, მათი მართვა მოხდეს პოლიტიკისგან იზოლირებულად, დეცენტრალიზებული მოდელით, შესაბამის სფეროში მოქმედი საჯარო ორგანოების მიერ;
- სასურველია, სახელმწიფო ნაკლებად აქტიურად მონაწილეობდეს საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობაში და მეტი დამოუკიდებლობა მიანიჭოს მის სამართავად დანიშნულ პირებს;
- მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს კუთვნილი კომერციული პირები პირველ რიგში საკუთარ, სამეწარმეო მიზნებს ემსახურებოდნენ, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს საჯარო ფუნქციების სრულიად იგნორირების ხარჯზე;
- რადგან სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს ბიზნესში ამის საჭიროების გარეშე, საჯარო საკუთრებაში არსებული კომერციული პირები უნდა მოქმედებდნენ მაშინ, როდესაც ეს ლოგიკურად გამომდინარეობს სახელმწიფოს, როგორც უნიკალური წარმონაქმნის კონკურენტული უპირატესობისგან.

იმ შემთხვევაში, თუკი გათვალისწინებული იქნება მოცემული რჩევები, წინამდებარე ნაშრომის პოზიციაა, რომ მიღწეული იქნება წარმატება სახელმწიფოს კუთვნილი კერძო კომპანიების საქმიანობასთან დაკავშირებით. მოცემული, რა თქმა უნდა, უზოგადეს მონახაზს წარმოადგენს, თუმცა მათი საწინააღმდეგო ნაბიჯების გადადგმა გამოიწვევს საფრთხეს, რომ სახეზე იყოს არასასურველი, და, შესაძლოა, დამღუპველი შედეგები. სახელმწიფოს კუთვნილი კერძო კომპანიები არის ინსტრუმენტები, რომელთაც შეუძლიათ, უდიდესი სიკეთე მოუტანონ ხელისუფლებასა და საზოგადოებას, ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს მათით ეფექტური სარგებლობა, რათა სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი, საყოველთაო კეთილდღეობა, კიდევ უფრო მიღწევადი გახდეს.

3.1.2. სახელმწიფო საინვესტიციო ფონდები

საინვესტიციო ფონდი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კერძო კომპანიის ნაირსახეობა⁴³⁴⁴³⁵, რომლების დანიშნულებაც მოიცავს ხელისუფლების სხვადასხვა კომერციული საქმიანობის ხელშეწყობას, მისი შემოსავლისა და ქონების მართვასა და ხელისუფლების მიერ მისაღები შემოსავლის შეძლებისდაგვარად გაზრდას⁴³⁶. საინვესტიციო ფონდები ცალკე უნდა იყოს განხილული, რადგანაც ისინი საჯარო კუთვნილებაში მყოფი კომერციული საზოგადოების განსაკუთრებული ტიპია, რომლის როლი და გამოყენების ოპტიმალური გზებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა სახის სახელმწიფო კომპანიებისაგან⁴³⁷⁴³⁸. შესაბამისად, წინამდებარე ქვეთავში წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო საინვესტიციო ფონდებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დეტალების კრიტიკული ანალიზი.

სახელმწიფო საინვესტიციო ფონდების (რომლებიც ხშირად მოიხსენიება, როგორც სუვერენული საინვესტიციო ფონდები ან სუვერენული ქონების ფონდები⁴³⁹) ისტორია შესამჩნევად უფრო ხანმოკლეა, ვიდრე ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მყოფი კერძო კომპანიებისა და, მისი თანამედროვე ფორმით, მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან იწყება. ისინი განსაკუთრებით პოპულარული გახდა ისეთ სახელმწიფოებში, რომლებიც შემოსავალიც ძირითადად ერთ რესურსზე იყო დამოკიდებული (მაგალითად, ნავთობი ან ბუნებრივი გაზი). შედეგად, ასეთი ქვეყნების ეკონომიკა ბაზრის ცვალებადობასთან ერთად მნიშვნელოვან რყევებს განიცდიდა, რაც, ბუნებრივია დისკომფორტს იწვევდა. სწორედ ამიტომ, შემოსავლის დივერსიფიკაციისა და გრძელვადიან პერსპექტივებში სტაბილურობის დონის გაზრდის მიზნით

⁴³⁴ რამიშვილი, ა. ინსტიტუციური ინვესტორების აქციონერული აქტივიზმის ადგილი კორპორაციული მართვის ქართულ სისტემაში და მისი გავლენა საერთაშორისო შერწყმის გარიგებებზე. სამართლის ჟურნალი, 15.1. 2016. 115-132.

⁴³⁵ Haberly, D. Strategic sovereign wealth fund investment and the new alliance capitalism: A network mapping investigation. *Environment and Planning A: Economy and Space*, 43.8. 2011. 1833–1852.

⁴³⁶ Schwartz, H. Political Capitalism and the Rise of Sovereign Wealth Funds. *Rutledge Globalizations Journal*, 9.4. 2012. 517-521.

⁴³⁷ Murtinu, S. Scalera, V.G. Sovereign Wealth Funds' Internationalization Strategies: The Use of Investment Vehicles. *Journal of International Management*, 22.3. 2016. 249-264.

⁴³⁸ ჯიბუტი, ს. მოკლე და მარტივი ინფორმაცია, როგორც „ევროპული პანაცეა“, მცირე ინვესტორების დაცვისა და მათი საინვესტიციო გადაწყვეტილების გაუმჯობესებისათვის. სამართლის ჟურნალი, 13.1. 2015. 300-313.

⁴³⁹ Cieslik, E. Investment strategy of sovereign wealth funds from emerging markets: the case of China. *Bulletin of Geography. Socio-economic Series*, 24. 2014. 27-40.

განხორციელდა პირველი სახელმწიფო საინვესტიციო ფონდების ჩამოყალიბება⁴⁴⁰.

ისტორიის ანალიზიდანვე ჩანს სახელმწიფო საინვესტიციო ფონდების პირველი მნიშვნელოვანი სპეციფიკა - მათი მიზანი. როგორც ზემოთ იქნა განხილული, სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად ლეგიტიმური წინაპირობაა აუცილებელი, და მათი სია ასე თუ ისე ამომწურავია, თუმცა სუვერენული ფონდების შემთხვევაში მათთან დაკავშირებით არსებული სტანდარტული დანიშნულება შედარებით განსხვავებულია. სახელმწიფო საინვესტიციო ფონდები, ძირითადად, ორიენტირებულია იმაზე, რომ შეამციროს ეროვნული ეკონომიკის დამოკიდებულება ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ რესურსზე⁴⁴¹. ამავდროულად, ფონდები ცდილობენ, ისე განახორციელონ საკუთარი საქმიანობა, რაც სხვადასხვა ბიზნესებსა და ქონებაში ინვესტიციას მოიცავს⁴⁴², რათა მაქსიმალურად უზრუნველყონ ეროვნული ეკონომიკის სტაბილური მომავალი⁴⁴³.

შედეგად, შეიძლება, დაისვას კითხვა, ხომ არ უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო საინვესტიციო ფონდები მოცემულ ნაშრომში ზემოთ უკვე განხილული ლეგიტიმური მიზნის თეორიიდან. აკადემიურ ლიტერატურაში ნამდვილად არსებობს მიდგომები, რომელთა თანახმადაც სუვერენულ ფონდებს არ მოეთხოვებათ რაიმე დამატებითი საჯარო მიზნის ქონა⁴⁴⁴ და რომ მათი ფუნქცია მხოლოდ სახელმწიფოს ქონების ჭკვიანური ინვესტიციაა⁴⁴⁵. წინამდებარე ნაშრომი არ იზიარებს ამ მოსაზრებას ქვემოთ წარმოდგენილი დასაბუთებიდან გამომდინარე.

პირველ რიგში, ხაზგასასმელია, რომ სახელმწიფო საინვესტიციო ფონდები, საკუთარი კლასიკური ფუნქციის განხორციელებისას (ანუ სახელმწიფოს ხელთ არსებული კაპიტალის ამა თუ იმ კერძო კომპანიის წილის შესაძენად გამოყენებისას), იშვიათად მონაწილეობენ განსაკუთრებით აქტიურად მათ

⁴⁴⁰ Boscoianu, M. Costea, M. Codreanu, A. Sovereign Investment Funds and the Globalization of Tourism. Discussions on Romania's Case. Journal of Defense Resources Management, 6.1. 2015. 85-96.

⁴⁴¹ Ojibara, I. Sovereign Wealth Fund in Nigeria: Problems, Prospects and Challenges. Afro Asian Journal of Social Sciences, 8.1. 2017. 1-22.

⁴⁴² Kratsas, G. Truby, J. Regulating Sovereign Wealth Funds to Avoid Investment Protectionism. Journal of Financial Regulation, 1.1. 2015. 95-134.

⁴⁴³ Martinek, S. The investment strategies of sovereign wealth funds: A reverse engineered pitch. Journal of Accounting and Management Information Systems, 16.4. 2017. 648-656

⁴⁴⁴ Clark, G.L. Monk, A.H.B. Pension Reserve Funds: Aligning Form and Function. Rotman International Journal of Pension Management, 4.2. 2011. 18-25.

⁴⁴⁵ Okechukwu, I.K. Ndidi, N.C. Sovereign wealth fund (SWF): a tool for diversifying Nigeria's emerging economy. Arts & Humanities Open Access Journal, 4.4. 2020. 134-141.

საკუთრებაში არსებული ბიზნესების მართვის პროცესში⁴⁴⁶. ისინი, ხშირად, უბრალოდ ინვესტიციას დებენ ამა თუ იმ კომპანიაში და დივიდენდების შეგროვების გზით იღებენ შემოსავალს⁴⁴⁷, თუმცა ნაკლებად არიან ჩართული კორპორატიულ მმართველობაში⁴⁴⁸. ამასთან, ზემოთ მოყვანილი დივერსიფიკაციის დანიშნულების შესრულებისას, სუვერენული ფონდების მიერ იშვიათად ხორციელდება საკონტროლო პაკეტის შექმნა⁴⁴⁹ და ისინი, როგორც წესი, მინორიტარ აქციონერებად ან მსგავს მდგომარეობაში მყოფ სხვა სახის მეწილეებად გვევლინებიან⁴⁵⁰. ამიტომ, შეიძლება იმაზე საუბარიც, რომ თუკი მხოლოდ მოცემულ მიზანს ასრულებს ფონდი, ის, რეალურად, საერთოდ არ არის მეწარმე და მის ქმედებებს არ მოჰყვება ის იურიდიული და ეკონომიკური შედეგები, რომლებიც წინამდებარე ნაშრომის განხილვის სფეროა.

ამავდროულად კი, უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შესაძლებელია საუბარი სახელმწიფო საინვესტიციო ფონდების მიერ საკუთარი კლასიკური დანიშნულების შესრულებისასაც ზემოთ განხილული ლეგიტიმური მიზნის შესრულებაზე. წინამდებარე ნაშრომის პოზიციას, რომ სუვერენული ფონდების საქმიანობის კლასიკური ფორმის განხორციელების დროს სახეზეა ეკონომიკის სტრატეგიული მიმართულების განვითარების მიზნის შესრულება. რეალურად, როდესაც სახელმწიფოს შემოსავალი მთლიანად ან ძირითადად გამომდინარეობს ერთი ან რამდენიმე რესურსისაგან, ეს ცალსახად პრობლემური საკითხია⁴⁵¹ და, გრძელვადიან პერსპექტივებში, აუცილებელია მოხდეს შემოსავლის დივერსიფიკაცია⁴⁵², რაც ნიშნავს, რომ ნებისმიერი სექტორი, რომელიც ამ პრობლემის მოგვარებას ხელს შეუწყობს, სტრატეგიულად უნდა იყოს ჩათვლილი. ამა თუ იმ სტრატეგიული სფეროს განვითარება შეიძლება, განიმარტოს, როგორც ახალი სექტორის შექმნა ან უკვე არსებული, თუმცა

⁴⁴⁶ Boubakri, N. Cosset, J. Grira, J. Sovereign Wealth Funds Investment Effects on Target Firms' Competitors. *Emerging Markets Review*, 30. 2017. 96-112.

⁴⁴⁷ Mietzner, M. Schierek, D. Schweizer, D. The Role of Sovereign Wealth Funds as Activist or Passive Fund Managers. *Journal of Asset Management*, 16.5. 2015. 1-21.

⁴⁴⁸ Hemphill, T. Sovereign wealth funds: National security risks in a global free trade environment. *Thunderbird International Business Review*, 51.6. 2009. 551-566.

⁴⁴⁹ Hatton, K. Pistor, K. Maximizing Autonomy in the Shadow of Great Powers: The Political Economy of Sovereign Wealth Funds. *Columbia Journal of Transnational Law*, 50. 2011. 1-81.

⁴⁵⁰ Winston, E. Managerial Fixation and the Limitations of Shareholder Oversight. *Hastings Law Journal*, 71.3. 2020. 699-748.

⁴⁵¹ Nusair, S. The effects of oil price shocks on the economies of the Gulf Co-operation Council countries: Nonlinear analysis. *Energy Policy Journal*, 91. 2016. 256-267.

⁴⁵² Akoum, I. Graham. M. Kivihaho, J. Nikkinen, J. o-movement of oil and stock prices in the GCC region: A wavelet analysis. *The Quarterly Review of Economics and Finance*, 52.4. 2012. 385-394.

არასაკმარისად ეფექტურად მოქმედი სფეროს წინ წამოწევა⁴⁵³⁴⁵⁴. შედეგად, ინვესტირება ისეთ სფეროში, რომელიც არსებულ ეტაპზე სუსტია, ხოლო ინვესტიციის წყალობით სახელმწიფოსთვის შემოსავლის დივერსიფიკაციის წყაროდ იქცევა, უნდა იქნეს განხილული, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის ეკონომიკური მიმართულების განვითარება. ამიტომ, სახელმწიფო ფონდების მიერ ამა თუ იმ სექტორში ინვესტირება ვერ ჩაითვლება, როგორც უბრალოდ შემოსავლის მიღების სურვილით განხორციელებული ქმედება და, შედეგად, ასეთ ნაბიჯებს ნამდვილად გააჩნიათ წინამდებარე ნაშრომში უკვე განხილული ლეგიტიმური მიზანი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მაგალითის სახით შეიძლება, მოყვანილი იქნას საქართველოს სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი - სს „საპარტნიორო ფონდი“. მისი წესდების ტექსტში პირდაპირ ჩანს, რომ იგი არ არის უბრალოდ კერძო კომპანია კერძოსამართლებრივი ფუნქციებით. სანაცვლოდ, წესდებაში მოცემულია, რომ კომპანიის მიზანია ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტირების ხელშეწყობა, სამუშაო ადგილების შექმნა შეფერხებული პროექტების დასრულებისათვის ხელის შეწყობა და სხვა⁴⁵⁵. შედეგად, მოცემულ შემთხვევაშიც ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ სახეზეა წინამდებარე ნაშრომით მიერ ასეთად მიჩნეული ლეგიტიმური მიზანი. თუმცა, რა თქმა უნდა, წესდებაში ჩანაწერის არსებობა არ უნდა ჩაითვალოს იმის გარანტიად, რომ პრაქტიკაში კომპანიის ყველა მოქმედება სწორედ ამ ლეგიტიმურ დანიშნულებას ემსახურება.

სახელმწიფო საინვესტიციო ფონდების მიერ საკუთარი საქმიანობის განხორციელების ლეგიტიმური მიზნის დადგენის შემდეგ, საჭიროა, განხილული იყოს მათი მოღვაწეობის ორგანიზაციული საკითხები. განსხვავებით ზოგადი კომერციული იურიდიული პირებისაგან, ხელისუფლების ორგანოთა ხელში, როგორც წესი, მხოლოდ ერთი⁴⁵⁶ ან, იშვიათ შემთხვევაში, რამდენიმე საინვესტიციო ფონდია⁴⁵⁷. მეორეხრივ, მაშინ, როდესაც სახელმწიფო კომპანია შეიძლება, საკმაოდ მცირე მასშტაბებზე მოქმედებდეს⁴⁵⁸ და პატარა მოთამაშედ

⁴⁵³ O'Toole, C.M. Morgenroth, E.L.W. Thuy, H.T.T. Investment efficiency, state-owned enterprises and privatization: Evidence from Viet Nam in Transition. *Journal of Corporate Finance*, 37. 2015. 93-108.

⁴⁵⁴ Singh, J.N. Chen, G.C. State-owned enterprises and the political economy of state-state relations in the developing world. *Third World Quarterly*, 39.6. 2018. 1077-1097.

⁴⁵⁵ საქართველოს მთავრობის დადგენილება „სს „საპარტნიორო ფონდის“ წესდების დამტკიცებისა და კაპიტალის ფორმირების შესახებ“. 230. 02.06.2011. მუხლი 1.

⁴⁵⁶ Jensen, O.A. An analysis of sovereign wealth and pension funds' ethical investment guidelines and their commitment thereto. *Journal of Sustainable Finance & Investment*, 3. 2013. 264-282.

⁴⁵⁷ Scherer, B. Asset Allocation with Shadow Assets. *The Journal of Wealth Management*, 15.3. 2012. 30-35.

⁴⁵⁸ Wong, C.P.W. The economics of shortage and problems of reform in Chinese industry. *Journal of Comparative Economics*, 10.4. 1986. 363-387.

გვევლინებოდეს⁴⁵⁹, სუვერენული ფონდები ხშირად უზარმაზარი საინვესტიციო პორტფოლიოს მქონე კორპორაციების სახეს იღებენ⁴⁶⁰⁴⁶¹. შედეგად, მათი შედარებით მცირე რაოდენობის მიუხედავად, ფაქტად რჩება ის, რომ სახელმწიფო საინვესტიციო ფონდებს უზარმაზარი გავლენა აქვთ მსოფლიო ეკონომიკაზე⁴⁶² და მათი შესწავლა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობისაა.

სახელმწიფო საინვესტიციო ფონდები, ძირითადად, ცენტრალური ხელისუფლების მიერ ყალიბდება⁴⁶³ და იმართება⁴⁶⁴. მართალია, არსებობს ქვეყნის შიდა, რეგიონული საინვესტიციო ფონდებიც, თუმცა ისინი იშვიათობას წარმოადგენენ⁴⁶⁵. შედეგად, მცირე გამოწვევების გარდა, წინამდებარე ნაშრომში განხილული ყველა სუვერენული ფონდი შესაბამისი სახელმწიფოს ცენტრალური საჯარო ორგანოების დაქვემდებარებაში მყოფ წარმონაქმნებად უნდა იქნეს ჩათვლილი.

სახელმწიფო ორგანოების მიერ საინვესტიციო ფონდების მართვის მექანიზმები ფუნდამენტურად არ განსხვავდება ხელისუფლების კონტროლქვეშ არსებული სხვა კომერციული იურიდიული პირების მმართველობისაგან⁴⁶⁶. თუმცა, მათი სპეციფიური ბუნებიდან გამომდინარე, არსებობს რამდენიმე განმასხვავებელი თვისებაც, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკაში სტანდარტულად გვხვდება.

პირველ რიგში, არ დგას საკითხი, თუ როგორ, რა ორგანოების მიერ უნდა იყოს მართული საინვესტიციო ფონდები. იმის გამო, რომ, როგორც უკვე ითქვა, პრაქტიკაში, თითოეულ სახელმწიფოს ერთი ან რამდენიმე სუვერენული ფონდი

⁴⁵⁹ Tseo, G.K.Y. Sheng, H.G. Peng-Zhu, Z. Lihai, Z. Employee Ownership and Profit Sharing as Positive Factors in the Reform of Chinese State-Owned Enterprises. *Economic and Industrial Democracy Journal*, 25.1. 2004. 147-177.

⁴⁶⁰ Alhashel, B. Sovereign Wealth Funds: A literature review. *Journal of Economics and Business*, 78. 2015. 1-13.

⁴⁶¹ Bernstein, S. Lerner, J. Schoar, A. The Investment Strategies of Sovereign Wealth Funds. *Journal of Economic Perspectives*, 27.2. 2013. 219-238.

⁴⁶² Wong, C.P.W. The economics of shortage and problems of reform in Chinese industry. *Journal of Comparative Economics*, 10.4. 1986. 363-387.

⁴⁶³ Nwankwo, O.U. Ikpokor, I.M. Sovereign Wealth Fund and Challenges of Fiscal Federalism in Nigeria. *Journal of Economics and Sustainable Development*, 25.5. 2014. 60-66.

⁴⁶⁴ Gilson, R.J. Milhaupt, C. Sovereign Wealth Funds and Corporate Governance: a Minimalist Response to the New Mercantilism. *Revue d'économie financière (English edition)*, 9.1. 2009. 345-362.

⁴⁶⁵ Rose-Ackerman, S. Redistribution policy and local government behavior. A comment on L. Stauber, "A proposal for a democratic market economy". *Journal of Comparative Economics*, 2.1. 1978. 73-84.

⁴⁶⁶ Goldeng, E. Grunfeld, L.A. Benito, G. The Performance Differential between Private and State Owned Enterprises: The Roles of Ownership, Management and Market Structure. *Journal of Management Studies*, 45.7. 2008. 1244-1273.

გააჩნია, ამიტომ, მათ მართვაზეც მთავრობა ან შესაბამისი სამინისტრო (ან მისი ექვივალენტური წარმონაქმნი) არიან პასუხისმგებელი⁴⁶⁷.

რაც შეეხება უშუალოდ მმართველობის მექანიზმებს, საინვესტიციო ფონდების შემთხვევაშიც, ყველაზე ხშირად გამოყენებადი მეთოდია სამეთვალყურეო საბჭოს ან ექვივალენტური ორგანოს ხელისუფლების ორგანოთა მიერ დანიშვნა, ხოლო ეს უკანასკნელი ირჩევს და მეთვალყურეობას უწევს კომპანიის დირექტორატს⁴⁶⁸. ამასთან, სუვერენული ფონდების მოცულობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, სახელმწიფო კომპანიებთან შედარებით უფრო ხშირად ხდება მათი დირექტორის პირდაპირ ხელისუფლების ორგანოთა დანიშვნაც⁴⁶⁹. მეორე მხრივ, დირექტორი, რომელსაც მინდობილი აქვს ასეთი მაღალი მნიშვნელობის კომპანია, ხშირად უფრო მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშაა, ვიდრე ეს სახეზე იქნებოდა ჩვეულებრივი კომერციული საზოგადოების შემთხვევაში⁴⁷⁰.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, საინვესტიციო ფონდების საქმიანობა და მეთვალყურეობა ხშირად უფრო პოლიტიზებულია, ვიდრე ეს სახეზე იქნებოდა ჩვეულებრივ სახელმწიფოს კუთვნილ კომპანიასთან დაკავშირებით⁴⁷¹. იქნება ეს კანონიერად თუ უკანონოდ, პოლიტიკური პროცესებისა და მოთამაშეების გავლენა საკმაოდ მაღალია⁴⁷², რაც, თითქმის უგამონაკლისოდ, უარყოფით შედეგებს იწვევს და ამცირებს სუვერენული ფონდების საქმიანობის ეფექტურობას⁴⁷³. შედეგად, აუცილებელია, მინიმუმამდე იყოს დაყვანილი პოლიტიკური საკითხების გავლენა სუვერენულ ფონდებზე, რათა მათ მიერ გამოწვეული ზიანი შემცირდეს და კომპანიებს მიეცეთ საშუალება, წარმატებით შეასრულონ საკუთარი ფუნქციები.

სახელმწიფო საინვესტიციო ფონდებზე საუბრისას ასევე უნდა იქნეს განხილული მათი სპეციფიური ნაირსახეობა - სახელმწიფო საპენსიო ფონდები. ასეთი

⁴⁶⁷ Cossu, M.M. State-Appointed Directors, Related-Party Transactions and Corporate Opportunities in “Open” State-Owned Companies. *The Italian Law Journal*, 4.2. 2018. 557-588.

⁴⁶⁸ Wang, J. The Political Logic of Corporate Governance in China's State-Owned Enterprises. *Cornell International Law Journal*, 47.3. 2014. 631-669.

⁴⁶⁹ Yeung, H.W. Strategic governance and economic diplomacy in China: The political economy of government-linked companies from Singapore. *East Asia Journal*, 21.1. 2004. 40-64.

⁴⁷⁰ Sabbaghi, O. Corporate Governance in China: a Review. *The International Journal of Business in Society*, 16.5. 2016. 866-882.

⁴⁷¹ Cossu, M.M. State-Appointed Directors, Related-Party Transactions and Corporate Opportunities in “Open” State-Owned Companies. *The Italian Law Journal*, 4.2. 2018. 557-588.

⁴⁷² Bernstein, S. Lerner, J. Schoar, A. The Investment Strategies of Sovereign Wealth Funds. *Journal of Economic Perspectives*, 27.2. 2013. 219-238.

⁴⁷³ Milhaupt, C.J. Pargendler, M. Governance Challenges of Listed State-Owned Enterprises around the World: National Experiences and a Framework for Reform. *Cornell International Law Journal*, 50.3. 2017. 473-542.

ფონდების ფუნქცია კიდევ უფრო ვიწროა, ვიდრე ზოგადი სუვერენული ექვივალენტებისა და მოიცავს ინვესტიციას მაქსიმალურად სტაბილურ ბიზნესებში, რათა, გრძელვადიან პერსპექტივებში, უზრუნველყოფილი იყოს მაქსიმალურად პროგნოზირებადი შემოსავალი⁴⁷⁴. პრაქტიკაში, სახელმწიფო საპენსიო ფონდების დანიშნულება მათი სახელწოდების შესაბამისია - მათი კაპიტალი შედგება სახელმწიფოს, კერძო დამსაქმებლებისა თუ თავად იმ პირების კონტრიბუციებისაგან, რომლებიც სახელმწიფოს შიგნით შრომით ურთიერთობაში არიან და, ამის შედეგად, ხელისუფლება პასუხისმგებლობას იღებს იმაზე, რომ უზრუნველყოს ისინი სხვებთან შედარებით უფრო დიდი მოცულობის პენსიით (ან, უბრალოდ, სახელმწიფოს სურს, ამ სახით შეინახოს საერთო საპენსიო ფონდი)⁴⁷⁵. სახელმწიფო საპენსიო ფონდები, მათი ეფექტური მართვის შემთხვევაში, ყველაზე ნაკლებად სარისკო ინვესტიციებს ახორციელებენ, რათა გარანტირებული იყოს, რომ მიუხედავად ინფლაციისა და ბაზრის არასტაბილურობისა⁴⁷⁶, მოქალაქეთა საპენსიო დანაზოგები მაქსიმალურად დაცული იყოს და ისინი არ დაზარალდნენ⁴⁷⁷. ზოგჯერ, საპენსიო ფონდები ცალკე არ იქმნება და ისინი სახელმწიფო საინვესტიციო ფონდის ნაწილად არსებობენ⁴⁷⁸, რა შემთხვევაშიც სუვერენული ფონდი უბრალოდ ნაკლებად სარისკო ინვესტიციებს ახორციელებს ხოლმე. მეორე მხრივ, არსებობს შემთხვევები, როდესაც ასეთი ფონდი ცალკე წარმონაქმნის სახით გვევლინება⁴⁷⁹. მმართველობისა და ორგანიზაციული თვალსაზრისით საპენსიო ფონდები საინვესტიციო ფონდებისაგან ფუნდამენტურად არ განსხვავდება⁴⁸⁰, ამიტომ, სუვერენულ ფონდებზე საუბრისას, როგორც წესი, მათ შორის საპენსიო ფონდებიც მოიაზრება.

სახელმწიფო საინვესტიციო ფონდების განხილვისას ხაზგასასმელია, რომ მათი კლასიკური დანიშნულება, მოახდინონ ინვესტიციების განხორციელება სხვადასხვა კომერციულ საზოგადოებებში, არ არის ერთადერთი, რითიც ისინი

⁴⁷⁴ Aizenman, J. Glick, R. Asset Class Diversification and Delegation of Responsibilities between a Central Bank and Sovereign Wealth Fund. *International Journal of Central Banking*, 10.3. 2014. 129-161.

⁴⁷⁵ Rozanov, A. Definitional Challenges of Dealing with Sovereign Wealth Funds. *Asian Journal of International Law*, 1.2. 2011. 249-265.

⁴⁷⁶ Wong, R. Risk Attitude towards Mandatory Retirement Protection in Hong Kong: Why Are Risky Investments More Attractive? *Asian Social Science Journal*, 10.6. 2014. 205-211.

⁴⁷⁷ Hebb, T. Sharma, R. New Finance for America's Cities. *Regional Studies Journal*, 48. 2014. 485-500.

⁴⁷⁸ Halvorssen, A.M. Eldredge, C.D. Investing in Sustainability: Ethics Guidelines and the Norwegian Sovereign Wealth Fund. *Denver Journal of International Law & Policy*, 42.3. 2020. 389-416.

⁴⁷⁹ Goergen, M. O'Sullivan, N. Wood, G. Baric, M. Sovereign wealth funds, productivity and people: The impact of Norwegian Government Pension Fund-Global investments in the United Kingdom. *Human Resource Management Journal*, 28.2. 2018. 288-303.

⁴⁸⁰ Halvorssen, A.M. Eldredge, C.D. Investing in Sustainability: Ethics Guidelines and the Norwegian Sovereign Wealth Fund. *Denver Journal of International Law & Policy*, 42.3. 2020. 389-416.

არიან დაკავებულნი⁴⁸¹. ხშირად, სახეზეა ფონდების მიერ ამა თუ იმ კომპანიის მთლიანად შესყიდვა და მისი მართვა, რა დროსაც სუვერენული ფონდი ხდება ჩვეულებრივი სახელმწიფოს კუთვნილი სამეწარმეო იურიდიული პირის მსგავსი წარმონაქმნი⁴⁸². სხვა დროს კი, სახელმწიფო საინვესტიციო ფონდმა შეიძლება, სტანდარტული მოქმედებები განახორციელოს, თუმცა ეს განპირობებული იყოს არა კარგი ინვესტიციის იმედით, არამედ სხვა, შედარებით უფრო ნაკლებად „კლასიკური“ საფუძვლით⁴⁸³. სახელმწიფო საინვესტიციო ფონდების უკეთ შესწავლის მიზნით, აუცილებელია, განხორციელდეს აღნიშნული შემთხვევების კრიტიკული ანალიზი.

სახელმწიფო საინვესტიციო ფონდის მიერ კერძო იურიდიული პირების კაპიტალის საკონტროლო პაკეტის ან საერთოდ მისი ასი პროცენტის შესყიდვა, შემდეგ კი მისი გრძელვადიან პერსპექტივებში მართვა გარკვეულწილად ცდება სუვერენული ფონდის დანიშნულებასა და სტანდარტულ ფუნქციებს⁴⁸⁴. საინვესტიციო ფონდის მიერ ასეთი საქმიანობის თავზე აღება ნიშნავს, რომ ის ინვესტორზე მეტი ხდება, თავზე მეტ ფუნქციებს იღებს, ვიდრე მისი როლი უნდა იყოს⁴⁸⁵. ასეთი გადაწყვეტილების შედეგი, როგორც წესი, ნეგატიურია და ხშირად აზარალებს როგორც ფონდს, ისე მის მიერ მართულ კომპანიას⁴⁸⁶.

მაშინ, როდესაც სპეციალიზებული დანიშნულების ორგანიზაცია თავზე იღებს მისი როლის მიღმა არსებულ ფუნქციებს, მას, ხშირად, არ გააჩნია საკმარისი კომპეტენცია და ორგანიზაციული უნარები, რათა სწორად და ეფექტურად შეძლოს ასეთი ფუნქციების შესრულება⁴⁸⁷. საინვესტიციო ფონდის დანიშნულებაა ინვესტიციების განხორციელების გზით, გრძელვადიან პერსპექტივებში,

⁴⁸¹ Goergen, M. O'Sullivan, N. Wood, G. Baric, M. Sovereign wealth funds, productivity and people: The impact of Norwegian Government Pension Fund-Global investments in the United Kingdom. *Human Resource Management Journal*, 28.2. 2018. 288-303.

⁴⁸² Gilson, R.J. Milhaupt, C. Sovereign Wealth Funds and Corporate Governance: a Minimalist Response to the New Mercantilism. *Revue d'économie financière (English edition)*, 9.1. 2009. 345-362.

⁴⁸³ Aizenman, J. Glick, R. Asset Class Diversification and Delegation of Responsibilities between a Central Bank and Sovereign Wealth Fund. *International Journal of Central Banking*, 10.3. 2014. 129-161.

⁴⁸⁴ Heinemann, A. Government Control of Cross-Border M&A: Legitimate Regulation or Protectionism? *Journal of International Economic Law*, 15. 2012. 843-870.

⁴⁸⁵ Goergen, M. O'Sullivan, N. Wood, G. Baric, M. Sovereign wealth funds, productivity and people: The impact of Norwegian Government Pension Fund-Global investments in the United Kingdom. *Human Resource Management Journal*, 28.2. 2018. 288-303.

⁴⁸⁶ Mohammad, R. Sidaway, J.D. Spectacular Urbanization amidst Variegated Geographies of Globalization: Learning from Abu Dhabi's Trajectory through the Lives of South Asian Men. *International Journal of Urban and Regional Research*, 36.3. 2012. 606-627.

⁴⁸⁷ Clark, I. Private Equity in the UK: Job Regulation and Trade Unions. *Journal of Industrial Relations*, 51.4. 2009. 489-500.

შემოსავლის მაქსიმალურად გაზრდა⁴⁸⁸. მას, რა თქმა უნდა, შესაძლოა, გააჩნდეს უნარი, რომ მართოს ერთი ან მრავალი კომპანია წარმატებულად, მაგრამ სუვერენული ფონდის ორგანიზაციული და შინაარსობრივი სტრუქტურა ამ მიზანზე არ არის ორიენტირებული⁴⁸⁹.

შესაბამისად, საინვესტიციო ფონდის მიერ სამეწარმეო საზოგადოებებისა და მათი ბიზნესების მართვა შესამჩნევად ცდება ასეთი წარმონაქმნის დანიშნულებას. გამონაკლისები, ბუნებრივია, არსებობს, თუმცა, რეალურად, სუვერენული ფონდების მიერ მმართველობითი ფუნქციების საკუთარ თავზე აღება ხშირად საზიანოა და უმჯობესია, ასეთი ქმედებები მაქსიმალურად იქნეს შემცირებული. საინვესტიციო ფონდებს აქვთ საკუთარი დანიშნულება და მისი ეფექტურად განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფოსათვის ყველაზე მეტი სარგებლის მოტანა, ხოლო ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომელიც ამ დანიშნულებას ცდება, მხოლოდ დროისა და რესურსების არასათანადოდ ხარჯვად უნდა იყოს განხილული.

დამატებით, ხაზგასასმელია ისიც, რომ სახელმწიფოს არაფერი უშლის ხელს, შექმნას კერძო კომპანია, რომლის ფუნქციაც სხვა საზოგადოებებისა და მათი საწარმოების მართვა იქნება⁴⁹⁰. მეტიც, თუკი საინვესტიციო ფონდის კონტროლში ამა თუ იმ მიზეზით აღმოჩნდება ისეთი იურიდიული პირი, რომლის „დატოვებაც“ სასურველად იქნება ხელისუფლების მიერ განხილული, ადვილად შეიძლება, უზრუნველყოფილი იყოს ამ პირის ფონდის კაპიტალიდან ამოღება და მმართველი კომპანიისთვის გადაცემა. ამიტომ, როგორც უკვე აღინიშნა, უმჯობესია, კომპანიათა მართვა ამაზე მორგებული წარმონაქმნების გამოყენებით განხორციელდეს, ხოლო სუვერენული ფონდები ექსკლუზიურად საინვესტიციო საქმიანობაზე იყონ ორიენტირებული.

გარდა ზემოთ მოცემულისა, ასევე განსახილველია სახელმწიფო საინვესტიციო ფონდების არასტანდარტულად გამოყენების მეორე მეთოდი - ინვესტირება არა მისი მომგებიანობის გამო, არამედ სხვა საბაბით. როგორც უკვე აღინიშნა, სუვერენული ფონდები არ უნდა ცდებოდნენ საკუთარ დანიშნულებას, რომელიც მოიცავს ინვესტიციების ჩადებას კომპანიებში შემოსავლის მიღების მიზნით. ნებისმიერი ინვესტიცია, რომელიც ამ სურვილით არაა განპირობებული, უნდა

⁴⁸⁸ Goldeng, E. Grunfeld, L.A. Benito, G. The Performance Differential between Private and State Owned Enterprises: The Roles of Ownership, Management and Market Structure. *Journal of Management Studies*, 45.7. 2008. 1244-1273.

⁴⁸⁹ Goergen, M. O'Sullivan, N. Wood, G. Baric, M. Sovereign wealth funds, productivity and people: The impact of Norwegian Government Pension Fund-Global investments in the United Kingdom. *Human Resource Management Journal*, 28.2. 2018. 288-303.

⁴⁹⁰ Funk, W.M. On and over the Horizon: Emerging Issues in U.S. Taxation of Investments. *Houston Business and Tax Law Journal*, 10. 2010. 1-46.

ჩაითვალოს, როგორც ფონდის მიერ საკუთარ როლს მიღმა გადადგმული ნაბიჯი, რაც პრობლემურია.

სახელმწიფო, რომელიც სუვერენული ფონდის მესაკუთრედ გვევლინება, საკუთარი მიზნების მიღწევას ცდილობს⁴⁹¹. ეს მიზნები შეიძლება, ზოგიერთ შემთხვევაში, განსხვავდებოდეს ფონდის სურვილებისაგან. მაგალითად, სახელმწიფოს შეიძლება, სჭირდებოდეს მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის დაფინანსება, თუმცა ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ ახერხებდეს საჭირო ფინანსების მოზიდვას და, ამავე დროს, სუვერენულ ფონდს ჰქონდეს ხელმისაწვდომი ასეთი თანხები. ასეთ დროს, საკმაოდ ადვილია, ხელისუფლებამ გადაწყვიტოს, რომ ყველასათვის უკეთესი იქნება, თუკი საინვესტიციო ფონდი სამშენებლო კომპანიის წილს შეიძენს, საფასური კი პროექტის განსახორციელებლად იქნება მიმართული.

ზემოთ განხილული მაგალითი ცალსახად და ერთპიროვნულად საინვესტიციო ფონდის რესურსების არასწორ ხარჯვად უნდა იყოს ჩათვლილი. ფონდის დანიშნულება მოგების მიღებაა და, ისევე, როგორც სახელმწიფოს კუთვნილი სხვა სახის კერძო კომპანიების შემთხვევაში, მართალია, მისი დაფუძნება და საქმიანობის ჩარჩოს შედგენა საჯარო მიზნებზე დაყრდნობითაც ხდებოდა, მაგრამ ფონდის ყოველდღიური საქმიანობა, უშუალო მოქმედებები, ექსკლუზიურად მის კერძო მიზნებს უნდა ემსახურებოდეს⁴⁹². ნებისმიერი ქმედება, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალაც სწორი ინვესტიციის სურვილი და მაქსიმალური მოგების მიღების მოტივი არ არის, არასათანადო ნაბიჯია და მისი გადადგმა შეცდომაა⁴⁹³.

ხაზგასასმელია ისიც, რომ წარმოდგენილი მაგალითი საინვესტიციო ფონდის არასათანადოდ გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად „პრობლემური“ ნაირსახეობაა. პოლიტიკური პროცესების შედეგად, ადვილად შეიძლება, სუვერენული ფონდის რესურსები მიმართული იყოს ბევრად უფრო ნაკლებად სასურველი ინვესტიციების განსახორციელებლად, რომლებმაც არსებითი ზიანი შეიძლება, მოიტანონ ფონდს. ამიტომ, აუცილებელია იმის ცალსახად დაფიქსირება, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მიუღებელია ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც ექსკლუზიურად კომპანიის კერძო მიზნებიდან არ გამომდინარეობს. საინვესტიციო ფონდის ქმედებები, ისევე, როგორც მათი განმაპირობებელი მოტივაცია, მხოლოდ იმას უნდა ემსახურებოდნენ, რომ

⁴⁹¹ Atkinson, R.D. Wu, J.J. The 2017 State New Economy Index: Benchmarking Economic Transformation in the States. Information Technology and Innovation Foundation: Washington DC, United States of America. 2017. 52-58.

⁴⁹² Bortolotti, B. Fotak, V. Megginson, W. L. The Sovereign Wealth Fund discount: Evidence from public equity investments. The Review of Financial Studies, 28.11. 2015. 2993-3035

⁴⁹³ Roper, J. Schoenberger-Orgad, M. State-Owned Enterprises: Issues of Accountability and Legitimacy. Management Communication Quarterly, 25.4. 2011. 693-709.

ფონდმა მიიღოს მაქსიმალურად დიდი მოგება ჭკვიანურად განხორციელებული ინვესტიციების გზით, და სახელმწიფოს სურვილები, საჯარო კეთილდღეობა ან სხვა მსგავსი საკითხები ასეთ დროს ფაქტორი არ უნდა იყოს. სწორედ ამ რეკომენდაციის გათვალისწინებით იქნება შესაძლებელი, სუვერენული ფონდის ფუნქციონირება მაქსიმალურად ეფექტური იყოს.

სახელმწიფო საინვესტიციო ფონდების გამოყენების მეთოდების განხილვის შედეგად, ასევე საჭიროა იმის ანალიზი, თუ რამდენად სასურველია ასეთი კომპანიების მოღვაწეობა. როგორც უკვე ითქვა, იმისთვის, რომ საჯარო ხელისუფლების თავისუფალ ბაზარზე საქმიანობა მისაღებად ჩაითვალოს, ამას დასაბუთება სჭირდება. შესაბამისად, წარმოსადგენია იმის ახსნა, თუ რატომ არის კარგი სუვერენული ფონდების გამოყენება.

ერთი მხრივ, სახელმწიფო საინვესტიციო ფონდების არსებობა აძლევს თავისუფალ ბაზარს დამატებით ინვესტიციას, რადგანაც სუვერენული ფონდები, როგორც წესი, იდეალური მინორიტარი აქციონერები არიან⁴⁹⁴. თუკი ფონდი სათანადოდ ასრულებს საკუთარ ფუნქციებს, ის მზადაა, ჩადოს კომპანიის კაპიტალში ინვესტიცია, მინორიტართა დიდი ნაწილისგან განსხვავებით, დივიდენდის მიღების შემდეგ კვლავ შეინარჩუნოს აქციები⁴⁹⁵, საკუთარი მოქმედებები მომართოს გრძელვადიან პერსპექტივებში წარმატებისკენ⁴⁹⁶ და არ იყოს განსაკუთრებით აქტიური საერთო კრებებზე⁴⁹⁷. იმ კომპანიებისათვის, რომლებშიც ინვესტიცია ხდება, ეს ყველაფერი მომგებიანი და ძალიან სასურველია.

მეორემხრივ, აღსანიშნავია ისიც, რომ სუვერენული ფონდების არსებობა ბევრ შემთხვევაში უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობას⁴⁹⁸. ხელისუფლების ხელში არსებული რესურსები, განსაკუთრებით მაშინ, თუკი სახელმწიფოს შემოსავლის წყარო ჰომოგენურია, ყველაზე კარგად სწორედ ასეთი

⁴⁹⁴ Winston, E. Managerial Fixation and the Limitations of Shareholder Oversight. *Hastings Law Journal*, 71.3. 2020. 699-748.

⁴⁹⁵ Hatton, K. Pistor, K. Maximizing Autonomy in the Shadow of Great Powers: The Political Economy of Sovereign Wealth Funds. *Columbia Journal of Transnational Law*, 50. 2011. 1-81.

⁴⁹⁶ Ali, M.B. Chowdhury, T.A. Effect of Dividend on Stock Price in Emerging Stock Market: A Study on the Listed Private Commercial Banks in DSE. *International Journal of Economics and Finance*, 2.4. 2010. 52-64.

⁴⁹⁷ Hemphill, T. Sovereign wealth funds: National security risks in a global free trade environment. *Thunderbird International Business Review*, 51.6. 2009. 551-566.

⁴⁹⁸ Aizenman, J. Glick, R. Asset Class Diversification and Delegation of Responsibilities between a Central Bank and Sovereign Wealth Fund. *International Journal of Central Banking*, 10.3. 2014. 129-161.

ფონდების გამოყენებით შეიძლება, გამოყენებული იყოს საზოგადოების დასაცავად ბაზრის არასტაბილური ბუნებისაგან⁴⁹⁹.

და ბოლოს, სახელმწიფო საინვესტიციო ფონდები კარგია, რადგანაც უკეთესი ალტერნატივა არ არსებობს. საჯარო ფინანსების დიდი ნაწილისათვის (მაგალითად, როგორცაა დაგროვებითი პენსია⁵⁰⁰), საჭიროა მათი დიდი დროით შენახვა⁵⁰¹. თანხის უბრალოდ დაგროვება, ბუნებრივია, არ არის კარგი იდეა, რადგანაც ეს მისი ეკონომიკიდან ამოღებას მოიცავდა, რაც კრიზისს გარდაუვალს გახდიდა⁵⁰², ხოლო მათი სხვაგვარად, უბრალოდ ბანკებში ან სხვა მსგავს ორგანიზაციებში შენახვა კი, ერთი მხრივ, არასამართლიან შემოსავალს მისცემდა ასეთ „შემნახველებს“⁵⁰³, მეორე მხრივ კი თითქმის გარდაუვლად ნაკლებად უზრუნველყოფდა სახელმწიფოს მიზნების მიღწევას⁵⁰⁴⁵⁰⁵.

სწორედ აღნიშნული მიზეზებია ძირითადი განმაპირობებელი იმისა, რომ სახელმწიფო საინვესტიციო ფონდები საკმაო პოპულარულობით სარგებლობს. მათი სწორად გამოყენების შემთხვევაში ხელისუფლებას შეუძლია, მიიღოს ოპტიმალური შედეგები. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ სახეზე იყოს სუვერენული ფონდების ეფექტურად მართვა.

წინამდებარე ნაშრომი იზიარებს პოზიციას, რომ იმისათვის, რათა სახელმწიფო საინვესტიციო ფონდის მმართველობა სათანადო დონეზე იყოს უზრუნველყოფილი, სასურველია, მოხდეს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- სუვერენული ფონდის მმართველობაში, ისევე, როგორც სახელმწიფოს კუთვნილი სხვა სამეწარმეო იურიდიული პირების შემთხვევაში, პოლიტიკა

⁴⁹⁹ Kerkez, K. Aydin, B. Sovereign Wealth Funds, the New Actors of Global Economy. *Fiscaoeconomia*, 3.1. 2019. 1-38.

⁵⁰⁰ Oyedele, J.B. Infrastructure Investment and the Emerging Role of Institutional Investors: The Case of Pension Funds and Sovereign Wealth Funds. *Academic Journal of Interdisciplinary Studies*, 3.1. 2014. 43-54.

⁵⁰¹ Ficova, A. Analysis of Sovereign Wealth Funds: From Asset Allocations to Growth. *Global Journal of Management and Business Research*, 15.9. 2015. 65-74.

⁵⁰² Backer, L.C. Sovereign Investing in Times of Crisis: Global Regulation of Sovereign Wealth Funds, State Owned Enterprises and the Chinese Experience. *Transnational Law & Contemporary Problems*, 19.1. 2009. 101-294.

⁵⁰³ Piro, J.J. Welcome to Fabulous Las Vegas: The Nevada Gaming Regulatory Response to Sovereign Wealth Fund Investment. *UNLV Gaming Law Journal*, 2. 2011. 167-194.

⁵⁰⁴ Krzepowski, M. Mintz, J. Canada's Foreign Direct Investment Challenge: Reducing Barriers and Ensuring a Level Playing Field in the Face of Sovereign Wealth Funds and State-Owned Enterprises. *The School of Public Policy Publications*, 3.4. 2010. 1-15.

⁵⁰⁵ Ordower, H. The Regulation of Private Equity, Hedge Funds, and State Funds. *The American Journal of Comparative Law*, 58. 2010. 295-321.

არ უნდა ერეოდეს და პოლიტიკურ პროცესებზე დაყრდნობით ან მათი გათვალისწინებით არ უნდა მიიღებოდეს არც ერთი გადაწყვეტილება;

- სახელმწიფო საინვესტიციო ფონდების დიდი მასშტაბებისა და პორტფოლიოს გათვალისწინებით, უმჯობესია, თუკი ეფექტურად განხორციელდება მათი ხელმძღვანელობის მონიტორინგი;
- სუვერენული ფონდების კუთვნილი თანხები არ არის სახელმწიფოს „სარეზერვო კაპიტალი“, ამიტომ ხელისუფლებას არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ შეძლებს, იგი გამოიყენოს ამა თუ იმ ეკონომიკურ კრიზისთან საბრძოლველად;
- სახელმწიფო საინვესტიციო ფონდები შექმნილია მხოლოდ ერთი დანიშნულებით - განახორციელოს ეფექტური ინვესტიციები და უზრუნველყოს გრძელვადიანი მოგება. მას შემდეგ, რაც ასეთი კომპანია დაფუძნდება, მისი ყველა ნაბიჯი უნდა იყოს განპირობებული სწორედ ამ მიზნის მიღწევის სურვილით.

წინამდებარე ნაშრომის პოზიციაა, რომ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით გაუმჯობესდება სუვერენული ფონდების საქმიანობის ეფექტურობის ხარისხი. მათი ზოგადი ბუნების გათვალისწინებით, მოცემული რჩევები ვერ ჩაითვლება დეტალურ გეგმად, თუმცა მათი იგნორირება, თითქმის გარანტირებულად, ნეგატიური შედეგების გამოიწვევი შეიძლება, იყოს. სახელმწიფო საინვესტიციო ფონდებს დიდი ძალაუფლება გააჩნიათ და აუცილებელია, ის მხოლოდ დადებითად იყოს გამოყენებული. შედეგად, თუკი ის დიდი პოტენციალი, რომელიც სუვერენულ ფონდებს გააჩნიათ, მიმართული იქნება საყოველთაოდ სასურველი მიზნებისკენ, სახელმწიფოს შეეძლება, იმით დაიკვეხნოს, რომ მან საკუთარი მოსახლეობისა და მსოფლიო ეკონომიკისათვის სარგებლის მომტანი ნაბიჯები გადადგა.

3.2. საჯაროსამართლებრივი ინსტრუმენტები, როგორც სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის ირიბად განხორციელების მექანიზმები

მართალია, სამეწარმეო საზოგადოების ამა თუ იმ ფორმის ჩამოყალიბება და მისი მართვა სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ძირითადი მეთოდია⁵⁰⁶, მაგრამ საჯარო ხელისუფლებას გააჩნია სხვა ინსტრუმენტებიც, რომელთა გამოყენებითაც მას ძალუძს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს კომერციულ აქტივობებში. ასეთთა შორის ყველაზე გავლენიანი და ეფექტური

⁵⁰⁶ Zeng, J.S. State Ownership and Regulatory Costs: A Law and Economic Explanation for the Prevalence of State-Owned Enterprises in China. Columbia Journal of Asian Law. 31.1. 2017. 1-62.

მექანიზმებია კერძო-საჯარო პარტნიორობა⁵⁰⁷, ბიზნესის სუბსიდირება⁵⁰⁸ და ამა თუ იმ სფეროს პროაქტიურად ხელშეწყობა⁵⁰⁹, რომლებიც ქვემოთ ცალკე იქნება განხილული. მათ გარდა ასევე არსებობს საჯარო სამართლის ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებითაც სახელმწიფო კომერციაში მონაწილეობს, თუმცა სწორედ აღნიშნული სამი გზა გვევლინება ყველაზე ეფექტურ, ხშირად გამოყენებად და აქტიურ მექანიზმებად⁵¹⁰⁵¹¹⁵¹². შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომიც სწორედ მათზე მოახდენს კონცენტრირებას.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული ძირითადი საჯაროსამართლებრივი ინსტრუმენტები ერთმანეთისაგან ფუნდამენტურად განსხვავდება. ამავდროულად, მათ მაინც ახასიათებთ გარკვეული თვისებები, რომლებიც, ერთი მხრივ, აახლოებს მათ ერთმანეთთან და, მეორე მხრივ, განასხვავებს კომერციული ურთიდაიული პირის სახელმწიფოს მიერ მართვის მექანიზმისაგან.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის ის, რომ საჯაროსამართლებრივი ინსტრუმენტების დროს სახელმწიფოს ნაკლებად სჭირდება „შუამავალი“, ანუ ცალკეული წარმონაქმნი, რომელიც მას საკუთარი საქმიანობის განსახორციელებლად სჭირდება. მაგალითად, სუბსიდირების დროს, ხელისუფლების ორგანოს შეუძლია, პირდაპირ გადასცეს კერძო ბიზნესს თანხა და ამით დაასრულოს შესაბამის საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოღვაწეობა⁵¹³. საჭირო არ არის კომპანიის ან სხვა მსგავსი ერთეულის შექმნა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო ცალკეულ ორგანოებს არ ქმნის. ხშირად გვხვდება სპეციალური საჯარო სამართლის პირები, რომელთა დანიშნულებაც სწორედ კომერციულ საქმიანობაში ჩართულობაა⁵¹⁴.

⁵⁰⁷ Cui, C. Liu, Y. Hope, A. Review of studies on the public-private partnerships (PPP) for infrastructure projects. *International Journal of Project Management*, 36.5. 2018. 773-794.

⁵⁰⁸ Thomson, R. Jensen, P. The Effects of Government Subsidies on Business R&D Employment: Evidence from OECD Countries. *National Tax Journal*, 66.2. 2013. 281-310.

⁵⁰⁹ Woodside, A.G. Sakai, M. Analyzing performance audit reports of destination management organizations' actions and outcomes. *Journal of Travel & Tourism Marketing*, 26.3. 2009. 303-328.

⁵¹⁰ Esposito, P. Dicorato, S.L. Sustainable Development, Governance and Performance Measurement in Public Private Partnerships (PPPs): A Methodological Proposal. *Sustainability*, 12.14. 2020. 1-25.

⁵¹¹ Liu, M. Liu, L. Xu, S. Du, M. Liu, X. Zhang, Y. The Influences of Government Subsidies on Performance of New Energy Firms: A Firm Heterogeneity Perspective. *Sustainability*, 11.17. 2019. 1-19.

⁵¹² Boag, C.J. Martin, R.J. Bell, D. An “authentic” Aboriginal product: State marketing and the self-fashioning of Indigenous experiences to Chinese tourists. *The Australian Journal of Anthropology*, 31.1. 2020. 51-65.

⁵¹³ Peng, H. Liu, Y. How government subsidies promote the growth of entrepreneurial companies in clean energy industry: An empirical study in China. *Journal of Cleaner Production*, 188. 2018. 508-520.

⁵¹⁴ Petersen, O.H. Public-private partnerships as converging or diverging trends in public management? A comparative analysis of PPP policy and regulation in Denmark and Ireland. *International Public Management Review*, 12.2. 2011. 1-37.

გარდა ამისა, არსებითი ფაქტორია ისიც, რომ ხელისუფლების მიერ სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებით და მართვით კომერციაში მონაწილეობა, მისი სწორად განხორციელების შემთხვევაში, შედარებით ნაკლებად „მოქნილი“ პროცესია. ეს ნიშნავს, რომ შექმნილ საზოგადოებას უზნდება საკუთარი მიზნები და საჭიროებები, რომლებიც შეიძლება, ზოგჯერ განსხვავდებოდეს სახელმწიფოს სურვილებისაგან⁵¹⁵. შედეგად, თუკი სახელმწიფო აღმოაჩენს, რომ მას რაიმე კონკრეტული ქმედების განხორციელება სჭირდება, შესაძლოა, ვერ შეძლოს ამისათვის მის საკუთრებაში მყოფი კომპანიის გამოყენება⁵¹⁶. კერძო სამართლის იურიდიული პირი, ისევე, როგორც მისი ხელმძღვანელი პირები, ვალდებულია, საკუთარ კომერციულ მიზნებს ემსახურობდეს და თუკი ისინი განსხვავდება სახელმწიფოს საჭიროებებისგან, შეუძლებელი იქნება ერთდროულად ორივეს შესრულება. შედეგად, იმისათვის, რათა გამოირიცხოს ფიდუციური ვალდებულებების დარღვევა და კომპანიისთვის მიყენებულ ზიანზე პირადად პასუხისმგებლობა⁵¹⁷, კომპანიის მენეჯერები ვალდებულნი იქნებიან, უარი უთხრან სახელმწიფოს მისი სურვილების შესრულებაზე და ემსახურონ ექსკლუზიურად კომპანიასა და მის მიზნებს.

რაც შეეხება საჯაროსამართლებრივ მექანიზმებს, მათ შემთხვევაში ასეთი ორმაგი ერთგულების საჭიროება არ არსებობს. თუკი სახელმწიფოს სჭირდება, მაგალითად, დააფინანსოს რაიმე სახის პროექტი, მას შეუძლია, გადადგას საჭირო ნაბიჯები ისე, რომ მის მიერ დანიშნულ, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ პირებთან მოლაპარაკება არ დასჭირდეს⁵¹⁸. შედეგად, ვიღებთ მდგომარეობას, რომ როდესაც საჭიროა სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილების აქტიურად გამოყენება, ან, განსაკუთრებით, თუკი საჭიროა კრიზისულ მდგომარეობაში სწრაფად რეაგირება, კერძო სამართლის იურიდიული პირების გამოყენებაზე ეფექტური სწორედ საჯაროსამართლებრივი მექანიზმებით სარგებლობაა. აღნიშნული მოქნილობა შესამჩნევად ზრდის ასეთი ინსტრუმენტების პოპულარობას.

საბოლოოდ, აღსანიშნავია ისიც, რომ საჯაროსამართლებრივ მექანიზმებს ხშირად ახასიათებთ უფრო მცირე მასშტაბები, ვიდრე ზემოთ განხილულ სახელმწიფოს კუთვნილ კერძო კომპანიებს. სუბსიდირება, მაგალითად, ხშირად ერთ კონკრეტულ ორგანიზაციაზე ან წარმონაქმნზეა ორიენტირებული, რაც ნიშნავს, რომ საკითხის შეფასების შემდეგ, სახელმწიფოს, რეალურად, მხოლოდ ერთი

⁵¹⁵ Bortolotti, B. Fotak, V. Megginson, W. L. The Sovereign Wealth Fund discount: Evidence from public equity investments. *The Review of Financial Studies*, 28.11. 2015. 2993–3035

⁵¹⁶ Saunders, B.B. The Public Sector Duty of Care and Diligence. *UNSW Law Journal*, 42.2. 2019. 652–680.

⁵¹⁷ Ho, V.H. Corporate Governance as Risk Regulation in China: A Comparative View of Risk Oversight, Risk Management, and Accountability. *European Journal of Risk Regulation*, 3.4. 2012. 463–475.

⁵¹⁸ Todorovic, M. Kuvic, C. Vuksanovic, I. The importance of strengthening the role of the Boards of directors in state-owned enterprises in Serbia. *Ekonomika Preduzeca*, 59.7. 2011. 403–412.

ტრანზაქციის განხორციელების საჭიროება გააჩნია⁵¹⁹. მას შემდეგ, რაც აღნიშნული სახეზე იქნება, მექანიზმი გამოყენებული და დასრულებულია. მეორეხრივ, კერძო სამართლის იურიდიული პირის შექმნა და მისი ფუნქციონირება ბევრად უფრო ხანგრძლივი პროცესია, რომელსაც, ხშირად, კონკრეტული დასასრული წერტილი წინასწარ განსაზღვრული არც აქვს⁵²⁰. ამიტომ, საჭიროა მისი მუდმივად კონტროლი, მმართველი პირების დანიშვნა, ზედამხედველობა და ასე შემდეგ⁵²¹. აღნიშნულს, რა თქმა უნდა, თავისი არაერთი დადებითი შედეგი მოჰყვება, თუმცა, როცა ხელისუფლებისათვის სასურველია კონკრეტული შედეგის დადგომა და საკითხის ამით ამოწურვა, მას სწორედ ქვემოთ განხილული საჯაროსამართლებრივი ინსტრუმენტები ესაჭიროება.

3.2.1. კერძო-საჯარო პარტნიორობა

კერძო-საჯარო პარტნიორობა (რომელიც ხშირად მოიხსენიება მისი ინგლისურენოვანი აბრევიატურით, PPP⁵²²) სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის ირიბი ფორმაა⁵²³. იგი შეიძლება, განიმარტოს, როგორც საჯარო პარტნიორის (როგორც წესი, თავად სახელმწიფოს) კერძო პარტნიორთან ურთიერთობის ნაირსახეობა, რომლის დროსაც მიზნად დაისახება კონკრეტული ეკონომიკური შედეგის მიღწევა⁵²⁴. პრაქტიკაში, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო და კერძო კომპანია ახდენენ კოორდინირებული სამუშაოების გაწევას, რათა წინასწარ განსაზღვრული როლებისა და რისკების გადანაწილების საფუძველზე, ერთად მოიყვანონ სისრულეში შესაბამისი პროექტი⁵²⁵. ეს შეიძლება, მოიცავდეს მოკლევადიან ან ხანგრძლივ თანამშრომლობას, ასევე უფლებამოსილებათა და ვალდებულებათა გადანაწილების სრულიად სხვადასხვა პარადიგმებს⁵²⁶, თუმცა, PPP-ის სხვა მსგავსი მექანიზმებისაგან

⁵¹⁹ Liu, M. Liu, L. Xu, S. Du, M. Liu, X. Zhang, Y. The Influences of Government Subsidies on Performance of New Energy Firms: A Firm Heterogeneity Perspective. *Sustainability*, 11.17. 2019. 1-19.

⁵²⁰ Qi, H. Kotz, D.M. The Impact of State-Owned Enterprises on China's Economic Growth. *Review of Radical Political Economics*, 52.2. 2020. 1-19.

⁵²¹ Putterman, L. Dong, X. China's State-Owned Enterprises: Their Role, Job Creation, and Efficiency in Long-Term Perspective. *Modern China Journal*, 26.4. 2000. 403-447.

⁵²² Forrer, J. Kee, J. Newcomer, K. Boyer, E.J. Public-Private Partnership and the Public Accountability Question. *Public Administration Review*, 70.3. 475-484.

⁵²³ Krakowiak-Bal, A. Salomon, J. Public-Private Partnership as a Method of Implementing Technical Infrastructure Investments. *Polish Academy of Sciences Journal*, 12. 2011. 179-188.

⁵²⁴ Levochkin, M. Problems of Public-Private Partnership in Ukraine and Ways of Solving Them. *Baltic Journal of Economic Studies*, 2.2. 2016. 85-91.

⁵²⁵ Singh, N. Public Private Partnership (PPP) Model for Mid-day Meal Programme: Akshaya Patra. *IMPACT: International Journal of Research in Humanities, Arts and Literature*, 5.10. 2017. 151-154.

⁵²⁶ Akhmetshina, E.R. Mustafin, A.N. Public-private Partnership as a Tool for Development of Innovative Economy. *Procedia Economics and Finance Volume*, 24. 2015. 35-40.

მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი ისაა, რომ მისი გამოყენების დროს კერძო და საჯარო წარმონაქმნები თანამშრომლობენ წინასწარ განსაზღვრული მიზნის მისაღწევად⁵²⁷ და მათი ურთიერთობის ჩარჩო ძირითადად განსაზღვრულია მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით⁵²⁸.

კერძო-საჯარო პარტნიორობა სულ უფრო და უფრო აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ეკონომიკურ რეალობაში⁵²⁹. მოვლენებს არც საქართველო ჩამორჩა, რის შედეგადაც, 2018 წლის 4 მაისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“. აღნიშნულმა კანონმა ოფიციალურად გააუქმა მანამდე არსებული ნორმატიული აქტი „საზღვარგარეთის ქვეყნებისა და კომპანიებისათვის კონცესიების გაცემის წესის შესახებ“, რომელიც არსებულ რეალობას აღარ შეესაბამებოდა და მოაწესრიგა კერძო-საჯარო პარტნიორობის სფერო⁵³⁰.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის იგი სიახლე აღარ არის, კერძო-საჯარო პარტნიორობის კონცეფციის შესახებ კვლავ არაერთი კითხვა რჩება. აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევა შეეცდება, განმარტოს მოცემული თემა, გაანალიზოს მისი დადებითი და უარყოფითი ასპექტები და, საბოლოოდ, წარმოადგინოს კერძო-საჯარო პარტნიორობის განმახორციელებელი ხელშეკრულებების ზოგადი მიმოხილვა.

კერძო-საჯარო პარტნიორობის მიზანი, როგორც წესი, არის საჯარო მომსახურების შეთავაზებაა კერძო პარტნიორის მონაწილეობით, რამაც, შედეგად, უნდა გამოიწვიოს მოცემული სერვისის ხარისხის გაზრდა, მიწოდების ეფექტურობა და ფასის შემცირება⁵³¹. PPP გამოიყენება სხვადასხვა სფეროებში, დაწყებული მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტებით და დასრულებული მცირე სარესტავრაციო სამუშაოებით⁵³².

მართალია, კვლავ არსებობს არაერთი კითხვა PPP-ის დადებით და უარყოფით ასპექტებთან დაკავშირებით, მაგრამ, ძირითადად, მიღებულია, რომ კერძო-

⁵²⁷ Dechev, D. Public-Private Partnership - A New Perspective for the Transition Countries. *Trakia Journal of Sciences*, 3. 2015. 228-236.

⁵²⁸ Rahman, M. Public Private Partnership (PPP) for Social Development: A South Asian Perspective. *International Journal of Applied Public-Private Partnerships*, 1.2. 2011. 1-13.

⁵²⁹ Abdymanapov, S.A. Toxanova, A.N. Galiyeva, A.H. Abildina, A.S. Aitkaliyeva, A.M. Ashikbayeva, Z. Public-private partnership development specifics in Kazakhstan. *Journal of Applied Economic Sciences*, 12.4. 2017. 1048-1063.

⁵³⁰ საქართველოს კანონი „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“. 2273-III. 04.05.2018.

⁵³¹ Zaharioaie, M. The Utility of Using Public-Private Partnership for Local Governments. *The Journal of Public Administration, Finance and Law*, 2. 2012. 17-24.

⁵³² Steijn, A. Klijn, E. Edelenbos, J. Public Private Partnerships: Added Value by Organizational Form or Management? *Public Administration* 89.4. 2011. 1235-1252

საჯარო პარტნიორობა სასარგებლო ინსტიტუტია⁵³³. შედეგად, ასეთი მნიშვნელოვანი თემა მოითხოვს მაქსიმალურად ღრმად შესწავლას, რათა მისით სარგებლობა მოხდეს ყველაზე ეფექტური გზით.

იმის გათვალისწინებით, რომ PPP გამოიყენება მრავალ განსხვავებულ სფეროში, პრაქტიკაში ხდება არაერთი სხვადასხვა მოდელით სარგებლობა. აღნიშნული მოდელები, მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებებისა, ითვლება კერძო-საჯარო პარტნიორობის სახეებად⁵³⁴. შედეგად, PPP-ზე საუბრისას ზოგჯერ რთულია განზოგადებული დასკვნების გაკეთება და მისი სათანადოდ შეფასების მიზნით აუცილებელია, კონკრეტულ ნაირსახეობებთან დაკავშირებით დისკუსია. მათი სიმრავლისა და ხშირად ერთმანეთში არევის რისკის არსებობის გათვალისწინებით, ძნელია, მოხდეს ამომწურავი სიის შემუშავება, თუმცა კერძო საჯარო პარტნიორობის ძირითადი მოდელებია:

მშენებლობა - მართვა - გადაცემა (BOT): BOT კერძო-საჯარო პარტნიორობის მნიშვნელოვანი სახესხვაობაა, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურულ პროექტებში. ასეთ ხელშეკრულებაში, კერძო კომპანიას აკისრია პროექტის განხორციელების ხარჯები, რის სანაცვლოდაც ის მართავს შექმნილ ინფრასტრუქტურას წინასწარ დადგენილი დროის განმავლობაში, ბოლოს კი უბრუნებს მას სახელმწიფოს უფასოდ⁵³⁵. ეს არის BOT-ის ძირითადი ხიზლი. ის ხსნის ხარჯებს სახელმწიფოს ბალანსიდან და, ამავდროულად, საქმეში რთავს კერძო სექტორის კომერციულ უნარებს, რაც ხელს უწყობს ეფექტური პროექტების იდენტიფიცირებას და ზრდის მათი წარმატებით განხორციელების შანსებს⁵³⁶.

მშენებლობა - საკუთრება - მართვა - გადაცემა (BOOT): BOOT მოდელის გამოყენებისას, მთლიანი პროექტი და მასთან დაკავშირებული ქონება კერძო მხარის საკუთრებაში გადადის საპროექტო ვადის დასრულებამდე, რის შემდეგაც საკუთრების უფლებაც და პროექტის მართვაც უბრუნდება სახელმწიფოს⁵³⁷. ის ძალიან ჰგავს BOT მოდელს და მათ შორის ძირითადი სხვაობა ისაა, რომ, როგორც სახელიდან ჩანს, BOT-ის შემთხვევაში ქონება სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება, ხოლო BOOT მას დროებით კერძო პარტნიორს გადასცემს. ეს ნიშნავს, რომ კერძო

⁵³³ Hodge, G. Greve, C. Public-Private Partnerships: An International Performance Review. *Public Administration Review* 67.3. 2007. 545-558

⁵³⁴ Niederkofler, M. The Evolution of Strategic Alliance: Opportunities for Managerial Influence. *Journal of Business Venturing*, 6. 1991. 237-257

⁵³⁵ Qiu, L. Wang, S. BOT projects: Incentives and efficiency. *Journal of Development Economics*, 94. 2011. 127-138.

⁵³⁶ Walker, C. Smith, A. *Privatized Infrastructure: the Build Operate Transfer Approach*. Thomas Telford, London, UK. 1995. 34-65.

⁵³⁷ Jefferies, M. Gameson, R. Rowlinson, S. Critical success factors of the BOOT procurement system: reflections from the Stadium Australia case study. *The Engineering, Construction and Architectural Management Journal*, 9.4. 2002. 352-361.

მხარე პროექტის ხანგრძლივობისას ყველა შესაბამის გადასახადებზეა პასუხისმგებელი, თუმცა არ იხდის ქონებით სარგებლობისათვის გადასახადს. შედეგად, BOOT ცოტათი უფრო სარისკოდ ითვლება, მაგრამ, ჯამში, შედარებით ნაკლებად ძვირადღირებულიცაა კერძო პარტნიორისათვის, BOT-სთან შედარებით⁵³⁸.

მშენებლობა - საკუთრება - მართვა (BOO): ასეთი სისტემა მოიცავს კერძო პარტნიორისათვის უვადოდ ქონების მართვის, დაფინანსების, დიზაინის, მშენებლობის, საკუთრებაში ქონისა და მფლობელობის უფლების გადაცემას. კერძო სექტორი ხდება შესაბამისი ქონების ერთადერთი მესაკუთრე და ინარჩუნებს მისი ფლობისა და მართვის უფლებას, სახელმწიფოსათვის ნებისმიერი დამატებითი კომპენსაციის გადახდის ვალდებულების გარეშე, თუმცა მასთან რჩება ასევე ყველა რელევანტური რისკიც, რადგანაც არ ხდება ქონების საჯარო სექტორისათვის დაბრუნება⁵³⁹. შედეგად, თუკი პროექტს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, ან არ არის მიმართული განსაკუთრებით გრძელვადიანი მიზნებისაკენ, BOO მოდელი ზედმეტად სარისკოდ უნდა იქნეს განხილული⁵⁴⁰.

დიზაინი - მშენებლობა - გადაცემა (DBT): ეს არის მოდელი, რომელიც მოიცავს კერძო პარტნიორის მიერ პროექტისთვის საჭირო ყველანაირი მოსამზადებელი სამუშაოების სრულად შესრულებას, ხოლო სახელმწიფოს მიერ საჭირო ხარჯების გაღებას⁵⁴¹. ასეთი წამოწყებები ხშირად მოკლევადიანია, რადგანაც კერძო მხარე პროექტში ერთვება მოსამზადებელ ეტაპზე, შემდეგ კი დიზაინისა და მშენებლობის დროს მონაწილეობს მასში, რის დასრულების შემდეგაც სახელმწიფო დამოუკიდებლად აგრძელებს მუშაობას აღნიშნულ პროექტს⁵⁴². შედეგად, ასეთი მოდელით სარგებლობისას სახეზე არ არის კლასიკური კერძო-საჯარო პარტნიორობა, რადგანაც წარმოქმნილი ურთიერთობა არსებითად ჩამოჰგავს ჩვეულებრივ ნარდობის ხელშეკრულებას⁵⁴³.

⁵³⁸ Yang, J. Nisar, T. Prabhakar, G. Critical success factors for build–operate– transfer (BOT) projects in China. *Irish Journal of Management*, 36.3. 2017. 147-161.

⁵³⁹ Alfen, H. Public-Private Partnership in infrastructure development: Case studies from Asia and Europe. *Schriftenreihe der Professur Betriebswirtschaftslehre im Bauwesen*, 7. 2009. 1-154.

⁵⁴⁰ Akhbiyikli, R. Eaton, D. Innovative Implementation of Private Finance Initiative (PFI) Procurement: Challenges and Key Issues in Pre-Construction Stage. *Environment-Behaviour Proceedings Journal*, 71. 2016. 505-524.

⁵⁴¹ Shen, L. Tam, V. Gan, L. Ye, K. Zhao, Z. Improving Sustainability Performance for Public-Private-Partnership (PPP) Projects. *The Sustainability Journal*, 8. 2016. 289-304.

⁵⁴² Osei-Kyei, R. Chan, A. Review of studies on the Critical Success Factors for Public–Private Partnership (PPP) projects from 1990 to 2013. *International Journal of Project Management*, 33. 2015. 1335-1346.

⁵⁴³ Tang, L. Shen, Q. Cheng, E. A review of studies on Public–Private Partnership projects in the construction industry. *International Journal of Project Management*, 28. 2010. 683-694.

დიზაინი - მშენებლობა - დაფინანსება - მართვა (DBFO): ძალიან პოპულარული მოდელია⁵⁴⁴, რომლის მიხედვითაც კერძო პარტნიორი პასუხისმგებელია პროექტის ყველა დეტალის შემუშავებაზე, მის დიზაინზე და საჯარო მიზნების განხორციელებაზე მაქსიმალურად მცირე დანახარჯით. კერძო მხარე ასევე ახორციელებს პროექტის დაფინანსებას. მას შემდეგ, რაც ხელშეკრულების ვადა ამოიწურება, საჯარო პარტნიორს შეუძლია, თავად განაგრძოს პროექტის მართვა, ან მიქონოს ახალი მმართველი⁵⁴⁵. DBFO-ს ბევრი დადებითი მხარე აქვს. ის გადასცემს რისკს პარტნიორს, რომელსაც, როგორც წესი, მისი უკეთესად მართვა შეუძლია და, ამავდროულად, ზრდის პროექტის გამჭვირვალობას⁵⁴⁶. მეორე მხრივ, ამ მოდელს აქვს არაერთი სისუსტეც, რომელთა უმრავლესობაც იმის შედეგია, რომ რადგანაც სახეზეა გრძელვადიანი ურთიერთობა, და ყველა რისკი (მათ შორის ფინანსურიც) კერძო მხარეს ეკისრება, ის აღარ იქნება ღია ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ შეთავაზებებისათვის, მაშინ, როცა საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოსათვის ასეთი ცვლილებები შეიძლება, აუცილებელი გახდეს⁵⁴⁷. შედეგად, DBFO მოდელი ძალიან სარისკოა, თუმცა მხარეებს სთავაზობს დიდი მოგების მიღების შესაძლებლობას, თუკი კერძო და საჯარო პარტნიორებს შორის არსებობს დიდი ნდობა⁵⁴⁸.

მშენებლობა - საკუთრება - იჯარა - გადაცემა (BOLT): BOLT მოდელი ზემოთ განხილულთაგან არსებითად განსხვავდება, რადგანაც მოიცავს არა ერთ, არამედ ორ კერძო პარტნიორს. პირველი ახორციელებს პროექტის აშენებას და საკუთრებაში აქვს შესაბამისი ქონება, ხოლო მეორე იჯარით იღებს და მართავს მას. პროექტის ვადის დასრულების შემდეგ კი სახელმწიფო ორივე მათგანს ჩაანაცვლებს⁵⁴⁹. BOLT აძლევს საშუალებას კერძო კომპანიებს, რომლებსაც თავად დამოუკიდებლად არ შეუძლიათ პროექტის განხორციელება, ამ მიზნით სხვა პირთან გაერთიანდნენ და საკუთარი შესაძლებლობები ერთად გამოიყენონ წარმატების მისაღწევად. ეს მოდელი ძალიან ეფექტურია, რადგანაც მხარეებს

⁵⁴⁴ Liang, Y. Wang, H. Sustainable Performance Measurements for Public–Private Partnership Projects: Empirical Evidence from China. *The Sustainability Journal*, 11. 2019. 36-53.

⁵⁴⁵ Debande, O. Private Financing of Transport Infrastructure: An Assessment of the UK Experience. *Journal of Transportation Economics and Policy*. 36.3. 2002. 355-387.

⁵⁴⁶ Flyvberg, B. Rothengatter, W. Bruzelius, N. Megaprojects and Risk: An Anatomy of Ambition. Cambridge University Press, New York, USA. 2003. 43-76.

⁵⁴⁷ Zheng, J. Roehrich, J. Lewis, M. The dynamics of contractual and relational governance: Evidence from long-term public–private procurement arrangements. *Journal of Purchasing and Supply Management*, 14. 2008. 43-54.

⁵⁴⁸ Flyvberg, B. Rothengatter, W. Bruzelius, N. Megaprojects and Risk: An Anatomy of Ambition. Cambridge University Press, New York, USA. 2003. 43-76.

⁵⁴⁹ Shukla, N. Panchal, R. Shah, N. Built-Own-Lease-Transfer (BOLT): A Public Private Partnership Model that Bridges Gap of Infrastructure in Urban Areas. *International Journal of Civil Engineering Research*, 5.2. 2014. 135-144.

შეუძლიათ, ურთიერთობა საკუთარ თავზე „მოირგონ“, რაც მის მიმზიდველობას ზრდის⁵⁵⁰.

რეაბილიტაცია - მართვა - გადაცემა (ROT): მოცემული მოდელი განსაზღვრულია იმისათვის, რომ მოხდეს გაუმართავი ან არაეფექტური დაწესებულების რეაბილიტაცია. ის აძლევს საშუალებას კერძო ინვესტორებს, მოახდინონ არსებული ქონების PPP პერიოდის განმავლობაში რეაბილიტაცია და მართვა, რის შემდეგაც ხდება სახელმწიფოსათვის მისი დაბრუნება⁵⁵¹. ეს მეთოდის საკმაოდ პოპულარულია, რადგანაც განკუთვნილია კონკრეტული სიტუაციისათვის, როდესაც ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა არ ხდება, არამედ იგეგმება არსებული სისტემის რეაბილიტაცია და გაუმჯობესება. სხვათაგან, ROT საკმაოდ ჰგავს BOT-ს⁵⁵², რომელიც ზემოთ იქნა განხილული.

სწორედ ზემოთ მოცემული მოდელები შეიძლება, აღვიქვათ კერძო-საჯარო პარტნიორობის ძირითად სახესხვაობებად. მათი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული დანიშნულებები და როლი იწვევს PPP-ის, როგორც სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობის ეფექტურობას⁵⁵³. ამასთან, კერძო-საჯარო პარტნიორობას საუბრისას, ამომწურავი დისკურსის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, მოხდეს მასთან ხშირად დაკავშირებული სახელშეკრულებო ურთიერთობის, კონცესიის შეთანხმების განხილვაც. არაერთი მოსაზრებით, კონცესია კერძო-საჯარო ურთიერთობის ფორმადაც შეიძლება, ითვლებოდეს⁵⁵⁴. ამიტომ, საჭიროა, მოხდეს მისი შესწავლაც შემდეგ საკითხზე გადასვლამდე.

PPP მოდელები და კონცესიის შეთანხმებები მნიშვნელოვნად ჰგავს ერთმანეთს. ფართოდ თუ მოხდება განმარტება, კონცესიის შეთანხმება მოიცავს კერძო ბიზნესსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის ურთიერთქმედებას, ამიტომ ის კერძო-საჯარო პარტნიორობის დეფინიციაში ნამდვილად ჯდება⁵⁵⁵.

⁵⁵⁰ Reddy, S. Sharma, P. Why PPP Modeled Infrastructure Projects Failed: A Critical Review with a Special Focus on Road Sector. *International Journal of Advanced Engineering, Management and Science*, 3.4. 2017. 331-338.

⁵⁵¹ Sambrani, V. PPP from Asia and African Perspective towards Infrastructure Development: A Case Study of Greenfield Bangalore International Airport, India. *Social and Behavioral Sciences Journal*, 157. 2014. 285-295.

⁵⁵² Cui, C. Liu, Y. Hope, A. Wang, J. Review of studies on the public-private partnerships (PPP) for infrastructure projects. *International Journal of Project Management*, 36.5. 2018. 773-794.

⁵⁵³ Debande, O. Private Financing of Transport Infrastructure: An Assessment of the UK Experience. *Journal of Transportation Economics and Policy*. 36.3. 2002. 355-387.

⁵⁵⁴ Flyvberg, B. Rothengatter, W. Bruzelius, N. Megaprojects and Risk: An Anatomy of Ambition. Cambridge University Press, New York, USA. 2003. 43-76.

⁵⁵⁵ Pereira, C. Public-Private Partnerships (PPPs) and Concessions of Public Services in Brazil. *BRICS Law Journal*, 1. 2014. 25-43.

ამავდროულად, ასეთი მსგავსების მიუხედავად, PPP და კონცესია სხვადასხვა კონცეფციებია და ზოგჯერ ისინი სხვადასხვა მიზნებით გამოიყენება.

პრაქტიკაში, კონცესია არის ხელშეკრულება, რომელშიც ერთი კონკრეტული სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის უფლება გადაეცემა კერძო პარტნიორს, ზოგჯერ ანაზღაურების სანაცვლოდ. რაც შეეხება PPP-ს, ისინი უფრო კომპლექსური და გრძელვადიანი კონტრაქტებია⁵⁵⁶. როგორც წესი, ეს ორი მექანიზმები სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებით წესრიგდება და, მსგავსების მიუხედავად, სამართლებრივად განცალკევებული არიან⁵⁵⁷.

როგორც PPP-ის, ისე კონცესიის დეფინიცია საკმაოდ ბუნდოვანია, ამიტომ ზუსტი განსხვავებების დადგენა საკმაოდ რთულია⁵⁵⁸. მეტიც, ხშირად, სხვადასხვა ქვეყნებს ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრება აქვთ ამ მექანიზმების შინაარსთან დაკავშირებით, ამიტომ PPP-სა და კონცესიას შორის საზღვარი სულ უფრო და უფრო რთული ხდება⁵⁵⁹. შედეგად, უკეთესი მიდგომაა ზოგადი განსხვავებების იდენტიფიცირება პრინციპულ მიდგომებს შორის.

წინამდებარე კვლევის მიდგომაა, რომ მცირე განმასხვავებელ დეტალებზე კონცენტრირების ნაცვლად უმჯობესია მოხდეს მოცემული ინსტრუმენტების მიზნების გაანალიზება. კონცესიისათვის მნიშვნელოვანი, როგორც წესი, არის მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული ზოგადი შედეგის მიღწევა⁵⁶⁰. რაც შეეხება PPP-ს, ასეთ დროს ორიენტირება ხება მთლიანად პროექტზე, და ურთიერთობის მიზანია ბევრი კონკრეტული შედეგის დადგომა, რომლებიც შეიძლება, ზოგჯერ არც იყოს პირდაპირ ზოგად მიზანთან თანხვედრაში⁵⁶¹. შედეგად, PPP ხელშეკრულებები უფრო მოცულობითი და დეტალურია და სათითაოდ კონცენტრირდება კერძო მხარის ყველა ვალდებულებაზე, მაშინ, როდესაც კონცესიის შეთანხმებები შესამჩნევად უფრო მცირე ზომისაა, და მათთვის

⁵⁵⁶ Hodge, G. Greve, C. Public-Private Partnerships: An International Performance Review. *Public Administration Review* 67.3. 2007. 545-558

⁵⁵⁷ Cox, J. Ross, S. Rubinstein, M. Options Pricing a Simplified Approach. *Journal of Financial Economics*, 3. 1979. 145-166.

⁵⁵⁸ Miranda, N. Concession Agreements: From Private Contract to Public Policy. *The Yale Law Journal*. 117. 2007. 510-549.

⁵⁵⁹ Burger, P. Hawkesworth, I. How To Attain Value for Money: Comparing PPP and Traditional Infrastructure Public Procurement. *OECD Journal on Budgeting*, 11.1. 2011. 91-146.

⁵⁶⁰ Miranda, N. Concession Agreements: From Private Contract to Public Policy. *The Yale Law Journal*. 117. 2007. 510-549.

⁵⁶¹ Steijn, A. Klijn, E. Edelenbos, J. Public Private Partnerships: Added Value by Organizational Form or Management? *Public Administration* 89.4. 2011. 1235-1252

მთავარია საბოლოო მიზნის მიღწევა, ხოლო ამის უზრუნველყოფის საშუალებებთან დაკავშირებით კერძო მხარეს მეტი თავისუფლება გააჩნია⁵⁶².

შედეგად, იმის მცდელობისას, რომ მოხდეს PPP ხელშეკრულებასა და კონცესიის ხელშეკრულებას შორის განსხვავების დადგენა, უმჯობესია, იმაზე გაკეთდეს აქცენტი, რაზე კონცენტრირდება დოკუმენტი და რამდენად დეტალურია ის. ძირითადად, უფრო მოცულობითი და დეტალური PPP იქნება, ხოლო მცირე და შედეგზე ორიენტირებული - კონცესია. ამავდროულად, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში, კონცესიის ხელშეკრულება ნამდვილად შეიძლება, ჩაითვალოს სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების სახეობად და, მათი ასეთი არსებითი მსგავსების გამო, შემდგომში, იგი კერძო-საჯარო პარტნიორობის ფარგლებში იქნება განხილული.

კერძო-საჯარო პარტნიორობას ბევრი დადებითი მხარე აქვს, რაც მათს პოპულარობასაც იწვევს. მართალია, რისკებიც არსებობს, მაგრამ პოზიტიური შედეგებიც აშკარაა⁵⁶³. აკადემიურ ლიტერატურაში გამოიყოფა რამდენიმე მთავარი დადებითი მხარე, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება PPP-ის სასარგებლო მექანიზმად განხილვა. ესენია:

სახელმწიფოს ხარჯების შემცირება: ეს შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი სარგებელია, რომელიც გამომდინარეობს PPP-ით სარგებლობისაგან⁵⁶⁴. ეს საკითხი აერთიანებს PPP-ით სარგებლობის რამდენიმე მიზანს - ის არა მხოლოდ ქმნის შესაძლებლობას, რომ განხორციელდეს მოცულობითი საჯარო ინფრასტრუქტურული ან სხვა სახის პროექტები როდესაც სახელმწიფოს მათზე ხარჯების გაწევა არ შეუძლია,⁵⁶⁵ არამედ, ძირითადად, თავად სერვისის საფასურიც მცირდება მომხმარებლისათვის, რაც კერძო სექტორის უნარებისაგან, ინოვაციურობისაგან და გამოცდილებისაგან გამომდინარეობს⁵⁶⁶. ასევე აღსანიშნავია, რომ PPP ქმნის შესაძლებლობას, ის რესურსები, რომელიც

⁵⁶² Burger, P. Hawkesworth, I. How To Attain Value for Money: Comparing PPP and Traditional Infrastructure Public Procurement. OECD Journal on Budgeting, 11.1. 2011. 91-146.

⁵⁶³ Alfen, H. Public-Private Partnership in infrastructure development: Case studies from Asia and Europe. Schriftenreihe der Professur Betriebswirtschaftslehre im Bauwesen, 7. 1-154.

⁵⁶⁴ Leiringer, R. Technological innovation in PPPs: Incentives, opportunities and actions. Construction Management and Economics Journal, 24.3. 2006. 301-308.

⁵⁶⁵ Li, B. Akintoye, A. Edwards, P. Hardcastle, C. Perceptions of positive and negative factors influencing the attractiveness of PPP/PFI procurement for construction projects in the UK: Findings from a questionnaire survey. Engineering, Construction and Architectural Management, 12.2. 2005. 125-148.

⁵⁶⁶ Ismail, S. Factors Attracting the Use of Public Private Partnership in Malaysia. Journal of Construction in Developing Countries, 18.1. 2013. 95-108.

სახელმწიფოს პროექტში უნდა დაეხარჯა, გამოიყენოს სხვა სასარგებლო საქმიანობისათვის⁵⁶⁷.

რისკის კერძო სექტორისათვის გადაკისრება: კარგად შემუშავებულ PPP პროექტებში, თითოეული რისკი, რომელიც მასთან ასოცირდება, დაკისრებულია იმ პარტნიორზე, რომელსაც უკეთ შეუძლია ამ რისკის მენეჯმენტი. ეს კერძო-საჯარო პარტნიორობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დადებითი მხარეა. პრაქტიკაში, როგორც წესი, მეტი რისკი ეკისრება კერძო მხარეს⁵⁶⁸. ეს ნაწილობრივ გამომდინარეობს იქიდან, რომ, სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, სწორედ კერძო პარტნიორს შეუძლია უფრო ეფექტურად მართოს რისკები და მათი შედეგები⁵⁶⁹. ამიტომ, რისკის თვალსაზრისით, PPP ზრდის პროექტის ეფექტურობას.

პროექტის ეფექტურობის გაზრდა: პრაქტიკაში, PPP მექანიზმები, როგორც წესი, უფრო ეფექტურია და მეტ ღირებულებას ქმნის, ვიდრე ექვივალენტი პროექტების სახელმწიფოს მიერ განხორციელება⁵⁷⁰. კერძო სექტორი ინჰერენტულად უფრო ეფექტური და ინოვაციურია, ვიდრე მისი საჯარო ექვივალენტი. დამატებით, მას აქვს ის უპირატესობა, რომ კერძო სექტორი მუდმივ კონკურენციას მიჩვეულია⁵⁷¹, რაც დადებითი შედეგების წამახალისებელი ზეწოლაა და იწვევს უკეთესად მუშაობის ხელშეწყობას⁵⁷². მეტიც, კერძო-საჯარო პარტნიორობა ამცირებს დროს, რომელიც საჭიროა პროექტის წარმატებით დასაგვირგვინებლად, რაც, ბუნებრივია, ეფექტურობაზე დადებითად აისახება⁵⁷³.

პრობლემების მოგვარების კრეატიული მეთოდების ხელშეწყობა: რადგანაც კერძო სექტორი მორგებულია კონკურენციაზე, მისი წარმომადგენლები უკეთ არიან აღჭურვილი, რომ იფიქრონ „ყუთს გარეთ“ და მივიდნენ პრობლემის

⁵⁶⁷ Li, B. Akintoye, A. Edwards, P. Hardcastle, C. Perceptions of positive and negative factors influencing the attractiveness of PPP/PFI procurement for construction projects in the UK: Findings from a questionnaire survey. *Engineering, Construction and Architectural Management*, 12.2. 2005. 125-148.

⁵⁶⁸ Alexandersson, G. Hulten, S. Prospects and Pitfalls of Public-Private Partnerships in Railway Transportation. *Theoretical Issues and Empirical Experience. International Journal of Transport Economics*, 36.1. 2009. 97-119.

⁵⁶⁹ Calveras, A. Ganuza, J. Hauk, E. Wild Bids. Gambling for Resurrection in Procurement Contracts. *Journal of Regulatory Economics*, 26. 2004. 41-68.

⁵⁷⁰ Alexandersson, G. Hulten, S. Prospects and Pitfalls of Public-Private Partnerships in Railway Transportation. *Theoretical Issues and Empirical Experience. International Journal of Transport Economics*, 36.1. 2009. 97-119.

⁵⁷¹ მენაბდიშვილი, ს. კარტელური საქმიანობის ამკრძალავ დებულებათა ძირითადი ტერმინების განმარტების საკითხისათვის. *სამართლის ჟურნალი*, 13.1. 2015. 195-225.

⁵⁷² Hall, J. Private Opportunity, Public Benefit. *Fiscal Studies Journal*, 19.2. 1998. 121-140.

⁵⁷³ Ismail, S. Factors Attracting the Use of Public Private Partnership in Malaysia. *Journal of Construction in Developing Countries*, 18. 1. 2013. 95-108.

გადაჭრის კრეატიულ გზებამდე⁵⁷⁴. საკმაოდ ხშირად, სახელმწიფო ორგანოების მნიშვნელოვანი პრობლემა სწორედ ამ უნარის სიმცირეა მისთვის ხელმისაწვდომ ადამიანურ რესურსებში. ამიტომ, PPP-ის გამოყენება ადვილად შეიძლება, კრეატიული ვაკუუმის აღმოსაფხვრელად კარგი გზა აღმოჩნდეს⁵⁷⁵.

ბიზნესის ზრდის ხელშეწყობა: საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოცემული დადებითი მხარეები კონცენტრირდება სახელმწიფოსათვის არსებულ სარგებელზე, თუმცა ფაქტია, რომ კერძო-საჯარო პარტნიორობა სასურველია ასევე კერძო სექტორისათვის⁵⁷⁶. კერძო-საჯარო პარტნიორობა ქმნის შესაძლებლობას, ბიზნესმა მიიღოს მონაწილეობა ფართომასშტაბიან და ხშირად საკმაოდ მომგებიან პროექტებში, რომლებსაც არსებით გავლენა შეუძლიათ, მოახდინონ შესაბამისი კომპანიის მომავალზე⁵⁷⁷. რისკები, ბუნებრივია, არსებობს, თუმცა კერძო სექტორის PPP პროექტებში მონაწილეობა, უმეტეს შემთხვევებში სასურველია მათთვის და დადებით შედეგად უნდა იქნეს განხილული მთლიანი სახელმწიფოს ეკონომიკისათვისაც.

ზემოთ მოცემული დადებითი მხარეები, რა თქმა უნდა, კერძო-საჯარო პარტნიორობას კარგ მექანიზმად წარმოაჩენს. ამავდროულად, მართალია, აქცენტი ხშირად კერძო-საჯარო პარტნიორობის დადებით მხარეებზე კეთდება, მაგრამ მასთან ასოცირებულია ასევე არაერთი რისკი და პრობლემატური საკითხი⁵⁷⁸. არსებული კონსესუსით, ასეთებად შეიძლება განიხილოს შემდეგი:

უფრო მაღალი კაპიტალური ხარჯები: თეორიულად, სესხის გაცემისას ყველაზე მცირე პროცენტი, როგორც წესი, სახელმწიფოსთვის გაიცემა. ამიტომ, თუკი პროექტის განსახორციელებლად სესხი გახდება საჭირო, კერძო პარტნიორს უფრო მაღალი პროცენტის გადახდა მოუწევს. ამ რისკის შემცირება შეიძლება, თუკი სახელმწიფო თავდებად დაუდგება კერძო პარტნიორს, თუმცა ამით შემცირდება პროექტის მიმზიდველობა, რადგანაც რისკების გადაკისრება და

⁵⁷⁴ Alexandersson, G. Hulthen, S. Prospects and Pitfalls of Public-Private Partnerships in Railway Transportation. Theoretical Issues and Empirical Experience. International Journal of Transport Economics, 36.1. 2009. 97-119.

⁵⁷⁵ Silva, G. Toll Roads: Recent trends in private participation. Public Policy for the Private Sector, 76, 1. 2000. 53-54

⁵⁷⁶ Hodge, G. Greve, C. Public-Private Partnerships: An International Performance Review. Public Administration Review 67, 3. 2007. 545-558

⁵⁷⁷ Li, B. Akintoye, A. Edwards, P. Hardcastle, C. Perceptions of positive and negative factors influencing the attractiveness of PPP/PFI procurement for construction projects in the UK: Findings from a questionnaire survey. Engineering, Construction and Architectural Management, 12, 2. 2005. 125-148.

⁵⁷⁸ Alfen, H. Public-Private Partnership in infrastructure development: Case studies from Asia and Europe. Schriftenreihe der Professur Betriebswirtschaftslehre im Bauwesen, 7. 1-154.

სახელმწიფოს ხარჯების შემცირება, როგორც ზემოთ უკვე იქნა განხილული, კერძო-საჯარო პარტნიორობის ერთ-ერთი მთავარი ხიბლია⁵⁷⁹.

რთული კონტრაქტები და მონიტორინგი: PPP კონტრაქტები ხშირად ძალიან ჩახლართულია, რაც მათთან მუშაობას ართულებს⁵⁸⁰. შედეგი ისაა, რომ თუკი ხელშეკრულება არ არის კარგად შემუშავებული, მან მნიშვნელოვნად შეიძლება, შეამციროს პროექტის ეფექტურობა, ან გამოიწვიოს ზედმეტად მაღალი ან დაბალი ანაზღაურება ან რისკის არასათანადოდ გადანაწილება⁵⁸¹. მეტიც, ეს კომპლექსურობა იწვევს სახელმწიფოს მიერ კერძო პარტნიორის საქმიანობის მონიტორინგის ხარისხის დაცემას, რაც კიდევ ერთ რისკად უნდა ჩაითვალოს⁵⁸².

შემცირებული მოქნილობა: PPP პროექტები ხშირად გრძელვადიანი წამოწყებებია⁵⁸³. ამავდროულად, როგორც უკვე ითქვა, ასეთ ხელშეკრულებებში კონკრეტული მიზნები და შედეგებია გაწერილი, რომელთა მიღწევაც აუცილებელია⁵⁸⁴. ეს ფაქტი, იმასთან ერთად, რომ სახელმწიფოსა და კერძო პარტნიორის ინტერესები ხშირად განსხვავდება, პოტენციურ პრობლემას წარმოშობს. თუკი სახელმწიფო თავად გასწევდა სერვისს და აღმოაჩინდა, რომ მისი პრიორიტეტები შეიცვალა, ის შეძლებდა, მორგებოდა ახალ რეალობას. ეს ფუფუნება ხშირად არ არსებობს კერძო-საჯარო პარტნიორობის დროს. კერძო პარტნიორი უნდა იყოს ისევე დაინტერესებული ცვლილებების განხორციელებაში, როგორც საჯარო პარტნიორი, რათა მოხდეს ორმხრივი შეთანხმება და შეიცვალოს ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერები, რაც საკმაოდ იშვიათად ხდება⁵⁸⁵. შედეგად, რაც უფრო გრძელვადიანია კონტრაქტი, მით იზრდება მასთან დაკავშირებული რისკები. ამიტომ, განსაკუთრებით

⁵⁷⁹ Alexandersson, G. Hulten, S. Prospects and Pitfalls of Public-Private Partnerships in Railway Transportation. Theoretical Issues and Empirical Experience. International Journal of Transport Economics, 36, 1. 2009. 97-119.

⁵⁸⁰ Steijn, A. Klijn, E. Edelenbos, J. Public Private Partnerships: Added Value by Organizational Form or Management? Public Administration 89, 4. 2011. 1235-1252

⁵⁸¹ Alexandersson, G. Hulten, S. Prospects and Pitfalls of Public-Private Partnerships in Railway Transportation. Theoretical Issues and Empirical Experience. International Journal of Transport Economics, 36, 1. 2009. 97-119.

⁵⁸² Forrer, J. Kee, J. Newcomer, K. Boyer, E. Public-Private Partnerships and the Public Accountability Question. Public Administration Review, 70, 3. 2010. 475-484.

⁵⁸³ Burger, P. Hawkesworth, I. How To Attain Value for Money: Comparing PPP and Traditional Infrastructure Public Procurement. OECD Journal on Budgeting, 11, 1. 2011. 91-146.

⁵⁸⁴ Steijn, A. Klijn, E. Edelenbos, J. Public Private Partnerships: Added Value by Organizational Form or Management? Public Administration 89, 4. 2011. 1235-1252

⁵⁸⁵ Miranda, N. Concession Agreements: From Private Contract to Public Policy. The Yale Law Journal. 117. 2007. 510-549.

მნიშვნელოვანია ხარისხიანი და ეფექტური გრძელვადიანი დაგეგმვა, რათა მაქსიმალურად მოხდეს არსებული რისკების შემცირება⁵⁸⁶.

ყოველივე ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, შეიძლება იმის თქმა, რომ კერძო-საჯარო პარტნიორობა მრავალფეროვან მექანიზმებს მოიცავს, რომელთა მიზანიცაა, გაზარდონ საჯარო სარგებელი და უზრუნველყონ კერძო და საჯარო მხარეების მომგებიანი თანამშრომლობა⁵⁸⁷. ისინი ქმნიან შესაძლებლობას, რომელიც, არაერთ შემთხვევაში, საუკეთესო შესაძლო გზად გვევლინება.

მართალია, საფრთხეები არსებობს⁵⁸⁸, როგორც ამ ნაშრომში უკვე აღინიშნა, მაგრამ ამ რისკების შემცირება შესაძლებელია, ხოლო სარგებელი, რომელიც PPP-ის მოჰყვება, უდავოა. შედეგად, როგორც სახელმწიფოსათვის, ისე კერძო ბიზნესისათვის მოცემული ინსტრუმენტი განსაკუთრებით სასარგებლოა, თუკი მოხდება მისი ფრთხილად გამოყენება. შეიძლება ითქვას, სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას კერძო-საჯარო პარტნიორობის გზით წასვლა სასარგებლოა მაშინ, თუკი ის გამოიყენება სწორად და სათანადო მიზნის მისაღწევად. PPP-ის თითოეული სახეობა სხვადასხვა შემთხვევაში ცვალებადი ეფექტურობით გამოირჩევა, თუმცა გარკვეული ტრენდის დაფიქსირება მაინც შესაძლებელია. როგორც წინამდებარე ქვეთავის დასაწყისში იქნა განხილული, კერძო-საჯარო პარტნიორობა მორგებულია ამა თუ იმ კონკრეტული პროექტის შესრულებაზე, ამიტომ, ის ნაკლებად გამოსადეგია, როდესაც სახელმწიფოს მიზანია სტრატეგიული სექტორის განვითარება ან ეკონომიკის სტიმულირება. მეორე მხრივ კი, როდესაც საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციაში ჩართულობის საბაზად ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარება ან მოსახლეობისათვის სერვისების შეთავაზება გვევლინება, PPP ეფექტურ ინსტრუმენტად იქცევა ამ მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში. ხაზგასასმელია, რომ კერძო-საჯარო პარტნიორობაზე შეჩერების შემთხვევაში არანაკლებ მნიშვნელოვანია, მისი სწორი ნაირსახეობა იქნეს გამოყენებული, თუმცა, ძირითადად, სწორედ ამ ორი ლეგიტიმური მიზნის შემთხვევაშია PPP ეფექტური ინსტრუმენტი სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის დროს. შედეგად, თუკი იქნება წინამდებარე ნაშრომში მოცემული დადებითი და უარყოფითი მხარეების აწონ-დაწონვა და სწორად მისით სარგებლობა, კერძო-საჯარო პარტნიორობა როგორც სახელმწიფოსათვის, ისე

⁵⁸⁶ Werneck, B. Saadi, M. The Public-Private Partnership Law Review: Third Edition. Law Business Research Publishing: London, UK. 2017. 15-64.

⁵⁸⁷ Niederkofler, M. The Evolution of Strategic Alliance: Opportunities for Managerial Influence. Journal of Business Venturing 6. 1991. 237-257

⁵⁸⁸ Alexandersson, G. Hulthen, S. Prospects and Pitfalls of Public-Private Partnerships in Railway Transportation. Theoretical Issues and Empirical Experience. International Journal of Transport Economics, 36, 1. 2009. 97-119.

კომერციული იურიდიული პირებისათვის განსაკუთრებით გამოსადეგ მექანიზმად უნდა იყოს განხილული.

3.2.2. კერძო კომერციის სუბსიდირება

სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორის სუბსიდირება ხელისუფლების მიერ კომერციულ საქმიანობაში ირიბად ჩარევის საკმაოდ ხშირად გამოყენებადი ფორმაა⁵⁸⁹. სუბსიდიების გამოყენება, ძირითადად, მოიცავს მმართველობის ორგანოების მიერ სამეწარმეო საზოგადოებებისათვის თანხის ან ქონების გადაცემას, რათა მათ უკეთ შეძლონ საკუთარი საქმიანობის განხორციელება⁵⁹⁰⁵⁹¹. ეს მათ არსებითად უშუალოდ მდგომარეობას და, შედეგად, შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოს ეკონომიკური სიტუაციის სასურველი მიმართულებით ცვლილება⁵⁹².

კერძო კომერციის სუბსიდირების პოპულარობა 21-ე საუკუნეში არსებითად გაიზარდა, რის კარგ მაგალითადაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტრენდი შეიძლება იყოს მოყვანილი. აღნიშნულ ქვეყანაში მხოლოდ 2007-2012 წლებშიც კი სუბსიდირების მოცულობა დაახლოებით 400%-ით, 281 მილიარდი იუანიდან 1100 მილიარდ იუანამდე გაიზარდა⁵⁹³ (რაც, 2021 წლის მდგომარეობით, დაახლოებით 170 მილიარდი აშშ დოლარის ტოლფასია). ასეთი არსებითი ცვლილება განპირობებულია კერძო კომერციის სუბსიდირების, როგორც სამეწარმეო საქმიანობაში სახელმწიფოს აქტიური ჩართულობის ეფექტურად გამოყენების მექანიზმის, ეფექტურობის მაღალი დონით⁵⁹⁴. შესაბამისად, საჭიროა, მოხდეს იმის შეფასება, თუ რა აქცევს სუბსიდიებს ასეთ ეფექტურ ინსტრუმენტად.

პირველ რიგში, ხაზგასასმელია, რომ სახელმწიფოს მიერ მისი საქმიანობის სუბსიდირებას ხშირად უაღრესად დადებითი გავლენა აქვს კერძო კომპანიის

⁵⁸⁹ Schwarz, G. Clements, B. Government Subsidies. *Journal of Economic Surveys*, 13.2. 1999. 119-148.

⁵⁹⁰ ბორონი, ა. ღვინის ბაზართან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა ევროპის მასშტაბით. *სამართლის ჟურნალი*, 4.1. 2011. 246-277.

⁵⁹¹ Irvine, I. Electric Vehicle Subsidies in the Era of Attribute-Based Regulations. *Canadian Public Policy*, 43.1. 2017. 50-60.

⁵⁹² Alizamir, S. Irvani, F. Mamani, H. An Analysis of Price vs. Revenue Protection: Government Subsidies in the Agriculture Industry. *Management Science*, 65.1. 2019. 1-55.

⁵⁹³ Bu, D. Zhang, C. Wang, X. Purposes of government subsidy and firm performance. *China Journal of Accounting Studies*, 5.1. 2017. 100-122.

⁵⁹⁴ Alizamir, S. Irvani, F. Mamani, H. An Analysis of Price vs. Revenue Protection: Government Subsidies in the Agriculture Industry. *Management Science*, 65.1. 2019. 1-55.

ფინანსურ მდგომარეობაზე⁵⁹⁵. ეს ლოგიკურია და სრულებითაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგანაც, სუბსიდიების მიღებისას, რეალურად, მეწარმე იღებს ფულად მხარდაჭერას და ამის სანაცვლოს ზოგჯერ არაფრის გაკეთება არ უწევს⁵⁹⁶, ზოგჯერ კი - სახელმწიფოს ინტერესებში შემავალი მოქმედებების განხორციელება, რომლებიც ასე თუ ისე მაინც კავშირშია მის საქმიანობასთან⁵⁹⁷. თავისუფალი თანხის ინექცია, ბუნებრივია, კარგად აისახება სამეწარმეო საზოგადოების ბედისწერაზე და ზრდის იმის შანსს, რომ მან არსებით წარმატებას მიაღწიოს⁵⁹⁸. შედეგად, სუბსიდიები უაღრესად პოპულარულია მათს პოტენციურ ადრესატებთან, განსაკუთრებით თუ ასეთი მხარდაჭერის მისაღებად ექსტრაორდინალური ნაბიჯების გადადგმა ან არამომგებიანი ქმედებების განხორციელება არ არის აუცილებელი⁵⁹⁹.

ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, ადვილი გასაგებია, თუ რატომ არის სუბსიდიები პოპულარული კომერციულ საზოგადოებათა შორის. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ კერძო მეწარმეთათვის ფულადი მხარდაჭერის გაწევა კარგია. ამავედროულად კი, ისიც ფაქტია, რომ ხშირად სახელმწიფოებიც მომხრე არიან, ამ მეთოდის გამოყენებით ჩაერიონ კერძო სექტორის საქმიანობაში და დაეხმარონ ამა თუ იმ ორგანიზაციას. სუბსიდიების გამოყენება საკმაოდ ხშირად პოპულარულია ხელისუფლების ორგანოებშიც⁶⁰⁰. ამის ერთ-ერთ საფუძვლად განიხილება მოცემული ინსტრუმენტის სიზუსტე⁶⁰¹. თუკი ხელისუფალი თვლის, რომ საჭიროა ამა თუ იმ კომპანიის ან სამეწარმეო საზოგადოებათა ჯგუფის დახმარება და სასურველია, რომ მათ წარმატებას მიაღწიონ, სუბსიდიების გამოყენებით ამ მიზნის რეალობაში განხორციელება შესამჩნევად უფრო მარტივი ხდება⁶⁰². სამიზნე კომპანიისათვის ფულადი მხარდაჭერის გადაცემით შანსი

⁵⁹⁵ Liu, M. Liu, L. Xu, S. Du, M. Liu, X. Zhang, Y. The Influences of Government Subsidies on Performance of New Energy Firms: A Firm Heterogeneity Perspective. *Sustainability*, 11.17. 2019. 1-19.

⁵⁹⁶ Bu, D. Zhang, C. Wang, X. Purposes of government subsidy and firm performance. *China Journal of Accounting Studies*, 5.1. 2017. 100-122.

⁵⁹⁷ Liu, M. Liu, L. Xu, S. Du, M. Liu, X. Zhang, Y. The Influences of Government Subsidies on Performance of New Energy Firms: A Firm Heterogeneity Perspective. *Sustainability*, 11.17. 2019. 1-19.

⁵⁹⁸ Cunha, J.M. De Giorgi, G. Jayachandran, S. The Price Effects of Cash versus In-Kind Transfers. *Review of Economic Studies*, 86. 2018. 240-281.

⁵⁹⁹ Alizamir, S. Irvani, F. Mamani, H. An Analysis of Price vs. Revenue Protection: Government Subsidies in the Agriculture Industry. *Management Science*, 65.1. 2019. 1-55.

⁶⁰⁰ Cunha, J.M. De Giorgi, G. Jayachandran, S. The Price Effects of Cash versus In-Kind Transfers. *Review of Economic Studies*, 86. 2018. 240-281.

⁶⁰¹ Kammermann, L. Ingold, K. Going beyond technocratic and democratic principles: stakeholder acceptance of instruments in Swiss energy policy. *Policy Sciences*, 52. 2019. 43-65.

⁶⁰² Dewatripont, M. Seabright, P. "Wasteful" Public Spending and State Aid Control. *Journal of the European Economic Association*, 4.2. 2006. 513-522.

იმისა, რომ მან წარმატებას მიაღწიოს და ის სფეროც, რომელშიც იგი მოღვაწეობს, წინ იქნეს წამოწეული, შესამჩნევად იზრდება⁶⁰³.

ამავდროულად, აღსანიშნავია ისიც, რომ მართალია, სუბსიდიების გამოყენებისას მისი გამოყენებელიც და ადრესატიც ამ მექანიზმს სასურველად თვლის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი უნივერსალურად პოპულარული ინსტრუმენტია. იმის გათვალისწინებით, რომ სუბსიდიებისას სახელმწიფო კერძო კომპანიას უბრალოდ ფულს აძლევს, ეს ხშირად მიიჩნევა საჯარო რესურსების არაეფექტურ ხარჯვად⁶⁰⁴. არსებობს მოსაზრებები, რომ თუკი ბიზნესი ხელისუფლების დახმარების გარეშე ვერ ახერხებს ფუნქციონირებას, ის განწირულია და მისი ხელოვნურად გადარჩენა სასურველ ნაბიჯად ვერ ჩაითვლება⁶⁰⁵. შედეგად, საკმაოდ გავრცელებული პოზიციის თანახმად, სუბსიდიების გამოყენებით ხელისუფლება უბრალოდ გადასახადების გადამხდელთა ფულს ფლანგავს⁶⁰⁶ და შედეგად არაფერ სასურველს არ იღებს⁶⁰⁷. ასეთი მოსაზრების მქონენი განიხილავენ, რომ სუბსიდიები კარგ შემთხვევაში უბრალოდ გარდაუვალი შედეგის მცირე ხნით გადადებას უზრუნველყოფენ⁶⁰⁸, ხოლო უარეს შემთხვევაში კი მნიშვნელოვნად შეიძლება, დააზიანონ კერძო ბიზნესის ეკვილიბრიუმი⁶⁰⁹ და არსებითი ზარალი მიაყენონ ეკონომიკას⁶¹⁰. შედეგად, შეუძლებელია იმის თქმა, რომ სუბსიდიები, როგორც სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობაში ირიბი გზით მონაწილეობის მიღების მექანიზმი, უნივერსალური პოპულარულობით სარგებლობს.

პოპულარულობის გარდა, ასევე განსახილველია ისიც, თუ რამდენად თავსებადია კერძო კომერციის სუბსიდიირება სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის ლეგიტიმურ მიზნებთან. როგორც უკვე იქნა განხილული, ასეთი

⁶⁰³ Irvine, I. Electric Vehicle Subsidies in the Era of Attribute-Based Regulations. *Canadian Public Policy*, 43.1. 2017. 50-60.

⁶⁰⁴ Dang, D. Can Environmental Subsidies Promote the Green Investment of Enterprises? *Modern Economy*, 11.1. 2020. 109-125.

⁶⁰⁵ Hoekman, B. The General Agreement on Trade in Services: Doomed to Fail? Does it Matter? *Journal of Industry Competition and Trade*, 8.3. 2008. 295-318.

⁶⁰⁶ Hui, J. Qian, X. How the Chinese Government Has Done with Public Health from the Perspective of the Evaluation and Comparison about Public-Health Expenditure. *International Journal of Environmental Research and Public Health*, 17. 2020. 1-16.

⁶⁰⁷ Hacker, J.S. Pierson, P. Business Power and Social Policy: Employers and the Formation of the American Welfare State. *Politics & Society*, 30.2. 2002. 1-49.

⁶⁰⁸ Sarfati, G. Do Public Policies for Entrepreneurship Make a Difference? Prospective Scenarios for Canada, Ireland, and Italy. *Future Studies Research Journal, Trends and Strategies*, 4.1. 2012. 114-139.

⁶⁰⁹ Huang, H. Liang, D. Liang, L. Tong, Z. Research on China's Power Sustainable Transition Under Progressively Levelized Power Generation Cost Based on a Dynamic Integrated Generation-Transmission Planning Model. *The Sustainability Journal*, 11. 2019. 1-21.

⁶¹⁰ Hoekman, B. The General Agreement on Trade in Services: Doomed to Fail? Does it Matter? *Journal of Industry Competition and Trade*, 8.3. 2008. 295-318.

თავსებადობის არარსებობის შემთხვევაში მოცემული მექანიზმის ეფექტურად გამოყენება, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნება.

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილი იმ საფუძვლებიდან, რომლებზე დაყრდნობითაც საჯარო ხელისუფლების ორგანოთა მიერ კომერციულ აქტივობაში ჩართულობა შეიძლება, გამართლებული იქნეს, სუბსიდირებასთან, როგორც შესაბამის მექანიზმთან ყველაზე ნაკლებად თავსებადი ინფრასტრუქტურის შექმნა ან/და განვითარება. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ეს გამომდინარეობს არა იქიდან, რომ სუბსიდირების გზით ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია (რაც სიმართლეს არ შეესაბამება)⁶¹¹ არამედ იქიდან, რომ წინამდებარე ნაშრომში განხილული სხვა ინსტრუმენტები უფრო ეფექტურად შეიძლება, გამოყენებული იყოს ასეთი ფუნქციის შესასრულებლად^{612,613}. ისეთ დროს, თუკი ამა თუ იმ საჭიროებიდან გამომდინარე, ხელისუფლება გადაწყვეტს ინფრასტრუქტურული პროექტის სუბსიდირების გზით განხორციელებას, ეს ნამდვილად რეალისტური წამოწყება იქნება⁶¹⁴. ამავდროულად კი, ხაზგასასმელია, რომ სახელმწიფო სუბსიდიები ეფექტურად მუშაობს საზოგადოებებისა ან მათი ჯგუფის დახმარებისას და ის ნაკლებადაა მორგებული მხოლოდ ერთი კონკრეტული პროექტის შესრულებისაკენ⁶¹⁵. შედეგად, ისეთ დროს, როდესაც საჭიროა ინფრასტრუქტურული ან მსგავსი ხასიათის წამოწყების რეალობად ქცევა, ნაკლებად რეკომენდირებულია სუბსიდიების გამოყენება და უმჯობესია მისი, მაგალითად, კერძო-საჯარო პარტნიორობით ჩანაცვლება მოხდეს, რადგანაც მოცემული მექანიზმი სწორედ ასეთ დავალებაზეა მორგებული⁶¹⁶. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ მიზნებისა და ინსტრუმენტების ურთიერთკავშირი ყოველთვის ინდივიდუალურია და შეუძლებელია იმის გამორიცხვა რომ ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ სუბსიდიები მოგვევლინოს ინფრასტრუქტურული პროექტის შესასრულებლად საუკეთესო მეთოდად.

⁶¹¹ Tan, J. Infrastructure Privatization: Oversold, Misunderstood and Inappropriate. *Development Policy Review*, 29.1. 2011. 47-74.

⁶¹² Estrin, S. Pelletier, A. Privatization in Developing Countries: What Are the Lessons of Recent Experience? *The World Bank Research Observer*, 33.1. 2018. 65-102.

⁶¹³ Petersen, O.H. Public-private partnerships as converging or diverging trends in public management? A comparative analysis of PPP policy and regulation in Denmark and Ireland. *International Public Management Review*, 12.2. 2011. 1-37.

⁶¹⁴ Tan, J. Infrastructure Privatization: Oversold, Misunderstood and Inappropriate. *Development Policy Review*, 29.1. 2011.

⁶¹⁵ Hill, A. Foreign Infrastructure Investment in Chile: The Success of Public-Private Partnerships through Concessions Contracts. *Northwestern Journal of International Law & Business*, 32.1. 2011. 165-190.

⁶¹⁶ Petersen, O.H. Public-private partnerships as converging or diverging trends in public management? A comparative analysis of PPP policy and regulation in Denmark and Ireland. *International Public Management Review*, 12.2. 2011. 1-37.

სახელმწიფოს სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობის საფუძველი, რომელიც შედარებით უკეთ თავსებადია სუბსიდირებასთან, არის მოსახლეობისათვის სერვისების შეთავაზება. საერთაშორისო პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებულია ისეთი სერვისებისა და პროდუქტების მიმწოდებელი კომპანიების სუბსიდირება, რომლებიც სასიცოცხლოდ აუცილებლად განიხილება⁶¹⁷. ასეთად, მაგალითად, შეიძლება ჩაითვალოს ელექტრო-ენერჯის მწარმოებელი საზოგადოებები⁶¹⁸, ან, მაგალითად, სატრანსპორტო კომპანიები⁶¹⁹. ძირითადი მიზეზი სერვისების ან პროდუქციის მიმწოდებელი ბიზნესის სუბსიდირებისა, პრაქტიკაში, ფასების დაბლა დაწევა ან ასეთად შენარჩუნებაა⁶²⁰. მოცემული მექანიზმის ასეთი საფუძველით გამოყენება საკმაოდ ხშირად გვხვდება, რაც მის ეფექტურობაზეც მეტყველებს⁶²¹. თუმცა, ამავედროულად, ხაზგასასმელია ისიც, რომ ამასთან ბევრი პრობლემა ასოცირდება. სუბსიდირება გრძელვადიან სტრატეგიად იშვიათად ვარგა⁶²² და დროსთან ერთად მისი ეფექტურობა მცირდება⁶²³. ამასთან, სუბსიდიების არსებობა ხშირად ამცირებს ინოვაციების ალბათობას და იწვევს იმას, რომ სუბსიდირებული ბიზნესები სახელმწიფო დახმარებაზე მთლიანად დამოკიდებული ხდებიან⁶²⁴. მეორეხრივ კი, ხელოვნურად შენარჩუნებული დაბალი ფასების არსებობა ხელისუფლებასაც უქრობს მოტივაციას, რომ სხვა მეთოდი იპოვოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ აუცილებელი სერვისები ან პროდუქცია მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი იყოს⁶²⁵. ამიტომ, მართალია, როგორც ითქვა, სუბსიდიების გამოყენებით ნამდვილად შეიძლება, ეფექტურად განხორციელდეს ხალხისათვის საჭირო მომსახურების ან საქონელის მიწოდება, თუმცა არასასურველია, რომ ეს გრძელვადიან სტრატეგიად იქცეს და უმჯობესია,

⁶¹⁷ Iacobucci, E.M. Trebilcock, M.J. The role of crown corporations in the Canadian economy: An analytical framework. University of Calgary SPP Research Papers, 5.9. 2012. 1-41.

⁶¹⁸ Peng, H. Liu, Y. How government subsidies promote the growth of entrepreneurial companies in clean energy industry: An empirical study in China. Journal of Cleaner Production, 188. 2018. 508-520.

⁶¹⁹ Christensen, L.T. Greve, C. Choosing state owned enterprises over public-private partnerships for infrastructure governance: explaining institutional change with evidence from Denmark's transport sector. International Public Management Review, 18.2. 2018. 137-161.

⁶²⁰ Quinn, M. Warren, L. New Public Management a re-packaging of extant techniques? Some archival evidence from an Irish semi-state power company. Qualitative research in Accounting & Management, 14.4. 2017. 407-429.

⁶²¹ Del Bo, C. Florio, M. Public enterprises, policy adoption and planning: Three welfare propositions. Journal of Economic Policy Reform, 15.4. 2012. 1-27.

⁶²² Miceikiene, A. Savickiene, J. Petkute, E. Tendencies in Variation of Economic Viability of Farms in Lithuania. European Scientific Journal, 11.4. 2015. 95-109.

⁶²³ Sovacool, B.K. Reviewing, Reforming, and Rethinking Global Energy Subsidies: Towards a Political Economy Research Agenda. Ecological Economics, 135. 2017. 150-163.

⁶²⁴ Ojo, A.A. Awogbemi, O. Ojo, O. An Overview of the Exploitation of Renewable Energy Resources in Nigeria, South Africa, and the United Kingdom. International Journal of Renewable Energy Research, 10.2. 2020. 843-860.

⁶²⁵ Hausermann, H. From polygons to politics: Everyday practice and environmental governance in Veracruz, Mexico. Geoforum, 43. 2012. 1002-1013.

უფრო შესაფერისი მექანიზმი იქნეს გამოჩახული, რათა უფრო მდგრადი და შენარჩუნებადი გზით მიიღწეს იგივე მიზანი.

რაც შეეხება ეკონომიკის სტიმულირებასა და სტრატეგიული სექტორის განვითარებას, მოცემული მიზნების მისაღწევად სახელმწიფოს მიერ სუბსიდიების გამოყენება ერთ-ერთი ძირითადი და ყველაზე ეფექტური მეთოდია⁶²⁶⁶²⁷. ორივე მათგანთან მიმართებით, ხსენებული მექანიზმის ძირითადი დადებითი მხარეებია სახეზე, რაც წარმატების ალბათობას შესამჩნევად ზრდის⁶²⁸⁶²⁹. მიუხედავად იმისა, ეკონომიკის გამოცოცხლებაა საჭირო, თუ კონკრეტული სფეროს გაძლიერება, საჯარო ხელისუფლების მიერ სუბსიდიების გაწევა ეფექტური ინსტრუმენტია ამ ფუნქციის განსახორციელებლად⁶³⁰⁶³¹. ორივე შემთხვევაში, სახეზეა შედარებით მოკლევადიანი ნაბიჯების საჭიროება, და მაქსიმალურად ზუსტი მექანიზმის გამოყენების აუცილებლობა, რასაც სუბსიდირება კარგად ერგება⁶³². არსებობს მოსაზრებები, რომ ყველაზე ეფექტური სახელმწიფო სუბსიდიები სტრატეგიული სექტორის განვითარების მიზნით მოქმედებისას⁶³³, რაც მისი შედარებით უფრო ვიწრო ბუნებიდან გამომდინარეობს⁶³⁴, თუმცა ამის ერთპიროვნულად სათქმელად საკმარისი კონსესუსი აკადემიურ ლიტერატურაში არ არსებობს. ამავდროულად, ფაქტად რჩება ის, რომ მოცემული ორი ლეგიტიმური მიზნის მიღწევა ნამდვილად ეფექტურად შეიძლება სუბსიდიების გამოყენებით, თანაც ისე, რომ ხშირად წინამდებარე ნაშრომში განხილული არც ერთი სხვა მექანიზმი არ იქნებოდა უფრო გამოსადეგი სასურველი შედეგის უზრუნველსაყოფად.

⁶²⁶ Glomm, G. Ravikumar, B. Public Investment in Infrastructure in a Simple Growth Model. *Journal of Economic Dynamics and Control*, 18. 1994. 1173-1187.

⁶²⁷ Annacker, C. Protection and Admission of Sovereign Investment under Investment Treaties. *Chinese Journal of International Law*, 10.3. 2011. 531-564.

⁶²⁸ Kaplan, S.B. Banking unconditionally: the political economy of Chinese finance in Latin America. *Review of International Political Economy*, 23.4. 2016. 643-676.

⁶²⁹ Klein, N. Ramos, T.B. Deutz, P. Circular Economy Practices and Strategies in Public Sector Organizations: An Integrative Review. *Sustainability*, 12.10. 2020. 1-24.

⁶³⁰ Clarke, D.C. Law without Order in Chinese Corporate Governance Institutions. *Northwestern Journal of International Law & Business*, 30.1. 2010. 131-199.

⁶³¹ Hernandez, J.I. Bellorin, C. The case for a new Venezuelan Hydrocarbons Law as the basis of a new Hydrocarbons Policy: unlocking the path for recovery, stabilization and growth. *The Journal of World Energy Law & Business*, 12.5. 2019. 394-407.

⁶³² Miceikiene, A. Savickiene, J. Petkute, E. Tendencies in Variation of Economic Viability of Farms in Lithuania. *European Scientific Journal*, 11.4. 2015. 95-109.

⁶³³ Liljebloom, E. Maury, B. Hörhammer, A. Complex state ownership, competition, and firm performance – Russian evidence. *International Journal of Emerging Markets*, 15.2. 2020. 189-221.

⁶³⁴ Singh, J.N. Ovidia, J.S. The theory and practice of building developmental states in the Global South. *Third World Quarterly*, 39.6. 2018. 1033-1055.

როგორც ზემოთ მოცემულიდან ჩანს, კერძო ბიზნესის საჯარო ხელისუფლების მიერ სუბსიდირება ნამდვილად შეიძლება, ღირსეული მიზნის მიღწევას ემსახურებოდეს. ამავდროულად, სახეზეა რისკები, რომლების განხილვაც აუცილებელია, სანამ მოხდება სუბსიდიებთან დაკავშირებით მსჯელობის შეჯამება.

ერთი საბაზი, რომელზე დაყრდნობითაც ხშირად ხდება ბიზნესის სუბსიდირება, არის ეროვნული წარმოების ინტერესების დაცვა⁶³⁵. ასეთი პრაქტიკა პროტექციონიზმის სახელითაა ცნობილი⁶³⁶. მოკლევადიან პერსპექტივებში, მას შეიძლება, დადებითი შედეგები მოჰყვეს, თუმცა დროსთან ერთად ყოველთვის პრობლემური ხდება⁶³⁷. მაგალითად, ევროპაში ბევრი ქვეყანა საკუთარ სასოფლო-სამეურნეო სექტორს სწორედ პროტექციონიზმის გამოყენებით იცავს, უხდის რა ადგილობრივ ფერმერებს ფულს არაფერში, რის შედეგადაც მათს ბიზნესს იცავს⁶³⁸. პრობლემას ის ქმნის, რომ შედეგად აღნიშნული სექტორის საერთოდ ვეღარ ვითარდება, მასში დასაქმებულ პირებს კი აღარ აქვთ მოტივაცია, რეალურად სასარგებლო, ეკონომიკურად ვარგის სფეროში გადავიდნენ⁶³⁹. ჯამში, ასეთ დროს სახელმწიფოს ეკონომიკა ყოველთვის ზარალდება, სუბსიდიები კი მისი რესურსების არასწორ ხარჯვად გვევლინება⁶⁴⁰. ამიტომ, წინამდებარე ნაშრომში გაზიარებულია პოზიცია, რომ ეროვნული წარმოების დაცვის საბაზით სუბსიდიების გამოყენება არ უნდა იქნეს განხორციელებული.

კიდევ ერთი პრობლემური ასპექტი, რომელიც სუბსიდირების მექანიზმს უკავშირდება, არის კონკურენციის საკითხი. კერძო კომპანიის დახმარება სახელმწიფოს მიერ ავტომატურად ქმნის დისბალანსს, რადგანაც მისი კონკურენტები ასეთ ხელშეწყობას ხშირად მოკლებულნი არიან⁶⁴¹. ამით მნიშვნელოვნად უარესდება შესაბამის სექტორში არსებული კონკურენტული გარემო, რაც არსებით ზარალს იწვევს ეკონომიკისათვის⁶⁴². თუნდაც

⁶³⁵ Sykes, A.O. The Questionable Case for Subsidies Regulation: A Comparative Perspective. *Journal of Legal Analysis*, 2.2. 2010. 473-523.

⁶³⁶ Markovic, I. Markovic, M. Agricultural Protectionism of the European Union in the Conditions of International Trade Liberalization. *Economics of Agriculture*, 61.2. 2014. 423-440.

⁶³⁷ Liljebloom, E. Maury, B. Hörhammer, A. Complex state ownership, competition, and firm performance – Russian evidence. *International Journal of Emerging Markets*, 15.2. 2020. 189-221.

⁶³⁸ Sykes, A.O. The Questionable Case for Subsidies Regulation: A Comparative Perspective. *Journal of Legal Analysis*, 2.2. 2010. 473-523.

⁶³⁹ Markovic, I. Markovic, M. Agricultural Protectionism of the European Union in the Conditions of International Trade Liberalization. *Economics of Agriculture*, 61.2. 2014. 423-440.

⁶⁴⁰ Liljebloom, E. Maury, B. Hörhammer, A. Complex state ownership, competition, and firm performance – Russian evidence. *International Journal of Emerging Markets*, 15.2. 2020. 189-221.

⁶⁴¹ Kroes, N. Industrial Policy and Competition Law and Policy. *Fordham International Law Journal*, 30.5. 2006. 1401-1412.

⁶⁴² Parisi, J.J. Cooperation among Competition Authorities in Merger Regulation. *Cornell International Law Journal*, 43. 2010. 55-72.

განხორციელდეს არა რომელიმე ერთი მოთამაშის, არამედ ყველა იმ სამეწარმეო საზოგადოების დახმარება, რომელნიც შესაბამის სფეროში მოღვაწეობენ, ეს მაინც ვერ ჩაითვლება კონკურენციასთან დაკავშირებული პრობლემის ნეიტრალიზებად, რადგანაც ყველა კონკურენტს ნაკლებად სავარაუდოა, რომ სუბსიდირება თანაბრად სჭირდებოდეს⁶⁴³. ამიტომ, რეალურად, სუბსიდირება თითქმის გარანტირებულად არღვევს კონკურენციის ეკვილიბრიუმს. შედეგად, ბევრ ქვეყანაში სუბსიდიების გაცემა სწორედ ამ საფუძველითაა აკრძალული⁶⁴⁴. ამიტომ, ყოველთვის, როცა სახელმწიფო დაფიქრდება კერძო კომპანიებისათვის ფულადი დახმარების გაწევაზე, აუცილებელია, სუბსიდიების შედეგად მიღებული სარგებელი შედარდეს იმ გარდაუვალ ზიანთან, რომელიც კონკურენტულ ბიზნეს-გარემოს მიადგება. აღნიშნული საკითხის გათვალისწინების გარეშე ადვილად შეიძლება, მნიშვნელოვანი ზარალი იქნეს გამოწვეული, ამიტომ მისი იგნორირება ყოველთვის დაუშვებელია.

სუბსიდირებასთან დაკავშირებით ასევე ხაზგასასმელი ფაქტია, რომ მოცემული მექანიზმი არ კარგავს ეფექტურობას კრიზისულ მდგომარეობაში⁶⁴⁵. ეკონომიკური პრობლემების არსებობისას, როდესაც საჭიროა სწრაფად მოქმედება, ხშირად სუბსიდიების გამოყენება ერთ-ერთი ყველაზე მოქნილი და სასარგებლო ინსტრუმენტი შეიძლება, იყოს⁶⁴⁶. სწორედ ამიტომ, კერძო კომპანიებისათვის ფინანსური მხარდაჭერის გაწევა უმჯობესია, სწორედ კრიზისის არსებობის დროს იქნეს სახეზე, ხოლო მაშინ, როცა ამის აუცილებლობა არ არის, ამ მექანიზმის გამოყენება შედარებით ნაკლებად განხორციელდეს.

საბოლოოდ კი, უნდა იქნეს ხაზგასმული, რომ სუბსიდიების დაყოფა შესაძლებელია ორ ნაწილად - უპირობო და პირობადადებულ სახეებად. უპირობო სუბსიდია ვლინდება მაშინ, როდესაც სახელმწიფო კომპანიას ან მათს ჯგუფს ფინანსურ მხარდაჭერას უწევს, თუმცა სანაცვლოდ არაფერს ელის⁶⁴⁷. პირობადადებული სუბსიდია კი, როგორც სახელიდანაც ჩანს, მაშინ აღინიშნება, როცა დახმარების სანაცვლოდ სახელმწიფო ამა თუ იმ პირობას უყენებს

⁶⁴³ Strom, M. European Union Competition Law Developments in the Aviation Sector: July to December 2017. *Air and Space Law Journal*, 43.2. 2018. 205-232.

⁶⁴⁴ Gormsen, L.L. EU State Aid Law and Transfer Pricing: A Critical Introduction to a New Saga. *Journal of European Competition Law & Practice*, 7.6. 2016. 369-382.

⁶⁴⁵ Farantos, G. Public Policy Analysis of Health System in Conditions of the Greek Economic Crisis. *European Scientific Journal*, 13.7. 2017. 41-52.

⁶⁴⁶ Clarke, D.C. Law without Order in Chinese Corporate Governance Institutions. *Northwestern Journal of International Law & Business*, 30.1. 2010. 131-199.

⁶⁴⁷ Atallah, G. Conditional R&D Subsidies. *Economics of Innovation and New Technology*, 23.2. 2007. 179-214.

ადრესატს⁶⁴⁸. უპირობო სუბსიდია, რეალურად, უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეზე ამის გადაუდებელი აუცილებლობაა, რადგანაც ის, პრაქტიკაში, საჯარო ხელისუფლების მიერ საკუთარი მოსახლეობის გადასახადებიდან მიღებული ფულის კერძო ბიზნესისათვის ჩუქებას მოიცავს. ამიტომ, ყოველთვის უმჯობესია, სახეზე იყოს პირობადადებული სუბსიდია, რათა, როგორც მინიმუმ, ადრესატ კომპანიებს მოეთხოვებოდეთ, რომ სახელმწიფოსათვის სასურველი ესა თუ ის ნაბიჯები გადადგან და ამით არსებითად გააუმჯობესონ სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობა. წინამდებარე ნაშრომი იზიარებს პოზიციას, რომ თუკი შესაძლებელი იქნება, არასდროს არ უნდა იყოს გამოყენებული უპირობო სუბსიდიები. რაც შეეხება პირობადადებულ სახეობას, აუცილებლად უნდა მოხდეს კარგად აწონ-დაწონვა იმისა, თუ კონკრეტულად რა უნდა განახორციელოს წინასწარ ან შემდგომში ადრესატმა საზოგადოებამ, რათა სახელმწიფოს მიერ ფინანსური მხარდაჭერა მიიღოს.

ყოველივე ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, შეიძლება შემდეგი შეფასების წარმოდგენა: სახელმწიფო სუბსიდიები საკმაოდ მრავალმხრივი გამოყენების მექანიზმია, რომლებიც შეიძლება, ხელისუფლების მიერ სამეწარმეო საქმიანობაში ჩარევის ყველა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად იყოს გამოყენებული. ამასთან, მოცემული ინსტრუმენტი უკეთ მუშაობს, როცა სტრატეგიული სექტორის განვითარებას ან ეკონომიკის სტიმულირებას ემსახურება, ხოლო ყველაზე ნაკლებად ეფექტურად ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას გვევლინება. ამასთან, უმჯობესია, სუბსიდირებას მოკლევადიანი ხასიათი ჰქონდეს, ამოქმედდეს წარმოშობილ კრიზისთან ბრძოლის მიზნით, და მის მიმღებ კომპანიას სახელმწიფოსათვის სასურველი პირობის შესრულებას სთხოვდეს დახმარების სანაცვლოდ. საბოლოოდ, ხაზგასასმელია, რომ სუბსიდირება ყოველთვის პრობლემებს ქმნის კონკურენციასთან დაკავშირებით და აუცილებელია აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებაც, სანამ გამოყენებული იქნება სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის ირიბად განხორციელების ხსენებული მექანიზმი.

3.2.3. კონკრეტული სფეროს პროაქტიური ხელშეწყობა

ზემოთ მოცემულთა გარდა, სახელმწიფოს კომერციაში ირიბად ჩარევის კიდევ ერთი, გარკვეულწილად სუბსიდირების მსგავსი მექანიზმია კონკრეტული სფეროს პროაქტიური ხელშეწყობა. ასეთ დროს, სუბსიდიისგან განსხვავებით,

⁶⁴⁸ Barrera-Osorio, F. Bertrand, M. Linden, L.L. Perez-Calle, F. Improving the Design of Conditional Transfer Programs: Evidence from a Randomized Education Experiment in Colombia. American Economic Journal: Applied Economics, 3.2. 2011. 167-195.

ხდება არა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული კომპანიის დახმარება, არამედ ნაბიჯების გადადგმა, რათა მთელი სექტორის ან სფეროს მდგომარეობა გაუმჯობესდეს⁶⁴⁹.

კონკრეტული სფეროს პროაქტიური ხელშეწყობის კლასიკურ მაგალითად შეიძლება ტურიზმის რეკლამირების მოყვანა⁶⁵⁰. არაერთი სახელმწიფო ქმნის და ავითარებს ერთიან ორგანოებს, რომლების ფუნქციაც ქვეყანაში ტურიზმის სექტორის განვითარებაა⁶⁵¹. ეს მოიცავს, მაგალითად, საკმაოდ დიდი ხარჯების გაწევას, რათა უცხოეთში მოხდეს მოცემულ ქვეყანაში ტურიზმის იდეის რეკლამირება⁶⁵². ამავდროულად, მიუხედავად აღნიშნული ხარჯებისა, თავად სახელმწიფო ზოგჯერ საერთოდ არ მონაწილეობს ტურისტულ ბიზნესში, ან ასეთი მონაწილეობის არსებობის შემთხვევაშიც, პირდაპირი შემოსავლის მიღება სრულებითაც არ არის მისი მიზანი⁶⁵³. ამის ნაცვლად, ხელისუფლების სურვილია, წარმატება მოუტანოს იმ კერძო კომერციულ საზოგადოებებს, რომლებიც ამ სფეროში აქტიურად მოღვაწეობენ. შედეგად, საჯარო ორგანოები ხარჯავენ ფულს, რათა განვითარდეს სტრატეგიული სექტორი, მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელმწიფოს პირდაპირ შემოსავალს არ მოუტანს.

ხელისუფლების ორგანოთა მიერ კონკრეტული სფეროს პროაქტიური ხელშეწყობა განსხვავდება კერძო ბიზნესის სუბსიდირებისგან იმით, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში ფინანსური მხარდაჭერა გადაეცემა კერძო კომპანიებს, ხოლო სფეროს ხელშეწყობისას სახელმწიფო მოქმედებს თავად, რათა განავითაროს სექტორი ისე, რომ თავად არსებითად არავითარ პირდაპირ შემოსავალს არ ელოდება. მაგალითად, ეს ტურიზმის რეკლამირების გზით განხორციელდება. ასეთ დროს, საჯარო ორგანოები ურთიერთობენ სარეკლამო კომპანიებთან და სხვა მედია-საშუალებებთან⁶⁵⁴, ხოლო ტურისტული ბიზნესები, რომელთა დახმარებაც გადადგმული ნაბიჯების შედეგი იქნება, პროცესში ჩართულები არ არიან⁶⁵⁵.

⁶⁴⁹ Wang, J. The Political Logic of Corporate Governance in China's State-Owned Enterprises. *Cornell International Law Journal*, 47.3. 2014. 631-669.

⁶⁵⁰ Page, S.J. Current issue in tourism: The evolution of travel medicine research: A new research agenda for tourism? *Tourism Management*, 30.2. 2009. 149-157.

⁶⁵¹ Harrill, R. Stringam, B.B. State Tourism Funding: Equity, Consensus, and Accountability Models. *Tourism Analysis*, 12.4. 2007. 287-298.

⁶⁵² Dwyer, L. Pham, T. Forsyth, P. Spurr, R. Destination Marketing of Australia: Return on Investment. *Journal of Travel Research*, 53.3. 2013. 281-295.

⁶⁵³ Bonham, C. Mak, J. Private versus Public Financing of State Destination Promotion. *Journal of Travel Research*, 35.2. 1996. 3-10.

⁶⁵⁴ Dwyer, L. Pham, T. Forsyth, P. Spurr, R. Destination Marketing of Australia: Return on Investment. *Journal of Travel Research*, 53.3. 2013. 281-295.

⁶⁵⁵ Bonham, C. Mak, J. Private versus Public Financing of State Destination Promotion. *Journal of Travel Research*, 35.2. 1996. 3-10.

სფეროს პროაქტიური ხელშეწყობის მექანიზმი სუბსიდირებისგან განსხვავდება ასევე იმითაც, რომ სუბსიდირებისას, როგორც უკვე ითქვა, ხშირად ამ დახმარებას წინაპირობები და ვალდებულებები ახლავს თან⁶⁵⁶. ეს პრაქტიკაში არ აღინიშნება მთლიანი სექტორისთვის დახმარების გაწევისას.

ბოლო მნიშვნელოვანი სხვაობა მოცემულ მექანიზმებს შორის არის ადრესატების ვინაობა. სუბსიდირებისას სახელმწიფოს წინასწარ აქვს განსაზღვრული სია იმ პირებისა, ვისაც დახმარების იმედი უნდა ჰქონდეს⁶⁵⁷. რაც შეეხება კონკრეტული სფეროს ხელშეწყობის ფაქტს, ასეთ დროს მსგავსი არაფერია სახეზე. ხელისუფლების მიერ უბრალოდ ხდება შესაბამისი სექტორისათვის სასურველი ქმედებების განხორციელება, და საჯარო ორგანოებს შეიძლება, არც კი ჰქონდეთ სრული ინფორმაცია იმაზე, თუ ვის მოუტანს სარგებელს სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები.

რაც შეეხება მოცემული ინსტრუმენტის გამოყენებას, მისი აღწერიდანაც აშკარაა, რომ სახელმწიფოს მიერ კონკრეტული სფეროს ხელშეწყობა ძირითადად სტრატეგიული სექტორის განვითარებასთან დაკავშირებით უნდა იყოს გამოყენებული. ეს მექანიზმი, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება ასევე ეკონომიკის სტიმულირებასაც ემსახურებოდეს, თუმცა ეფექტურობის დონე შედარებით დაბალი იქნება. რაც შეეხება ხელისუფლების მიერ კომერციაში მონაწილეობის სხვა ლეგიტიმურ მიზნებს, მოცემული ინსტრუმენტი მათ მიღწევას ვერ შეუწყობს არსებითად ხელს.

ჯამში, უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული სფეროს პროაქტიური ხელშეწყობა შედარებით ნაკლებად გამოყენებადი მექანიზმია, რომელსაც თავისი როლი და ფუნქცია გააჩნია. როდესაც ქვეყანას სჭირდება, რომ ესა თუ ის კონკრეტული სფერო შედარებით უფრო ეფექტურად განვითარდეს, შესაძლებელია, მოხდეს ამ ინსტრუმენტით სარგებლობა, რათა საჯარო ფინანსების ხარჯზე უზრუნველყოფილი იყოს კერძო ბიზნესის დახმარება.

3.3. შუალედური დასკვნა

საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელება, როგორც ზემოთ იქნა განხილული, მრავალი სხვადასხვა მეთოდით არის შესაძლებელი. ეს მექანიზმები სხვადასხვა მიზანს ცვალებადი ეფექტურობით ემსახურება, და შეიძლება, ითქვას, რომ მათი ღირებულებაც არაერთგვაროვანია.

⁶⁵⁶ Sykes, A.O. The Questionable Case for Subsidies Regulation: A Comparative Perspective. *Journal of Legal Analysis*, 2.2. 2010. 473-523.

⁶⁵⁷ Liljebloom, E. Maury, B. Hörhammer, A. Complex state ownership, competition, and firm performance – Russian evidence. *International Journal of Emerging Markets*, 15.2. 2020. 189-221.

ამავდროულად, ფაქტად რჩება, რომ ყოველ მათგანს გააჩნია საკუთარი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, სანამ მოხდება მათით სარგებლობა. სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო აქტივობაში მონაწილეობის ძირითადი ინსტრუმენტების მთავარი მახასიათებლები, ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის გათვალისწინებით, შემდეგნაირად შეიძლება, მოკლედ იყოს შეჯამებული:

სახელმწიფოს მიერ მართული კერძოსამართლებრივი პირები გრძელვადიან პერსპექტივაში საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციაში მონაწილეობის ყველაზე ეფექტური გზაა. რადგანაც სახეზეა კერძო სამართლის ორგანიზაციები, ისინი, მათი ბუნებიდანვე გამომდინარე, უკეთ არიან მორგებული განგრძობით ბიზნესზე⁶⁵⁸. შესაბამისად, როდესაც საჯარო ორგანოებმა იციან, რომ სჭირდებათ დიდი ხნის განმავლობაში ჩართულობის შენარჩუნება, სწორედ ამ გზით წასვლაა უმჯობესი. რაც შეეხება ასეთი მოქმედების მიზნებს, მათთან დაკავშირებით მსჯელობა ქვემოთ, კონკრეტულ კერძოსამართლებრივ პირებთან მიმართებით არის უმჯობესი.

სახელმწიფოს კუთვნილი კერძო კომპანიები საჯარო მმართველობაში არსებული კერძო სამართლის ორგანიზაციების შედარებით უფრო მოქნილი სახეობაა. მათი მრავალფეროვნების გათვალისწინებით, სახელმწიფოს შეუძლია, თავის თითოეულ ლეგიტიმურ მიზანს მიაღწიოს მოცემული ინსტრუმენტის გამოყენებით. მთავარია, მოხდეს კომერციული საზოგადოების მართვა სამეწარმეო პრინციპებზე დაყრდნობით და პოლიტიკისაგან მათი მაქსიმალურად განყენებულად შენარჩუნება.

სახელმწიფო საინვესტიციო ფონდები, ჩვეულებრივი კერძო კომპანიებისაგან განსხვავებით, შედარებითი უფრო ვიწრო პროფილის წარმონაქმნებია. მათი ბუნებიდან გამომდინარე, ასეთ კომპანიებს ნაკლებად შეუძლიათ, ყველა სფეროსა და მიზნებზე იყონ ორიენტირებული. შედეგად, ძირითადი ლეგიტიმური მიზანი, რომელსაც ისინი შეიძლება, ემსახურობდნენ, არის ეკონომიკის სტრატეგიული მიმართულების განვითარება. რაც შეეხება სხვა საფუძვლებს, მათკენ საინვესტიციო ფონდის განვითარება არასასურველი ნაბიჯია და ასეთი ორგანიზაციის ეფექტურობას აუცილებლად შეამცირებს.

საჯაროსამართლებრივი ინსტრუმენტები, როგორც სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის ირიბად განხორციელების მექანიზმები საჯარო ხელისუფლების მიერ კერძოსამართლებრივი წარმონაქმნის გამოყენებით მოქმედების ალტერნატივად უნდა იქნეს განხილული. ასეთი ინსტრუმენტის გამოყენება, ძირითადად, სასურველია, როდესაც აუცილებელია სწრაფად და

⁶⁵⁸ Zeng, J.S. State Ownership and Regulatory Costs: A Law and Economic Explanation for the Prevalence of State-Owned Enterprises in China. *Columbia Journal of Asian Law*. 31.1. 2017. 1-62.

მოკლე ვადებში მოქმედება, რისთვისაც კომერციული იურიდიული პირის ჩამოყალიბება ან არ არის მიზანშეწონილი, ანაც დროულად ვერ ხერხდება.

კერძო-საჯარო პარტნიორობა უაღრესად მრავალფეროვანი კონცეფციაა. ამავდროულად, მიუხედავად მისი სახესხვაობებისა, ის ყოველთვის შედარებით ვიწრო პროფილის ნაბიჯების გადადგმას მოიცავს და, ძირითადად, ერთი კონკრეტული პროექტის განხორციელებას ემსახურება. ამიტომ, როდესაც საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციაში მონაწილეობის მიზნად ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარება ან სახელმწიფოს მოსახლეობისათვის პროდუქციის ან სერვისების შეთავაზება გვევლინება, PPP ეფექტური ინსტრუმენტია. მეორემხრივ კი, სხვა მიზნების შესრულება ამ მეთოდით არასათანადო გამოყენებად უნდა ჩაითვალოს და უმჯობესია, სხვა ალტერნატივა იყოს მოძებნილი.

კერძო კომერციის სუბსიდირება, მასთან შესაბამისობაში მყოფი ინსტრუმენტების გათვალისწინებით, კერძო-საჯარო პარტნიორობის ანტონიმად უნდა იყოს განხილული, რადგანაც ის განსაკუთრებით ეფექტური სწორედ სტრატეგიული მიმართულების განვითარებისა და ეკონომიკის სტიმულირების მიზნებით მოქმედებისასაა. ის შედარებით უფრო მოქნილია და უფრო ფართო მოქმედებებს შეიძლება მოიცავდეს, ერთ კონკრეტულ პროექტზე ორიენტირების გარეშე, თუმცა, როგორც ყველა სხვა საჯაროსამართლებრივი ინსტრუმენტის კომერციაში ჩართულობის საბაზით გამოყენებისას, ისიც პრობლემური ხდება მისით გრძელვადიან პერიოდში სარგებლობისას.

კონკრეტული სფეროს პროაქტიური ხელშეწყობა, როგორც განხილული იქნა, სუბსიდიებთან ახლოს მყოფი მექანიზმია, თუმცა ის უფრო მეტად მორგებულია კონკრეტული სტრატეგიული სფეროს განვითარებაზე. მეორემხრივ, იგი ნაკლებად პრობლემურია კონკურენციის თვალსაზრისით, და ნაკლებ კოოპერაციას მოითხოვს კერძო პარტნიორებისაგან. ამიტომ, მასაც ნამდვილად აქვს ადგილი, როგორც საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციული საქმიანობის ირიბად განხორციელების მექანიზმს.

ყოველივე ზემოთ მოცემული შეიძლება, განხილული იყოს, როგორც სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების გზების მოკლე მიმოხილვა. წარმოდგენილი რეკომენდაციები, მათი გათვალისწინების შემთხვევაში, მცირედით მაინც გაზრდის საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციული ნაბიჯების გადადგმისას მათს ეფექტურობას. ამით კი, თავის მხრივ, გაიზრდება საჯარო სიკეთე და უფრო მიღწევადი გახდება საყოველთაო კეთილდღეობა. რა თქმა უნდა, ყოველი შემთხვევა ინდივიდუალურია, მაგრამ მოცემული ზოგადი მონახაზები მაინც ნამდვილად სასარგებლოა სახელმწიფოს მიერ საკუთარი საქმიანობის დასაგეგმად, რათა გაუმჯობესდეს მმართველობის ეფექტურობა და ხელისუფლებამ შეძლოს, უკეთ მიაღწიოს საკუთარ ლეგიტიმურ მიზნებს.

4. სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების სამართლებრივი შედეგები

მოცემული ნაშრომის წინა თავებში განხილული იქნა საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობის მიღების ლეგიტიმური მიზნები და ასეთი მოქმედების განსახორციელებლად გამოსაყენებელი ინსტრუმენტები. აღნიშნულის დანიშნულება იყო იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად როგორ შეიძლება, სახელმწიფო ჩაერიოს მეწარმეობაში ისე, რომ დაშვებული იყოს მაქსიმალურად ცოტა შეცდომა და მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ასეთი ნაბიჯების გადადგმის შედეგად წარმოშობილი ნეგატიური შედეგები, და, ამავდროულად, მოხდეს მაქსიმალურად გაზრდა დადებითი, ქვეყნის სამართლებრივი ჩარჩოსათვის და მისი ეროვნული ეკონომიკისათვის სასურველი ეფექტებისა.

მას შემდეგ, რაც მოხდა ოპტიმალური მიზნებისა და მეთოდების გამოკვეთა, წინამდებარე თავში, მოხდება იმის განხილვა, თუ რა შედეგი დადგება საჯარო ორგანოთა მიერ სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის შედეგად ქვეყნის სამართლებრივი სისტემისათვის. აღნიშნული მსჯელობა, რეალურად, ორ დიდ ნაწილად იქნება დაყოფილი.

პირველ რიგში, შეიძლება, გაჩნდეს კითხვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია წინა თავებში მოცემული რჩევების გათვალისწინება. უფრო ზუსტად კი, რა სამართლებრივი ზიანი შეიძლება, იყოს სახეზე, თუკი სახელმწიფოს მიერ მოხდება კომერციაში მონაწილეობის მიღება ისე, რომ სახეზე არ იქნება ასეთი ნაბიჯისთვის საჭირო ლეგიტიმური მიზანი, ანაც გამოყენებული იქნება საჯარო მეწარმეობის არასათანადო მექანიზმები.

მეორეხრივ, ასევე აღსანიშნავია, რომ თუნდაც ხელისუფლების მიერ გამოყენებული იყოს საუკეთესო ინსტრუმენტები, და გადადგმული ნაბიჯები სრულიად ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდეს, სახელმწიფოს მიერ კომერციაში აქტიურ ჩართულობას მაინც შეიძლება, არაერთი არსებითი პრობლემა მოჰყვეს ქვეყნის სამართლებრივი ჩარჩოსათვის⁶⁵⁹⁶⁶⁰. შესაბამისად, წინამდებარე თავში მოხდება ასეთი პოტენციური რისკებისა და პრობლემების შეფასება.

⁶⁵⁹ Milhaupt, C.J. Pargendler, M. Governance Challenges of Listed State-Owned Enterprises around the World: National Experiences and a Framework for Reform. *Cornell International Law Journal*, 50.3. 2017. 473-542.

⁶⁶⁰ Willemyns, I. Disciplines on State-Owned Enterprises in International Economic Law: Are We Moving in the Right Direction? *Journal of International Economic Law*, 19.3. 2016. 657-680.

ძირითადი პრობლემა, რომელიც გამომდინარეობს ხელისუფლების მიერ მეწარმეობის განხორციელებიდან, არის მისი ფუნქციების ორმაგი ბუნება⁶⁶¹. საჯარო ორგანოები, ერთი მხრივ, ვალდებულნი არიან, დაარეგულირონ ქვეყნის ეკონომიკა და მასში მოთამაშე სუბიექტები, მეორე მხრივ კი უწყვეტ მეწარმის როლის შესრულება⁶⁶². აღნიშნულიდან არსებითი საფრთხეები შეიძლება, წარმოიშვას და აუცილებელია, მოხდეს ასეთი მდგომარეობის კრიტიკული ანალიზი.

კიდევ ერთი თემა, რომელიც განსახილველია, არის ზემოთ განხილულთან მჭიდროდ დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტის საკითხი. სახელმწიფო, ან მისი ორგანოები, შეიძლება აღმოჩნდნენ მდგომარეობაში, როდესაც კომპანიისა და საჯარო წესრიგის ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგება⁶⁶³⁶⁶⁴, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება, გამოიწვიოს⁶⁶⁵. ხაზგასასმელია, რომ უკვე მოცემული ამ ორი პოტენციური საფრთხის ინდიკატორები და შედეგები ზოგჯერ ერთმანეთს მნიშვნელოვნად ჰგავს⁶⁶⁶⁶⁶⁷, თუმცა ქვემოთ, მათი დეტალური ანალიზისას, მოხდება მყარი გამიჯვნის წარმოჩენა.

მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ რაც უფრო აქტიურია სახელმწიფო კომერციაში, პრაქტიკის მიხედვით, მით უფრო იზრდება ქვეყანაში კორუფციის დონე⁶⁶⁸. კორუფცია, ბუნებრივია, ძალიან მძიმე ტვირთად აწვება ეროვნულ სამართლებრივ სისტემას⁶⁶⁹, ამიტომ, წინამდებარე ნაშრომში იქნება განხილული მისი ეფექტი და საფრთხის მაქსიმალურად შესამცირებლად საჭირო შესაბამისი ნაბიჯები.

⁶⁶¹ Benassi, M. Landoni, M. State-owned enterprises as knowledge-explorer agents. *Industry and Innovation*, 26.2. 2019. 218-241.

⁶⁶² Benito, G.R.G. Rygh, A. Lunnan, R. The Benefits of Internationalization for State-Owned Enterprises. *Global Strategy Journal*, 6.4. 2016. 269-288.

⁶⁶³ Scrimgeour, F. Duppati, G. Corporate Governance in the Public Sector: Dimensions; Guidelines and Practice in India and New Zealand. *Corporate Ownership & Control*, 11.4. 2014. 364-377.

⁶⁶⁴ Radon, J. Thaler, J. Resolving conflicts of interest in state-owned enterprises. *International Social Science Journal*, 57.1. 2009. 11-20.

⁶⁶⁵ Harymawan, I. Nasih, M. Suhardianto, N. Shauki, E. How does the presidential election period affect the performance of the state-owned enterprise in Indonesia? *Cogent Business & Management*, 7. 2020. 1-14.

⁶⁶⁶ Papenfuss, U. Keppeler, F. Does performance-related pay and public service motivation research treat state-owned enterprises like a neglected Cinderella? A systematic literature review and agenda for future research on performance effects. *Public Management Review*, 22.7. 2020. 1119-1145.

⁶⁶⁷ Benassi, M. Landoni, M. State-owned enterprises as knowledge-explorer agents. *Industry and Innovation*, 26.2. 2019. 218-241.

⁶⁶⁸ Wedeman, A. The Challenge of Commercial Bribery and Organized Crime in China. *Journal of Contemporary China*, 22.79. 2012. 18-34.

⁶⁶⁹ Liu, P. Li, H. Guo, H. The impact of corruption on firms' access to bank loans: evidence from China. *Economic Research*, 33.1. 2020. 1963-1984.

ბოლო არსებითი საშიშროება, რომელიც საჯარო ხელისუფლების მიერ მეწარმეობის განხორციელების შედეგად ემუქრება სახელმწიფოს სამართლებრივ ჩარჩოს, არის სამართალეფექტიანობის შემცირება⁶⁷⁰. მოცემული საკითხი შედარებით ბუნდოვანი და ფართოა, ამიტომ, ქვემოთ მოხდება მისი ანალიზი და მასთან დაკავშირებული პოტენციური პრობლემების გამოკვეთა, ასევე მათი თავიდან არიდების გზების წარმოჩენა.

მას შემდეგ, რაც სახეზე იქნება სახელმწიფოს მიერ კომერციაში მონაწილეობის შედეგად ეროვნული სამართლისათვის ნეგატიური შედეგების განხილვა, ასევე მოხდება იმის ხაზგასმა, თუ რა პოზიტიური ცვლილებები შეიძლება, სახეზე იყოს ასეთი მოქმედებების შედეგად. ხელისუფლების მიერ ეკონომიკაში აქტიური მოთამაშის როლის შეთავსება სრულებითაც არ არის აუცილებელი, ყოველთვის პრობლემური იყოს ქვეყნის სამართლებრივი სისტემისათვის⁶⁷¹, ამიტომ, იმისათვის რათა მოხდეს ყველა შესაბამისი შესაძლო შედეგის სრულფასოვანი ანალიზი, აუცილებელია, გამოიკვეთოს ის დადებითი ცვლილებები, რომლებიც ასეთი ნაბიჯების გადადგმას სდევს თან.

სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა გამართული სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა და მისგან გამომდინარე რეგულაციების შესრულების უზრუნველყოფა⁶⁷². თუკი ეს სახეზე არ იქნება, სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურად განხორციელება ნამდვილად ვერ ჩაითვლება საჯარო ხელისუფლების ფუნქციების გამართულად აღსრულებად. ამიტომ, აუცილებელია, მოხდეს იმის შეფასება, თუ რამდენად დიდია ამა თუ იმ ნეგატიური ეფექტის წარმოშობის რისკი, და ღირს თუ არა საჯარო ორგანოების კომერციაში ჩართულობა, თუნდაც მისი თანმდევი ეკონომიკური სარგებლის გათვალისწინებით, ქვეყნის სამართლებრივი სისტემის დაზარალებად. სწორედ ასეთი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე იქნება შესაძლებელი იმის განხილვა, რამდენად სასურველია ხელისუფლების მიერ კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობის მიღება და ხომ არ გამოიწვევს ეს არასათანადოდ დიდ საფრთხეებსა და ზიანს.

⁶⁷⁰ Azheri, B. Corporate Social Responsibility in the Rule of Law and Welfare State Concept. *Hasanuddin Law Review*, 1.2. 2016. 277-288.

⁶⁷¹ Abramov, A. Radygin, A. Entov, R. Chernova, M. State ownership and efficiency characteristics. *Russian Journal of Economics*, 3.2. 2017. 129-157.

⁶⁷² Vyas-Doorgapersad, S. Aktan, C.C. Progression from Ideal State to Good Governance: An Introductory Overview. *International Journal of Business and Management Studies*, 9, 1. 2017. 29-49.

4.1. ლეგიტიმური მიზნის გარეშე მოქმედების სამართლებრივი შედეგები

პირველი საკითხი, რომლის შეფასებაც აუცილებელია საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელების სამართლებრივ ჩარჩოზე გავლენასთან დაკავშირებით, არის ის, თუ რა ხდება, როდესაც სახელმწიფო ორგანოები მეწარმეობას სწევენ ამისათვის აუცილებელი ლეგიტიმური წინაპირობის არსებობის გარეშე.

კითხვა, რომელიც ჩნდება ასეთ შემთხვევაში, არის შემდეგი: თუკი სახეზე არ არის ლეგიტიმური მიზანი, მაშინ რატომ, რაზე დაყრდნობით წყვეტს სახელმწიფო, ჩაერიოს კერძო საქმიანობაში. ასეთი საფუძველი ბევრი არსებობს, და საჭიროა მათი სათანადოდ შესწავლა, რათა მოხდეს პოტენციური ზიანის შესახებ მსჯელობა.

ორი არალეგიტიმური, თუმცა მაინც გავრცელებული მიზანი, რომელსაც შეიძლება, სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ემსახურებოდეს, წინამდებარე ნაშრომში უკვე იყო ხსენებული. ესენია სტრატეგიული სექტორის მართვა და მოგების მიღება. მათი განხილვა ზემოთ უკვე სახეზეა, ამიტომ წინამდებარე თავში აღარ იქნება იმაზე საუბარი, თუ რატომ ვერ ჩაითვლება ისინი ხელისუფლების მიერ კომერციაში მონაწილეობის ლეგიტიმურ საფუძველად. ამავდროულად, საჭიროა იმის კრიტიკული ანალიზი, თუ რა მოჰყვება ხსენებული წინაპირობებით სახელმწიფოს მიერ კერძოსამართლებრივ მოღვაწეობას.

სახელმწიფოს მიერ კომერციაში ჩართულობა სტრატეგიული სექტორის მართვის მიზნით პრობლემურია ქვეყნის სამართლებრივი სისტემისათვის, რადგანაც ეს ხშირად ხორციელდება კანონისმიერი მონოპოლიის შექმნისა და შენარჩუნების გზით⁶⁷³. თუკი საჯარო ხელისუფლება მიზნად ისახავს, რომ ესა თუ ის სფერო, რომელიც მან სტრატეგიულად მიიჩნია, ექსკლუზიურად მისი კონტროლის ქვეშ უნდა იყოს, ამის რეალიზება ყველაზე მარტივად სწორედ კონკურენციის აკრძალვით არის შესაძლებელი⁶⁷⁴. შედეგად, სახელმწიფო იღებს ნორმატიულ აქტს, რომლითაც ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი სექტორი ავტომატურად ცარიელდება მასში მოღვაწე ყველა კერძო პირისაგან და მათ საჯარო ორგანოები ან ასეთთა შვილობილი კომპანიები ანაცვლებენ⁶⁷⁵.

⁶⁷³ Yun, M. An Analysis of the New Trade Regime for State-Owned Enterprises under the Trans-Pacific Partnership Agreement. *East Asian Economic Review*, 20.1. 2016. 3-35.

⁶⁷⁴ Aharony, J. Lee, C.J. Wong, T.J. Financial Packaging of IPO Firms in China. *Journal of Accounting Research*, 38.1. 2000. 103-126.

⁶⁷⁵ Long, T.T. Anti-Competitive Behaviour of State Monopolies from the Economics Approach with Reference to Vietnam's State Monopolies. *Asian Journal of Law and Economics*, 10.1. 2018. 35-44.

სახელმწიფო მონოპოლიებს მიმღე ეკონომიკური შედეგები მოჰყვება⁶⁷⁶, თუმცა ეს საკითხი წინამდებარე ნაშრომის მომდევნო თავებში იქნება განხილული. რაც შეეხება სამართლებრივ რეალობაზე გავლენას, ამ თვალსაზრისითაც სახეზეა საფრთხეები. პირველ რიგში, კონკურენციის კანონმდებლობა, რომლის გამართულ და პრაქტიკაში გამოსადეგ მდგომარეობაში არსებობაც აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკისათვის⁶⁷⁷, სუსტდება ასეთი ნაბიჯის გადადგმით⁶⁷⁸. სახელმწიფო, ერთი მხრივ, ამბობს, რომ კერძო კომპანიები ვალდებულნი არიან, დაიცვან კონკურენციის წესები, მეორე მხრივ კი არათუ თავად არღვევს მათ, არამედ კანონსაც კი იღებს, რათა საერთოდ არ დასჭირდეს ამ საკითხზე ზრუნვა. ეს, რა თქმა უნდა, ფუნდამენტურად ამცირებს კონკურენციის კანონმდებლობის მიმართ პატივისცემასა და ნდობას⁶⁷⁹. შედეგად, ეკონომიკის ეს უმნიშვნელოვანესი ქვაკუთხედი სუსტდება და ეროვნული სამართალი შესამჩნევად ზარალდება.

ამავდროულად, შესაძლოა წარმოიშვას მოსაზრება, რომ თუკი ხელისუფლება არ მიიღებს შესაბამის სექტორში კერძო ბიზნესის მონაწილეობის ამკრძალავ ნორმატიულ აქტს, მაგრამ პრაქტიკაში შეინარჩუნებს მონოპოლიას, ეს ზიანს შეამცირებს. ასეთი პოზიცია მცდარია, რადგანაც თუნდაც სფეროში შეღწევის ბარიერების ან სხვა მსგავსი მეთოდების გამოყენებით მოხდება კონკურენტების „თავიდან მოცილება“, ეს, რეალურად, უარესიც კი შეიძლება, იყოს. მოსახლეობა დაინახავს, რომ სახელმწიფო ცდილობს, შეზღუდოს კონკურენცია, ამის სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე, რამაც უფრო მეტადაც კი შეიძლება, შეასუსტოს ქვეყნის კონკურენციის კანონმდებლობა და დააზიანოს არსებული სამართლებრივი ჩარჩო⁶⁸⁰.

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც სახელმწიფო მონოპოლიების არსებობიდან გამომდინარეობს, არის მათი დამცავი რეგულაციების არსებობა. ხელისუფლების დაქვემდებარებაში არსებული უკონკურენტო წარმონაქმნები, ხშირად, არასათანადოდ მომგებიანები არიან ან საერთოდ არ იღებენ მოგებას⁶⁸¹. შედეგად, გავრცელებულია პრაქტიკა, რომლის

⁶⁷⁶ Hubbard, P. Where have China's state monopolies gone? *China Economic Journal*, 9.1. 2016. 75-99.

⁶⁷⁷ Sakyi, K.A. Public Corporation Monopolies - Case Study of Sale of Electricity Company of Ghana (ECG). *Advances in Social Sciences Research Journal*, 6.4. 2019. 148-167.

⁶⁷⁸ Gakhar, D.B. Phukon, A. From welfare to wealth creation: A review of the literature on privatization of state-owned enterprises. *International Journal of Public Sector Management*, 31.2. 2018. 265-286.

⁶⁷⁹ Fox, E.M. Healey, D. When the State Harms Competition - The Role For Competition Law. *Antitrust Law Journal*, 79.3. 2014. 769-820.

⁶⁸⁰ Vickers, J. Yarrow, G. Economic Perspectives on Privatization. *Journal of Economic Perspectives*, 5.2. 1991. 111-132.

⁶⁸¹ Matsushita, M. Lim, C. Taming Leviathan as Merchant: Lingering Questions about the Practical Application of Trans-Pacific Partnership's State-Owned Enterprises Rules. *World Trade Review*, 19.3. 2020. 402-423.

მიხედვითაც მიიღება აქტები ასეთი ერთეულების დასაცავად, მათი მომგებიანობის გასაზრდელად ან მოგების არარსებობის გასამართლებლად⁶⁸². ეს, თავის მხრივ, კვლავ ამცირებს კანონმდებლობის მიმართ ნდობას და, ამავდროულად, იწვევს სამართლებრივი ჩარჩოს გადატვირთვას არასასურველი და ხშირად საზიანო ნორმატიული აქტებით⁶⁸³.

ყოველივე მოცემულიდან აშკარაა, რომ მონოპოლიების არსებობისას ეროვნული სამართალი არსებითად ზარალდება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ექსკლუზიური მოღვაწეობის დაწესება არ არის ერთადერთი გზა საჯარო ორგანოთა მიერ სტრატეგიული სექტორის კონტროლის მცდელობისა.

არსებობს შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო ექსკლუზიურად ახდენს ამა თუ იმ სფეროს მართვას, ისე, რომ ის არ აწესებს არანაირ შეზღუდვებს კერძო კომპანიებისათვის. რეალურად, ეს ხდება მაშინ, როდესაც აღნიშნული სექტორი კომერციულად მიმზიდველი არ არის⁶⁸⁴. ასეთ დროს სახელმწიფოს ბუნებრივი მონოპოლია გააჩნია კანონისმიერის ნაცვლად⁶⁸⁵. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ახდენს სამეწარმეო ნაბიჯების გადადგმას სფეროში, რომელიც უვარგისია მეწარმეობისათვის⁶⁸⁶. ასეთ შემთხვევაში სახეზე არ არის კონკურენციის დარღვევა, თუმცა ნამდვილად აღინიშნება ეროვნული რესურსების არასათანადო ხარჯვა. ამასთან, თუკი ხელისუფლების კუთვნილი კომპანია მოღვაწეობს სექტორში, რომელიც არ გამოდგება კომერციისათვის, ეს ნიშნავს, რომ მისი მომწესრიგებელი ნორმები კარგად ვერ ასრულებენ დანიშნულებას და, ვიღებთ შედეგს, რომ სახეზეა გაუმართავი კანონმდებლობა. ამიტომ, ასეთი მდგომარეობაც არასასურველია ქვეყნის სამართლებრივი სისტემისათვის.

ყოველივე ზემოთ მოცემულის შესაბამისად, აშკარაა, რომ სტრატეგიული სექტორის მართვის მიზნით საჯარო ორგანოთა მიერ მეწარმეობის თავზე აღება არსებითად აზარალებს ქვეყნის სამართალს. მდგომარეობა მსგავსია მაშინაც, როდესაც ასეთი ნაბიჯების გადადგმის საბაზად მხოლოდ მოგების მიღებაა მოყვანილი.

⁶⁸² Room, R. The Evolution of Alcohol Monopolies and Their Relevance for Public Health. *Contemporary Drug Problems*, 20. 1993. 169-187.

⁶⁸³ Long, T.T. Vietnam's State Monopolies: Explanations for Competition Law Concerns. *Kutafin University Law Review*, 5.1. 2018. 270-288.

⁶⁸⁴ Yun, M. An Analysis of the New Trade Regime for State-Owned Enterprises under the Trans-Pacific Partnership Agreement. *East Asian Economic Review*, 20.1. 2016. 3-35.

⁶⁸⁵ Fox, E.M. Healey, D. When the State Harms Competition - The Role For Competition Law. *Antitrust Law Journal*, 79.3. 2014. 769-820.

⁶⁸⁶ Vickers, J. Yarrow, G. Economic Perspectives on Privatization. *Journal of Economic Perspectives*, 5.2. 1991. 111-132.

წინამდებარე ნაშრომში უკვე იქნა განხილული, რომ სახელმწიფო, კერძო ბიზნესზე ნაკლებად ეფექტური მეწარმეა და. შედეგად, სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია, საყოველთაო კეთილდღეობისათვის ზრუნვა, ვერ იქნება საკმარისად ეფექტურად მიღწეული, თუკი საჯარო ხელისუფლება მეწარმეობაზე იქნება ორიენტირებული მხოლოდ იმიტომ, რომ მიიღოს შემოსავალი. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ხაზგასასმელია, რომ როდესაც ხდება სახელმწიფო ორგანოთა მიერ მოგებაზე ზრუნვა, ფოკუსი სცილდება საჯაროსამართლებრივ ფუნქციებს და, შეიძლება, ისინი აღარ შესრულდეს სათანადოდ⁶⁸⁷. ამით ხელისუფლებამ შეიძლება, მნიშვნელოვნად დააზარალოს ქვეყნის საჯარო მმართველობის ხარისხი და მისი სამართლებრივი სტრუქტურების მდგომარეობა.

გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ თუკი სახელმწიფომ გადაწყვიტა, კომერციულ საქმიანობაში ჩაერთოს და ამის მთავარ მამოძრავებელ ძალად მოგების მიღება იქცა, ეს ნიშნავს, რომ შემოსავლის მაქსიმალურად გაზრდა ხელისუფლებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია⁶⁸⁸. შედეგად, იზრდება რისკი იმისა, რომ საჯარო ორგანოების მიერ გადადგმული იქნას ოპტიმალურისგან შორს მყოფი ნაბიჯები ამ მიზნის მისაღწევად⁶⁸⁹. სახელმწიფოს სურს, მიიღოს მოგება, და მან შეიძლება, ამის გამო სხვადასხვა პრობლემური ქმედება განახორციელოს. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო კომპანიათა მიერ მეტი მოგების მიღების მიზნით ხელისუფლებას მიუღია ობიექტურად გაუმართლებელი ნორმატიული აქტები⁶⁹⁰ ან გამოუცია პრობლემური და ზოგჯერ აშკარად უკანონო ინდივიდუალური აქტები⁶⁹¹. ამასთან, როდესაც სახელმწიფო წყვეტს, რომ მის დაქვემდებარებაში არსებულმა წარმონაქმნებმა დიდი მოგება უნდა მიიღონ, ეს ხშირად იწვევს კორუფციის

⁶⁸⁷ Che, J. Qian, Y. Institutional Environment, Community Government, and Corporate Governance: Understanding China's Township-Village Enterprises. *Journal of Law, Economics, & Organization*, 14.1. 1998. 1-23.

⁶⁸⁸ Johns, D.K. Reforming the State-Enterprise Property Relationship in the People's Republic of China: The Corporatization of State-Owned Enterprises. *Michigan Journal of International Law*, 16.3. 1995. 911-940.

⁶⁸⁹ Backer, L.C. Private Actors and Public Governance beyond the State: The Multinational Corporation, the Financial Stability Board, and the Global Governance Order. *Indiana Journal of Global Legal Studies*, 18.2. 2011. 751-802.

⁶⁹⁰ Goldstein, A. Baena, C. Drivers of internationalisation of companies from emerging economies: comparing Petrobras (Brazil) and PDVSA (Venezuela). *International Journal of Technological Learning Innovation and Development*, 3.4. 2010. 392-407.

⁶⁹¹ Guan, E.J. Understanding Brazil's Oil Industry: Policy Dynamics and Self-Sufficiency. *Journal of Emerging Knowledge on Emerging Markets*, 2. 2010. 1-23.

ზრდას^{692,693} და გარდაუვალი ინტერესთა კონფლიქტის საფუძველზე ხელისუფლების ფუნქციების არასათანადოდ შესრულებას⁶⁹⁴.

შედეგად, შეიძლება იმის შეჯამება, რომ სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ის საფუძვლები, რომლებიც წინამდებარე ნაშრომში კრიტიკულად იქნა გაანალიზებული და არალეგიტიმურად მიჩნეული, პრობლემას წარმოშობს სამართლებრივი თვალსაზრისით, თუკი მათზე დაყრდნობით მოხდება ხელისუფლების ორგანოთა კომერციაში ჩაბმა. აღსანიშნავია, რომ ეს პოტენციური საფუძვლები გარკვეულწილად მაინც წარმოადგენენ განხილვის საგანს მათი გამართლებულობის თვალსაზრისით, თუმცა, ზოგჯერ, სახეზეა ისეთი დასაბუთება ხელისუფლების მიერ მეწარმეობის გაწევისა, რომელიც კიდევ უფრო მეტად ვერ იქნება ლეგიტიმურად ჩათვლილი. ასეთი შემთხვევები ხშირად პოლიტიკური საჭიროებებიდან გამომდინარეობს.

პოლიტიკური მიზეზებით სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ყოველთვის პრობლემურია⁶⁹⁵. ერთ-ერთი ასეთი საფუძველი, რომელიც პრაქტიკაში ხშირად გვხვდება და მოსახლეობის ნაწილისთვის შეიძლება, სასურველადაც კი გვევლინებოდეს, არის სამუშაო ადგილების შექმნა⁶⁹⁶. წარმატებული ბიზნესი, ბუნებრივია, თითქმის ყოველთვის ქმნის დასაქმების შესაძლებლობას, თუმცა თუკი დასაქმება ამ ბიზნესის ერთადერთი მიზანია, ის ცდება კომერციის დეფინიციას⁶⁹⁷. გარდა იმისა, რომ ასეთი სამეწარმეო წამოწყება ყოველთვის უიმედოდ წამგებიანია ფინანსური თვალსაზრისით⁶⁹⁸, ის ქმნის მოლოდინს, რომ სახელმწიფომ უნდა დაასაქმოს

⁶⁹² Lopes Júnior, E.P. Camara, S.F. Rocha, L.G. Brasil, A. Influence of corruption on state-owned enterprise expenditures. *Brazilian Journal of Public Administration*, 52.4. 2018. 695-711.

⁶⁹³ Vartanian, P.R. De Moura Junior, A.A. Racy, J.C. Santos Silva, V.B. Oil and gas sector in Brazil: an analysis of recent activity based on the SCP model. *International Journal of Development Research*, 10.9. 2020. 40749-40761.

⁶⁹⁴ Backer, L.C. Private Actors and Public Governance beyond the State: The Multinational Corporation, the Financial Stability Board, and the Global Governance Order. *Indiana Journal of Global Legal Studies*, 18.2. 2011. 751-802.

⁶⁹⁵ Naidoo, V. Mare, A. Implementing the National Development Plan? Lessons from Coordinating Grand Economic Policies in South Africa. *Politikon, the South African Journal of Political Studies*, 42.3. 2015. 407-427.

⁶⁹⁶ Graham, A. The Objectives and Outcomes of Airport Privatization. *Research in Transportation Business & Management*, 1. 2011. 3-14.

⁶⁹⁷ Kallianiontis, I.N. Privatization in Greece and Its Negative Effects on the Nation's Social Welfare (Expropriation of the National Wealth). *Journal of Business & Economic Studies*, 19.1. 2013. 1-24.

⁶⁹⁸ Fernandez-Stembridge, L. Labor Allocation of Chinese Rural Migrant Workers in Urban Areas: Job Election or Job Enforcement? *Asian and Pacific Migration Journal*, 8.3. 1999. 329-341.

ხალხი, მიუხედავად იმისა, საჭიროა თუ არა მათი მუშაობა⁶⁹⁹. ეს ფუნდამენტურად პრობლემურია სახელმწიფოსათვის და მისი საკანონმდებლო სტრუქტურებისათვის. შესაბამისად, ხელისუფლება ყველანაირად უნდა ეცადოს, რომ ამ მიზნით არ წამოიწყოს კომერციული აქტივობა.

გარდა ზემოთ მოცემულისა, არსებობს სხვა სახის მიზეზები, რომლებზე დაყრდნობითაც ზოგჯერ სახელმწიფო წყვეტს, შეასრულოს მეწარმის როლი. ეს შეიძლება, დიპლომატიური საჭიროებებიდან გამომდინარეობდეს⁷⁰⁰, ან, მაგალითად, საჯარო სტრუქტურების მიერ პოპულისტური ნაბიჯების გადადგმის შედეგი იყოს⁷⁰¹. ასეთ საფუძვლებს ერთი საერთო მახასიათებელი გააჩნიათ - ისინი ყოვლად გაუმართლებელია და მათ შედეგად ხელისუფლების მოქმედება მხოლოდ ზიანის მომტანი შეიძლება, იყოს.

საბოლოოდ კი, აღსანიშნავია, რომ თუკი სახელმწიფო წამოიწყებს კომერციულ საქმიანობას ლეგიტიმური მიზეზის გარეშე, ის პრობლემა, რომლის გადასაჭრელადაც ეს ნაბიჯი იქნა გადადგმული, ვერ მოგვარდება, ხოლო ის სურვილი, რომლის შესასრულებლადაც ეს ყველაფერი ხდება, ვერ შესრულდება. სწორი საბაზის გარეშე მეწარმეობა, არსებითად, იგივეა, რაც სიმპტომის მკურნალობა ისე, რომ დაავადებასთან მიმართებით არაფერი გაკეთდეს. თუკი რამე ფაქტორი სახელმწიფოს აიძულებს, დაარღვიოს კარგი მმართველობის პრინციპები და ჩაერიოს კომერციაში ამის წინაპირობათა არსებობის გარეშე, ის საკმარისად მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს მისი შესაფერისი ქმედებების უზრუნველყოფა, თუმცა ეს, როგორც ზემოთ განხილულიდან ჩანს, ვერ იქნება საჯარო ორგანოთა ბიზნესში ჩართვა. ამიტომ, ადვილად შეიძლება, მივიღოთ მდგომარეობა, რომ სახელმწიფოს მიერ მეწარმეობის წამოწყებამ შენიღბოს ნამდვილი პრობლემა, რომელიც მოგვიანებით იჩენს თავს და არსებით ზიანს გამოიწვევს.

ყოველივე ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, ჩანს, რომ ხელისუფლების ორგანოთა ლეგიტიმური მიზნის გარეშე კომერციულ საქმიანობაში ჩართულობა ქვეყნის სამართლებრივ სისტემებს არსებითად აზიანებს. ყველა ინსტრუმენტს თავისი დანიშნულება აქვს, და მათი არასწორად გამოყენება საფრთხეებითაა აღსავსე. ამიტომ, სახელმწიფო ყოველთვის უნდა შეეცადოს, გამორიცხოს

⁶⁹⁹ Majstorovic, D. Vuckovac, Z. Pepic, A. From Dayton to Brussels via Tuzla: post-2014 economic restructuring as Europeanization discourse/practice in Bosnia and Herzegovina. *Southeast European and Black Sea Studies*, 15.4. 2015. 661-682.

⁷⁰⁰ Addis, A.K. Zuping, Z. Assessment of the Impact of Chinese and Indian Economic Activities in Africa: A Particular Focus on Ethiopia's Economy. *China Report*, 55.3. 2019. 241-264.

⁷⁰¹ Akomea-Frimpong, I. Olaniyan, T.O. Sebia, M.Y. Assessing the effects of privatization on state enterprises in Ghana. *Research Journal of Finance and Accounting*, 10.8. 2019. 138-148.

მეწარმეობაში ჩარევა ამისათვის აუცილებელი ლეგიტიმური წინაპირობების არარსებობის შემთხვევაში.

4.2. არასათანადო ინსტრუმენტით მოქმედების სამართლებრივი შედეგები

ისევე, როგორც არალეგიტიმური მიზნით მოქმედებისას, საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციულ აქტივობაში ჩარევა სათანადო ინსტრუმენტის გამოყენების გარეშე არსებით პრობლემებს მნის ქვეყნის სამართლებრივი სისტემისათვის. გამოწვეული ხარვეზები, შესაძლოა, იყოს ზემოთ განხილულის მსგავსი, ან, ზოგიერთ შემთხვევაში, მოცემული არასწორი ქმედების დამახასიათებელ უნიკალურ დაბრკოლებას წარმოადგენდეს.

პირველ რიგში, ისევე, როგორც ლეგიტიმური მიზნის გარეშე საჯარო ორგანოების მიერ მოქმედებისას, აუცილებელია კითხვის დასმა, თუ რატომ ხდება ასე. საჭიროა იმის გარკვევა, თუ რა საფუძვლით ახდენს ხელისუფლება არასწორი ნაბიჯების გადადგმას, რადგანაც ამ შეკითხვაზე პასუხმა, შესაძლოა, ფუნდამენტური პრობლემები გამოავლინოს. არსებითად, შესაძლებელი მიზეზები ორგვარად შეიძლება, დაიყოს. ერთი მხრივ, შეიძლება, არასათანადო ინსტრუმენტის გამოყენება განპირობებული იყოს კომპეტენციის არქონით, მეორემხრივ კი, შესაძლებელია, ასეთი გადაწყვეტილება განზრახ იყოს მიღებული.

ისეთ დროს, როდესაც სახეზე არასათანადო ინსტრუმენტის არაკომპეტენტურობის გამო გამოყენებაა სახეზე, ეს, თავის თავში, მნიშვნელოვან პრობლემას მოიცავს. თუკი სახელმწიფოს არ გააჩნია საკმარისი ცოდნა ან გამოცდილება იმისათვის, რომ სწორად შეარჩიოს, თუ რა მექანიზმის უტილიზაცია იქნება გამართლებული სამეწარმეო საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად, იმის ალბათობა, რომ მან კომერციული საქმიანობა გამართულად განახორციელოს, არსებითად, მინიმალურია⁷⁰². მეორემხრივ კი, თუკი ცალსახაა, რომ საჯარო ხელისუფლება არასწორი გზით ცდილობს, თავისი კერძოსამართლებრივი მიზნები რეალობად აქციოს, შეიძლება იმაზე საუბარი, რომ უმჯობესია, ეს სწორედ კომპეტენციის არარსებობის გამო ხდებოდეს⁷⁰³. შეუსაბამო მეთოდით კომერციაში ჩარევის გზით, სახელმწიფო, რა თქმა უნდა,

⁷⁰² Clark, I. Private Equity in the UK: Job Regulation and Trade Unions. *Journal of Industrial Relations*, 51.4. 2009. 489-500.

⁷⁰³ Majstorovic, D. Vuckovac, Z. Pepic, A. From Dayton to Brussels via Tuzla: post-2014 economic restructuring as Europeanization discourse/practice in Bosnia and Herzegovina. *Southeast European and Black Sea Studies*, 15.4. 2015. 661-682.

მნიშვნელოვან ზიანს იწვევს⁷⁰⁴, არასწორად ხარჯავს საჯარო რესურსებს⁷⁰⁵ და, ხშირად, აზარალებს კერძო პირებს და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკას⁷⁰⁶, თუმცა მაინც შეიძლება იმის თქმა, რომ ასეთი შემთხვევა უმჯობესია, ვიდრე ის შესაძლებლობა, რომ საჯარო ორგანოებმა იციან, რომ არასწორად იქცევიან, თუმცა ეს არ ადელვებთ, ან, უბრალოდ, საკუთარი კერძოსამართლებრივი მიზნების მიღწევა სახელმწიფოს კეთილდღეობაზე უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ⁷⁰⁷.

ისეთ დროს, როდესაც ხელისუფლების ორგანოების ქმედებები შესაბამისობაში არ არის მის დანიშნულებასთან და ხდება არასწორი მექანიზმებით სარგებლობა კომერციული აქტივობის განსახორციელებლად, ეს ნამდვილად შეიძლება, დიდ საფრთხეს მალავდეს და მცდარი ინსტრუმენტებით სარგებლობა შემთხვევითობის ნაცვლად განზრახი ნაბიჯი იყოს. ასეთი ქმედებების განმაპირობებელი საფუძველი ხშირად ინტერესთა კონფლიქტი ან კორუფცია იყოს⁷⁰⁸⁷⁰⁹, რომლებიც ქვემოთ იქნება დეტალურად განხილული. ძირითადად, ეს, შეიძლება, გამოიხატოს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ის საჯარო მოხელეები ან სახელმწიფოს მიერ ირიბად დასაქმებული პირები, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ ხელისუფლების მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით, ერთი მხრივ, იძულებულნი არიან, მოახდინონ კერძო და საჯარო ინტერესების კომბინირება და ამან შეიძლება, გამოიწვიოს მათი შეუთავსებლობა ან ერთმანეთზე არაჯანსაღი გავლენა⁷¹⁰, მეორე მხრივ კი, ასევე არსებობს შესაძლებლობა, რომ ასეთი დიდი ძალაუფლების მქონე პირები, რომლებიც იყენებენ არა საკუთარ, არამედ სახელმწიფო რესურსებს, კორუფციული სქემის მონაწილეებად იქცნენ და მოითხოვონ არასათანადო მექანიზმის გამოყენება,

⁷⁰⁴ Naidoo, V. Mare, A. Implementing the National Development Plan? Lessons from Coordinating Grand Economic Policies in South Africa. *Politikon, the South African Journal of Political Studies*, 42.3. 2015. 407-427.

⁷⁰⁵ Backer, L.C. Private Actors and Public Governance beyond the State: The Multinational Corporation, the Financial Stability Board, and the Global Governance Order. *Indiana Journal of Global Legal Studies*, 18.2. 2011. 751-802.

⁷⁰⁶ Vartanian, P.R. De Moura Junior, A.A. Racy, J.C. Santos Silva, V.B. Oil and gas sector in Brazil: an analysis of recent activity based on the SCP model. *International Journal of Development Research*, 10.9. 2020. 40749-40761.

⁷⁰⁷ Clark, I. Private Equity in the UK: Job Regulation and Trade Unions. *Journal of Industrial Relations*, 51.4. 2009. 489-500.

⁷⁰⁸ Armour, J. Jacobs, J. Milhaupt, C. A Comparative Analysis of Hostile Takeover Regimes in the US, UK and Japan (with Implications for Emerging Markets). *Columbia University Center for Law and Economic Studies*, 377. 2010. 21-25.

⁷⁰⁹ Baklouti, N. Boujelbene, Y. Impact of government size and corruption on economic growth. *International Journal of Accounting and Economics Studies*, 4.2. 2016. 81-86.

⁷¹⁰ Jessop, B. The rise of governance and the risks of failure: The case of economic development. *International Social Science Journal*, 50. 2008. 29-45.

რათა ამ გზით თავად ან მათთან დაკავშირებულმა პირებმა მიიღონ უკანონო მოგება⁷¹¹.

გარდა ხსენებული ორი ფაქტორისა, ასევე არსებობს შესაძლებლობა, რომ საჯარო ორგანოთა მიერ არასათანადო ინსტრუმენტის განზრახ გამოყენება განპირობებული იყოს სხვა საფუძვლით. ასეთებს შორისაა, მაგალითად, პოლიტიკური საჭიროებები⁷¹². საჯარო მოსამსახურეებს, ან, უფრო ხშირად, მათ ზედამხედველ პოლიტიკოსებს, ამა თუ იმ მიზეზით, შეიძლება, დასჭირდეთ, რომ მოხდეს არასათანადო ინსტრუმენტით სარგებლობა⁷¹³. ამის განმაპირობებელი საბაზი ბევრი სხვადასხვა რამე შეიძლება, იყოს⁷¹⁴, თუმცა მთავარია, რომ პოლიტიკური ჩარევის შედეგად სახეზეა არასწორი მექანიზმის გამოყენება კომერციული აქტივობის განსახორციელებლად. ასეთ დროს სახიფათოა როგორც თავად ქმედება, ასევე ის ფაქტიც, რომ მსგავსი ნაბიჯების გადადგმა შესაძლოა, განმეორდეს და სტანდარტადაც კი იქცეს⁷¹⁵. ეს, თავის თავში, ნიშნავს, რომ სამართლებრივი სისტემა არსებითად ზარალდება, რადგანაც მკვიდრდება მახინჯი პრაქტიკა და შესამჩნევად უარესდება ქვეყნის ფუნდამენტური სტრუქტურების მდგომარეობა. ამიტომ, ყველა საჭირო ზომა უნდა იყოს მიღებული, რომ არც ერთ შემთხვევაში არ იყოს დაშვებული არასათანადო მექანიზმებით სარგებლობის ნორმალისებობა.

ასევე შესაძლებელია, სახელმწიფოს მიერ არაოპტიმალური ინსტრუმენტი იყოს გამოყენებული მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მექანიზმი ხელმისაწვდომია და ნაკლებად სარისკოა, ვიდრე რაიმე ახალი ალტერნატივის შექმნა. მაგალითისთვის, თუკი სახეზეა ძლიერი კერძოსამართლებრივი კომპანია, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის, შეიძლება, მოხდეს მისი გამოყენება, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული პროექტის საჭიროებებიდან გამომდინარე, ოპტიმალური ყოფილიყო, მაგალითად, კერძო-საჯარო პარტნიორობის იმპლემენტაცია. მსგავსი შემთხვევები სახეზე განსაკუთრებით ხშირადაა, როდესაც სახელმწიფო ან მისი კუთვნილი კომპანია შესაბამის სფეროში

⁷¹¹ Liu, P. Li, H. Guo, H. The impact of corruption on firms' access to bank loans: evidence from China. *Economic Research*, 33.1. 2020. 1963-1984.

⁷¹² Lin, L.W. Milhaupt, C.J. We Are the (National) Champions: Understanding the Mechanisms of State Capitalism in China. *Stanford Law Review*, 65. 2013. 697-760.

⁷¹³ Milhaupt, C.J. Pargendler, M. Governance Challenges of Listed State-Owned Enterprises around the World: National Experiences and a Framework for Reform. *Cornell International Law Journal*, 50.3. 2017. 473-542.

⁷¹⁴ Goldstein, A. Baena, C. Drivers of internationalisation of companies from emerging economies: comparing Petrobras (Brazil) and PDVSA (Venezuela). *International Journal of Technological Learning Innovation and Development*, 3.4. 2010. 392-407.

⁷¹⁵ Buck, T. Filatotchev, I. Wright, M. Zhukov, V. Corporate Governance and Employee Ownership in an Economic Crisis: Entrepreneurial Strategies in the Former USSR. *Journal of Comparative Economics*, 27.3. 1999. 459-474.

მონოპოლისტის ან მის მსგავს მდგომარეობაში არიან⁷¹⁶. ეს, სავარაუდოდ, იქიდან გამომდინარეობს, რომ კონკურენციაზე ზრუნვის საჭიროების არარსებობისას სახელმწიფო ან მის დაქვემდებარებაში მყოფი სამეწარმეო იურიდიული პირი ეჩვევა, რომ ყოველთვის შეუძლია, ხელმისაწვდომი რესურსებით ისარგებლოს⁷¹⁷ და აღარ ცდილობს, კრიტიკული აზროვნებისა და განსხვავებული მექანიზმების მოძებნის გზით უზრუნველყოს ოპტიმალური შედეგის დადგომა საჯარო რესურსების სტანდარტული, მისთვის ჩვეული ნაბიჯების გადადგმაზე უფრო ეფექტური ხარჯვის გზით.

გარდა ზემოთ მოცემულისა, არასათანადო ინსტრუმენტების გამოყენებას ახასიათებს კიდევ ერთი საფრთხეც, რომელიც ხშირად არ არის სათანადოდ გამოკვეთილი. ესაა არასწორი ნაბიჯების გადადგმის შემდეგ ასეთი ქმედების „გამართლების“ მცდელობა. სახელმწიფოს რესურსების არამართებულად გამოყენება, ერთი მხრივ, ასეთ ქმედებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის ნაკლებად „მტკივნეული“ შეიძლება, იყოს, რადგანაც ისინი არ ხარჯავენ საკუთარ ქონებას⁷¹⁸. თუმცა, ამავდროულად, პირადი საკუთრების გაფლანგვის შემთხვევაში ადამიანის პასუხისმგებლობის რისკი განუზომლად უფრო ნაკლებია, მაშინ, როდესაც საჯარო რესურსების არასწორად ხარჯვას შეიძლება, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც კი მოჰყვეს⁷¹⁹. ეს ორი ფაქტორი საკმაოდ სახიფათო კომბინაციას ქმნის, რამაც შეიძლება, დიდი ზიანი მოუტანოს ქვეყნის ეკონომიკას.

ერთი მხრივ, რადგანაც ადამიანისთვის მინდობილი რესურსები არ ეკუთვნის მას პირადად, ან ვინმეს, ვისაც ის პირადად იცნობს, იზრდება სტატისტიკური ალბათობა იმისა, რომ ეს პიროვნება შედარებით ნაკლებად პასუხისმგებლობით მოეკიდება საკუთარ ვალდებულებებს და შემთხვევით იქნება ეს თუ განზრახ, არასათანადოდ განკარგავს მათ⁷²⁰ (რაც, მოცემულ კონტექსტში, ნამდვილად შეიძლება ნიშნავდეს, მაგალითად, შეუსაბამო ინსტრუმენტის გამოყენებას კომერციული საქმიანობის განსახორციელებლად). მეორე მხრივ კი, რადგანაც ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაში ასეთ ქმედებას შეიძლება, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოჰყვეს, შესამჩნევად იზრდება ადამიანისგან იმის

⁷¹⁶ Fox, E.M. Healey, D. When the State Harms Competition - The Role For Competition Law. *Antitrust Law Journal*, 79.3. 2014. 769-820.

⁷¹⁷ Kim, M. Regulating the Visible Hands: Development of Rules on State-Owned Enterprises in Trade Agreements. *Harvard International Law Journal*, 58.1. 2017. 225-272.

⁷¹⁸ Feng, Y. Corruption: Main Dangers to Economic and Political Stability and Root Causes. *Journal of Money Laundering Control*, 4.1. 2000. 44-50.

⁷¹⁹ Avenburg, A. Public Costs versus Private Gain: Assessing the Effect of Different Types of Information about Corruption Incidents on Electoral Accountability. *Journal of Politics in Latin America*, 11.1. 2019. 71-108.

⁷²⁰ Dridi, M. Corruption and Education: Empirical Evidence. *International Journal of Economics and Financial Issues*, 4.3. 2014. 476-493.

ალბათობა, რომ მან გადადგას შემდგომი ნაბიჯები, რათა თავისი არასწორი ქმედება დამალოს ან გაამართლოს⁷²¹.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაფასებელია ის საფრთხეებიც, რომელიც სახეზეა არასათანადო მექანიზმის გამოყენების ფაქტის გამჟღავნების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯების შედეგად. ასეთი რისკები გამომდინარეობს სახიფათო ქმედებებისაგან, რომლებიც ორ კატეგორიად შეიძლება, იყოს დაყოფილი - პრევენციული და რეაქციული სახის.

პრევენციული ნაბიჯები მოიცავს ისეთ მოქმედებებს, რომელთა მიზანია სამომავლო არასათანადო გადაწყვეტილებების გამჟღავნებისაგან წინასწარ დაცვა. ეს, შეიძლება, მოიცავდეს ლოკალიზებულ ქმედებებს, რომლებიც მხოლოდ მოცემულ საკითხზე გავრცელდება, მაგალითად, წინასწარ ყალბი დოკუმენტების შედგენა ან არარსებული მტკიცებულებების შექმნა. ასეთი ქმედებები, რა თქმა უნდა, საზიანოა სახელმწიფოს სამართლებრივი სტრუქტურისათვის⁷²², თუმცა, მათი ხასიათიდან გამომდინარე, ზარალი შედარებით მცირეა⁷²³. მეორეხრივ კი, ასევე შესაძლებელია, იმავე მიზნით გადაიდგას შედარებით უფრო მასშტაბური ნაბიჯები. ასეთთა შორისაა, მაგალითად, სახელმწიფო ზედამხედველობის მექანიზმების შესუსტება ან/და გაუქმება⁷²⁴, ანაც მათი მოქმედების სფეროს შეზღუდვა ისე, რომ ხელისუფლების მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელების შეფასების უნარი აღარ გააჩნდეთ⁷²⁵⁷²⁶. ასეთი ქმედებები სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემას ფუნდამენტურად აზიანებს⁷²⁷ და, ზოგჯერ, შეიძლება უფრო მძიმე შედეგებიც კი მოჰყვეთ, ვიდრე იმ პოტენციურ დანაშაულს, რომლის დამალვის მიზნითაც განხორციელდა ამ ნაბიჯების გადადგმა.

რაც შეეხება რეაქციული ხასიათის ნაბიჯებს, ისინი სახეზეა, როდესაც პირი არამართებულ ქმედებას ჩაიდენს და მხოლოდ ამის შემდეგ ცდილობს, დამალოს იგი. ისინი, ძირითადად, მოიცავს მტკიცებულებათა განადგურებას ან სხვადასხვა

⁷²¹ Ugoani, J.N.N. Political Will and Anticorruption Crusade Management in Nigeria. *Independent Journal of Management & Production*, 7.1. 2016. 72-97.

⁷²² Tang, Q. Institutional Influence, Transition Management and the Demand for Carbon Auditing: The Chinese Experience. *Australian Accounting Review*, 29.2. 2019. 376-394.

⁷²³ Vermeer, B.Y. Styles, A.K. Online Availability and Accessibility of Local Government Financial Statements: Is the Public Interest Being Served? *Accounting and the Public Interest*, 19.1. 2019. 57-82.

⁷²⁴ Behn, R.D. What Right Do Public Managers Have to Lead? *Public Administration Review*, 58.3. 1998. 209-224.

⁷²⁵ Sandholtz, W. Taagepera, R. Corruption, Culture, and Communism. *International Review of Sociology*, 15.1. 2005. 109-131.

⁷²⁶ Ho, V.H. Corporate Governance as Risk Regulation in China: A Comparative View of Risk Oversight, Risk Management, and Accountability. *European Journal of Risk Regulation*, 3.4. 2012. 463-475.

⁷²⁷ Entin, J.L. Separation of Powers, the Political Branches, and the Limits of Judicial Review. *Ohio State Law Journal*, 51. 1990. 175-227.

ხასიათის შეთქმულებას⁷²⁸. მიუხედავად მათი დანაშაულებრივი ხასიათისა, სახელმწიფო სტრუქტურებზე ასეთი ქმედებების პირდაპირი გავლენა შედარებით მცირეა⁷²⁹, თუმცა, ხაზგასასმელია, რომ მათი რეაქციის დატოვების შემთხვევაში გარდაუვალი ხდება დანაშაულებრივი კულტურის ჩამოყალიბება⁷³⁰, რამაც, გრძელვადიან პერსპექტივებში, ძალიან დიდი პრობლემები შეიძლება, გამოიწვიოს.

ყოველივე ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, შეიძლება იმაზე საუბარი, რომ საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციულ საქმიანობაში არასათანადო ინსტრუმენტით ჩართულობის სამართლებრივი შედეგები საკმაოდ მძიმე შეიძლება, იყოს. ამიტომ, აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ ისეთი საფრთხილო ნაბიჯი, როგორცაა სამეწარმეო აქტივობის სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელება, გადაიდგმება მხოლოდ სწორი და ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით.

4.3. ინტერესთა კონფლიქტი

ხელისუფლების ორგანოთა მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას ინტერესთან კონფლიქტი გარდაუვალია⁷³¹. როდესაც საჯარო სამართლის წარმონაქმნი კომერციულ აქტივობაში ერთვება, ეს, ავტომატურად, იწვევს სხვადასხვა სახისა და ხასიათის ინტერესების ერთმანეთთან შეუთავსებლობას, რაც ხშირად პრობლემატური შეიძლება, იყოს⁷³². აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, მოხდეს სახელმწიფოს მიერ მეწარმეობის თავზე აღების შედეგად წარმოშობილი ინტერესთა კონფლიქტის შესწავლა და მისი გვერდითი მოვლენების კრიტიკული ანალიზი.

პირველ რიგში, ხაზგასასმელია, თუ რა იგულისხმება ტერმინ „ინტერესთა კონფლიქტის“ ქვეშ. მისი ზოგადი მნიშვნელობა სხვადასხვაგვარად არის აკადემიურ ლიტერატურაში განმარტებული, თუმცა, პრაქტიკაში, ხშირად არის ჩამოყალიბებული, როგორც ისეთი პირობებისა და გარემოებების ერთობლიობა,

⁷²⁸ Elder, R.J. Yebba, A.A. The Roslyn School District Fraud: Improving School District Internal Control and Financial Oversight. *Issues in Accounting Education*, 32.4. 2017. 25-39.

⁷²⁹ Habibov, N. Fan, L. Auchynnika, A. The Effects of Corruption on Satisfaction with Local and National Governments. Does Corruption “Grease the Wheels”? *Europe-Asia Studies Journal*, 71.5. 2019. 736-752.

⁷³⁰ Fischer, R. Ferreira, M.C. Milfont, T.L. Pilati, R. Culture of Corruption? The Effects of Priming Corruption Images in a High Corruption Context. *Journal of Cross-Cultural Psychology*, 45.10. 2014. 1594-1605.

⁷³¹ Scrimgeour, F. Duppati, G. Corporate Governance in the Public Sector: Dimensions; Guidelines and Practice in India and New Zealand. *Corporate Ownership & Control*, 11.4. 2014. 364-377.

⁷³² Lin, K. Lu, X. Zhang, J. Zheng, Y. State-owned enterprises in China: A review of 40 years of research and practice. *China Journal of Accounting Research*, 13. 2020. 31-55.

რომელშიც პირის ორი სხვადასხვა ინტერესი ერთმანეთს უპირისპირდება⁷³³⁷³⁴. ეს, შეიძლება, ნიშნავდეს პირადი და პროფესიული საჭიროებების შეუთავსებლობას⁷³⁵, ერთი და იმავე საფუძვლიდან გამომდინარე ურთიერთგამომრიცხავი სურვილების არსებობას⁷³⁶, ან, მაგალითად, კერძოსამართლებრივი და საჯაროსამართლებრივი მიზნების ერთდროულად განვითარების შეუძლებლობას⁷³⁷.

ადამიანის პირადი სურვილებისა და პროფესიული ვალდებულებების შეუთავსებლობა ყველა სფეროში პრობლემურ საკითხს წარმოადგენს⁷³⁸⁷³⁹. იგი ხშირად კორუფციის წარმოშობის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია⁷⁴⁰. შესაბამისად, აღნიშნული თვალსაზრისით, ასეთი ნაირსახეობის ინტერესთა კონფლიქტი ქვემოთ იქნება განხილული. თუმცა, წინამდებარე თავში, აუცილებელია იმის მიმოხილვა, თუ რა კონკრეტულ, სფეროსათვის დამახასიათებელ და სპეციფიურ ინტერესთა კონფლიქტს იწვევს ხელისუფლების ორგანოთა მიერ კომერციულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის ფაქტი.

საჯარო პირების სამეწარმეო აქტივობაში ჩართულობა, პრაქტიკაში, სამი ტიპის ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. პირველი გამომდინარეობს სახელმწიფოს, როგორც კანონშემოქმედისა და, ამავდროულად, როგორც მის მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტების სუბიექტის ორგვარი ბუნებიდან. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია, ქვეყნისათვის სამართლიანი და გამართული საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა, შეიძლება, წინააღმდეგობაში მოვიდეს მისი, როგორც ბიზნესის მმართველის, სურვილებთან და საჭიროებებთან⁷⁴¹.

⁷³³ გოგიბერიძე, გ. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საჯარო ინტერესების დაცვისა და ლობირების პროცესის რეგულირება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. სამართლის ჟურნალი, 5.2. 2012. 223-244.

⁷³⁴ DeCamp, M. Physicians, Social Media, and Conflict of Interest. *Journal of General Internal Medicine*, 28.2. 2013. 299-303.

⁷³⁵ Silva, J.A.T. Dobránszki, J. Bhar, R.H. Mehlman, C.T. Editors Should Declare Conflicts of Interest. *Journal of Bioethical Inquiry*, 16.2. 2019. 279-298.

⁷³⁶ King, C.R. Ethical Issues in Writing and Publishing. *Clinical Journal of Oncology Nursing*, 5.3. 2001. 19-23.

⁷³⁷ Nelson, E.L. Conflict of Interest and Parliament. *Economic and Political Weekly*, 46.19. 2011. 68-73.

⁷³⁸ Garde-Sanchez, R. López-Pérez, M.V. López-Hernández, A.M. Current Trends in Research on Social Responsibility in State-Owned Enterprises: A Review of the Literature from 2000 to 2017. *The Sustainability Journal*, 10. 2018. 1-21.

⁷³⁹ MacDonald, C. MacDonald, M. Norman, W. Charitable Conflicts of Interest. *Journal of Business Ethics*, 39.2. 2002. 67-74.

⁷⁴⁰ Lin, K. Lu, X. Zhang, J. Zheng, Y. State-owned enterprises in China: A review of 40 years of research and practice. *China Journal of Accounting Research*, 13. 2020. 31-55.

⁷⁴¹ Jessop, B. The rise of governance and the risks of failure: The case of economic development. *International Social Science Journal*, 50. 2008. 29-45.

მეორე სახის ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც ხელისუფლების მიერ სამეწარმეო საქმიანობის აქტიურად განხორციელებისაგან გამომდინარეობს, არის შეუთავსებლობა კომპანიისა და სახელმწიფოს საჭიროებებს შორის⁷⁴². საჯარო ორგანოებს საკუთარი მიზნები და სურვილები გააჩნიათ, თუმცა ბიზნესის მართვისას, ისინი ვალდებული არიან, საჯაროსამართლებრივი ინტერესები გვერდზე გადადონ და კომერციული თვალთახედვით მიუდგნენ საკითხს, რაც ხშირად პრობლემურია⁷⁴³. ამიტომ, ერთი მხრივ, სახელმწიფო, როგორც საჯარო სამართლის წარმონაქმნი, ვალდებულია, ზოგად კეთილდღეობაზე იზრუნოს, მეორე მხრივ კი, როგორც ბიზნესის მესაკუთრე და მმართველი, ის ძირითადად მოგების მაქსიმალურად გაზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული⁷⁴⁴. ეს კი, თავის მხრივ, ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს, რადგანაც ხსენებული ორი მიზანი ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავიც კი შეიძლება, იყოს⁷⁴⁵.

რაც შეეხება კონფლიქტის მესამე ნაირსახეობას, ეს არის დაპირისპირება სახელმწიფოსა და მინორიტარ აქციონერებს შორის⁷⁴⁶. ბუნებრივია, ეს საკითხი მხოლოდ მაშინაა სახეზე, როდესაც ხელისუფლება ბიზნესს ერთპიროვნულად არ მართავს. ძირითადად, იგი წარმოიშობა, როდესაც სახეზეა საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელების ერთი კონკრეტული ფორმა - საჯარო წარმონაქმნის საკუთრებაში არსებული სამეწარმეო იურიდიული პირი⁷⁴⁷. საკონტროლო პაკეტის მფლობელსა და მინორიტარს შორის ხშირად სახეზეა ფრიქცია, თუმცა სახელმწიფოს კუთვნილი კომპანიების შემთხვევაში ეს ჩვეულებრივზე უფრო აქტუალური საკითხია⁷⁴⁸.

ინტერესთა კონფლიქტი, ბიზნესის მართვისას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფრთხეა⁷⁴⁹. იმავეს თქმა შეიძლება სახელმწიფოს მმართველობასთან

⁷⁴² Di Carlo, E. Board of Directors and the Limits of the Conflict of Interest Definition within Codes of Ethics. *Frontiers in Management Research*, 1.4. 2017. 107-125.

⁷⁴³ Mathenge, G.D. Corporate Governance and Organizational Management: An Ethical Perspective of the Challenges Facing Effective Corporate Management in Kenyan State Owned Enterprises (SOEs). *Global Journal of Management and Business Research Administration and Management*, 13.10. 2013. 43-53.

⁷⁴⁴ Kong, Y. Famba, T. Chituku-Dzimiro, C. Sun, H. Corporate Governance Mechanisms, Ownership and Firm Value: Evidence from Listed Chinese Firms. *International Journal of Financial Studies*, 8.2. 2020. 20-45.

⁷⁴⁵ Jiang, F. Kim, K.A. Corporate Governance in China: A Survey. *Review of Finance*, 24.4. 2020. 733-772.

⁷⁴⁶ Nelson, E.L. Conflict of Interest and Parliament. *Economic and Political Weekly*, 46.19. 2011. 68-73.

⁷⁴⁷ Kim, K. Using partially state-owned enterprises for development in Indonesia. *Asia Pacific Business Review*, 25.3. 2019. 317-337.

⁷⁴⁸ Shaver, E.B. Two Paths to Development: Policy Channeling and Listed State-Owned Enterprise Management in Peru and Colombia. *University of Pennsylvania Journal of Business Law*, 21.4. 2019. 1006-1033.

⁷⁴⁹ Cunningham, P.H. State-Owned Enterprises: Pursuing Responsibility in Corporate Social Responsibility. *Management Communication Quarterly*, 25.4. 2011. 718-724.

მიმართებაშიც⁷⁵⁰⁷⁵¹. შესაბამისად, საკითხის არსებითი ბუნებიდან გამომდინარე, ქვემოთ, წინამდებარე ქვეთავის ფარგლებში, განხილული იქნება მოცემული სამი ნაირსახეობა შედარებით უფრო დეტალურად, და წარმოდგენილი იქნება სამართლებრივ სისტემაზე მათი გავლენის კრიტიკული შეფასება.

4.3.1. ინტერესთა კონფლიქტი სახელმწიფოს როლებს, როგორც სამართალშემოქმედსა და მეწარმეს შორის

საჯარო ხელისუფლება ვალდებულია, შექმნას სამართლებრივი სტრუქტურები, რომლებიც საზოგადოების ეფექტურ ფუნქციონირებას ხელს შეუწყობს და შესაძლებლად აქცევს⁷⁵². რეალურად, აუცილებელია ე.წ. „კარგი სამართლის“ არსებობა⁷⁵³, ანუ კანონმდებლობისა, რომელიც იქნება გამართული, როგორც ობიექტურად, ისე სუბიექტურად, რაც ნიშნავს, რომ მოსახლეობის მხრიდან ის ასეთად იქნება აღქმული⁷⁵⁴⁷⁵⁵. პრობლემა ისაა, რომ სახელმწიფოს მიერ მეწარმეობაში აქტიურად მონაწილეობა, ხშირად, ამ მიზნის მიღწევას ხელს უშლის, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური თვალსაზრისით⁷⁵⁶⁷⁵⁷.

სახელმწიფოს მიერ ერთდროულად მრავალი, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული ფუნქციის განხორციელება სტანდარტული მოვლენაა და ხელისუფლების ორგანოთა სამ შტოდ დაყოფის საფუძვლადაც გვევლინება⁷⁵⁸. შესაბამისად, თეორიულად მაინც, ასეთი ხასიათის ინტერესთა კონფლიქტი ნაკლებად პრობლემური უნდა იყოს, რადგანაც კანონშემოქმედებაზე

⁷⁵⁰ კასრამე, ი. საჯარო სამსახურში დისციპლინური გადაცდომის არსის განმსაზღვრელი სამართლებრივი ნორმების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. სამართლის ჟურნალი, 21.1. 2019. 264-280.

⁷⁵¹ Mark, S. Zhang, Y. From Impediment to Adaptation: Chinese Investments in Myanmar's New Regulatory Environment. *Journal of Current Southeast Asian Affairs*, 2. 2017. 71-100.

⁷⁵² Seidman, A. Seidman, R.B. Drafting Legislation for Development: Lessons from a Chinese Project. *The American Journal of Comparative Law*, 44.1. 1996. 1-44.

⁷⁵³ Wagener, H. Good Governance, Welfare, and Transformation. *The European Journal of Comparative Economics*, 1.1. 2004. 127-143.

⁷⁵⁴ Berggren, N. Jordahl, H. Free to Trust: Economic Freedom and Social Capital. *Kyklos*, 59.2. 2006. 141-169.

⁷⁵⁵ Jessop, B. The rise of governance and the risks of failure: The case of economic development. *International Social Science Journal*, 50. 2008. 29-45.

⁷⁵⁶ Shaver, E.B. Two Paths to Development: Policy Channeling and Listed State-Owned Enterprise Management in Peru and Colombia. *University of Pennsylvania Journal of Business Law*, 21.4. 2019. 1006-1033.

⁷⁵⁷ Lin, K. Lu, X. Zhang, J. Zheng, Y. State-owned enterprises in China: A review of 40 years of research and practice. *China Journal of Accounting Research*, 13. 2020. 31-55.

⁷⁵⁸ Fairlie, J.A. The Separation of Powers. *Michigan Law Review*, 21.4. 1923. 393-436.

საკანონმდებლო შტოა პასუხისმგებელი⁷⁵⁹, ხოლო კომერციულ აქტივობას, ფაქტობრივად, ექსკლუზიურად აღმასრულებელი შტო ახორციელებს⁷⁶⁰. თუმცა, პრაქტიკაში, პრობლემა მაინც ხშირად იჩენს თავს⁷⁶¹.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების დანაწილება არ ნიშნავს, რომ შტოები ერთმანეთზე გავლენას არ ახდენენ⁷⁶². სამართლებრივი თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ინიციატივის ინსტიტუტი, რომელიც სხვადასხვა პირებს, მათ შორის კი ხელისუფლების აღმასრულებელ შტოსაც, აძლევს უფლებას, წარუდგინონ კანონპროექტი პარლამენტს ან მის ექვივალენტს⁷⁶³. ამასთან, ისიც ფაქტად რჩება, რომ საკანონმდებლო შტო ერთადერთი სამართალშემოქმედი ორგანო არ არის და ხელისუფლების სხვა ორგანოებს, როგორცაა, მაგალითად, მთავრობა, ასევე შეუძლიათ ნორმატიული აქტების მიღება⁷⁶⁴. თავის მხრივ კი, ასეთი აქტები შეიძლება, სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელ ნორმებად მოგვევლინოს⁷⁶⁵.

სამართლებრივი ჩარჩოს მიღმა, ასევე არსებობს პოლიტიკური გავლენის შესაძლებლობაც⁷⁶⁶. პრაქტიკაში, ხშირია, რომ სხვადასხვა საჯარო ორგანოების სურვილებს ერთმანეთზე ეფექტი აქვთ⁷⁶⁷. ამიტომ, ხელისუფლების დანაწილება, ბუნებრივია, დემოკრატიული სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ქვაკუთხედიცაა, თუმცა მისი არსებობა ინტერესთა კონფლიქტის გამომრიცხავ წინააღმდეგ ნამდვილად ვერ იქნება განხილული. იმავეს თქმა შეიძლება სხვა, დამატებით საკანონმდებლო ან დაკავშირებულ მოწესრიგებასთან მიმართებით. სახელმწიფოს შეუძლია, ინტერესთა კონფლიქტს ებრძოდეს, თუმცა მისი სრულად გამორიცხვა თითქმის შეუძლებელია.

ზემოთ მოცემულიდან გამომდინარე, ფაქტად რჩება, რომ ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე მუდმივად იარსებებს. ამავდროულად,

⁷⁵⁹ Knight, J.T. Splitting Sovereignty: The Legislative Power and the Constitution's Federation of Independent States. *The Georgetown Journal of Law & Public Policy*, 17. 2019. 683-709.

⁷⁶⁰ Pao, H. Wu, H. Pan, W. The road to liberalization: Policy design and implementation of Taiwan's privatization. *International Economics and Economic Policy*, 5. 2008. 323-344.

⁷⁶¹ Mariotti, S. Marzano, R. Varieties of capitalism and the internationalization of state-owned enterprises. *Journal of International Business Studies*, 50. 2019. 669-691.

⁷⁶² Sargentich, T.O. Contemporary Debate about Legislative-Executive Separation of Powers. *Cornell Law Review*, 72.3. 1987. 430-487.

⁷⁶³ Huneus, C. Berrios, F. Cordero, R. Legislatures in presidential systems: The Latin American experience. *Journal of Legislative Studies*, 12.3. 2006. 404-425.

⁷⁶⁴ Arter, D. Introduction: Comparing the legislative performance of legislatures. *Journal of Legislative Studies*, 12.3. 2006. 245-257.

⁷⁶⁵ Klapper, R. The Falcon Cannot Hear the Falconer: How California's Initiative Process Is Creating an Untenable Constitution. *Loyola of Los Angeles Law Review*, 48. 2015. 755-814.

⁷⁶⁶ Cockerham, A.G. Driscoll, A. Joseph, J.V. "Going Public" in Comparative Perspective: Presidents' Public Appeals under Pure Presidentialism. *Presidential Studies Quarterly*, 49.2. 2019. 258-279.

⁷⁶⁷ Ackerman, B. The New Separation of Powers. *Harvard Law Review*, 113.3. 2000. 633-729.

განსახილველია, თუ რატომ უნდა იქნეს ეს შესაძლებლობა მნიშვნელოვან ასპექტად განხილული სახელმწიფოს მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით.

როდესაც ხელისუფლების ორგანოები ახორციელებენ კომერციულ საქმიანობას, მათს ინტერესებში შედის, რომ შესაბამისი ბიზნესი წარმატებული იყოს. მაგალითად, სამეწარმეო იურიდიული პირის მართვისას, საჯარო მხარეს სურს, მიაღწიოს მის წინაშე დასმულ მიზნებს. შესაბამისად, ის გადადგამს სხვადასხვა ნაბიჯებს, რათა სახარბიელო შედეგის დადგომა უზრუნველყოს. ასეთ ქმედებებს შორის კი, შესაძლოა, იყოს კანონმდებლობაზე გავლენის მოხდენა ან ამის მცდელობა.

კერძო ბიზნესს აქვს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია კანონმდებლების ლობირებისა და მისთვის სასურველი ნორმატიული აქტების მიღების ხელშეწყობისა⁷⁶⁸. ზოგ ქვეყანაში ეს სტანდარტული საოპერაციო პრაქტიკის ნაწილია⁷⁶⁹. აკადემიურ ლიტერატურაში არსებობს კონსენსუსი, რომ, მიუხედავად დადებითი ეფექტის შესაძლებლობისა⁷⁷⁰, პრაქტიკაში, ასეთი „ჩარევა“ კერძო ბიზნესისა საჯარო სფეროში საკმაოდ საზიანო⁷⁷¹ და, ამავდროულად, ძალიან გავრცელებულია⁷⁷².

ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, თუკი ფაქტად მივიღებთ, რომ კერძო კომპანიები ხშირად ცდილობენ, ჩაერიონ კანონმდებლის საქმიანობაში, რა გასაკვირია, რომ მათმა კონკურენტმა საჯარო დაწესებულებამაც იგივე სცადა. მით უმეტეს, როცა, როგორც ზემოთ უკვე იქნა განხილული, სახელმწიფოს შტოებს შორის ურთიერთკავშირი და მათ მიერ ერთმანეთზე გავლენის მოხდენა შესამჩნევად უფრო შესაძლებელი და რეალისტურია. ამიტომ, ინტერესთა კონფლიქტი გარდაუვალი ხდება. მით უმეტეს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ პრაქტიკაში ნორმატიული აქტების მიღება მხოლოდ ხელისუფლების საკანონმდებლო შტოს მიერ არ ხდება და არსებობს ისეთი ინსტრუმენტები, როგორცაა მთავრობის დადგენილებები, პრეზიდენტის ბრძანებულებები და სხვა, ანუ ნორმატიული ხასიათის დოკუმენტები, რომლებსაც აღმასრულებელი შტო გამოსცემს და რომელთაც ისეთივე სავალდებულო ხასიათი გააჩნიათ,

⁷⁶⁸ Aizenberg, E. Hanegraaff, M. Is politics under increasing corporate sway? A longitudinal study on the drivers of corporate access. *West European Politics*, 43.1. 2020. 181-202.

⁷⁶⁹ Borghesi, R. Chang, K. The Determinants of Effective Corporate Lobbying. *Journal of Economics and Finance*, 39.3. 2014. 606-624.

⁷⁷⁰ Hadani, M. Bonardi, J. Dahan, N.M. Corporate political activity, public policy uncertainty, and firm outcomes: A meta-analysis. *Strategic Organization*, 15.3. 2017. 338-366.

⁷⁷¹ De Figueiredo, J.M. Richter, B.K. Advancing the Empirical Research on Lobbying. *Annual Review of Political Science*, 17. 2014. 163-185.

⁷⁷² Chatjuthamard, P. Jiraporn, P. Sarajoti, P. Singh, M. The effect of political risk on shareholder value and the mitigating role of corporate social responsibility (CSR) *Managerial Finance Journal*, 46.10. 2020. 1217-1230.

როგორც საკანონმდებლო აქტებს⁷⁷³. შესაბამისად, კიდევ უფრო ადვილად შესაძლებლად უნდა იყოს განხილული, დაინტერესების შემთხვევაში, ქვეყნის საკანონმდებლო ჩარჩოზე აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გავლენის მოხდენა მისი სამეწარმეო საქმიანობის ინტერესებიდან გამომდინარე.

აღსანიშნავია, რომ არსებობს საწინააღმდეგო არგუმენტებიც მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ძირითადი პოზიცია, რომლის გამოყენებითაც ხდება ინტერესთა კონფლიქტის რისკის შედარებით მცირედ წარმოჩენა არის ის, რომ კერძო მეწარმე საკუთარ ბიზნესზეა ორიენტირებული და თავისივე მოგების გაზრდას ცდილობს ლობირების გზით⁷⁷⁴, მაშინ, როცა სახელმწიფოს იმ ორგანოს მმართველი, ვისაც შესაბამისი კომერციული წამოწყება აბარია, საჯარო თანხებს იცავს და მისთვის ნაკლებად მიმზიდველი უნდა იყოს არამართებული გზებით წარმატების მიღწევა⁷⁷⁵. სამწუხაროდ, პრაქტიკაში ასე არ ხდება, რადგანაც, ერთი მხრივ, პირადი დაინტერესება მაინც სახეზეა. თუნდაც დივიდენდის მიღების იმედი არ ჰქონდეს, საჯარო საკუთრებაში არსებული კომპანიის მმართველი პირები მაინც არსებითად არიან მისი წარმატებით დაინტერესებული⁷⁷⁶, რადგანაც ეს, როგორც მინიმუმ, მათს კარიერაზე აისახება დადებითად⁷⁷⁷, ზოგჯერ კი შეიძლება, პირდაპირ კავშირში იყოს მათივე შემოსავლის ზრდასთან (მაგალითად, ბონუსების სისტემის გამოყენებით)⁷⁷⁸. ამიტომ, წარმატებით დაინტერესებასთან მიმართებაში არსებითი შემცირება არ აღინიშნება⁷⁷⁹ და მოცემული არგუმენტი ძლიერ პოზიციად ვერ იქნება განხილული.

შესაბამისად, სახეზეა ინტერესთა კონფლიქტის რისკი, მისით დაინტერესების მაღალი დონე და ჩვეულებრივზე დიდი შესაძლებლობა, მოხდეს პირადი მიზნებიდან გამომდინარე გავლენის მოხდენა ნორმატიული აქტის მიღებაზე. ამის გათვალისწინებით, ფაქტად უნდა იყოს აღქმული, რომ რაც უფრო დიდია სახელმწიფოს ჩართულობა კომერციულ აქტივობაში და რაც უფრო

⁷⁷³ კახიძე, ი. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემა საქართველოში (პრობლემები და გადაწყვეტის გზები). სამართლის ჟურნალი, 4.1. 2011. 157-181.

⁷⁷⁴ Hennisz, W.J. The power of the Buckley and Casson thesis: the ability to manage institutional idiosyncrasies. *Journal of International Business Studies*, 34. 2003. 173-184.

⁷⁷⁵ Ruggie, J.G. Multinationals as global institution: Power, authority and relative autonomy. *Regulation & Governance*, 12. 2018. 317-333.

⁷⁷⁶ Vartanian, P.R. De Moura Junior, A.A. Racy, J.C. Santos Silva, V.B. Oil and gas sector in Brazil: an analysis of recent activity based on the SCP model. *International Journal of Development Research*, 10.9. 2020. 40749-40761.

⁷⁷⁷ Wang, L. Nicholson, J. Zhu, J. Pay systems in Chinese state-owned enterprises: a review. *Chinese Management Studies*, 3.4. 2009. 328-355.

⁷⁷⁸ Bodmer, F. On the Use of Incentive Pay in Chinese State-owned Enterprises: The Role of Hierarchy. *The Labour Journal*, 17.2. 2003. 299-314.

⁷⁷⁹ Putterman, L. Dong, X. China's State-Owned Enterprises: Their Role, Job Creation, and Efficiency in Long-Term Perspective. *Modern China Journal*, 26.4. 2000. 403-447.

მნიშვნელოვანია იგი, საფრთხე სულ უფრო და უფრო იზრდება. თუკი სამეწარმეო საქმიანობა ხელისუფლებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არ არის, მაშინ მის სათავეში პოლიტიკურად შედარებით უფრო სუსტი პირები მოგვევლინებიან⁷⁸⁰, ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ მათი გავლენა სამართალშემოქმედების პროცესზე შესამჩნევად უფრო ნაკლები იქნება⁷⁸¹. მეორე მხრივ კი, რაც უფრო დიდი ეფექტი ექნება კომერციას საჯარო ორგანოთა კეთილდღეობაზე, რაც უფრო მნიშვნელოვანი იქნება მათი წარმატება პოლიტიკური პოზიციების მქონე პირებისათვის, მით უფრო მეტად შეიძლება, ასეთი შედეგის უზრუნველსაყოფად მოხდეს ნორმალური საკანონმდებლო ჩარჩოების იგნორირება⁷⁸² და სამართლის მორგება სახელმწიფო ბიზნესის ინტერესებზე⁷⁸³. ამიტომ, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ რაც უფრო ძლიერია სახელმწიფოს მიერ მართული სამეწარმეო საზოგადოება (ან ამავე მიზნით შექმნილი ნებისმიერი სხვა წარმონაქმნი) და რაც უფრო მნიშვნელოვანია მისი წარმატება საჯარო სტრუქტურებისა და მათი მმართველების კეთილდღეობისათვის, მით უფრო დიდი რისკია სახეზე, რომ ინტერესთა კონფლიქტი ვერ იქნება დაძლეული და მოხდება ქვეყნის საკანონმდებლო ჩარჩოს მორგება ხელისუფლების მიერ განხორციელებული კომერციული აქტივობების წარმატების უზრუნველყოფის მიზანზე.

გარდა ობიექტური ასპექტებისა, როგორც უკვე აღინიშნა, სახეზეა სუბიექტური მიდგომაც. საშუალო ადამიანს, რომელიც ხედავს, რომ ბაზარზე მოღვაწეობს წარმატებული საჯარო საკუთრებაში არსებული კომპანია, ადვილად შეიძლება, გაუჩნდეს განცდა, რომ მას არამართებული უპირატესობები შეიძლება, ჰქონდეს⁷⁸⁴. შესაბამისად, ხალხის ნდობა სახელმწიფოსადმი მნიშვნელოვანია იმის შესაფასებლად, ინტერესთა კონფლიქტის არსებობას რა ზიანი შეიძლება, მოჰქონდეს ქვეყნისათვის. თუკი საზოგადოება სკეპტიკურადაა განწყობილი მმართველთა სამართლიანობის მიმართ, ზიანის ოდენობა ამ სუბიექტური მიდგომების გამო შეიძლება, არსებითად გაიზარდოს.

ყოველივე ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, რისკების არსებობა უდავოა. შედეგად, საჭიროა იმის შეფასება, თუ კონკრეტულად რა სახის საფრთხე გამომდინარეობს ასეთ ინტერესთა კონფლიქტიდან.

⁷⁸⁰ Nitzberg, H. Caution and Infection: Trying to Fix the Venezuelan Economy. *Towson University Journal of International Affairs*, 51.2. 2018. 44-68.

⁷⁸¹ Ackerman, B. The New Separation of Powers. *Harvard Law Review*, 113.3. 2000. 633-729.

⁷⁸² Tyce, M. Beyond the neoliberal-statist divide on the drivers of innovation: A political settlements reading of Kenya's M-Pesa success story. *World Development Journal*, 125. 2020. 1-14.

⁷⁸³ Markus, S. Corporate governance as political insurance: firm-level institutional creation in emerging markets and beyond. *Socio-Economic Review*, 6. 2008. 69-98.

⁷⁸⁴ Shaver, E.B. Two Paths to Development: Policy Channeling and Listed State-Owned Enterprise Management in Peru and Colombia. *University of Pennsylvania Journal of Business Law*, 21.4. 2019. 1006-1033.

როგორც უკვე ითქვა, სახელმწიფო ერთდროულად შეიძლება, მართავდეს ბიზნესსა და ქმნიდეს ამ კომერციული აქტივობის მარეგულირებელ ჩარჩოს. შესაბამისად, საფრთხე გამომდინარეობს იქიდან, რომ ეს ჩარჩო დარედაქტირდეს და სამართალი მოერგოს სამეწარმეო საქმიანობას. ამას ოთხი პრობლემატური შედეგი შეიძლება, მოჰყვეს.

პირველ რიგში, საკანონმდებლო მოწესრიგების ცვლილებით, სახელმწიფოს ბიზნესი იღებს გაუმართლებელ, არასამართლიან უპირატესობას⁷⁸⁵. ეს ნიშნავს, რომ მისი წარმატება არ არის დაფუძნებული მყარ ნიადაგზე და, ერთი მხრივ, არასათანადოდ აზარალებს იმავე სფეროში მოღვაწე სხვა პირებს, მეორე მხრივ კი ქმნის საფრთხეს, რომ მომავალში, როდესაც სამართლიანი კანონმდებლობა აღდგება, ანაც განხორციელებული ცვლილებები უბრალოდ აღარ იქნება საკმარისი, იგივე ბიზნესი უბრალოდ ჩამოიშლება და სახეზე იქნება მნიშვნელოვანი კრიზისი. ამან შეიძლება, შესაბამისი სფერო, ან, საერთოდ, ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური სისტემა არსებითად დააზარალოს.

მეორე მხრივ, კანონმდებლობის ერთი ბიზნესის ინტერესებზე მორგება ავტომატურად ნიშნავს, რომ ასეთი ქმედება სხვათა საჭიროებებს აზარალებს⁷⁸⁶. შედეგად, თუკი სახელმწიფოს კუთვნილ კომერციულ წარმონაქმნებს ექნებათ დიდი გავლენა სამართალშემოქმედებაზე, შესაძლებელია, მოწესრიგების ცვლილებამ დამლუპველი შედეგი იქონიოს არა მხოლოდ მის კონკურენტებზე, არამედ მასთან კავშირში არმყოფ სხვა პირებზეც. თავისუფალი ბაზრის ეკვილიბრიუმის დარღვევა ხშირად პრობლემატურია⁷⁸⁷ და საჭიროების გარეშე მასში ჩარევა არასასურველი⁷⁸⁸. გაუთვალისწინებელი შედეგები, ისევე, როგორც წინასწარ განჭვრეტადი ზიანი შეიძლება, შესამჩნევად აღემატებოდეს იმ სარგებელს, რომელიც სახელმწიფო კომპანიის წარმატებამ უნდა მოიტანოს. ამიტომ, ამ თვალსაზრისითაც სახელმწიფოს როლებს, როგორც სამართალშემოქმედს და ბიზნესის მმართველს შორის არსებული ინტერესთა კონფლიქტი მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს.

შემდეგი რისკი, როგორც ზევით უკვე იქნა ნახსენები, არის ნორმატიული ჩარჩოს მიმართ საზოგადოების ნდობის რყევა. თუკი მოსახლეობა აღმოაჩნეს, რომ ხელისუფლება მის კუთვნილ კომპანიებს ეხმარება სამართლებრივი სისტემის მათზე მორგების გზით და ამით კერძო ბიზნესს აზარალებს, ნდობა სახელმწიფოს

⁷⁸⁵ Ivankovic, Z. The Political Economy of Crony Capitalism: A Case Study of the Collapse of the Largest Croatian Conglomerate. *Croatian Political Science Review*, 54.4. 2017. 40-60.

⁷⁸⁶ Dolfsma, W. Grosman, A. State Capitalism Revisited: A Review of Emergent Forms and Developments. *Journal of Economic Issues*, 53.2. 2019. 579-586.

⁷⁸⁷ Peev, E. Corporate Governance Transformation in Transition Economies: Evidence from Bulgaria. *Vierteljahrshäfte zur Wirtschaftsforschung*, 70.2. 2001. 289-300.

⁷⁸⁸ Wang, J. The Political Logic of Corporate Governance in China's State-Owned Enterprises. *Cornell International Law Journal*, 47.3. 2014. 631-669.

მიმართ, ისევე, როგორც სამართლის ეფექტურობა არსებითად შემცირდება⁷⁸⁹. სამართლიანი სახელმწიფოს წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, მის მოსახლეობას სჯეროდეს ქვეყნის კარგი მმართველობისა, ამიტომ საჭიროა, რომ ამ მიზნის მიღწევას ხელი არ შეეშალოს მხოლოდ იმიტომ, რომ საჯარო ხელისუფლება კერძო წამოწყებებში წარმატებული აღმოჩნდეს.

ბოლო მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც პრობლემატურია სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის წარმატებაზე კანონმდებლობის მორგებასთან დაკავშირებით, არის სამართალდარღვევის ნორმალიზება. როდესაც ბიზნესის მმართველმა იცის, რომ მისი ინტერესები სამართლებრივი ჩარჩოს გამართულობაზე მაღლა დგას, რისკი იმისა, რომ მოხდეს სხვაგვარი დარღვევების განხორციელება, შესამჩნევად იზრდება⁷⁹⁰. ეს შეიძლება, კორუფციისაკენ მიმავალ გზად იქცეს და არსებითად დააზარალოს როგორც საკანონმდებლო ჩარჩო, ისე ეკონომიკური სისტემა.

ყოველივე ზემოთ მოცემულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ სახეზეა მნიშვნელოვანი საფრთხეები. ამასთან, რისკი არსებითად იზრდება ქვეყნის კომერციულ აქტივობაში ჩართულობის ზრდასთან ერთად. ამიტომ, საჭიროა იმის ხაზგასმა, რომ ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის ერთადერთი გზა სახელმწიფოს მიერ ბიზნესში მონაწილეობაზე უარის თქმაა. ეს, ბუნებრივია, გამოსავლად ხშირად ვერ იქნება განხილული, ამიტომ აუცილებელია იმის გააზრება, რომ როდესაც ხელისუფლება წყვეტს, ჩაერიოს სამეწარმეო აქტივობაში, ინტერესთა კონფლიქტის არსებობა გარანტირებულია და უნდა მოხდეს საფრთხეებისა და კომერციული ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობის ბალანსირება. რაც უფრო მეტად ჩაერთვება საჯარო მხარე კერძო სფეროში, მით უფრო გაიზრდება შანსი, რომ მის მიერ მიღებული სამართლებრივი სისტემა არსებითად დაზარალდეს. ამიტომ, ჩართულობის ინტენსივობის ზრდა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იყოს განხორციელებული. სახელმწიფოს შეიძლება, ძალიან სურდეს, რომ კომერციულ სფეროში მოღვაწეობა დაიწყოს ან განაგრძოს, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს მისი საჯაროსამართლებრივი ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების ხარჯზე.

⁷⁸⁹ Ivankovic, Z. The Political Economy of Crony Capitalism: A Case Study of the Collapse of the Largest Croatian Conglomerate. *Croatian Political Science Review*, 54.4. 2017. 40-60.

⁷⁹⁰ Liu, P. Li, H. Guo, H. The impact of corruption on firms' access to bank loans: evidence from China. *Economic Research*, 33.1. 2020. 1963-1984.

4.3.2. ინტერესთა კონფლიქტი სახელმწიფოს როლებს, როგორც ხელისუფლების ორგანოსა და მეწარმეს შორის

საჯარო ხელისუფლება, როდესაც იგი სამეწარმეო საქმიანობაში აქტიურ როლს ირგებს, ხშირად მოდის კონფლიქტში კერძო სექტორის წარმომადგენლებთან⁷⁹¹. სახელმწიფოს, როგორც წესი, შესამჩნევად უფრო დიდ რესურსებთან აქვს წვდომა, ვიდრე მის კონკურენტ ბიზნესებს⁷⁹², რაც მათგან ხშირად მტრულ დამოკიდებულებას იწვევს. ამავდროულად, ეს არ არის ერთადერთი კონფლიქტი საჯარო და კერძო მიზნებს შორის, რადგანაც მსგავს დაპირისპირებას თავად სახელმწიფოს შიგნითაც შეიძლება, შევხვდეთ.

როდესაც ხელისუფლების ორგანო საკუთარ თავზე იღებს მიზანს, რომ წარმართოს ბიზნესი და უზრუნველყოს მისი წარმატება, ის მაინც საჯარო წარმონაქმნად რჩება. ეს ნიშნავს, რომ მას მაინც გააჩნია საჯარო ინტერესები და მიზნები, რომლებიც მათი კერძო ექვივალენტებისაგან შეიძლება, განსხვავებული იყოს⁷⁹³. შედეგად, სახელმწიფოს, როგორც მეწარმეს და სახელმწიფოს, როგორც საჯარო ხელისუფლების ორგანოს, ერთმანეთისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული ინტერესები შეიძლება, ჰქონდეს, და ეს ინტერესები ერთმანეთთან კონფლიქტში მოვიდეს.

განსხვავებით ზემოთ უკვე განხილული შემთხვევისა, როდესაც ინტერესთა კონფლიქტის შედეგად ხდება კანონმდებლობის შეცვლა ან არასათანადოდ რედაქტირება, მოცემულ პირობებში სახეზეა ხელისუფლების ერთი და იმავე შტოს მიერ სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღება. ამ შემთხვევაში შედარებით უფრო ნაკლებად მასშტაბური ნაბიჯების გადადგმა ხდება. რეალურად, ყველა მაგალითი, რომლის განხილვაც წინამდებარე ქვეთავის ფარგლებში ხდება, ექსკლუზიურად აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებებს უკავშირდება.

ამავდროულად, ის ფაქტი, რომ ინტერესთა კონფლიქტი შედარებით ლოკალურია, არ ნიშნავს, რომ მას არსებითი საფრთხე არ შეიძლება, მოჰყვეს. საშიშროება, ხშირად, გამომდინარეობს იქიდან, რომ სახელმწიფო, ბიზნესის მართვის პროცესში, მოიქცეს როგორც საჯარო სამართლის წარმონაქმნი და არა - როგორც კომერსანტი⁷⁹⁴.

⁷⁹¹ Backer, L.C. Private Actors and Public Governance beyond the State: The Multinational Corporation, the Financial Stability Board, and the Global Governance Order. *Indiana Journal of Global Legal Studies*, 18.2. 2011. 751-802.

⁷⁹² Makarov, I. Plotnikov, V. Public-Private Partnership as a Financial Instrument for the Transport Infrastructure Modernizing. *MATEC Web of Conferences*, 170. 2018. 1-7.

⁷⁹³ Mark, S. Zhang, Y. From Impediment to Adaptation: Chinese Investments in Myanmar's New Regulatory Environment. *Journal of Current Southeast Asian Affairs*, 2. 2017. 71-100.

⁷⁹⁴ Nitzberg, H. Caution and Infection: Trying to Fix the Venezuelan Economy. *Towson University Journal of International Affairs*, 51.2. 2018. 44-68.

სამეწარმეო საზოგადოების მართვისას, პრაქტიკაში, როგორც მმართველი პირის, ისე აქციონერების ძირითადი ინტერესი მაქსიმალურად მეტი მოგების მიღებაა⁷⁹⁵. როგორც ზემოთ უკვე იქნა განხილული, ეს ძირითად საფუძვლად სახელმწიფოს მიერ კომერციული აქტივობის განხორციელებისას არ უნდა გვევლინებოდეს. ამიტომ, გამართულ სისტემაშიც კი, როდესაც საჯარო ხელისუფლების ინტერესები სრულიად ლეგიტიმურია, საფრთხე სახეზეა და, შესაძლოა, უფრო დიდც კი იყოს, ვიდრე მაშინ, როდესაც ხელისუფლების მიზანი არალეგიტიმურია და მხოლოდ მოგების მიღებას მოიცავს.

მოცემული პრობლემა გამომდინარეობს იქიდან, რომ საჯარო ხელისუფლება, მის მიერ დანიშნული პირების ჩათვლით, ხშირად ორიენტირებულია სახელმწიფოს ინტერესებზე. ეს ინტერესები შეიძლება, არ იყოს თანხვედრაში იმ ნაბიჯებთან, რომლებიც გადადგმაც ლოგიკური იქნებოდა, თუკი ბიზნესი ოპტიმალურად იქნებოდა მართული. ამიტომ, საფრთხის შესამცირებლად, აუცილებელია, მოხდეს პოლიტიკური და საჯარო ელემენტების მთლიანად გამიჯვნა კომერციული საქმიანობისაგან. პრაქტიკაში, ასეთი ნაბიჯის გადადგმა ძალიან ძნელია, თუ სრულიად შეუძლებელი არა⁷⁹⁶. ამიტომ, როგორც ზემოთ, რისკების გამორიცხვა მხოლოდ მაშინაა გარანტირებული, როდესაც ხელისუფლების ორგანოები არ მონაწილეობენ ბიზნესში.

რაც შეეხება კონკრეტულ საფრთხეებს, ისინი შედარებით უფრო ნაკლებად ეხება ფართო ბაზარს და ორიენტირებულია თავად სახელმწიფოს მიერ მართულ სფეროზე ან წარმონაქმნზე. თუკი სახელმწიფო გადაწყვეტილებებს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე მიიღებს, ის, ხშირად ცუდი მეწარმე იქნება და საკუთარ ბიზნესს დააზარალებს⁷⁹⁷. ამით, შესაძლოა, გამოწვეული იყოს არსებითი ზიანი ან, ზოგჯერ, ვერ მიიღწეს ის მიზნები, რომლებიდან გამომდინარეც მოხდა კომერციული ნაბიჯების გადადგმა. შესაბამისად, მართალია, რისკი შედარებით მცირეა, თუმცა ის მაინც არსებითია და აუცილებელია, მოხდეს მისი შეფასება და აწონ-დაწონვა, სანამ სახელმწიფო სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის მიღებას გადაწყვეტს.

⁷⁹⁵ Markus, S. Corporate governance as political insurance: firm-level institutional creation in emerging markets and beyond. *Socio-Economic Review*, 6. 2008. 69-98.

⁷⁹⁶ Wang, J. The Political Logic of Corporate Governance in China's State-Owned Enterprises. *Cornell International Law Journal*, 47.3. 2014. 631-669.

⁷⁹⁷ Backer, L.C. Private Actors and Public Governance beyond the State: The Multinational Corporation, the Financial Stability Board, and the Global Governance Order. *Indiana Journal of Global Legal Studies*, 18.2. 2011. 751-802.

4.3.3. ინტერესთა კონფლიქტი მეწარმე სახელმწიფოსა და მინორიტართა შორის

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად გამოიყენება ტერმინი „სახელმწიფოს კუთვნილი კომერციული საზოგადოება“ და მისი მსგავსი ფრაზები, ხაზგასასმელია, რომ საჯარო ორგანოები ყოველთვის ერთადერთ მესაკუთრედ არ გვევლინება⁷⁹⁸. საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოს საკმაოდ მცირე წილი აქვს კომპანიაში⁷⁹⁹. თუმცა, როდესაც საჯარო ხელისუფლება ერთადერთი აქციონერი არ არის, ყველაზე ხშირად გვხვდება შემთხვევა, როდესაც მას საკონტროლო პაკეტი გააჩნია, ხოლო კერძო პირები მინორიტარ აქციონერებად გვევლინებიან⁸⁰⁰. სწორედ ასეთ შემთხვევას უკავშირდება წინამდებარე ნაშრომში განხილული ინტერესთა კონფლიქტის უკანასკნელი ნაირსახეობა.

სახელმწიფო, როგორც უკვე ზევით იქნა განხილული, ხშირად ცდილობს, საჯარო საჭიროებები მოაგვაროს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების გზით. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებისათვის შეიძლება, სასურველიც კი იყოს, რომ მისმა ბიზნესმა ნაკლები შემოსავალი მიიღოს, თუკი ეს უზრუნველყოფს სხვა, თუნდაც ირიბად დაკავშირებული მიზნის მიღწევას. ამავდროულად, მინორიტარი აქციონერი, რომელიც, როგორც წესი, კერძო პირია, იმავე სენტიმენტს ვერ გაიზიარებს. აქციონერისათვის ნორმალურია, დაინტერესებული იყოს მხოლოდ მოგების მაქსიმალურად გაზრდით⁸⁰¹, ამიტომ, მის სურვილებსა და სახელმწიფოს პრიორიტეტებს შორის, ფაქტობრივად, გარანტირებულია კონფლიქტის არსებობა.

სამეწარმეო იურიდიული პირი, რომელშიც პარტნიორებს შორის მუდმივი უთანხმოებაა და, მით უმეტეს, რომლის მეწილეებიც ფუნდამენტურ მიზნებზეც კი ვერ თანხმდებიან, განწირულია არაეფექტური საქმიანობისათვის⁸⁰². იმავეს თქმა შეიძლება, მაგალითად, კერძო-საჯარო პარტნიორობაზეც, რომელშიც კერძო და საჯარო პარტნიორებს არსებითად განსხვავებული წარმოდგენა აქვთ მათი თანამშრომლობის მომავალთან დაკავშირებით⁸⁰³. შესაბამისად, თუკი

⁷⁹⁸ Yu, M. State ownership and firm performance: Empirical evidence from Chinese listed companies. *China Journal of Accounting Research*, 6.2. 2013. 75-87.

⁷⁹⁹ Colli, A. Coping with the Leviathan: Minority shareholders in state-owned enterprises – evidence from Italy. *Business History*, 55.2. 2013. 190-214.

⁸⁰⁰ Yu, M. State ownership and firm performance: Empirical evidence from Chinese listed companies. *China Journal of Accounting Research*, 6.2. 2013. 75-87.

⁸⁰¹ Kong, Y. Famba, T. Chituku-Dzimiro, C. Sun, H. Corporate Governance Mechanisms, Ownership and Firm Value: Evidence from Listed Chinese Firms. *International Journal of Financial Studies*, 8.2. 2020. 20-45.

⁸⁰² Scrimgeour, F. Duppati, G. Corporate Governance in the Public Sector: Dimensions; Guidelines and Practice in India and New Zealand. *Corporate Ownership & Control*, 11.4. 2014. 364-377.

⁸⁰³ Li, B. Akintoye, A. Edwards, P. Hardcastle, C. Perceptions of positive and negative factors influencing the attractiveness of PPP/PFI procurement for construction projects in the UK: Findings from a questionnaire survey. *Engineering, Construction and Architectural Management*, 12.2. 2005. 125-148.

სახელმწიფოს მიზანია, რომ მისი კომერციული საქმიანობა ეფექტური იყოს, აუცილებელია, რომ მოცემული ინტერესთა კონფლიქტი გარკვეულწილად მაინც მოგვარებული იყოს.

პრობლემა, აღნიშნულ შემთხვევაშიც, ისეთივეა, როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევაში. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდება, ფაქტობრივად, შეუძლებელია, თუკი მისი წარმოშობის შესაძლებლობა დაშვებული იქნება⁸⁰⁴. სახელმწიფოს საჯაროსამართლებრივი მიზნები აქვს, კერძო სექტორს კი, როგორც წესი, ისინი ბევრად უფრო ნაკლებად აღელვებს, ვიდრე მოგების მიღება⁸⁰⁵. შესაბამისად, ერთადერთ არსებით გზად ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვისა ის გვევლინება, რომ ხელისუფლებამ, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას, თავი შეიკავოს მინორიტარი აქციონერების ყოლისაგან და დამოუკიდებლად მართოს მის კუთვნილებაში არსებული ნებისმიერი ბიზნესი.

ალტერნატივა მინორიტარების სრულად გამორიცხვისა არის რისკებისა და სარგებლის შეჯერება. იმ შემთხვევაში, თუკი შესაბამისი პროექტისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია კერძო პარტნიორის არსებობა, სხვა გზა არ რჩება და მისი ჩართულობა შეიძლება, დაშვებული იყოს. თუმცა, ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც ზევით იქნა ხაზგასმული, აუცილებელია, რომ რისკები და პოტენციური სარგებელი ერთმანეთთან იყოს შედარებული, და მინორიტარი აქციონერები მხოლოდ მაშინ იყოს კომპანიაში დაშვებული, თუკი მათ გარეშე პროექტის წარმატება შეუძლებელი ან განსაკუთრებით ნაკლებად სავარაუდო იქნებოდა.

4.3.4. ინტერესთა კონფლიქტის მიტიგაცია და შედეგები

როგორც ზემოთ იქნა განხილული, სახეზეა სამი მნიშვნელოვანი სახის ინტერესთა კონფლიქტი მაშინ, როდესაც ხელისუფლების ორგანოები სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვას გადაწყვეტენ. წინამდებარე ქვეთავში შეჯამებული იქნება მათი ეფექტის შემცირების გზები და პოტენციური შედეგები.

ინტერესთა კონფლიქტი სახელმწიფოს როლებს, როგორც სამართალშემოქმედსა და მეწარმეს შორის - ყველაზე არსებითი საფრთხის შემცველი ინტერესთა კონფლიქტია, რადგანაც მისით არსებული საფრთხე მოიცავს სახელმწიფოს მთლიანი სამართლებრივი სისტემის დაზარალების შესაძლებლობას, ისევე, როგორც ქვეყნის კანონმდებლობის მიმართ ნდობის არსებითად შემცირების

⁸⁰⁴ Wang, J. The Political Logic of Corporate Governance in China's State-Owned Enterprises. *Cornell International Law Journal*, 47.3. 2014. 631-669.

⁸⁰⁵ Kong, Y. Famba, T. Chituku-Dzimiro, C. Sun, H. Corporate Governance Mechanisms, Ownership and Firm Value: Evidence from Listed Chinese Firms. *International Journal of Financial Studies*, 8.2. 2020. 20-45.

საკმაოდ მაღალ ალბათობას. მისი გამორიცხვა, რეალურად, შეუძლებელია, თუმცა მიტიგაცია შეიძლება სახელმწიფოს შტოებს შორის მკაცრი ზღვრის გავლებით და ხელისუფლების მიერ სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობის გარკვეულწილად მაინც შემცირებით.

ინტერესთა კონფლიქტი სახელმწიფოს როლებს, როგორც ხელისუფლების ორგანოსა და მეწარმეს შორის - შედარებით ნაკლებად მძიმე საფრთხეებს მოიცავს მისი წინამორბედისაგან განსხვავებით, თუმცა მაინც შეუძლია, შექმნას სელექციური სამართლის არსებობის განცდა საზოგადოებაში. მთავარი საფრთხე, რაც მასთან ასოცირდება, რის სახელმწიფოს კუთვნილი ბიზნესის ეფექტურობის არსებითად შემცირება. მისგან გამომდინარე საფრთხეების შემცირება საკმაოდ რთულია და ერთადერთ ეფექტურ მეთოდად გვევლინება საჯარო სექტორის კომერციულ აქტივობაში მონაწილეობის გამორიცხვა, ან, შეძლებისდაგვარად, მინიმუმამდე დაყვანა.

ინტერესთა კონფლიქტი მეწარმე სახელმწიფოსა და მინორიტართა შორის - ინტერესთა კონფლიქტის ყველაზე ნაკლებად მტკივნეული ნაირსახეობაა. ის, ფაქტობრივად, უზრუნველყოფს, რომ თუკი სახეზეა კერძო მინორიტარები, მათ თითქმის გარდაუვლად ექნებათ კონფლიქტი სახელმწიფოსთან. შესაბამისად, უმჯობესია, მოხდეს მათი არსებობის გამორიცხვა, აუცილებლობის შემთხვევაში კი წინასწარ იყოს გათვალისწინებული პოტენციური კონფლიქტი და გადადგმული იყოს სათანადო ნაბიჯები.

როგორც ზემოთ მოცემულიდან ჩანს, ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა თითქმის ყოველთვის შეუძლებელია. რეალურ გამოსავლად ყოველთვის გვევლინება საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციულ აქტივობაზე უარის თქმა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ხშირად შეუძლებელია ან არასათანადოდ დიდი მსხვერპლია, ხაზგასასმელია, რომ ამ მუდმივად თანმდევი პრობლემის არსებობა ყოველთვის გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის საზიანო ბუნებას ქვეყნის სამართლებრივი ჩარჩოს მიმართ. როგორც უკვე განხილულიდან აშკარად ჩანს, რაც უფრო ჩართულია ხელისუფლება კომერციაში, მით უფრო მეტი პრობლემები წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტის თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, არსებითად აზარალებს სამართლებრივ სტრუქტურებს. შესაბამისად, თუკი სახელმწიფო მიიჩნევს, რომ მისთვის უმთავრესია, ჰქონდეს საუკეთესო და ყველაზე გამართული სამართლის სისტემა, მან უარი უნდა თქვას მეწარმეობაზე და ექსკლუზიურად საჯაროსამართლებრივი საკითხების ამავე სახის ინსტრუმენტებით მოწესრიგებაზე უნდა მოახდინოს ორიენტირება.

4.4. კორუფციის ზრდა

კორუფცია გლობალურ დონეზე არსებული პრობლემაა, რომელიც ზიანს აყენებს არა მხოლოდ სახელმწიფოს სამართლებრივ სტრუქტურებს, არამედ მთლიანად საზოგადოებას⁸⁰⁶. ის სახეზეა, როდესაც საჯარო მოხელეებს ან სახელმწიფოსთან დაკავშირებულ სხვა პირებს აქვთ საფუძველი, უკანონო ქმედებები განახორციელონ და პირადი სარგებელი სახელმწიფოებრივ ქმედებებზე წინ დააყენონ, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის გზით⁸⁰⁷.

კორუფცია, განსაკუთრებით 1990-ანი წლების შემდეგ, აკადემიური ლიტერატურის მიერ ინტენსიური შესწავლის საგნად იქცა⁸⁰⁸. აღნიშნულ პერიოდამდე, კორუფცია, გარკვეულწილად, დადებით მოვლენად კი იყო განხილული ზოგიერთ წრეებში, რადგანაც მეცნიერთა ნაწილი მას „აუცილებელ ბოროტებად“ თვლიდა⁸⁰⁹. არსებობდა მოსაზრებები, რომ იგი ეკონომიკური წინსვლისათვის აუცილებელიც კი იყო⁸¹⁰. სხვები კი თვლიდნენ, რომ აკადემიური ლიტერატურის მიერ მისი შესწავლის საჭიროება არ არსებობდა⁸¹¹. თუმცა, დროსთან ერთად, ეს შეხედულებები ფუნდამენტურად შეიცვალა და დღეს კორუფცია ცალსახად და ერთპიროვნულად ნეგატიურ მოვლენად განიხილება და ფართოდ არის შესწავლილი სამეცნიერო წრეების მიერ⁸¹²⁸¹³.

კორუფცია მძიმე ტვირთად აწევს როგორც ყველა ქვეყნის, ისე საერთაშორისო ეკონომიკას. მეტიც, კორუფციის წყალობით, შეუძლებელი ხდება პროგრესი და, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში, კორუფცია მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას, ფაქტობრივად, გამორიცხავს, რითიც

⁸⁰⁶ Gehrke, G. Borba, J.A. Ferreira, D.D.M. The impact of Brazilian corruption on the media: a comparative analysis of the magazines Der Spiegel, L'Obs, The Economist, Time and Veja. Brazilian Journal of Public Administration, 51.1. 2017. 157-167.

⁸⁰⁷ Rose-Ackerman, S. Corruption and Government: Causes, Consequences, and Reform. Cambridge University Press: Cambridge, UK. 1999. 9-26.

⁸⁰⁸ Speck, B. Controlling Corruption and Promoting Good Governance: A New Challenge for Aid Policy. German Institute for International and Security Affairs: Berlin, Germany. 2005. 7-28.

⁸⁰⁹ Abramo, C.W. How Much Do Perceptions of Corruption Really Tell Us? The Economics Journal, 2.3. 2008. 1-56.

⁸¹⁰ Kato, A. Sato, T. Greasing the wheels? The effect of corruption in regulated manufacturing sectors of India. Canadian Journal of Development Studies, 36.4. 2015. 459-483.

⁸¹¹ Graeff, P. Mehlkop, G. The impact of economic freedom on corruption: different patterns for rich and poor countries. European Journal of Political Economy, 19.3. 2003. 605-620.

⁸¹² ბესელია, გ. რა როლს ასრულებს ეთიკის მენეჯმენტი საჯარო სექტორის საქმიანობის გაუმჯობესებაში? რა ურთიერთობაა სამართალსა და ეთიკას შორის ეთიკის მენეჯმენტის კუთხით? სამართლის ჟურნალი, 6.1. 2012. 242-266.

⁸¹³ Erlingsson, G.O. Linde, J. Ohrvall, R. Distrust in utopia? Public perceptions of corruption and political support in Iceland before and after the financial crisis of 2008. Government and Opposition, 51.4. 2016. 553-579.

უზრუნველყოფილია სიდატაკის ციკლის შენარჩუნება⁸¹⁴. როდესაც ქვეყანაში კორუფცია განსაკუთრებით ძლიერია, ეს ხშირად თავს იჩენს სახელმწიფო სერვისების, მათ შორის ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესამჩნევად გაუარესებაში და, ამავდროულად, შედეგების არქონის მიუხედავად, იწვევს სახელმწიფოს მიერ სულ უფრო და უფრო მეტი ხარჯების გაწევას⁸¹⁵.

სწორედ აღნიშნული ფაქტი შეიძლება, განხილული იქნეს იმის ერთ-ერთ მტკიცებულებად, რომ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში აქტიური როლის თამაში პირდაპირ კორელაციაშია კორუფციის ზრდასთან. არსებითად უნივერსალური ტრენდი, რომ კორუმპირებულ სისტემებში ხელისუფლების მიერ სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობა გაიზარდოს, შეუძლებელია, დამთხვევა იყოს, რადგანაც ასეთ შემთხვევებს, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, უნივერსალური ხასიათი გააჩნიათ⁸¹⁶. მეტიც, სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება იმაზე საუბარიც, რომ კორუფციის ფართოდ გავრცელების დროს ხშირად საჯარო ორგანოები ცდილობენ, ისეთი ნაბიჯები გადადგან, რომ კერძო სექტორის გაძლიერება გამორიცხონ. კორუმპირებული სისტემისათვის სასურველია, რომ სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში სულ უფრო და უფრო დომინანტი იყოს, ამიტომ ხდება ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლებიც შეასუსტებენ თავისუფალი ბაზრის ავტონომიურ მოთამაშეებს და ხელს შეუშლიან ახალი მონაწილეების გამოჩენასა და განვითარებას⁸¹⁷.

ზემოთ მოცემული ქმედებების კორუფციასთან კორელაცია განპირობებულია იმით, რომ როდესაც თავისუფალი ბაზარი სუსტია და ინოვაციის შესაძლებლობა მცირეა, სახელმწიფოს შეუძლია, „გამართლოს“ აქტიური მონაწილეობის მიღება ეკონომიკაში. საჯარო ხელისუფლებას, რომელსაც არ გააჩნია იმის ფუფუნება, რომ სრულიად მოახდინოს საზოგადოების იგნორირება, არ ძალუძს, გადადგას ასეთი სახის ნაბიჯები მისი მცირედით დასაბუთების გარეშე მაინც⁸¹⁸. ამიტომ, სახელმწიფო სუსტი ეკონომიკითა და მისი სტიმულირების აუცილებლობით ხსნის სახელმწიფო კომპანიების ან წინამდებარე ნაშრომში განხილული სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით თავისუფალი ბაზრის „ხელშეწყობას“, რაც, სინამდვილეში, კორუფციული გარიგებების დადებისა და გაფართოების

⁸¹⁴ Abramo, C.W. How Much Do Perceptions of Corruption Really Tell Us? *The Economics Journal*, 2.3. 2008. 1-56.

⁸¹⁵ Shibata, H. Ihori, T. *The welfare state, public investment, and growth*. Springer: Berlin, Germany. 1998. 41-60.

⁸¹⁶ Lopes Júnior, E.P. Camara, S.F. Rocha, L.G. Brasil, A. Influence of corruption on state-owned enterprise expenditures. *Brazilian Journal of Public Administration*, 52.4. 2018. 695-711.

⁸¹⁷ Del Monte, A. Papagni, E. Public expenditure, corruption, and economic growth: the case of Italy. *European Journal of Political Economy*, 17.1. 2001. 1-16.

⁸¹⁸ Erlingsson, G.O. Linde, J. Ohrvall, R. Distrust in utopia? Public perceptions of corruption and political support in Iceland before and after the financial crisis of 2008. *Government and Opposition*, 51.4. 2016. 553-579.

საფუძველს ქმნის⁸¹⁹. შედეგად, სახელმწიფოს წარმომადგენელი არაკეთილსინდისიერი ელემენტები თავიანთი კორუმპირებული ქმედებების შედეგად შემოსავალს იღებენ, ხოლო სახელმწიფო რესურსებს ხარჯავს ისე, რომ სარგებელს ვერანაირს ვერ ნახულობს, მეტიც, უაზრო მფლანგველობის გარდა მის ეკონომიკას არსებითი ზიანიც ადგება არასწორი მიმართულებით განვითარებისა და კონკურენციის განადგურების ხარჯზე⁸²⁰.

ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, ნაკლებად გასაკვირი უნდა იყოს დასკვნები, რომლებამდეც მივიდა აკადემიურ ლიტერატურაში არსებული კონსესუსი. ფართოდ გაზიარებული პოზიციების თანახმად, კორუფცია სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებისათვის უდიდეს დაბრკოლებასა და საფრთხეს წარმოადგენს⁸²¹, ის ძლიერდება სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში აქტიური ჩართულობის დროს⁸²², და თავისუფალი ბაზრის სიძლიერისა და ეკონომიკური პროგრესის არსებობისას, პირიქით, შესამჩნევად უფრო სუსტდება⁸²³.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთ განხილული მოსაზრებების თანახმად, პირდაპირი კავშირი არსებობს სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების საკუთარ თავზე აღებასა და კორუფციას შორის, აუცილებელია, მოხდეს იმის შეფასება, თუ ზუსტად რა იწვევს ასეთი კორელაციის ჩამოყალიბებას. ხაზგასასმელია, რომ ყველა გაანალიზებული კვლევის თანახმად, ეს არ გამომდინარეობს საჯარო საკუთრებაში არსებული ეკონომიკური წარმონაქმნების თანამშრომლებისაგან. ნამდვილად შეიძლება იმის მტკიცება, რომ ხელისუფლების კუთვნილი კომერციული პირების მიერ დასაქმებული პირები უფრო კორუმპირებულები არ არიან, ვიდრე კერძო სექტორში მომუშავე ადამიანები⁸²⁴. შესაბამისად, მარტივი გადაჭრა საკითხისა, რომ ხელისუფლებამ უფრო პატიოსანი პირები დაასაქმოს, სახეზე ვერ იქნება. პრობლემა შესამჩნევად უფრო ფუნდამენტურ ხასიათს ატარებს.

კორუფცია, ყოველ შემთხვევაში, მისი ყველაზე მასშტაბური და, ამავდროულად, დესტრუქციული ნაირსახეობა, პოლიტიკოსების ქმედებებიდან გამომდინარეობს

⁸¹⁹ Lopes Júnior, E.P. Camara, S.F. Rocha, L.G. Brasil, A. Influence of corruption on state-owned enterprise expenditures. *Brazilian Journal of Public Administration*, 52.4. 2018. 695-711.

⁸²⁰ Dutta, N. Sobel, R. Does corruption ever help entrepreneurship? *Small Business Economics*, 47.1. 2016. 179-199.

⁸²¹ Gray, C. Kaufmann, D. Corruption and Development. *Finance and Development Journal*, 35.1. 1998. 7-10.

⁸²² Bai, J. Jayachandran, S. Malesky, E.J. Olken, B.A. Does Economic Growth Reduce Corruption? Theory and Evidence from Vietnam. *National Bureau of Economic Research Working Paper Series*, 19483. 2013. 1-53.

⁸²³ Lopes Júnior, E.P. Camara, S.F. Rocha, L.G. Brasil, A. Influence of corruption on state-owned enterprise expenditures. *Brazilian Journal of Public Administration*, 52.4. 2018. 695-711.

⁸²⁴ Svensson, J. Eight questions about corruption. *The Journal of Economic Perspectives*, 19.3. 2005. 19-42.

და მათთვის პირადი სარგებლის მინიჭებას ემსახურება⁸²⁵. ამავდროულად, პოლიტიკოსთათვის საჯარო სექტორის გამოყენება შედარებით უფრო რთულია ბინძური მიზნების მისაღწევად, რადგანაც, მათი ბუნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ორგანოები შედარებით უფრო ხშირად არიან ვალდებული, შეინარჩუნონ გამჭვირვალობის რაღაც დონე მაინც⁸²⁶. ამასთან, საჯარო სექტორის მოთამაშეებს უწევთ, საკუთარი ნაბიჯები რაღაც თვალსაზრისით მაინც დაასაბუთონ, მათი ზოგიერთი კერძოსამართლებრივი ექვივალენტისაგან განსხვავებით⁸²⁷. სწორედ აღნიშნული კომბინაცია ქმნის იმის საჭიროებას, რომ კორუმპირებულმა პოლიტიკოსებმა მოძებნონ ალტერნატიული მეთოდები თავიანთი უკანონო საქმიანობების განსახორციელებლად. ამ შემთხვევაში კი გამოსავლად სწორედ სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად გამოსაყენებელი კერძოსამართლებრივი მექანიზმები ევლინებათ.

სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული კომპანიები, ასევე საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციაში ჩართულობის მიზნით შექმნილი სხვა წარმონაქმნები, ინჰერენტულად ამარტივებენ კორუფციული გარიგებების დადებისა და დამალვის შესაძლებლობას⁸²⁸. კერძო კომპანია, იმისათვის, რომ მან ფუნქციონირება შეძლოს, გარდაუვლად უფრო მოქნილი უნდა იყოს და მეტი თავისუფლება ჰქონდეს საკუთარი გადაწყვეტილებების, მათ შორის კი სარისკო და „ბიზნესისთვის აუცილებელი“ ნაირსახეობების მისაღებად⁸²⁹, ამიტომ, პოლიტიკოსისათვის ან, უბრალოდ, კორუფციით დაინტერესებული პირისათვის, ისინი ბევრად უფრო მიმზიდველ ინსტრუმენტს წარმოადგენენ ქვეყნისათვის საზიანო, თუმცა პირადად მათთვის სასარგებლო დანაშაულის ჩასადენად.

კორუფციული გარიგებებისთვის სამეწარმეო წარმონაქმნების მიმზიდველობის ფაქტი განსაკუთრებით სიმართლეს წარმოადგენს სახელმწიფოს კუთვნილი

⁸²⁵ Del Monte, A. Papagni, E. Public expenditure, corruption, and economic growth: the case of Italy. *European Journal of Political Economy*, 17.1. 2001. 1-16.

⁸²⁶ Obara, C. Ogoun, S. Fiscal transparency, accountability, and corporate collapse: A post-mortem analysis of failure of state-owned enterprises (SOEs) in Nigeria. *Research Journal of Finance and Accounting*, 5. 2014. 183-190.

⁸²⁷ Kong, Y. Famba, T. Chituku-Dzimiro, C. Sun, H. Corporate Governance Mechanisms, Ownership and Firm Value: Evidence from Listed Chinese Firms. *International Journal of Financial Studies*, 8.2. 2020. 20-45.

⁸²⁸ Kaufmann, D. Kraay, A. Mastruzzi, M. Governance matters III: governance indicators 1996, 1998, 2000 and 2002. *The World Bank Economic Review*, 18.2. 2004. 253-287.

⁸²⁹ Kong, Y. Famba, T. Chituku-Dzimiro, C. Sun, H. Corporate Governance Mechanisms, Ownership and Firm Value: Evidence from Listed Chinese Firms. *International Journal of Financial Studies*, 8.2. 2020. 20-45.

კერძო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში⁸³⁰. ასეთი წარმონაქმნები, სხვა, წინამდებარე ნაშრომში უკვე განხილული ინსტრუმენტებისგან განსხვავებით, გამოირჩევიან იმით, რომ მათ უვადო ხასიათი გააჩნიათ⁸³¹ და პრაქტიკაში ხშირად უფრო ნაკლებად არიან შეზღუდული საკუთარი მოქმედების არეალში, ვიდრე, მაგალითად, კერძო-საჯარო პარტნიორობის სახელმწიფო მხარე⁸³².

შედეგად, მართალია, ზოგ, უნიკალურ შემთხვევაში, შესაძლებელია, სხვა მექანიზმი უფრო გამოსადეგი იყოს კორუფციული მიზნების მისაღწევად (მაგალითად, თუკი რაიმე სტრატეგიულ სფეროში კორუმპირებულ პოლიტიკოსს ან მასთან დაკავშირებულ პირს უკვე გააჩნია კუთვნილი კომპანია და, შედეგად, უკანონო მანევრირებების შედეგად მას მიეცემა ყოვლად დაუმსახურებელი სუბსიდია), თუმცა, ზოგადად, მათი შედარებით უფრო უნივერსალური ბუნებიდან გამომდინარე, „პოპულარულობის“ ყველაზე მაღალი დონით სწორედ ხელისუფლების კუთვნილებაში არსებული სამეწარმეო საზოგადოებები სარგებლობენ. ამასთან, ხაზგასასმელია ისიც, რომ ასეთი იურიდიული პირების ბუნება სხვა თვალსაზრისითაც ხელს უწყობს ქვეყნის სამართლებრივი სისტემის არსებითად დაზიანებას კორუფციის განვითარების ხელის შეწყობის გზით.

ზემოთ მოცემული ფაქტი გამომდინარეობს იქიდან, რომ პრაქტიკაში, მიუხედავად იმისა, რომ თეორიული საწყისების შესაბამისად ასე არ უნდა ხდებოდეს⁸³³, არსებობს მოლოდინი, რომ სახელმწიფო კომპანიები კერძო ბიზნესებისა არ მოიქცევიან⁸³⁴. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ხელისუფლების მიერ სამეწარმეო საზოგადოების ჩამოყალიბება იმ მიზნით უნდა ხდებოდეს, რომ ამ ახალმა წარმონაქმნმა საკუთარი ფუნქციები შეასრულოს და იმოქმედოს ისე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი იზამდა ამას⁸³⁵, თუმცა, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებში, ისე ფართო საზოგადოებაშიც, აღინიშნება გარკვეული მიმტევებლობა ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც კერძო კომპანია, რომელიც საჯარო ორგანოს დაქვემდებარებაშია, თავისი ბუნების

⁸³⁰ Aidt, T.S. Corruption, institutions, and economic development. *Oxford Review of Economic Policy*, 25.2. 2009. 271-291.

⁸³¹ Gerritsen, R. Zeng, B. The Future of the Chinese Miracle: Will Neo-statist SOEs Persist in China's Development Model? *Australasian Journal of Regional Studies*, 20.2. 2014. 258-285.

⁸³² Christensen, L.T. Greve, C. Choosing state owned enterprises over public-private partnerships for infrastructure governance: explaining institutional change with evidence from Denmark's transport sector. *International Public Management Review*, 18.2. 2018. 137-161.

⁸³³ Willemys, I. Disciplines on State-Owned Enterprises in International Economic Law: Are We Moving in the Right Direction? *Journal of International Economic Law*, 19.3. 2016. 657-680.

⁸³⁴ Geddes, R.R. Pricing by state-owned enterprises: The case of postal services. *Managerial and Decision Economics*, 29.7. 2008. 575-591.

⁸³⁵ Christensen, L.T. Greve, C. Choosing state owned enterprises over public-private partnerships for infrastructure governance: explaining institutional change with evidence from Denmark's transport sector. *International Public Management Review*, 18.2. 2018. 137-161.

საწინააღმდეგო ნაბიჯებს დგამს და ნაცვლად მოგების მიღებაზე ორიენტირებისა, კომერციულად გაუმართლებელ ნაბიჯებს დგამს საჯარო სიკეთის მიღწევის მიზნით⁸³⁶.

ზემოთ მოცემულ ფაქტს აკადემიური ლიტერატურის ზოგიერთი წარმომადგენელი ამართლებს კიდევ იმ საფუძვლით, რომ ასეთი ნაბიჯების გადადგმა, ჯამში, სასარგებლოა და, მიუხედავად იმისა, რომ თავად კომპანიას აზარალებს, საზოგადოებისთვის სიკეთის მომტანია⁸³⁷. წინამდებარე ნაშრომი მოცემულ პოზიციას არ იზიარებს, თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით, მოცემული თავის ფარგლებში, რელევანტურია ის, რომ ასეთი მოსაზრებები გავრცელებულია და, ხშირად, სახელმწიფო კომპანიის მიერ არაკომერციული ქმედებების განხორციელება პრობლემატურ ფაქტადაც კი არ არის ჩათვლილი საზოგადოების მიერ. შესაბამისად, კორუფციით დაინტერესებული პირისათვის, ასეთი მდგომარეობა შესამჩნევად ამარტივებს საკუთარი უკანონო ქმედებების ჩადენას. თუნდაც სახეზე იყოს რაიმე ტიპის გამოძიება და გამოვლინდეს, რომ ის ნაბიჯები, რომლებიც კორუმპირებული ადამიანების სასარგებლოდ გადაიდგა, ნამდვილად არ იყო მომგებიანი, მათი გამართლება ბევრად უფრო ბუნდოვანი „სახელმწიფო საჭიროებით“ ხდება შესაძლებელი⁸³⁸. ამიტომ, რისკი არსებითად მცირდება, არასამართლებრივი შემოსავლის მიღების შანსი კი - იზრდება.

ამასთან, ხაზგასასმელია, რომ რაც უფრო მეტად გავრცელებულია სახელმწიფოს კუთვნილი კომპანიის მიერ ნაკლებად კომერციული ნაბიჯების გადადგმა, მით უფრო იზრდება კორუფციის რისკი⁸³⁹. შესაბამისად, შეიძლება, გაჩნდეს მოსაზრება, რომ კორუმპირებული პირებისთვის მოქმედების არეალის შესამცირებლად აუცილებელია, ნორმატიულ და პრაქტიკულ დონეზე გარანტირებული იყოს, რომ ხელისუფლების დაქვემდებარებაში არსებული სამეწარმეო საზოგადოებები მოიქცევიან, როგორც კომერციული წარმონაქმნები და მათი ქმედებები მაქსიმალურად შორს იქნება საჯაროსამართლებრივი მიზნებისაგან და მექანიზმებისაგან. პრობლემა ისაა, რომ ასეთი მიმართულებით მსჯელობის განვითარებასაც ვერ მივყავართ კორუფციის წინააღმდეგ ეფექტურ ზომებამდე. თუნდაც ბინძური გარიგებების გამართლების ერთი მეთოდი დაიკარგოს, სახელმწიფოსა და მის საკუთრებაში არსებულ სამეწარმეო

⁸³⁶ Kim, M. Regulating the Visible Hands: Development of Rules on State-Owned Enterprises in Trade Agreements. *Harvard International Law Journal*, 58.1. 2017. 225-272.

⁸³⁷ Milhaupt, C.J. Pargendler, M. Governance Challenges of Listed State-Owned Enterprises around the World: National Experiences and a Framework for Reform. *Cornell International Law Journal*, 50.3. 2017. 473-542.

⁸³⁸ Kim, M. Regulating the Visible Hands: Development of Rules on State-Owned Enterprises in Trade Agreements. *Harvard International Law Journal*, 58.1. 2017. 225-272.

⁸³⁹ Willemyns, I. Disciplines on State-Owned Enterprises in International Economic Law: Are We Moving in the Right Direction? *Journal of International Economic Law*, 19.3. 2016. 657-680.

იურიდიულ პირებს შორის საჯაროსამართლებრივი კავშირის გაქრობა პრაქტიკულად არ ახდენს გავლენას კორუფციის შემცირების თვალსაზრისით.

ზემოთ მოცემული ფაქტი გამომდინარეობს იქიდან, რომ, როგორც უკვე ითქვა, კომერციულ წარმონაქმნებს ესაჭიროებათ ფართო დისკრეცია იმისათვის, რომ შეძლონ თავისუფალ ბაზარზე ეფექტურად მოქმედება. შესაბამისად, მოცემული დამოუკიდებლობის გამოყენება კორუფციული გარიგებების განსახორციელებლად ადვილად არის შესაძლებელი⁸⁴⁰. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ პოლიტიკური ჩართულობის მიუხედავად, არ მცირდება სახელმწიფო კომპანიების მიმზიდველობა უკანონო ქმედებების განხორციელების მიზნით⁸⁴¹. ამიტომ, შეიძლება ფაქტად იქნეს განხილული, რომ საჯარო სამართლის ბუნების მქონე კავშირის არსებობა ან არარსებობა, რეალურად, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში ვერ იქნება გამოყენებული იარაღად.

შესაბამისად, შეიძლება გაჩნდეს მოსაზრება, რომ თუკი სახელმწიფოს ჩართულობის შემცირება, კორუფციასთან მიმართებაში, ეფექტურ პრევენციის მეთოდად არ გამოდგება, მაშინ, კარგ გზად უნდა ჩაითვალოს ექსტენსიური ანტიკორუფციული ნორმატიული აქტების მიღება, რომლებიც საჯარო ხელისუფლების ხელთ არსებული კერძოსამართლებრივი წარმონაქმნების საქმიანობის რეგულირებას მოახდენდა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში იქნებოდა გამოყენებული. სამწუხაროდ, აღნიშნული მოსაზრებაც ვერ იქნება გაზიარებული, რადგანაც ასეთი ნაბიჯების გადადგმა სხვა თვალსაზრისით არსებითად აუარესებს მდგომარეობას.

ისეთ დროს, როდესაც მიღებულია გადაწყვეტილება, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანია, მისი აქციონერის ვინაობის მიუხედავად, უნდა მოიქცეს ექსკლუზიურად, როგორც კომერციული წარმონაქმნი, მის მიმართ დამატებითი საკანონმდებლო ზომების განხორციელება ასეთი საზოგადოების წარმატების შანსს მინიმუმამდე დაიყვანს⁸⁴². თავისუფალ ბაზარზე სამეწარმეო საზოგადოებები თანასწორ მდგომარეობაში უნდა იყვნენ, რათა მათ ერთი და იგივე დონის შესაძლებლობები გააჩნდეთ⁸⁴³. შესაბამისად, თუკი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანია შესამჩნევად უფრო მძიმე ტვირთის

⁸⁴⁰ Abramo, C.W. How Much Do Perceptions of Corruption Really Tell Us? *The Economics Journal*, 2.3. 2008. 1-56.

⁸⁴¹ Bai, J. Jayachandran, S. Malesky, E.J. Olken, B.A. Does Economic Growth Reduce Corruption? Theory and Evidence from Vietnam. National Bureau of Economic Research Working Paper Series, 19483. 2013. 1-53.

⁸⁴² Zhang, H. An, R. Zhong, Q. Anti-corruption, government subsidies, and investment efficiency. *China Journal of Accounting Research*, 12.1. 2019. 113-133.

⁸⁴³ Reisberg, B. Stubbs, T. Kentikelenis, A. Ling, L. Bad governance: How privatization increases corruption in the developing world. *Regulation & Governance*, 14.4. 2020. 698-717.

მატარებელი იქნება, ის ვერ შეძლებს, კონკურენციას გაუძლოს და ვერც თავის ფუნქციებს შეასრულებს⁸⁴⁴.

ამასთან, ხაზგასასმელია, რომ კორუფციის საწინააღმდეგო ზედამხედველობის მექანიზმები ნამდვილად არსებითად აზიანებს კომპანიის ხელმძღვანელობის შანსებს. ასეთი ზომები, პრაქტიკაში, ხშირად ნიშნავს, რომ საზოგადოების მმართველობას აღარ გააჩნია იმ მოქნილობის საშუალება, რომელიც აუცილებელია მეწარმე წარმონაქმნის სამართავად და რომელიც მას საჯაროსამართლებრივი პირებისაგან განასხვავებს⁸⁴⁵. ამას ემატება საფრთხე, რომ თუკი დირექტორი ან სხვა ხელმძღვანელი პირი შედარებით სარისკო გადაწყვეტილებას მიიღებს, შემდგომ შესაძლებელია, ის განსაკუთრებული სკრუტინიზების ქვეშ აღმოჩნდეს, რის გამოც ბიზნესისთვის აუცილებელი რისკების გაწევა ვეღარ მოხდება ასეთი მენეჯმენტის მიერ, რაც კიდევ უფრო დააზარალებს კომპანიას⁸⁴⁶.

ზემოთ განხილული ფაქტები ფუნდამენტურად ამცირებს კომპანიის წარმატების შანსს, თუკი იგი ხსენებული რეგულაციური ტვირთის მატარებელი გახდება. თუკი მოხდება ამის კომბინირება ფაქტთან, რომ, პრაქტიკაში, სახელმწიფოს კუთვნილ კომერციულ იურიდიულ პირებს ისედაც უჭირთ კერძო ბიზნესის წინააღმდეგ მოღვაწეობა, თუნდაც სახეზე თანაბარი მდგომარეობა იყოს⁸⁴⁷, ვიღებთ რეალობას, რომ ანტიკორუფციული ზომების მიღებით საჯარო მფლობელობაში არსებული კომპანიები განწირული იქნებიან მარცხისათვის.

შედეგად, მიიღება მდგომარეობა, რომ თუკი ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფ სამეწარმეო საზოგადოებას, მისი კონკურენტებისგან განსხვავებით, დაეკისრება ანტიკორუფციული ზომების ტვირთი, მისი არსებობა აზრს დაკარგავს. ის, არსებითად, აღარ იქნება საჯაროსამართლებრივი წარმონაქმნებისაგან განსხვავებული და ვერ შეძლებს, თავისუფალ ბაზარზე არსებულ ზეწოლას გაუძლოს. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, ხსენებული მეთოდებით კორუფციასთან ბრძოლაც აზრს კარგავს. შესაბამისად, მოცემული პოტენციური გამოსავალიც, მისი კრიტიკული ანალიზის შედეგად, სინამდვილეში გამოსადეგი არ არის და კორუფციის წინააღმდეგ ეფექტურ მექანიზმად ვერ მოგვევლინება.

⁸⁴⁴ Wang, J. The Political Logic of Corporate Governance in China's State-Owned Enterprises. *Cornell International Law Journal*, 47.3. 2014. 631-669.

⁸⁴⁵ Chen, C. What Is behind Anti-Corruption? A Comparison of Russia and China. *Communist and Post-Communist Studies*, 53.4. 2020. 155-176.

⁸⁴⁶ Wang, P. Yan, X. Bureaucratic Slack in China: The Anti-corruption Campaign and the Decline of Patronage Networks in Developing Local Economies. *The China Quarterly*, 243. 2020. 611-634.

⁸⁴⁷ Siswanto, A. Hutajulu, M.J. State-Owned Enterprises (SOEs) in Indonesia's Competition Law and Practice. *Yustisia*, 8.1. 2019. 93-108.

საბოლოოდ, ხაზგასასმელია კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვანია კორუფციასა და სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას შორის კავშირის წარმოსაჩენად. საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციაში ჩართულობის დონის ზრდასთან ერთად კორუმპირებული გარიგებების ოდენობის გაზრდას იწვევს ის ფაქტიც, რომ რაც მეტი ფულია თავმოყრილი საჯარო სექტორის ხელში, მით იზრდება პოლიტიკოსებისაგან და სხვა მსგავს პოზიციაში მყოფებისაგან რისკი, რომ ისინი მოისურვებენ კორუფციაში მონაწილეობის მიღებას⁸⁴⁸. რაც მაღალია შანსი, რომ ერთი ან რამდენიმე გარიგებით უდიდესი სიმდიდრე იყოს მოხვეჭილი, მით უფრო გაზრდილია ცდუნება⁸⁴⁹. შესაბამისად, რაც უფრო ჩართულია სახელმწიფო ბიზნესში, მით იზრდება მის ეკონომიკაში არსებული კორუფციის რისკიც. შედეგად, ამ თვალსაზრისითაც არსებობს კორელაცია საჯარო სექტორის მიერ მეწარმეობის განხორციელებასა და კორუფციას შორის.

ყოველივე ზემოთ მოცემულის საფუძველზე, შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- კორუფცია უდიდეს საფრთხეს სახელმწიფოს როგორც ეკონომიკური, ისე სამართლებრივი სისტემებისათვის და იწვევს არსებით ზარალს როგორც პირდაპირ, ისე ირიბად;
- კორუმპირებული პირებისათვის თავიანთი უკანონო ქმედებების განსახორციელებლად და მათ დასამალად განსაკუთრებით მიმზიდველია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სამეწარმეო იურიდიული პირები;
- რაც უფრო აქტიურ როლს თამაშობს სახელმწიფო ქვეყნის ეკონომიკაში, მით უფრო იზრდება კორუფციის დონე;
- სახელმწიფოს მიერ ბიზნესის, როგორც საჯარო წარმონაქმნის მართვა (მათ შორის აქტიური ანტიკორუფციული ნორმატიული აქტების მიღებით) მის არსებობას აზრს უკარგავს და ასეთ წამოწყებას რესურსების უმიზნო ხარჯვად აქცევს;
- ამავდროულად, სახელმწიფოს მიერ ბიზნესის, როგორც ექსკლუზიურად კერძოსამართლებრივი პირის მართვა, არსებითად, ვერ ახდენს კორუფციის დონის შემცირებას;

ზემოთ მოცემული დასკვნების გათვალისწინებით, ფაქტად უნდა იყოს მიღებული ის, რომ სახელმწიფოს მიერ კომერციაში აქტიური მონაწილეობის

⁸⁴⁸ Christensen, L.T. Greve, C. Choosing state owned enterprises over public-private partnerships for infrastructure governance: explaining institutional change with evidence from Denmark's transport sector. *International Public Management Review*, 18.2. 2018. 137-161.

⁸⁴⁹ Lopes Júnior, E.P. Camara, S.F. Rocha, L.G. Brasil, A. Influence of corruption on state-owned enterprise expenditures. *Brazilian Journal of Public Administration*, 52.4. 2018. 695-711.

გარდაუვალ გვერდით მოვლენად კორუფციის დონის ზრდა უნდა იყოს განხილული. ის მეთოდები, რომლებიც ამ რისკის მიტიგაციას ემსახურება, ფუნდამენტურ დონეზე ეწინააღმდეგება ასეთი ქმედების არსს და მათს წარმატებას გამორიცხავს. ერთადერთი გზა ასეთი ნეგატიური შედეგის გამორიცხვისა ბიზნესში მოღვაწეობაზე სრულად უარის თქმაა, რაც, ზოგჯერ, რეალისტურ შესაძლებლობად არ გვევლინება. ამიტომ, გაზრდილი კორუფცია საჯარო ხელისუფლების მიერ მეწარმეობაში ჩართულობის ერთ-ერთ საფასურად უნდა ჩაითვალოს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ხაზგასასმელია, რომ ყოველთვის, როდესაც სახელმწიფოს მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება, რომ მან ამა თუ იმ მიზნითა და მეთოდით მონაწილეობა მიიღოს კომერციულ აქტივობაში, ეს ნაბიჯი ავტომატურად მიაყენებს ზიანს ქვეყნის სამართლებრივ სისტემებს. შესაბამისად, კორუფციისაგან გამომდინარე უდიდესი საფრთხის გათვალისწინებით, თუკი შესაძლებელია პრობლემის სხვაგვარად გადაჭრა, ასეთი მიმართულებით წასვლაა რეკომენდირებული წინამდებარე ნაშრომის მიერ. მაშინ კი, თუკი სახელმწიფოს მიერ მეწარმეობის განხორციელება გარდაუვალია, ეს უნდა შედარდეს არსებულ რისკებთან და, მათ შორის, კორუფციის ზრდის საფრთხესთან და მხოლოდ ამის შემდეგ იყოს გადაწყვეტილება მიღებული. საბოლოოდ კი, აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის ზრდა კორუფციის ზრდასაც იწვევს, ამიტომ, აუცილებელია ხელისუფლების დაქვემდებარებაში არსებული ბიზნესის მოცულობის მაქსიმალურად შემცირება, რათა შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე იყოს დაყვანილი შესაბამისი რისკები.

4.5. სამართალეფექტიანობის შემცირება

სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია არა მარტო ნორმატიული აქტების მიღებაა, არამედ იმის უზრუნველყოფაც, რომ არსებული სამართლებრივი ჩარჩო აღსრულებადი იყოს⁸⁵⁰. კანონმდებლობა, რომელიც პრაქტიკაში არ ან ვერ ტარდება, აზრს არის მოკლებული და ასეთი აქტების მიღება ხელისუფლების მიერ საკუთარი დანიშნულების შესრულებად ვერანაირად ვერ იქნება ჩათვლილი⁸⁵¹.

⁸⁵⁰ Seidman, A. Seidman, R.B. Drafting Legislation for Development: Lessons from a Chinese Project. *The American Journal of Comparative Law*, 44.1. 1996. 1-44.

⁸⁵¹ Umeokafor, N. Isaac, D. Jones, K. Umeadi, B. Enforcement of Occupational Safety and Health Regulations in Nigeria: An Exploration. *European Scientific Journal*, 10.7. 93-104.

იმისათვის, რომ სახეზე იყოს აღსრულებადი სამართალი, აუცილებელია, რომ ასეთ ნორმებს საზოგადოების ნდობა გააჩნდეს⁸⁵². ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის მხრიდან შესაბამისი კანონმდებლობა აღსრულებადად უნდა ითვლებოდეს⁸⁵³. არ არის აუცილებელი, რომ მოსახლეობა სამართლებრივ აქტებს მხარს უჭერდეს (თუმცა ეს ნამდვილად სასარგებლოა)⁸⁵⁴, მაგრამ საჭიროა, რომ ხალხს სჯეროდეს მისი აღსრულებადობის⁸⁵⁵. ამ თვალსაზრისით არსებით წინაღობას წარმოადგეს ის ფაქტი, რომ, პრაქტიკაში, სახელმწიფოს მიერ კომერციულ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობა, ხშირად, ამ მიზნის მიღწევას არსებითად ართულებს⁸⁵⁶.

ძირითადი პრობლემა გამომდინარეობს იქიდან, რომ სახელმწიფოს სურს, მისი კომპანია წარმატებული იყოს⁸⁵⁷. ეს სურვილი, ბუნებრივია, ცნობილი და გასაგებია საშუალო ადამიანისათვის. შესაბამისად, თუკი სახელმწიფო შეძლებს, საკუთარ მიზანს მიაღწიოს და უზრუნველყოს მის საკუთრებაში არსებული სამეწარმეო საზოგადოების წარმატება, ეს ერთპიროვნულად კარგ მოვლენად უნდა განიხილებოდეს. თუმცა, ამავდროულად, სამართალეფექტიანობის თვალსაზრისით სახეზეა პოტენციურად დიდი ზიანის გამომწვევი პრობლემა.

რისკი გამომდინარეობს იქიდან, რომ თუკი ნდობა სახელმწიფოს მიმართ არ არის განსაკუთრებით მაღალი, პირს, რომელიც შენიშნავს ეკონომიკაში აქტიურად მონაწილე საჯარო საკუთრებაში არსებული კომპანიას და დაინახავს მის წარმატებას, მას შეიძლება, გაუჩნდეს განცდა, რომ ასეთი წარმატება სულაც არ არის კანონიერი ქმედებების შედეგი⁸⁵⁸. თუკი საზოგადოება შედარებით სკეპტიკურად არის განწყობილი ხელისუფლების სამართლიანობის მიმართ და ნაკლებად ენდობა მას, ასეთ შემთხვევაში მათ შეიძლება, სახელმწიფო კომპანიის წარმატებამ შესამჩნევად გაუმყაროს არსებული შეხედულებები, თუნდაც ისინი მცდარი იყოს.

⁸⁵² Azadikalkoshki, A. Hosseinabadi, M. Amendments to the International Commercial Code and Its Legal Gaps. *Open Journal of Political Science*, 8. 2018. 128-138.

⁸⁵³ Berggren, N. Jordahl, H. Free to Trust: Economic Freedom and Social Capital. *Kyklos*, 59.2. 2006. 141-169.

⁸⁵⁴ Cuniberti, G. The International Market for Contracts: The Most Attractive Contract Laws. *Northwestern Journal of International Law & Business*, 34.3. 2014. 455-517.

⁸⁵⁵ Seidman, A. Seidman, R.B. Drafting Legislation for Development: Lessons from a Chinese Project. *The American Journal of Comparative Law*, 44.1. 1996. 1-44.

⁸⁵⁶ Shaver, E.B. Two Paths to Development: Policy Channeling and Listed State-Owned Enterprise Management in Peru and Colombia. *University of Pennsylvania Journal of Business Law*, 21.4. 2019. 1006-1033.

⁸⁵⁷ Seidman, A. Seidman, R.B. Drafting Legislation for Development: Lessons from a Chinese Project. *The American Journal of Comparative Law*, 44.1. 1996. 1-44.

⁸⁵⁸ Shaver, E.B. Two Paths to Development: Policy Channeling and Listed State-Owned Enterprise Management in Peru and Colombia. *University of Pennsylvania Journal of Business Law*, 21.4. 2019. 1006-1033.

მეორემხრივ, მაშინაც კი, როცა წარმატებული არ არის სახელმწიფოს კუთვნილი კომპანია, მაინც შეიძლება, ამ თვალსაზრისით სახეზე პრობლემა იყოს. როდესაც ადამიანი დაინახავს, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო, მისი კომპანიისათვის სასურველი შედეგი უზრუნველყო, ეს, შესაძლოა, სახელმწიფოს არაკომპეტენტურობის დამასაბუთებელ ფაქტად იქცეს⁸⁵⁹. მოსახლეობას უჩნდება განცდა, რომ თუკი საჯარო მხარე, თავისი უზარმაზარი რესურსების გათვალისწინებით, მაინც ვერ ახერხებს, კონკურენცია გაუწიოს თავისუფალ ბაზარზე მოღვაწე ბიზნესებს და იმ შედეგებით ვიწრო მიზნებს მიაღწიოს, რომელიც მას გააჩნია, მაშინ რანაირად შეძლებს იგი, სახელმწიფო ეფექტურად მართოს. ამიტომ, ავტომატურად შემცირდება ასეთი ხელისუფლების მიერ მიღებული კანონმდებლობის მიმართ არსებული ნდობაც და მისი აღსრულების ხარისხიც.

ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, შეიძლება იმაზე საუბარი, რომ საზოგადოების მიერ კანონმდებლობის მიმართ ნდობის და, შედეგად, ქვეყანაში არსებული სამართალეფექტიანობის დონის შემცირება სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობის გვერდითი მოვლენაა. მიუხედავად იმისა, არღვევს თუ არა სახელმწიფოს საკუთარ წესებს, და იმისგან დამოუკიდებლად, წარმატებულია თუ არა იგი კომერციულ სფეროში მოღვაწეობისას, ყოველთვის სახეზეა საფრთხე, რომელიც ასეთი ნაბიჯების შედეგებით სკეპტიკური პირების მიერ ნეგატიურად აღქმიდან გამომდინარეობს.

ხაზგასასმელია ისიც, რომ საკმაოდ მცირეა შესაძლებლობა იმისა, რომ ასეთი საფრთხე აღკვეთილი იყოს⁸⁶⁰. პოტენციური ზიანი, ხშირად, საკმაოდ მცირეა და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამან ქვეყნის ეკონომიკის ჩამოშლა გამოიწვიოს⁸⁶¹, თუმცა ყველა საშიშროება გასათვალისწინებელია სამართლებრივი სისტემის ჯანსაღი მდგომარეობის უზრუნველსაყოფად. ამიტომ, სახელმწიფოს მიერ კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობის მიღების დაწყებამდე აუცილებელია მოხდეს იმის შეფასება, როგორ იქნება ასეთი ნაბიჯი, ასევე მისი წარმატებაცა და წარუმატებლობაც აღქმული.

⁸⁵⁹ Cuniberti, G. The International Market for Contracts: The Most Attractive Contract Laws. *Northwestern Journal of International Law & Business*, 34.3. 2014. 455-517.

⁸⁶⁰ Shaver, E.B. Two Paths to Development: Policy Channeling and Listed State-Owned Enterprise Management in Peru and Colombia. *University of Pennsylvania Journal of Business Law*, 21.4. 2019. 1006-1033.

⁸⁶¹ Seidman, A. Seidman, R.B. Drafting Legislation for Development: Lessons from a Chinese Project. *The American Journal of Comparative Law*, 44.1. 1996. 1-44.

4.6. საჯარო ხელისუფლების კომერციაში მონაწილეობის დადებითი სამართლებრივი შედეგები

წინამდებარე თავში განხილული ყველა ეფექტი, რომელიც საჯარო ხელისუფლების სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობას მოჰყვება, ნეგატიურად შეიძლება, შეფასდეს. სახეზე ძირითადად საფრთხეები და რისკებია, ხოლო დადებით შესაძლებლობებზე აქცენტი ნაკლებად კეთდება.

გარდა იმ სასურველი შესაძლებლობებისა, რომლებიც მოცემული ნაშრომის ფარგლებში, სახელმწიფოს მიზნებზე საუბრისას იქნა განხილული (რომელთა მიღწევასაც ისედაც ემსახურება სახელმწიფოს მიერ კომერციული ხასიათის ნაბიჯების გადადგმა⁸⁶²), ძირითად დადებით გვერდით მოვლენად საჯარო სექტორში დასაქმებული და, შესაბამისად, ხელისუფლების ორგანოთა განკარგულებაში მყოფი ინდივიდების კომპეტენციის დონის ამაღლება შეიძლება, იყოს განხილული⁸⁶³.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ფუნქციას ძირითადად საჯაროსამართლებრივი ნაბიჯების გადადგმა წარმოადგენს⁸⁶⁴, კერძო სექტორში და, განსაკუთრებით, კომერციაში გათვითცნობიერებულ პირებთან წვდომა მისთვის არსებითი სარგებლის მომტანი შეიძლება, იყოს⁸⁶⁵. მაგალითად, ისეთ დროს, როდესაც აუცილებელია ეკონომიკის რეგულირება, მხოლოდ საჯარო სფეროს მცოდნე პირის მიერ მიღებული კანონმდებლობა ადვილად შეიძლება, არ იყოს შესაფერისი⁸⁶⁶. შესაბამისად, კომპეტენტური პირების არსებობა, რომლებსაც აქვთ კომპეტენცია და გამოცდილება სამეწარმეო სფეროში მოღვაწეობისა, ნამდვილად სასარგებლოა სახელმწიფოსათვის.

ამასთან ერთად, გარდა რეგულირების საკითხისა, ხაზგასასმელია ისიც, რომ ზოგადად, სახელმწიფო აპარატის (განსაკუთრებით ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს) მართვისას, გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ კომერციული აზროვნების ქონა, პრაქტიკაში, დადებითი შედეგების მომტანად

⁸⁶² Sam, C. Understanding the Relationship between the Government and Sovereign Wealth Funds: The Case of Singapore. *New Zealand Journal of Asian Studies*, 14.2. 2012. 86-104.

⁸⁶³ Sutyono, W. Human Resource Management in State-Owned and Private Enterprises in Indonesia. *Bulletin of Indonesian Economic Studies*, 47.3. 2007. 377-394.

⁸⁶⁴ Gong, Y. Chang, S. Institutional antecedents and performance consequences of employment security and career advancement practices: Evidence from the People's Republic of China. *Human Resource Management Journal*, 47.1. 2008. 33-48.

⁸⁶⁵ Sayyednaghavi, M. Khanbashi, M. Salavati, M. Alignment of Human Resource General Strategy with Human Resource Subsystem Strategy. *Journal of Research in Human Resources Management*, 9.1. 2017. 183-206.

⁸⁶⁶ Buble, M. Pucko, D. Pavic, I. Dulcic, Z. Lahovnik, M. Alfirevic, N. Rejc, A. Cater, T. Successful Competitive Strategies of Large Croatian and Slovenian Enterprises. *The Management Journal*, 8.1. 2003. 1-112.

ითვლება⁸⁶⁷. სწორედ ამიტომ, ხშირად გვხვდება, რომ სახელმწიფო კომპანიების მმართველობაში ჩართულ პირებს შემდგომ საჯარო სექტორში ხანგრძლივი და წარმატებული კარიერებს ელით წინ⁸⁶⁸. სახელმწიფო, მისი საჯარო ბუნების მიუხედავად, ვაკუუმში არ არსებობს და მისი პარტნიორების დიდი ნაწილი სწორედ, რომ კერძო სახის წარმონაქმნებია, ამიტომ მათი ბუნების ცოდნა და საქმიანობის სტილის აღქმა განსაკუთრებით გამოსადეგი უნარია გადაწყვეტილების მიმღები ადამიანებისათვის.

გარდა ადამიანური რესურსებისა, ხელისუფლების კომერციულ აქტივობაში ჩართულობის შედეგად სახეზე არსებული ხშირად ასევე მნიშვნელოვანი დადებითი მოვლენაა სახელმწიფოსათვის ხელმისაწვდომი უკვე ჩამოყალიბებული ინსტრუმენტის არსებობა⁸⁶⁹. ისეთ დროს, როდესაც სახეზეა ამა თუ იმ ხასიათის საჭიროება, რომლის გადასაჭრელადაც საჯარო ორგანოს მიერ კერძო სექტორში ჩარევაა საჭირო, ყოველთვის სასარგებლოა, თუკი არსებობს წარმონაქმნი, რომელიც სახელმწიფოს ექვემდებარება და, ამავდროულად, შესაბამის სფეროში ან, როგორც მინიმუმ, მასთან დაკავშირებულ სექტორში მაინც, ერკვევა და შეუძლია, ხელი შეუწყოს ხელისუფლებას იმაში, რომ სწორი გადაწყვეტილებები მიიღოს⁸⁷⁰.

ამასთან, ხაზგასასმელია ისიც, რომ აუცილებელია, არსებული რესურსების სწორად იყოს გამოყენებული. სახელმწიფო კომპანია, რომელიც ამა თუ იმ სფეროში ერკვევა, არ უნდა იქცეს ავტომატურად პრობლემის მოგვარების ერთადერთ საშუალებად. ის ფაქტი, რომ სახეზეა საკითხთან მიმართებით ასე თუ ისე გათვითცნობიერებული წარმონაქმნი, რომელიც სახელმწიფოს დაქვემდებარებაშია, არ ნიშნავს, რომ ის იდეალური მექანიზმია. შესაბამისად, ამ დადებით გვერდით მოვლენას გააჩნია პოტენციალი, რომ საფრთხედ იქცეს, თუკი მოხდება უკვე არსებულ ინსტრუმენტებზე ზედმეტად დამოკიდებულება. იმავეს თქმა შეიძლება არსებულ ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებითაც. ზოგჯერ, ნამდვილად შესაძლებელია, უმჯობესი იყოს, არსებული დასაქმებულების გარეთ, ახალი პირების მოძებნა, რადგანაც მათ შეიძლება, უკეთ შეძლონ, სახელმწიფოს წინ არსებული ამოცანების ამოხსნა და საკუთარი ცოდნა და გამოცდილება შემატონ საჯარო ორგანოებს.

⁸⁶⁷ Sam, C. Understanding the Relationship between the Government and Sovereign Wealth Funds: The Case of Singapore. *New Zealand Journal of Asian Studies*, 14.2. 2012. 86-104.

⁸⁶⁸ Sutiyo, W. Human Resource Management in State-Owned and Private Enterprises in Indonesia. *Bulletin of Indonesian Economic Studies*, 47.3. 2007. 377-394.

⁸⁶⁹ Buble, M. Pucko, D. Pavic, I. Dulcic, Z. Lahovnik, M. Alfirevic, N. Rejc, A. Cater, T. Successful Competitive Strategies of Large Croatian and Slovenian Enterprises. *The Management Journal*, 8.1. 2003. 1-112.

⁸⁷⁰ Gong, Y. Chang, S. Institutional antecedents and performance consequences of employment security and career advancement practices: Evidence from the People's Republic of China. *Human Resource Management Journal*, 47.1. 2008. 33-48.

და ბოლოს, ასევე დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს საჯარო სექტორის მიერ კომერციაში აქტიური მონაწილეობის მიღების შედეგად ჩამოყალიბებული კავშირების არსებობა. სახელმწიფოსა და კერძო კომპანიებს შორის მჭიდრო ურთიერთობის შენარჩუნება მნიშვნელოვანია ქვეყნის წარმატებისათვის⁸⁷¹. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლებრივი და ეკონომიკური სისტემების ჯანსაღი მომავლისათვის⁸⁷². ბიზნესში ჩართულობა ასეთი კონტაქტების შექმნას ხელს უწყობს და, შესაბამისად, ზრდის კერძო და საჯარო სექტორებს შორის კოოპერაციის დონეს, რაც, თავის მხრივ, გამოსადეგ ფაქტორად შეიძლება, იქცეს ქვეყნის კარგი მმართველობის ჩამოყალიბებისა და მისი შენარჩუნების თვალსაზრისით.

სწორედ მოცემული საკითხები შეიძლება, განხილული იყოს, როგორც სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების დადებითი გვერდითი ეფექტები. ისინი, ყველანი, ჯამში სახელმწიფოსათვის ხელმისაწვდომი რესურსების ზრდას უკავშირდება და სწორედ ამ თვალსაზრისით არის გამოსადეგი კომერციულ სფეროში საჯარო სექტორის მოღვაწეობა. ამასთან, ისიც ნამდვილად გასაზიარებელი პოზიციაა, რომ საფრთხეები, რომლებიც ზემოთ იქნა განხილული, შესამჩნევად უფრო მეტ პოტენციურ ზიანს მოიცავს, ვიდრე შეიძლება, აქ განხილულმა დადებითმა შესაძლებლობებმა გამოასწოროს. ამიტომ, მიუხედავად ხსენებული პოზიტიური ფაქტორებისა, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა ის საშიშროება, რომელიც ხელისუფლების მიერ სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობას შეიძლება, მოჰყვეს.

4.7. შუალედური დასკვნა

ზემოთ განხილული საკითხების გათვალისწინებით, საჯარო ორგანოთა მიერ კომერციულ აქტივობაში ჩარევის შედეგები ქვეყნის სამართლებრივ სისტემაზე შეიძლება, შეჯამდეს შემდეგნაირად:

- ლეგიტიმური მიზნის გარეშე სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო აქტივობების განხორციელება ყოველთვის შესამჩნევ პრობლემებს იწვევს და ასეთი ნაბიჯის გადადგმა ყოველთვის უნდა იყოს გამორიცხული. დაუშვებელია, საჯარო სექტორი ჩაერიოს მის კერძო ექვივალენტში ამისათვის აუცილებელი (ზემოთ განხილული) საბაზის გარეშე;

⁸⁷¹ Ramzy, O. Bedawy, R. Anwar, M. Eldahan, O.H. Sustainable Development & Good Governance. European Journal of Sustainable Development, 8.2. 2019. 125-138.

⁸⁷² Amovic, G. Maksimovic, R. Buncic, S. Critical Success Factors for Sustainable Public-Private Partnership (PPP) in Transition Conditions: An Empirical Study in Bosnia and Herzegovina. Sustainability, 12.17. 2020. 1-29.

- არასათანადო ინსტრუმენტით ჩარევის განხორციელება თითქმის ისეთივე ცუდი გადაწყვეტილებაა, როგორც ამის ლეგიტიმური მიზნის გარეშე გაკეთება. თუკი სახელმწიფო კომერციულ სფეროში მოღვაწეობს, მაგრამ არასწორი მექანიზმის გამოყენებით, ეს გარდაუვლად დააზარალებს ქვეყნის სამართლებრივ სისტემებს;
- სახელმწიფოს, როგორც საჯარო სექტორის მარეგულირებლისა და წარმართველის ბუნებიდან გამომდინარე, იმის ალბათობა, რომ მის მიერ მეწარმის როლის მორგებამ ინტერესთა კონფლიქტი გამოიწვიოს, ას პროცენტს უახლოვდება. ინტერესთა კონფლიქტს სხვადასხვა ფაქტორები იწვევს და ერთმანეთისაგან განსხვავებული დონის ზარალი შეიძლება, მოჰყვეს, თუმცა საფრთხე რეალურად რჩება. ამიტომ, აუცილებელია შეძლებისდაგვარად შემცირდეს ხელისუფლების კომერციაში მონაწილეობა და საჭიროების შემთხვევაში, ყველა შესაძლო ნაბიჯი გადაიდგას ინტერესთა კონფლიქტის მინიმუმამდე დასაყვანად და მისი ნეგატიური შედეგების მაქსიმალურად შესამცირებლად;
- ხელისუფლების ორგანოთა მიერ მეწარმეობის თავზე აღება, ფაქტობრივად, გარანტიაა ქვეყანაში კორუფციის დონის ზრდისა. ამის წინააღმდეგ ბრძოლა თითქმის შეუძლებელია, ამიტომ, კორუფციის შედეგად წარმოშობილი საფრთხეების და ზარალის შესამცირებლად, უმჯობესია, სახელმწიფომ შეძლებისდაგვარად მცირე როლი ითამაშოს კერძო სექტორის საქმიანობაში;
- საჯარო წარმონაქმნების მიერ კომერციაში ჩარევას შეიძლება, ასევე მოჰყვეს ქვეყანაში სამართალეფექტიანობის შემცირება. შესაბამისად, აუცილებელია ამ საფრთხის გათვალისწინებაც;
- სახელმწიფოს მიერ მეწარმეობის გაწევას დადებითი გვერდითი ეფექტების მოჰყვება, თუმცა მათი გავლენა ზემოთ მოცემულ საფრთხეებზე შესამჩნევად ნაკლებია.

წარმოდგენილი დასკვნების გათვალისწინებით, შეიძლება იმაზე საუბარი, რომ ხელისუფლების ორგანოთა მიერ კომერციაში აქტიური როლის თამაში ჯამში არსებითად ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის სამართლებრივ სტრუქტურებზე. ამიტომ, თუკი სახელმწიფოს სურს, რომ კარგი მმართველობა უზრუნველყოს, აუცილებელია, მის მიერ მეწარმეობის განხორციელების სიხშირე და მოცულობა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. თუკი კომერციაში ჩართულობა მხოლოდ კონკრეტული პრობლემების გადაჭრის წერტილოვან საშუალებად მოგვევლინება და არ მიიღებს მუდმივმოქმედ, ინტენსიურ ხასიათს, შესაძლებელია, რომ ასე თუ ისე გამოირიცხოს განხილული რისკები და, ამავდროულად, შენარჩუნდეს სახელმწიფოს უნარი, მიიღოს აქტიური მონაწილეობა კომერციულ საქმიანობაში.

5. სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ეკონომიკური შედეგები

როდესაც საჯარო ხელისუფლება იღებს გადაწყვეტილებას, იქცეს კომერციის პირდაპირ მონაწილეს, ასეთ ქმედებას მოჰყვება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ეკონომიკური შედეგები⁸⁷³. წინამდებარე ნაშრომში უკვე იქნა განხილული ის ლეგიტიმური მიზნები, რომლებიც მიღწევაც საფუძვლად შეიძლება, დაედოს აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფოს მიერ მოქმედების განხორციელებას, და მათი მიღწევა, როგორც წარმოჩენილი იქნა, ნამდვილად მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანია ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკისათვის. თუმცა, ამავედროულად, გასათვალისწინებელია ყველა სხვა ის გვერდითი ეფექტი, რომელიც ხელისუფლების მიერ მეწარმეობაში ჩარევას შეიძლება, მოჰყვეს და შეუქცევადი ცვლილებები გამოიწვიოს მის ეკონომიკურ სისტემაში.

ხაზგასასმელია, რომ როდესაც სახელმწიფო მოქმედებს სწორი მიზნითა და ინსტრუმენტების გამოყენებით, მას შეუძლია, ფუნდამენტურად ღირებული შედეგების დადგომა უზრუნველყოს. ასეთ სასურველ მოვლენებს შორისაა, მაგალითად, შესაძლებლობა, რომ მან იქონიოს ისეთი დადებითი გავლენა ეკონომიკაზე, როგორცაა ამა თუ იმ სექტორის შექმნა ან განვითარება, რამაც როგორც საჯარო სექტორს, ისე კერძო ბიზნესსა და ფართო საზოგადოებას მნიშვნელოვანი სარგებელი შეიძლება, მოუტანოს⁸⁷⁴. კომერციული საქმიანობის გამართულად გაძღოლის შემთხვევაში, სახელმწიფოს გააჩნია უნარი, შესამჩნევი წვლილი შეიტანოს ეკონომიკის წარმატებით ფუნქციონირებაში⁸⁷⁵.

ამავდროულად, სახეზეა არაერთი მნიშვნელოვანი საფრთხე, რომელიც გამომდინარეობს სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებიდან. პირველ რიგში, უნდა იქნას წარმოჩენილი, რომ ყოველთვის არ არის სახეზე საჯარო ინსტრუმენტების გამოყენებით კომერციის განსახორციელებლად აუცილებელი ლეგიტიმური მიზნები⁸⁷⁶. საჯარო ხელისუფლებამ ადვილად შეიძლება, გადაწყვიტოს, რომ მისთვის სასურველია მეწარმეობაში ჩარევა ისე, რომ ამის საბაზი, რომელიც წინამდებარე ნაშრომში, კრიტიკული ანალიზის შედეგად, გამართლებულ წინაპირობად იქნა მიჩნეული, მას სულაც არ ესაჭიროება. ასეთი ნაბიჯიდან გამომდინარეობს არსებითი

⁸⁷³ Gillis, M. The Role of State Enterprises in Economic Development. Social Research Journal, 47.2. 1980. 248-289.

⁸⁷⁴ Lin, K.J. Lu, X. Zhang, J. Zheng, Y. State-owned enterprises in China: A review of 40 years of research and practice. China Journal of Accounting Research, 13.1. 2020. 31-55.

⁸⁷⁵ Gillis, M. The Role of State Enterprises in Economic Development. Social Research Journal, 47.2. 1980. 248-289.

⁸⁷⁶ Barros, M. Tools of Legitimacy: The Case of the Petrobras Corporate Blog. Organization Studies, 35.8. 2014. 1-50.

ეკონომიკური ზარალის შესაძლებლობა, რაც ქვემოთ იქნება დეტალურად განხილული.

იდენტური პოზიციის ჩამოყალიბებაა შესაძლებელი გამოსაყენებელ მექანიზმებთან დაკავშირებით. სახელმწიფოს მიერ კომერციული აქტივობის წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელია, როგორც უკვე შეფასდა მოცემული ნაშრომის მიერ, სწორი და შესაფერისი ინსტრუმენტების გამოყენება. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ეს რეკომენდაცია გათვალისწინებული არ არის⁸⁷⁷. შედეგად, ვიღებთ მდგომარეობას, როდესაც სახელმწიფო არასათანადო მეთოდის გამოყენებით ახდენს მეწარმეობას და ამით საკუთარ ეკონომიკას მნიშვნელოვნად აზარალებს.

შესაბამისად, აუცილებელია, მოხდეს სწორი მიზნითა და მექანიზმის გამოყენებით მოქმედება. ამავდროულად, ეს საკმარისი არ არის და ხელისუფლების მიერ სამეწარმეო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის მიღებას სხვა არაერთი საფრთხის შემცველი გვერდითი მოვლენა ახლავს. მათ შორისაა აკადემიურ ლიტერატურაში საკმაოდ პოპულარული მოსაზრება, რომ თუკი ხელისუფლება განზრახ ან უნებურად დომინანტ ძალად იქცევა ამა თუ იმ სფეროში, ეს გარდაუვლად შექმნის ფუნდამენტურ პრობლემებს⁸⁷⁸. ხშირად, როდესაც სახელმწიფო წყვეტს, უზრუნველყოს ამა თუ იმ სტრატეგიულ სექტორში საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელება, ხდება ამ სფეროს მონოპოლიზება⁸⁷⁹. მონოპოლია, მიუხედავად იმისა, თუ რა მიზეზით მოხდა მისი ჩამოყალიბება, ყოველთვის პრობლემებთან ასოცირდება⁸⁸⁰, რაც განსაკუთრებით ხშირად თავს გრძელვადიან პერსპექტივებში იჩენს⁸⁸¹. შედეგად, თუკი ხელისუფლების ორგანოთა მიერ სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობა მონოპოლიის შექმნას ან შენარჩუნებას მოიცავს, ეს შესამჩნევ რისკად და პოტენციურ საფრთხედ უნდა იქნეს ჩაითვალოს⁸⁸². სახელმწიფო, რომელსაც სურს, განავითაროს ესა თუ ის ერთი ან მეტი ეკონომიკური სფერო, თავისი ხელოვნური ჩარევის საშუალებით ხშირად,

⁸⁷⁷ Kammermann, L. Ingold, K. Going beyond technocratic and democratic principles: stakeholder acceptance of instruments in Swiss energy policy. *Policy Sciences*, 52. 2019. 43-65.

⁸⁷⁸ Goldeng, E. Grunfeld, L.A. Benito, G. The Performance Differential between Private and State Owned Enterprises: The Roles of Ownership, Management and Market Structure. *Journal of Management Studies*, 45.7. 2008. 1244-1273.

⁸⁷⁹ Kim, M. Regulating the Visible Hands: Development of Rules on State-Owned Enterprises in Trade Agreements. *Harvard International Law Journal*, 58.1. 2017. 225-272.

⁸⁸⁰ Fox, E.M. Healey, D. When the State Harms Competition - The Role For Competition Law. *Antitrust Law Journal*, 79.3. 2014. 769-820.

⁸⁸¹ Abramov, A. Radygin, A. Entov, R. Chernova, M. State ownership and efficiency characteristics. *Russian Journal of Economics*, 3.2. 2017. 129-157.

⁸⁸² Kim, M. Regulating the Visible Hands: Development of Rules on State-Owned Enterprises in Trade Agreements. *Harvard International Law Journal*, 58.1. 2017. 225-272.

განზრახ ან შემთხვევით, ასეთი სფეროს მონოპოლიზებით განხორციელებით ხელს უშლის თავისუფალ ბაზარს, დამოუკიდებლად, ორგანულად განავითაროს ბიზნესი. შედეგად, ზოგჯერ, რა თქმა უნდა, ამას არაფერი არ მოჰყვება, რადგან თავისუფალი ბაზარი პანაცეა არ არის და სახელმწიფოს ჩარევა ყოველთვის ნეგატივს არ წარმოადგენს⁸⁸³, თუმცა, მონოპოლიის შექმნა-შენარჩუნებით ხელისუფლება, ფაქტობრივად, გამოიციხავს სამომავლოდ იმის შანსს, რომ კერძო სექტორმა თავისით მოაგვაროს არსებული პრობლემები და შექმნას ჯანსაღი სექტორი, რომელიც საჯარო მხარდაჭერის გარეშე შეძლებს წარმატებით ფუნქციონირებას.

გარდა მონოპოლიებთან დაკავშირებული პრობლემისა, თანამედროვე აკადემიურ ლიტერატურაში ასევე საკმაოდ გავრცელებულია პოზიცია, რომ სახელმწიფოს მიერ მართული ბიზნესი ძირითად შემთხვევებში უფრო ნაკლებად ეფექტური და წარმატებულია, ვიდრე მისგან სრულიად დამოუკიდებელი კომერციული იურიდიული პირის საქმიანობა იქნებოდა⁸⁸⁴. ასეთი მოსაზრებების თანახმად, მოცემული ფაქტი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ კომერციული აქტივობის განხორციელების გზით ხდება სახელმწიფოს ხელთ არსებული რესურსების არაეფექტურად გამოყენება, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს საყოველთაო კეთილდღეობას⁸⁸⁵.

ზემოთ განხილულის გარდა, ასევე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ჩარევა ყოველთვის არაბუნებრივ ხასიათს ატარებს და არღვევს თავისუფალი ბაზრის ეკვილიბრიუმს⁸⁸⁶. შედეგად, თუნდაც მიზანი და მეთოდი სრულიად ლეგიტიმური იყოს, ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, ეს მაინც გაუმართლებელია⁸⁸⁷. თუკი სფეროში ისედაც სახეზეა კერძო სუბიექტები, ისინი არაპროპორციულად დაზარალებიან სახელმწიფოს მონაწილეობის შედეგად, რადგანაც მათ უეცრად გაუჩნდებათ კონკურენტი, რომლის დამარცხებაც, დიდი ალბათობით, შეუძლებელი იქნება⁸⁸⁸. შედეგად, ხელისუფლება, რომელიც წესით ეკონომიკას უნდა ეხმარებოდეს, თავისი ქმედებით პირველ რიგში კომერციული

⁸⁸³ Milhaupt, C.J. Zheng, W. Beyond ownership: State capitalism and the Chinese firm. *Georgetown Law Journal*, 103. 2015. 665-722.

⁸⁸⁴ Goldeng, E. Grunfeld, L.A. Benito, G. The Performance Differential between Private and State Owned Enterprises: The Roles of Ownership, Management and Market Structure. *Journal of Management Studies*, 45.7. 2008. 1244-1273.

⁸⁸⁵ Megginson, M. Netter, J. From State to Market: a Survey of Empirical Studies on Privatization. *Journal of Economic Literature*, 39. 2001. 321-389.

⁸⁸⁶ Borlini, L.S. When the Leviathan Goes to the Market: A Critical Evaluation of the Rules Governing State-Owned Enterprises in Trade Agreements. *Leiden Journal of International Law*, 33.2. 2019. 1-32.

⁸⁸⁷ Munir, K. Naqvi, N. Privatization in the land of believers: the political economy of privatization in Pakistan. *Modern Asian Studies*, 51.6. 2017. 1695-1726.

⁸⁸⁸ Shidarta, S. Van Huis, S.C. Between Revenues and Public Service Delivery SOE s and PSA s in Indonesia. *Journal of the Humanities and Social Sciences of Southeast Asia*, 176.3. 2020. 304-337.

წარმონაქმნების დაზარალებას უზრუნველყოფს. მეორემხრივ კი, თუკი სახეზე არ არის კონკურენცია, საკითხი სხვაგვარად დგას. თუკი სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე ესა თუ ის სექტორი ვერ ახერხებს, დააინტერესოს ბიზნესი, რომ მასში ინვესტიცია განახორციელოს, სადავო ხდება, საერთოდ არის თუ არა ასეთი სფეროს დახმარება მიზანშეწონილი. ნებისმიერი სახის რესურსების დახარჯვამდე აუცილებელია იმის შემოწმება, ნამდვილად არის თუ არა ამ სექტორის წინ წამოწევა საჭირო ან, საერთოდ, სასურველი. ხშირად, ვიღებთ მდგომარეობს, რომ პოლიტიკური საჭიროებების გამო ან სხვა მიზეზებისგან გამომდინარე ასეთი კითხვის დასმა საერთოდ არ ხდება ან მასზე პასუხი არასწორად გაიცემა, რასაც კვლავ სახელმწიფოს რესურსების გაფლანგვამდე და ეროვნული ეკონომიკის არასწორი მიმართულებით განვითარების ფაქტამდე მივყავართ⁸⁸⁹.

ნებისმიერ შემთხვევაში, სადავო არ არის, რომ ხელისუფლების მიერ სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაზე⁸⁹⁰. ამიტომ, აუცილებელია, შესწავლილი იყოს ყველა ის შესაძლო საფრთხე, რომელიც ასეთი არსებითი ნაბიჯისაგან გამომდინარეობს და წარმოდგენილი იქნას რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითაც შესაძლებელი იქნება რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

5.1. ლეგიტიმური მიზნის გარეშე მოქმედების ეკონომიკური შედეგები

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ლეგიტიმური მიზნის გარეშე სახელმწიფოს მიერ კომერციულ აქტივობაში ჩარევა ფუნდამენტურ პრობლემებს ქმნის ქვეყნის სამართლებრივი სტრუქტურებისათვის. ამასთან, პირდაპირი საფრთხე თავად ეკონომიკურ სისტემასაც ემუქრება. ასეთი მიზნის გარეშე ხელისუფლების მოღვაწეობა სამეწარმეო საქმიანობაში ნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელს უშლის თავისუფალ ბაზარს⁸⁹¹ და, ამავდროულად, საკუთარ რესურსებსაც არასწორად ხარჯავს⁸⁹². შედეგად, ხდება მძიმე და, ზოგჯერ, შეუქცევადი ზიანის მიყენება ეროვნული ეკონომიკისათვის⁸⁹³.

⁸⁸⁹ Willemys, I. Disciplines on State-Owned Enterprises in International Economic Law: Are We Moving in the Right Direction? *Journal of International Economic Law*, 19.3. 2016. 657-680.

⁸⁹⁰ Gillis, M. The Role of State Enterprises in Economic Development. *Social Research Journal*, 47.2. 1980. 248-289.

⁸⁹¹ Bergh, A. Hayekian welfare states: explaining the coexistence of economic freedom and big government. *Journal of Institutional Economics*, 16.1. 2020. 1-12.

⁸⁹² Lu, X. Booty Socialism, Bureau-Preneurs, and the State in Transition: Organizational Corruption in China. *Comparative Politics*, 32.3. 2000. 273-294.

⁸⁹³ Clarke, D.C. Law without Order in Chinese Corporate Governance Institutions. *Northwestern Journal of International Law & Business*, 30.1. 2010. 131-199.

ლეგიტიმური მიზნის გარეშე მოქმედებისაგან გამომდინარე საფრთხე, ძირითადად, უკავშირდება იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოს ჩართულობა ეკონომიკაში აქსიომატურად ნეგატიურ მოვლენად განიხილება, თუკი ის რაიმე საჯაროსამართლებრივ მიზანს არ ემსახურება⁸⁹⁴. როგორც წინამდებარე ნაშრომში უკვე იყო შესწავლილი, გამართლებული საფუძვლის გარეშე მოქმედებით ხელისუფლება ზიანს აყენებს საკუთარ თავს, ქვეყნის ეკონომიკასა და ფართო საზოგადოებას. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ რესურსების არასწორად ხარჯვა ზოგჯერ პრობლემათა მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს და შესამჩნევად უფრო მნიშვნელოვანი საფრთხეც არსებობს. კერძოდ კი, საფრთხე გამომდინარეობს იქიდან, თუ სინამდვილეში რა არის ხელისუფლების ორგანოთა მიზანი, როდესაც კომერციაში ჩარევას წყვეტენ, მიუხედავად იმისა, რომ ამის ლეგიტიმური საფუძველი არ გააჩნიათ.

გამოწვეული ზიანის მოცულობა სწორედ იმაზეა დამოკიდებული, სინამდვილეში რას ემსახურება სახელმწიფოს ქმედებები. ძირითადად, სახეზე რამდენიმე ტიპის ალტერნატივა არსებობს. ზოგი მათგანი შედარებით ნაკლებად პრობლემურია, თუმცა მაინც შეიძლება, მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვიოს. ასეთთა შორისაა, მაგალითად, შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს შეიძლება, მიაჩნდეს, რომ მას ნამდვილად გააჩნია ლეგიტიმური მიზანი და, უბრალოდ, შეცდომაში იყოს შეყვანილი⁸⁹⁵. ალტერნატიულად, ხელისუფლების წარმომადგენლებს შემოსავლის მიღების სურვილი შეიძლება, ამოძრავებდეთ, რათა შემდგომ ეს შემოსავალი საჯაროსამართლებრივი მიზნების მიღწევას მოახმარონ⁸⁹⁶.

ზემოთ მოცემული პოტენციური შემთხვევები, თავის თავში, ისედაც პრობლემურია, რაც ქვემოთ შედარებით უფრო დეტალურად იქნება განხილული. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ სახეზე უფრო სახიფათო ალტერნატივაც არსებობს. შესაძლებელია, სახელმწიფო კომერციაში ერეოდეს იმიტომ, რომ მას სურდეს, აკონტროლოს ეკონომიკა ან მისი რომელიმე სექტორი⁸⁹⁷. ანაც, კიდე

⁸⁹⁴ Milhaupt, C.J. Zheng, W. Beyond ownership: State capitalism and the Chinese firm. *Georgetown Law Journal*, 103. 2015. 665-722.

⁸⁹⁵ Huang, X. Reform of state-owned enterprises and productivity growth in China. *Asian-Pacific Economic Literature*, 33.1. 2019. 64-77.

⁸⁹⁶ Chakrabarti, A.B. Mondal, A. Can commercialization through partial disinvestment improve the performance of state-owned enterprises? The case of Indian SOEs under reforms. *Journl of General Management*, 43.1. 2017. 5-14.

⁸⁹⁷ Todorovic, I. Darabos, M. Duh, M. Performance of State Owned Electric Utilities – Case of Bosnia and Herzegovina, Slovenia and Croatia. *Journal of Corporate Governance, Insurance, and Risk Management*, 2.2. 2015. 49-65.

ერთი ვარიანტი არის ის, რომ ასეთი ნაბიჯები არა სამართლებრივი, არამედ უკანონო, კორუფციული სქემების შედეგად იყოს გადადგმული⁸⁹⁸.

პირველ რიგში, განსახილველია შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოს მიაჩნია, რომ მოქმედებს ლეგიტიმური მიზნით. ასეთებს შორის, პრაქტიკაში, გვხვდება შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოს მიაჩნდა, რომ მისი ჩარევა აუცილებელი იყო, თუმცა ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა. მაგალითად, როდესაც ხდება ეკონომიკის სექტორის სტიმულირება, მაშინ, როდესაც ამის საჭიროება არ არსებობდა⁸⁹⁹. ასეთ შემთხვევებში სახეზე არ არის ფუნდამენტური პრობლემები ქვეყნის მმართველობასთან დაკავშირებით⁹⁰⁰ და, რეალურად, უსაფუძვლოდ მოქმედება, ხშირად, განპირობებულია არა რაიმე დანაშაულებრივი ან ფუნდამენტურად მიუღებელი ფაქტორებით, არამედ არაზუსტი ინფორმაციით. შედეგად, ასეთ დროს, პოტენციური ზიანი შეზღუდულია. პრაქტიკულად, საფრთხე მხოლოდ ორი წყაროდან მომდინარეობს. ერთი მხრივ, სახეზეა პირდაპირი ზარალი, მეორე მხრივ კი შენარჩუნებულია საშიშროება ახალი ზიანისა, რომელიც ხსენებულმა არაზუსტმა ინფორმაციამ და მისმა წყარომ მომავალში შეიძლება, გამოიწვიოს.

პირდაპირი ზარალი ორგვარი შეიძლება, იყოს. პირველ რიგში, სახეზეა სახელმწიფოს რესურსების არასწორად გამოყენება. როგორც უკვე ითქვა, არასათანადო მიზნით მოქმედებისას ხელისუფლების მიერ კომერციული ნაბიჯების გადადგმას აუცილებლად მოჰყვება მნიშვნელოვანი თანხების არასწორად დახარჯვა⁹⁰¹. ეს ხარჯები, შეიძლება, რომ მოხმარებოდა სხვა ფუნქციებს, რის შედეგადაც საჯაროსამართლებრივი მიზნები უკეთ იქნებოდა მიღწეული და საზოგადოება უფრო მაღალი ღირებულების სიკეთეს მიიღებდა სანაცვლოდ.

ამასთან, პირდაპირი ზარალის ნაირსახეობად შეიძლება, აღქმული იყოს ის ზიანიც, რომელიც ბაზარზე მოღვაწე კომერციულ მოთამაშეებს მიადგებათ. თავისი არამართებული ქმედებით სახელმწიფო უზრუნველყოფს იმას, რომ ეკვილიბრიუმში ირღვევა და ყველა კომპანია, რომელიც შესაბამის სფეროში მოღვაწეობდა, უარეს მდგომარეობაშია, ვიდრე მის ჩარევამდე იყო. აღსანიშნავია, რომ ასეთი ზიანი ზოგჯერ სახეზე არ არის, რადგანაც შესაძლოა, ჩარევა საჭირო არ იყო, რადგანაც სექტორი, რომელშიც ხელისუფლება ჩაერია, არ მოიცავდა

⁸⁹⁸ Nurgozhayeva, R. State Ownership in Terms of Transition: Curse or Blessing. *Cornell International Law Journal*, 50. 2017. 47-76.

⁸⁹⁹ Yin, Z. Liu, L. Wang, H. Wen, F. Study on the ownership balance and the efficiency of mixed ownership enterprises from the perspective of heterogeneous shareholders. *PLOS One Journal*, 13.4. 2018. 1-21.

⁹⁰⁰ Gaio, C. Pinto, I. Rodrigues, L. Are State-Owned Firms Less Profitable Than Non-Stateowned Firms? *European Evidence. The European Journal of Management Studies*, 21.1. 2016. 3-24.

⁹⁰¹ Dutta, N. Sobel, R. Does corruption ever help entrepreneurship? *Small Business Economics*, 47.1. 2016. 179-199.

აქტიურ მოთამაშეებს (რადგანაც სექტორი ისედაც „მკვდარი“ იყო და სულაც არ იყო აუცილებელი მისი „გაცოცხლება“)⁹⁰².

რაც შეეხება არაზუსტი ინფორმაციის არსებობიდან გამომდინარე საფრთხეს, მისი იგნორირება დაუშვებელია. თუკი სახელმწიფო ერთხელ იყო შეცდომაში შეყვანილი, ხშირად შეუძლებელია იმის გამორიცხვა, რომ იგივე აღარ განმეორდება. ზოგჯერ, რა თქმა უნდა, შეცდომა უნიკალური და ინდივიდუალური შემთხვევებისაგან გამომდინარეობს და ისინი განმეორებას არ ექვემდებარება, თუმცა, რეალურად, ასეთი შემთხვევები იშვიათია. ამიტომ, თუკი მოხერხდება იმის იდენტიფიცირება, რომ სახელმწიფოს მიერ ლეგიტიმური მიზნის გარეშე კომერციულ აქტივობაში ჩარევა განპირობებული იყო მკვდარი ინფორმაციით, საჭიროა ასეთი ინფორმაციის წყაროს მოძებნა და საჭირო ცვლილებების განხორციელება, რათა იდენტური შემთხვევის კვლავ დადგომა გამოირიცხოს.

არსებობს პოზიციები, რომ არასწორ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოქმედებისას სახეზეა ყველაზე ნაკლებად პრობლემატური ვარიანტი სახელმწიფოს მიერ ლეგიტიმური მიზნის გარეშე ბიზნესში ჩარევისა⁹⁰³. ასეთ დროს სახეზე ხშირად ასე თუ ისე ინდივიდუალური შეცდომებია, რომლების გამოსწორებაც შესაძლებელია და რომლებიც არ მიუთითებენ სტრუქტურული რეფორმების აუცილებლობაზე. სახელმწიფოს განზრახვა მართებული და ლეგიტიმურია, უბრალოდ დაშვებულია შეცდომა პროცესში. რაც შეეხება ეკონომიკურ ზიანს, პრაქტიკაში, ხშირად ისიც ყველაზე ნაკლებია, რადგანაც შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში, როგორც წესი, ხდება მისი გამოსწორება და ზარალი მინიმუმამდეა დაყვანილი⁹⁰⁴.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ხელისუფლება კომერციაში მონაწილეობას მხოლოდ მოგების მიღების სურვილის გამო ახორციელებს. როგორც წინამდებარე ნაშრომში უკვე იყო განხილული, იმისათვის, რომ ასეთი ქმედება გამართლებული იყოს, სახელმწიფო ერთდროულად კერძო ბიზნესზე უკეთესი მეწარმეც უნდა იყოს და მიღებულ შემოსავალსაც კერძო სექტორზე უკეთ ხარჯავდეს (ისე, რომ ამით საჯარო კეთილდღეობის დონე უფრო მეტად იზრდებოდეს). აკადემიური კონსენსუსით, რომელიც ზემოთ წარმოდგენილია, სახელმწიფო ნამდვილად ვერ ჩაითლება დამოუკიდებელ ბიზნესზე უკეთეს კომერსანტად და მას არც მიღებული შემოსავლის უკეთ ხარჯვაზე უნდა ჰქონდეს

⁹⁰² Willemys, I. Disciplines on State-Owned Enterprises in International Economic Law: Are We Moving in the Right Direction? *Journal of International Economic Law*, 19.3. 2016. 657-680.

⁹⁰³ Milhaupt, C.J. Zheng, W. Beyond ownership: State capitalism and the Chinese firm. *Georgetown Law Journal*, 103. 2015. 665-722.

⁹⁰⁴ Clarke, D.C. Law without Order in Chinese Corporate Governance Institutions. *Northwestern Journal of International Law & Business*, 30.1. 2010. 131-199.

პრეტენზია⁹⁰⁵. ეს, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ღირსეული მიზანი, საყოველთაო კეთილდღეობისათვის ზრუნვა, ვერ იქნება საკმარისად ეფექტურად მიღწეული, თუკი საჯარო ხელისუფლება მეწარმეობაზე იქნება ორიენტირებული მხოლოდ იმიტომ, რომ მიიღოს შემოსავალი⁹⁰⁶. ეს ფაქტი ჭეშმარიტებად რჩება ისეთ შემთხვევებშიც, თუკი სახელმწიფოს მიერ ბიზნესის წარმოების შედეგად მიღებული მოგება საჯარო მიზნებს მოხმარდება სწორედ საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევის მიზნით⁹⁰⁷.

შედეგად, არასასურველია, ხელისუფლება მხოლოდ „ფულის შოვნის“ დანიშნულებით ერეოდეს პირდაპირ კომერციულ საქმიანობაში. მის ხელთ სხვა არაერთი ინსტრუმენტი, რათა დადებითი გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ სისტემაზე, და ბიზნესის წარმოება არ არის ამისათვის იდეალური ინსტრუმენტი⁹⁰⁸. აღნიშნულის გათვალისწინებით, არამართებულმა ქმედებამ შეიძლება, გამოიწვიოს დაახლოებით იგივე სახის ზიანი, რაც ზემოთ უკვე განხილულ, არასწორ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოქმედების შემთხვევაში. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მოცემული ვარიაციის არსებობისას სახელმწიფომ იცის, რა სურს და სწორედ ამ მიზანს ემსახურება, თუმცა მის მიერ გამოყენებული საფუძველი ლეგიტიმური არ არის. ამიტომ, ზიანის სახეობა კვლავ ორგვარია, თუმცა ამჯერად სახეზე მხოლოდ პირდაპირ ზიანია, მაგრამ მისი მოცულობა გარკვეულწილად იზრდება.

პირდაპირი ზიანი, მოცემულ შემთხვევაში, არსებითად იდენტურია წინა შემთხვევისა და მოიცავს როგორც სახელმწიფო რესურსების არასწორ ხარჯვას, ისე თავისუფალ ბაზარზე ზედმეტი არეულობის შეტანას⁹⁰⁹⁹¹⁰. განმასხვავებელ ფაქტორად გვევლინება ის, რომ პრაქტიკაში, ასეთ დროს, ზიანი შეიძლება, უფრო ხანგრძლივად იყოს სახეზე. წინა ინსტანციაში, როდესაც სახელმწიფო აღმოაჩენს, რომ მცდარი ინფორმაციის საფუძველზე მოქმედებს, ხშირად წყვეტს კომერციაში ჩარევას⁹¹¹. იმავეს თქმა ამ შემთხვევაში ნაკლებადაა შესაძლებელი და როდესაც

⁹⁰⁵ Duckett, J. The emergence of the entrepreneurial state in contemporary China. *The Pacific Review*, 9.2. 1996. 180-198.

⁹⁰⁶ Nagal-Meger, P. The Quality of Business Legal Environment and Its Relation with Business Freedom. *International Journal of Contemporary Management*. 17.2. 2018. 111-136.

⁹⁰⁷ Esposito, P. Dicorato, S.L. Sustainable Development, Governance and Performance Measurement in Public Private Partnerships (PPPs): A Methodological Proposal. *Sustainability*, 12.14. 2020. 1-25.

⁹⁰⁸ Obara, C. Ogoun, S. Fiscal transparency, accountability, and corporate collapse: A post-mortem analysis of failure of state-owned enterprises (SOEs) in Nigeria. *Research Journal of Finance and Accounting*, 5. 2014. 183-190.

⁹⁰⁹ Gaio, C. Pinto, I. Rodrigues, L. Are State-Owned Firms Less Profitable Than Non-Stateowned Firms? European Evidence. *The European Journal of Management Studies*, 21.1. 2016. 3-24.

⁹¹⁰ Yin, Z. Liu, L. Wang, H. Wen, F. Study on the ownership balance and the efficiency of mixed ownership enterprises from the perspective of heterogeneous shareholders. *PLOS One Journal*, 13.4. 2018. 1-21.

⁹¹¹ Clarke, D.C. Law without Order in Chinese Corporate Governance Institutions. *Northwestern Journal of International Law & Business*, 30.1. 2010. 131-199.

საჯარო ორგანოებს გადაწყვეტილი აქვთ, რომ მათთვის საჭიროა ამა თუ იმ მიზნით შემოსავლის მიღება, შესამჩნევად უფრო რთულია იმის დასაბუთება, რომ ეს ხელისუფლების მიერ კომერციაში ჩართვის ლეგიტიმურ მიზნად ვერ იქნება განხილული⁹¹². ამიტომ, შეიძლება იმაზე საუბარი, რომ მოგების მიღების მიზნით მოქმედებისას სახელმწიფოს მიერ გამოწვეული პირდაპირი ხასიათის ზიანი გარკვეულწილად უფრო დიდი მოცულობისაა, ვიდრე ექვივალენტური ხასიათის ზარალი, რომელიც დგება მაშინ, როცა ხელისუფლების ორგანოები მცდარი ინფორმაციის საფუძველზე დგამენ შესაბამის ნაბიჯებს. სანაცვლოდ კი, ფაქტად რჩება ის, რომ სხვა ირიბი საფრთხე სახეზე აღარ არის (როგორცაა არასწორი ინფორმაციის არსებობის გამო მომავალში ახალი რისკების წარმოშობის შესაძლებლობა). ამიტომ, ჯამში, შეიძლება იმაზე საუბარი, რომ განხილული ორი შემთხვევა ასე თუ ისე იდენტურია მათ შემთხვევაში ეკონომიკისათვის მიყენებული ზიანის თვალსაზრისით.

რაც შეეხება არამართებული მიზნით მოქმედების შემდეგ ნაირსახეობას, ასეთად ეკონომიკის კონტროლის სურვილი შეიძლება, იყოს განხილული. შესაძლოა, სახეზე იყოს მხოლოდ ერთ-ერთი სექტორის, მთლიანი სფეროს, ან, ექსტრემალურ მაგალითებში, მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის კონტროლის მოთხოვნილება სახელმწიფოს მხრიდან.

როგორც ზემოთ უკვე იქნა განხილული, სახელმწიფოს მიერ კომერციული საქმიანობის გამართლება, თუკი მისი ერთადერთი მიზანი ეკონომიკის სტრატეგიული სექტორის, მისი განშტოების ან მთლიანად ეკონომიკის კონტროლი იქნება, შეუძლებელია⁹¹³. საჯარო ხელისუფლების მიერ სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელია, სახეზე იყოს ლეგიტიმური საფუძველი შესაბამისი ქმედებისათვის, და, როგორც წინამდებარე ნაშრომში იქნა წარმოჩენილი, ასეთად ვერ იქნება განხილული ეკონომიკის ან მისი ნაწილის კონტროლის მოთხოვნილება⁹¹⁴.

რაც შეეხება ზიანის მოცულობას, ის დამოკიდებულია ორ ძირითად ფაქტორზე. ესენია: ეკონომიკის რამდენად დიდი ნაწილის კონტროლს ცდილობს სახელმწიფო და მოითხოვს თუ არა იგი მონოპოლიას.

აკადემიურ ლიტერატურაში გავრცელებული და დამაჯერებლად მიჩნეულია მოსაზრება, რომ სახელმწიფოს მიერ მართული ბიზნესი, როგორც წესი უფრო

⁹¹² Milhaupt, C.J. Zheng, W. Beyond ownership: State capitalism and the Chinese firm. *Georgetown Law Journal*, 103. 2015. 665-722.

⁹¹³ Latipulhayat, A. State Control and the Privatisation of the Indonesian Telecommunications Industry: From Ownership to Regulation. *Journal of International Commercial Law and Technology*, 5.2. 2010. 58-72.

⁹¹⁴ Wang, J. The Political Logic of Corporate Governance in China's State-Owned Enterprises. *Cornell International Law Journal*, 47.3. 2014. 631-669.

ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე იმავე დონისა და შესაძლებლობის მქონე ჭეშმარიტად დამოუკიდებელი კომერციული იურიდიული პირის საქმიანობა იქნებოდა⁹¹⁵. ეს ფაქტი კი ნიშნავს, რომ კომერციაში აქტიურად ჩარევის შედეგად ხდება სახელმწიფოს ხელთ არსებული რესურსების არაეფექტურად გამოყენება, რაც ზიანს აყენებს საყოველთაო კეთილდღეობას⁹¹⁶. სახელმწიფო კერძო ბიზნესზე ნაკლებად ეფექტური მეწარმეა და. შედეგად, უმჯობესია, თუკი ის ორიენტირებას მოახდენს საჯაროსამართლებრივ საქმიანობაზე.

ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, ადვილი გასაკეთებელი დასკვნაა, რომ რაც უფრო მოცულობითია სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში, მით უფრო დიდი იქნება ზარალი. კერძოდ კი, ის სფეროები, რომლებშიც სახელმწიფო მონაწილეობს, შედარებით უფრო ნაკლებად ვითარდებიან⁹¹⁷, ბევრად უფრო ნაკლებად ახერხებენ საუკეთესო ადამიანური რესურსების მოზიდვას⁹¹⁸, და, ზოგადად, შესამჩნევად უფრო ნაკლებად მომგებიანი არიან⁹¹⁹. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში აქტიურად ჩართულობა და მისი ნაწილის, სექტორის, ან მთლიანობის მართვა, ავტომატურად, ეკონომიკური ზიანის მომტან ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. ზარალის ოდენობა კი პირდაპირპროპორციულია იმისა, თუ რა მოცულობის ნაწილს აკონტროლებს საჯარო ხელისუფლება.

რაც შეეხება მეორე ფაქტორს, ის მნიშვნელოვანია, რადგანაც თუკი სახელმწიფო მონოპოლიას ფლობს, ის ერთადერთი მოთამაშეა შესაბამის ბაზარზე და სრულად გამოირიცხება იმის შესაძლებლობა, რომ კერძო სექტორმა შეძლოს რაიმე დადებითი გავლენის მოხდენა^{920,921}. მონოპოლიებთან დაკავშირებული საკითხები ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ სფეროს, რომელსაც ხელისუფლება აკონტროლებს მონოპოლიის სახით, ადგება

⁹¹⁵ Goldeng, E. Grunfeld, L.A. Benito, G. The Performance Differential between Private and State Owned Enterprises: The Roles of Ownership, Management and Market Structure. *Journal of Management Studies*, 45.7. 2008. 1244-1273.

⁹¹⁶ Megginson, M. Netter, J. From State to Market: a Survey of Empirical Studies on Privatization. *Journal of Economic Literature*, 39. 2001. 321-389.

⁹¹⁷ Benassi, M. Landoni, M. State-owned enterprises as knowledge-explorer agents. *Industry and Innovation*, 26.2. 2019. 218-241.

⁹¹⁸ Sutiyono, W. Human Resource Management in State-Owned and Private Enterprises in Indonesia. *Bulletin of Indonesian Economic Studies*, 47.3. 2007. 377-394.

⁹¹⁹ Jakob, B. Performance in Strategic Sectors: A Comparison of Profitability and Efficiency of State-Owned Enterprises and Private Corporations. *The Park Place Economist*, 25. 2017. 9-20.

⁹²⁰ Long, T.T. Anti-Competitive Behaviour of State Monopolies from the Economics Approach with Reference to Vietnam's State Monopolies. *Asian Journal of Law and Economics*, 10.1. 2018. 35-44.

⁹²¹ Lopes Júnior, E.P. Camara, S.F. Rocha, L.G. Brasil, A. Influence of corruption on state-owned enterprise expenditures. *Brazilian Journal of Public Administration*, 52.4. 2018. 695-711.

დაახლოებით ორჯერ უფრო დიდი ზიანი, ვიდრე მაშინ, როდესაც ის უბრალოდ ყველაზე დიდი მოთამაშეა, მაგრამ კონკურენტებს მაინც ინარჩუნებს⁹²².

მოცემული საფუძვლით სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობა ზემოთ განხილულ ორ შემთხვევას შესამჩნევად უფრო აღემატება გამოწვეული ზიანის თვალსაზრისით. ასეთ დროს, ეკონომიკის ერთი სექტორი (ან, უარეს შემთხვევაში, კიდევ უფრო დიდი ნაწილი) ხელისუფლებას, ფაქტობრივად, მძევლად ჰყავს აყვანილი და ხელს უშლის მას განვითარებაში. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში მონაწილეობას ნამდვილად შეიძლება, დადებითი გავლენა ჰქონდეს, თუმცა ამის მისაღწევ საშუალებად ამა თუ იმ სფეროს მონოპოლიზება ან მასზე აბსოლუტური კონტროლის შენარჩუნება ნამდვილად ვერ ჩაითვლება.

და ბოლოს, ხელისუფლების ორგანოთა მიერ სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის ყველაზე საზიანო და პრობლემატურ საბაზად გვევლინება კორუფცია ან სხვა უკანონო საფუძველი. ასეთ დროს ზიანის გამოთვლა განსაკუთრებით რთულია, რადგან კორუფციის ან ფართოდ გავრცელებული სხვა დანაშაულებრივი ქმედების (რომელსაც იმდენად აქვს ფეხი მოკიდებული, რომ სახელმწიფოს ქმედებებს განაპირობებს) შეფასება უაღრესად პრობლემატურია⁹²³. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდი გავლენა აქვს მოცემულ დანაშაულებრივ საფუძველს და რამდენად შეიძლება, კვლავ იქონიოს ისეთივე ეფექტი მომავალში.

ისეთ დროს, როდესაც დანაშაულს შეუძლია, წარმართოს ქვეყნის ტრაექტორია, საუბარი ეკონომიკურ ზარალზე არ არის საკმარისი. ასეთ დროს მთლიანი სახელმწიფო სისტემა დაზიანებულია და ფუნდამენტურ რეფორმებს საჭიროებს⁹²⁴. კორუფცია განსაკუთრებით პრობლემური ფაქტორია და მისი შეძლებისდაგვარად ამოძირკვის ან საკმარისად დასუსტების გარეშე ეროვნულ ეკონომიკურ სტრუქტურას ჯანსაღი განვითარების მომავალი არ გააჩნია⁹²⁵. ამიტომ, მოცემული საფუძველი ერთპიროვნულად ყველაზე მძიმე ზიანის გამომწვევ ალტერნატივად უნდა იქნეს განხილული.

ყოველივე ზემოთ მოცემულის შესაბამისად, ფაქტად უნდა იყოს აღქმული, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა საბაზი იქნება გამოყენებული, თუკი სახელმწიფო

⁹²² Megginson, M. Netter, J. From State to Market: a Survey of Empirical Studies on Privatization. *Journal of Economic Literature*, 39. 2001. 321-389.

⁹²³ Liu, P. Li, H. Guo, H. The impact of corruption on firms' access to bank loans: evidence from China. *Economic Research*, 33.1. 2020. 1963-1984.

⁹²⁴ Seregig, I.K. Suryanto, T. Hartono, B. Rivai, E. Prasetyawati, E. Preventing the Acts of Corruption through Legal Community Education. *Journal of Social Studies Education Research*, 9.2. 2018. 138-159.

⁹²⁵ Whelan, G. Gond, J. Chinese State-owned Enterprises and Human Rights: The Importance of National and Intra-organizational Pressures. *Business & Society*, 56.5. 2016. 738-781.

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებული ლეგიტიმური საფუძვლის გარეშე განახორციელებს კომერციაში მონაწილეობის მიღებას, ეს გამოიწვევს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზიანს. ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურების გამართული მუშაობა დამოკიდებულია ხელისუფლების მიერ ჯანსაღი და სათანადო ნაბიჯების გადადგმაზე⁹²⁶, რის გარეშეც მძიმე ზიანის დადგომა გარდაუვალი ხდება⁹²⁷. ამიტომ, სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობაზე, რის ერთ-ერთ აუცილებელ შემადგენელ კომპონენტადაც კი გვევლინება ის, რომ ხელისუფლებამ თავი შეიკავოს სამეწარმეო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისაგან, თუკი მას ამისათვის ლეგიტიმური საფუძველი არ გააჩნია.

5.2. არასათანადო ინსტრუმენტით მოქმედების ეკონომიკური შედეგები

ისევე, როგორც ლეგიტიმური მიზნის გარეშე მოქმედებაა ზიანის მომტანი ეროვნული ეკონომიკისათვის, არასათანადო ინსტრუმენტის გამოყენებასაც შეიძლება, მძიმე ფინანსური ზარალი მოჰყვეს⁹²⁸. ამავედროულად, შეუსაბამო მექანიზმის გამოყენებას, პრაქტიკაში, ძირითადად ერთი და იმავე ხასიათის მონეტარული ზიანი მოჰყვება, მიუხედავად იმისა, თუ რა იყო მისი განმაპირობებელი ფაქტორი⁹²⁹.

როგორც ზევით უკვე იქნა განხილული, სახელმწიფოს მიერ კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობის რამდენიმე ძირითადი ინსტრუმენტი არსებობს, და ყველა მათგანს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები გააჩნია⁹³⁰. პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია არასათანადო მექანიზმით სარგებლობა⁹³¹, რაც ხშირად იმითაა განპირობებული, რომ სახელმწიფოს უკვე გააჩნია შესაბამისი ინსტრუმენტი და

⁹²⁶ Shaheer, N. Yi, J. Li, S. Chen, L. State-Owned Enterprises as Bribe Payers: The Role of Institutional Environment. *Journal of Business Ethics*, 159.1. 2019. 221-238.

⁹²⁷ Nam, V.H. Nguyen, M.N. Nguyen, D.A. Luu, H.N. The impact of corruption on the performance of newly established enterprises: Empirical evidence from a transition economy. *Borsa Istanbul Review*, 20.4. 2020. 383-395.

⁹²⁸ Bao, F. Martek, I. Chen, C. Chan, A.P.C. Yu, Y. Lifecycle Performance Measurement of Public-Private Partnerships: A Case Study in China's Water Sector. *International Journal of Strategic Property Management*, 22.6. 2018. 516-531.

⁹²⁹ Kwan, C.H. China's Unfinished Ownership Reform: Privatization and a Fair and Competitive Environment Remain to be Achieved. Policy Research Institute, Ministry of Finance, Japan, *Public Policy Review*, 16.3. 2020. 1-26.

⁹³⁰ Christensen, L.T. Greve, C. Choosing state owned enterprises over public-private partnerships for infrastructure governance: explaining institutional change with evidence from Denmark's transport sector. *International Public Management Review*, 18.2. 2018. 137-161.

⁹³¹ Tshela, M.F. Constraints for Successful Implementation of Public Private Partnership (PPP) for Tourism Infrastructure Projects. *African Journal of Hospitality, Tourism and Leisure*, 7.4. 2018. 1-10.

არჩევს, იგი გამოიყენოს, ნაცვლად ახალი მეთოდის მოძებნისა⁹³². ამის შედეგია, რომ ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი სამეწარმეო იურიდიული პირები, რომლებიც ყველაზე უნივერსალური და მუდმივმოქმედი წარმონაქმნებია⁹³³, ხშირად გამოიყენება ნაცვლად ისეთი წერტილოვანი მეთოდებისა, როგორცაა სუბსიდირება ან კერძო-საჯარო პარტნიორობა⁹³⁴. შედეგად, ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ არასათანადო ინსტრუმენტით მოქმედება გავრცელებული პრაქტიკაა.

რეალურად, ყველა შემთხვევაში, ზიანის მოცულობა ინდივიდუალურია, თუმცა, როგორც წინამდებარე ნაშრომში უკვე იქნა განხილული, ძირითადი მექანიზმები სხვადასხვა ფუნქციისთვის არათანაბრად გამოსადეგია. შესაბამისად, შეიძლება იმაზე საუბარი, თუ რა შემთხვევები უნდა იქნეს განხილული ყველაზე პრობლემატურად. ესენია:

- სახელმწიფოს მიერ მართული კერძოსამართლებრივი პირები (იქნება ეს ზოგადი კერძო კომპანიები თუ საინვესტიციო ფონდები) ყველაზე ნაკლებად გამოსადეგია და, შედეგად, ყველაზე მეტ ზიანს იწვევენ მაშინ, თუკი მათი გამოყენება მოხდება ხანმოკლე პროექტებში, რომლებიც სტანდარტული მდგომარეობისაგან განსხვავებულ მიდგომას მოითხოვენ და დაუყოვნებლივ მოქმედებას საჭიროებენ⁹³⁵⁹³⁶;
- კერძო საჯარო პარტნიორობა შესაფერისია მხოლოდ ერთჯერადი პროექტების განხორციელებისათვის, ამიტომ, მისი გამოყენება ისე, რომ მიზნად მრავალი სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდეს, განსაკუთრებით მაშინ, თუკი დასაწყისში ეს ყველაფერი წინასწარ არ იქნება განსაზღვრული, განსაკუთრებით პრობლემური იქნება ეროვნული ეკონომიკური სისტემებისათვის⁹³⁷;
- სუბსიდირება (იქნება ეს კომპანიისა თუ კონკრეტული სექტორისა) კარგად მუშაობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთჯერადი, მოკლევადიანი ხასიათი აქვს.

⁹³² Christensen, L.T. Greve, C. Choosing state owned enterprises over public-private partnerships for infrastructure governance: explaining institutional change with evidence from Denmark's transport sector. *International Public Management Review*, 18.2. 2018. 137-161.

⁹³³ Kwan, C.H. China's Unfinished Ownership Reform: Privatization and a Fair and Competitive Environment Remain to be Achieved. Policy Research Institute, Ministry of Finance, Japan, *Public Policy Review*, 16.3. 2020. 1-26.

⁹³⁴ Bao, F. Martek, I. Chen, C. Chan, A.P.C. Yu, Y. Lifecycle Performance Measurement of Public-Private Partnerships: A Case Study in China's Water Sector. *International Journal of Strategic Property Management*, 22.6. 2018. 516-531.

⁹³⁵ Zeng, J.S. State Ownership and Regulatory Costs: A Law and Economic Explanation for the Prevalence of State-Owned Enterprises in China. *Columbia Journal of Asian Law*. 31.1. 2017. 1-62.

⁹³⁶ Goldeng, E. Grunfeld, L.A. Benito, G. The Performance Differential between Private and State Owned Enterprises: The Roles of Ownership, Management and Market Structure. *Journal of Management Studies*, 45.7. 2008. 1244-1273.

⁹³⁷ Niederkofler, M. The Evolution of Strategic Alliance: Opportunities for Managerial Influence. *Journal of Business Venturing*, 6. 1991. 237-257

შესაბამისად, თუკი სუბსიდირება გრძელვადიან პერსპექტივებში იქნება გამოყენებული, ეს გამოიწვევს მისი მიმღების დამოკიდებულებას სუბსიდიებზე და ფუნდამენტურ პრობლემებს შექმნის⁹³⁸.

ყოველივე ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, შეიძლება იმის თქმა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია, რომ თუკი ხელისუფლება გადაწყვეტს, ჩაერიოს კომერციულ აქტივობაში, მან ეს სწორი ინსტრუმენტის გამოყენებით განახორციელოს. საწინააღმდეგო შემთხვევაში არსებითი ფინანსური ზარალი გარდაუვალი იქნება და საჯარო სტრუქტურები ვერ შეძლებენ, ეფექტურად მიაღწიონ დასახულ მიზანს.

5.3. სახელმწიფო, როგორც მონოპოლისტი

კონკურენციის სამართალი რამდენიმე სახის მონოპოლიას იცნობს⁹³⁹. მათ შორისაა კანონისმიერი მონოპოლია⁹⁴⁰, რომელიც, თითქმის ექსკლუზიურად, სახელმწიფო კომპანიებისთვის მინიჭებული პრივილეგიაა⁹⁴¹ და მოიცავს მათთვის კონკურენციის გაწევის კანონით აკრძალვას⁹⁴². გარდა ამისა, არსებობს ასევე ბუნებრივი მონოპოლია⁹⁴³, რომელიც წარმოიშობა, როდესაც ყველანაირი გარეშე დახმარების გარეშე, სრულიად კანონიერად, ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში კომპანია ახერხებს, მოიპოვოს სრული კონტროლი ბაზარზე⁹⁴⁴. პრაქტიკაში არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სახელმწიფო ბუნებრივ მონოპოლიას მოიპოვებს ბაზარზე⁹⁴⁵. და ბოლოს, ასევე არსებობს უკანონო მონოპოლიები, რომლებიც ზემოთ მოცემულთაგან არც ერთ კატეგორიაში არ შედის და, შესაბამისად, მათი არსებობა დაუშვებელია⁹⁴⁶. სამწუხაროდ, არსებობს

⁹³⁸ Alizamir, S. Iravani, F. Mamani, H. An Analysis of Price vs. Revenue Protection: Government Subsidies in the Agriculture Industry. *Management Science*, 65.1. 2019. 1-55.

⁹³⁹ Nie, P. Sun, P. Monopoly Innovation with Exhaustible Resource and Labor Input. *Economic Research Journal*, 25.3. 2012. 690-705.

⁹⁴⁰ Knake, R.N. The Legal Monopoly. *Washington Law Review*, 93.3. 2018. 1293-1337.

⁹⁴¹ Cosar, B. Yilmaz, H. Altindag, E. The Role of State-Owned Enterprises in an Artificial Monopoly Market: The Case of Turkey. *American Journal of Economics and Sociology*, 78.5. 2019. 1171-1199.

⁹⁴² Kathuria, V. Globocnik, J. Exclusionary conduct in data-driven markets: limitations of data sharing remedy. *Journal of Antitrust Enforcement*, 8.3. 2020. 511-534.

⁹⁴³ Panzar, J. Willig, R.D. Free Entry and the Sustainability of Natural Monopoly. *The Bell Journal of Economics*, 8.1. 1977. 1-22.

⁹⁴⁴ Mosca, M. On the origins of the concept of natural monopoly: Economies of scale and competition. *European Journal of the History of Economic Thought*, 15.2. 2008. 317-353.

⁹⁴⁵ Samawati, P. Legal Reasons Underlying Demonopolization by State-Owned Enterprises in Indonesia. *Sriwijaya Law Review*, 3.2. 2019. 124-136.

⁹⁴⁶ Newman, N. Search, Antitrust, and the Economics of the Control of User Data. *Yale Journal on Regulation*, 31.2. 2014. 401-454.

ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საჯარო ორგანოები ასეთი სახის მონოპოლისტად გვევლინებიან⁹⁴⁷⁹⁴⁸.

ხაზგასასმელია, რომ მონოპოლიის არსებობა გარდაუვალ ფაქტად სრულებით არ არის აუცილებელი, რომ გვევლინებოდეს. ხელისუფლების ორგანოების მიერ კომერციულ საქმიანობაში ჩართულობის ინსტრუმენტებს, მათი ბუნების მიუხედავად, ადვილად შეიძლება, არც ჰქონდეთ მონოპოლია ან მასთან მიახლოებული მდგომარეობაც კი⁹⁴⁹ და ბაზრის ჩვეულებრივ მოთამაშეებად მოგვევლინონ. ამისდა მიუხედავად, პრაქტიკაში, ხშირად საწინააღმდეგო მდგომარეობას ვიღებთ⁹⁵⁰.

მონოპოლია, მიუხედავად მისი ნაირსახეობისა, ყოველთვის საზიანოა სახელმწიფოს ეკონომიკისათვის⁹⁵¹. ბაზარზე ერთადერთი მოთამაშის არსებობა, მიუხედავად ასეთი მდგომარეობის განმაპირობებელი მიზეზისა, თითქმის ყოველთვის პრობლემებთან ასოცირდება⁹⁵², რაც განსაკუთრებით იჩენს თავს გრძელვადიან პერსპექტივებში⁹⁵³. შედეგად, თუკი სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება მონოპოლიის შექმნას ან შენარჩუნებას გულისხმობს, ეს ყველა შემთხვევაში დიდ რისკად და პოტენციურ პრობლემად უნდა ჩაითვალოს⁹⁵⁴.

ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ზარალის მოცულობა, ზოგჯერ, შესამჩნევად განსხვავდება ამ სამ შემთხვევაში. ამიტომ, აუცილებელია, მოხდეს ყველა ტიპის შეფასება და მათი არსებობის ეკონომიკური შედეგების გაანალიზება.

⁹⁴⁷ Pitofsky, R. Challenges of the New Economy: Issues at the Intersection of Antitrust and Intellectual Property. *Antitrust Law Journal*, 68. 2001. 913-924.

⁹⁴⁸ Howell, T.R. Wolff, A.W. Howe, R. Oh, D. China's New Anti-Monopoly Law: A Perspective from the United States. *Washington International Law Journal*, 18.1. 2009. 53-95.

⁹⁴⁹ Latipulhayat, A. State Control and the Privatisation of the Indonesian Telecommunications Industry: From Ownership to Regulation. *Journal of International Commercial Law and Technology*, 5.2. 2010. 58-72.

⁹⁵⁰ Samawati, P. Legal Reasons Underlying Demonopolization by State-Owned Enterprises in Indonesia. *Sriwijaya Law Review*, 3.2. 2019. 124-136.

⁹⁵¹ Bennett, M. Collins, P. The Law and Economics of Information Sharing: The Good, The Bad and The Ugly. *European Competition Journal*, 6.2. 2010. 311-337.

⁹⁵² Fox, E.M. Healey, D. When the State Harms Competition - The Role For Competition Law. *Antitrust Law Journal*, 79.3. 2014. 769-820.

⁹⁵³ Abramov, A. Radygin, A. Entov, R. Chernova, M. State ownership and efficiency characteristics. *Russian Journal of Economics*, 3.2. 2017. 129-157.

⁹⁵⁴ Kim, M. Regulating the Visible Hands: Development of Rules on State-Owned Enterprises in Trade Agreements. *Harvard International Law Journal*, 58.1. 2017. 225-272.

წინამდებარე ნაშრომისთვის საინტერესო კანონისმიერი მონოპოლიის ტიპი სახეზეა, როდესაც ბაზარს მთლიანად სახელმწიფო კომპანია აკონტროლებს, და იგი იღებს ასეთი მდგომარეობის დამცავ რეგულაციებს⁹⁵⁵. ეს იწვევს მდგომარეობას, როდესაც საჯარო კომპანია ხელშეუხებელია და მას კონკურენციის სრულებითაც არ უნდა ეშინოდეს. ასეთ შემთხვევაში, ხშირად, ხელისუფლების დაქვემდებარებაში არსებული უკონკურენტო წარმონაქმნები, არასათანადოდ მომგებიანები არიან ან, ზოგ შემთხვევაში, საერთოდ არ იღებენ მოგებას⁹⁵⁶. შედეგად, ჩამოყალიბებულია პრაქტიკა ასეთი წარმონაქმნების დასაცავი ნორმების მიღებისა, რომელთა მიზანია ადნიშნული კომპანიების მომგებიანობის გაზრდა ან მოგების არარსებობის გამართლება⁹⁵⁷. ეს, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ მიიღება საზიანო ნორმატიული აქტები⁹⁵⁸ და, ამავდროულად, ფუნდამენტურად ხელი ეშლება თავისუფალ ბაზარს⁹⁵⁹.

აღსანიშნავია, რომ ასევე შესაძლებელია, არსებობდეს კანონისმიერი მონოპოლია, რომელიც არსებითად არ ვნებს თავისუფალ ბაზარს⁹⁶⁰. მაგალითად, მაშინ, როდესაც ასეთ ბაზარზე შეღწევა კერძო ბიზნესისათვის ისედაც შეუძლებელი იქნებოდა, რაც ხშირად კომუნალურ სერვისებთან დაკავშირებით ხდება⁹⁶¹. თუმცა, ასეთი შემთხვევები შედარებით იშვიათია და კანონისმიერი და ბუნებრივი მონოპოლიების ჰიბრიდად შეიძლება, ჩაითვალოს^{962,963}. შესაბამისად, მათ მიერ გამოწვეული ზიანიც ადნიშნული ორი კატეგორიის მიერ ეკონომიკისათვის მიყენებული ზარალის საშუალო მაჩვენებელთან შეიძლება, იყოს გათანაბრებული.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგჯერ კანონისმიერი მონოპოლია არის არასრული ხასიათის, რაც ნიშნავს, რომ კანონმდებელი მონოპოლისტს ბაზარზე

⁹⁵⁵ Fox, E.M. Healey, D. When the State Harms Competition - The Role For Competition Law. *Antitrust Law Journal*, 79.3. 2014. 769-820.

⁹⁵⁶ Matsushita, M. Lim, C. Taming Leviathan as Merchant: Lingerin Questions about the Practical Application of Trans-Pacific Partnership's State-Owned Enterprises Rules. *World Trade Review*, 19.3. 2020. 402-423.

⁹⁵⁷ Room, R. The Evolution of Alcohol Monopolies and Their Relevance for Public Health. *Contemporary Drug Problems*, 20. 1993. 169-187.

⁹⁵⁸ Long, T.T. Vietnam's State Monopolies: Explanations for Competition Law Concerns. *Kutafin University Law Review*, 5.1. 2018. 270-288.

⁹⁵⁹ Cosar, B. Yilmaz, H. Altindag, E. The Role of State-Owned Enterprises in an Artificial Monopoly Market: The Case of Turkey. *American Journal of Economics and Sociology*, 78.5. 2019. 1171-1199.

⁹⁶⁰ Mosca, M. On the origins of the concept of natural monopoly: Economies of scale and competition. *European Journal of the History of Economic Thought*, 15.2. 2008. 317-353.

⁹⁶¹ Sakyi, K.A. Public Corporation Monopolies - Case Study of Sale of Electricity Company of Ghana (ECG). *Advances in Social Sciences Research Journal*, 6.4. 2019. 148-167.

⁹⁶² Knake, R.N. The Legal Monopoly. *Washington Law Review*, 93.3. 2018. 1293-1337.

⁹⁶³ Panzar, J. Willig, R.D. Free Entry and the Sustainability of Natural Monopoly. *The Bell Journal of Economics*, 8.1. 1977. 1-22.

ექსკლუზიურად მოქმედების უფლების მინიჭების ნაცვლად განსაკუთრებით დიდი მოცულობის პრივილეგიებს ანიჭებს, რაც, ფუნქციურად, ნიშნავს, რომ იგი მონოპოლიას იღებს სახელმწიფოს ხელშეწყობით⁹⁶⁴. ამასთან, პრაქტიკაში, ხშირად სახეზეა საჯარო ხელისუფლების მიერ გარკვეული მონოპოლიების შექმნა წინამდებარე ნაშრომში განხილული ლეგიტიმური მიზნით, რის ერთი მაგალითიც საქართველოს სასამართლო პრაქტიკაშიც გვხვდება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წელს იმსჯელა, რომ, ფაქტობრივი მონოპოლიის მქონე სახელმწიფო კომპანია შპს „საქართველოს ფოსტისათვის“ გარკვეული პრივილეგიების დადგენა (სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან მიმართებაში) კონსტიტუციური და გამართლებული იყო, რადგანაც ასეთი ნაბიჯის შედეგად შესაძლებელი ხდებოდა საფოსტო მომსახურების ქვეყნის სრულ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომ ფასად მიწოდების უზრუნველყოფა⁹⁶⁵. ამასთან, ფაქტად გვევლინება ისიც, რომ კერძო კომპანია, რომელიც აღნიშნული მონოპოლისტისთვის კონკურენციის გაწევას ცდილობდა, დაზარალდა და მიიჩნეოდა, რომ ასეთი რეგულაციის არსებობა გაუმართლებელი იყო. შეუძლებელია იმაზე საუბარი, რომ თუნდაც ნაწილობრივი კანონისმიერი მონოპოლიის არსებობის გარეშე ვერ მოხდებოდა იმავე მიზნის მიღწევა და, ამავდროულად, უდავოა, რომ ასეთმა რეგულაციამ კერძო ბაზრის ზოგიერთი მოთამაშისათვის ზიანი მოიტანა.

შედეგად, ფაქტად რჩება ის, რომ კანონისმიერი მონოპოლია, ნებისმიერ შემთხვევაში, მავნებელია ეკონომიკური სისტემებისათვის⁹⁶⁶. ის ხელს უშლის განვითარებას და სამართლებრივი აქტის გამოყენებით ზღუდავს კერძო ბიზნესს. მის მიერ გამოწვეული ზიანი შედარებით მცირდება იმ თვალსაზრისით, რომ რადგანაც კანონმდებლობის არსებობის შესახებ ინფორმაცია ყოველთვის საჯაროა, არ ხდება ზედმეტი რესურსების დახარჯვა პოტენციური კონკურენტების მიერ, რადგანაც მათ წინასწარ იციან, რომ წარმატება გამორიცხული იქნება⁹⁶⁷. ამიტომ, შეიძლება იმის თქმა, რომ კანონისმიერი მონოპოლია შედარებით უფრო სტაბილურ გარემოს ქმნის, რაც გარკვეულწილად ამცირებს მის მიერ გამოწვეულ ზიანს.

რაც შეეხება მოცემული ნაშრომისათვის რელევანტურ ბუნებრივ მონოპოლიას, ის სახეზეა, როდესაც სახელმწიფო კომპანია ან მსგავსი წარმონაქმნი თავისით,

⁹⁶⁴ Mosca, M. On the origins of the concept of natural monopoly: Economies of scale and competition. *European Journal of the History of Economic Thought*, 15.2. 2008. 317-353.

⁹⁶⁵ გადაწყვეტილება №1/1/655. პირველი კოლეგია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2019. 33-59.

⁹⁶⁶ Long, T.T. Vietnam's State Monopolies: Explanations for Competition Law Concerns. *Kutafin University Law Review*, 5.1. 2018. 270-288.

⁹⁶⁷ Cosar, B. Yilmaz, H. Altindag, E. The Role of State-Owned Enterprises in an Artificial Monopoly Market: The Case of Turkey. *American Journal of Economics and Sociology*, 78.5. 2019. 1171-1199.

საჯარო ორგანოების მხარდაჭერისა და კანონის დარღვევის გარეშე შეძლებს, ბაზრიდან განდევნოს კონკურენტები⁹⁶⁸. არსებობს მოსაზრებები, რომ ასეთ დროს პრობლემა არ არის სახეზე, რადგანაც სახელმწიფოს კუთვნილი მეწარმე უბრალოდ წარმატებულია და ახერხებს, ყველას აჯობოს. შესაბამისად, ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სახეზე არანაირი ზიანი არ არის⁹⁶⁹. მოცემული პოზიცია ვერ იქნება გაზიარებული ორი მნიშვნელოვანი ფაქტორის გამო.

პირველ რიგში, როგორც უკვე არაერთხელ ითქვა, მონოპოლია ყოველთვის ცუდია ეკონომიკური სისტემისათვის. ბუნებრივი მონოპოლია აღნიშნული განცხადებისაგან გამონაკლისს არ წარმოადგენს. ბაზარზე დომინანტი მოთამაშის არსებობა ნიშნავს, რომ მისთვის კონკურენციის გაწევა ყოველთვის ბევრად უფრო რთულია, ვიდრე იქნებოდა, მონოპოლიას რომ არ ეარსება⁹⁷⁰. ამიტომ, თავისუფალი ბაზარი შესამჩნევად ზარალდება. მეტიც, ის, რომ ასეთი მდგომარეობის მოპოვება კანონიერად მოხდა, არ ნიშნავს, რომ მისი შენარჩუნების მიზნით არ მოხდება არამართებული ქმედებების ჩადენა⁹⁷¹. პრაქტიკაში მონოპოლისტები ძალიან ხშირად მზად არიან, უკანონო ქმედებებს მიმართონ, რათა დომინანტი მდგომარეობა არ დაკარგონ. ამიტომ, რეალურად, ბუნებრივი მონოპოლიის არსებობის შემთხვევაშიც სახეზეა შესამჩნევი რისკები და ზარალი.

მეორეხრივ, ის, რომ სახელმწიფოს კუთვნილმა კომპანიამ მონოპოლია აქტიური მხარდაჭერის გარეშე მოიპოვა, არ ნიშნავს, რომ მას ყველა კონკურენტთან მიმართებით დაუმსახურებელი უპირატესობები არ გააჩნდა. მაგალითად, სახელმწიფოს კონტროლქვეშ არსებული წარმონაქმნები დაცული არიან ორი დიდი საფრთხისაგან, რომლის შიშშიც მუდმივად უწევს კერძო ბიზნესს არსებობა - გაკოტრება და სხვა კომპანიის მიერ მისი შესყიდვა⁹⁷². გარდა ამისა, სახელმწიფო ხშირად საკუთარ რესურსებს გადასცემს ასეთ კომპანიებს, რაც ასევე ფუნდამენტურად დიდ უპირატესობას წარმოადგენს⁹⁷³. ამიტომ, თუნდაც

⁹⁶⁸ Liu, F. Zhang, L. Executive turnover in China's state-owned enterprises: Government-oriented or market-oriented? *China Journal of Accounting Research*, 11.2. 2018. 129-149.

⁹⁶⁹ Xu, Z. Birch, M.H. The Economic Performance of State-owned Enterprises in Argentina an Empirical Assessment. *Review of Industrial Organization*, 14. 1999. 355-375.

⁹⁷⁰ Millward, R. Public Enterprise in the Modern Western World: An Historical Analysis. *Annals of Public and Cooperative Economics*, 82.4. 2011. 375-398.

⁹⁷¹ Brodsgaard, K.E. Grunberg, N. Key Points of China's Economic Programme after the Third Plenum of the CPC. *China Report*, 50.4. 2014. 343-359.

⁹⁷² Kloviene, R. Gumzauskiene, E. Performance measurement model formation in state-owned enterprises. *Procedia - Social and Behavioral Sciences*, 156. 2014. 594-598.

⁹⁷³ Talus, K. Long-term natural gas contracts and antitrust law in the European Union and the United States. *The Journal of World Energy Law & Business*, 4.3. 2011. 260-315.

პირდაპირი მხარდაჭერა არ ჩანდეს, იმის თქმა, რომ სახელმწიფო კომპანიას არასამართლიანი უპირატესობა არ მიუღია, ხშირად არასწორია.

ყოველივე ზემოთ მოცემულის შესაბამისად, შეიძლება იმაზე საუბარი, რომ ბუნებრივი მონოპოლიაც შესამჩნევად ზიანის მომტანია ეროვნული ეკონომიკისათვის. პრაქტიკაში, ეს ზიანი ხშირად შედარებით ნაკლებია, ვიდრე კანონისმიერი მონოპოლიისას⁹⁷⁴, რადგანაც არ ხდება არბიტრარულად სფეროს მიტაცება⁹⁷⁵, თუმცა ქვეყნის ეკონომიკას ასეთი მდგომარეობაც მაინც მნიშვნელოვნად აზარალებს⁹⁷⁶.

და ბოლოს, მესამე ნაირსახეობა, უკანონო მონოპოლია, ფიქსირდება, როდესაც სახელმწიფო ან მის დაქვემდებარებაში არსებული წარმონაქმნი კანონმდებლობას არღვევს, რათა დაუმსახურებლად მოიპოვოს ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა⁹⁷⁷. ასეთი შემთხვევები შედარებით იშვიათია, რადგანაც, როგორც უკვე იქნა განხილული, საჯარო ხელისუფლებისთვის ხშირად ხელმისაწვდომია უსამართლო, მაგრამ მაინც კანონიერი გზები ასეთი პირობების შესაქმნელად. თუმცა, ფაქტს წარმოადგენს ის, რომ მსგავსი შემთხვევები მაინც ხდება.

უკანონო მონოპოლია ზემოთ განხილულ ალტერნატივებს შორის ყველაზე მეტად საზიანოა ქვეყნის ეკონომიკისათვის. ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ იგი ორივე მათგანის ყველაზე ნეგატიურ ასპექტებს აერთიანებს. ერთი მხრივ, ასეთ დროს პოტენციურმა კონკურენტმა შეიძლება, არ იცოდეს, რომ ბაზარზე შეღწევა შეუძლებელია და ტყუილად დახარჯოს რესურსები ამის განწირულ მცდელობაში⁹⁷⁸. მეორემხრივ კი, ხშირად ასეთ დროს ბაზარი სრულიად დაკეტილია, რაც კავშირში არაა მასში შეღწევის მსურველთა არარსებობასთან⁹⁷⁹. ამიტომ, ზიანიც იზრდება და, ამავდროულად, ნიშნავს, რომ საჯარო საკუთრებაში არსებულმა კომპანიამ იცის თავისი უპირატესობების შესახებ, ამიტომ მას არანაირი საჭიროება არ გააჩნია იმისა, რომ მოინდომოს ბიზნესის ეფექტურად

⁹⁷⁴ Fletcher, G.S. Legitimate Yet Manipulative: The Conundrum of Open-Market Manipulation. *Duke Law Journal*, 68. 2018. 479-554.

⁹⁷⁵ Li, J. Leniency program in anti-monopoly and its Sinolization. *Frontiers of Law in China*, 4. 2009. 258-279.

⁹⁷⁶ Talus, K. Long-term natural gas contracts and antitrust law in the European Union and the United States. *The Journal of World Energy Law & Business*, 4.3. 2011. 260-315.

⁹⁷⁷ Fletcher, G.S. Legitimate Yet Manipulative: The Conundrum of Open-Market Manipulation. *Duke Law Journal*, 68. 2018. 479-554.

⁹⁷⁸ Cosar, B. Yilmaz, H. Altindag, E. The Role of State-Owned Enterprises in an Artificial Monopoly Market: The Case of Turkey. *American Journal of Economics and Sociology*, 78.5. 2019. 1171-1199.

⁹⁷⁹ Xu, Z. Birch, M.H. The Economic Performance of State-owned Enterprises in Argentina an Empirical Assessment. *Review of Industrial Organization*, 14. 1999. 355-375.

მართვა, რადგანაც მას შეუძლია, უკანონო გზებით შეინარჩუნოს დომინანტური პოზიცია⁹⁸⁰.

ყოველივე ზემოთ მოცემულის შესაბამისად, ფაქტად შეიძლება, იყოს მიჩნეული ის, რომ მონოპოლიის ყველა სახე ფუნდამენტურ ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას. ბუნებრივი მონოპოლია, რომლის მოპოვებაც ყველაზე რთულია, შედარებით ნაკლებად პრობლემატურიც არის, თუმცა მისგან გამოწვეული ზარალი მაინც მძიმე ტვირთი შეიძლება, იყოს. კანონისმიერი მონოპოლია მასზე შედარებით უარეს საფრთხეს წარმოადგენს. რაც შეეხება უკანონო მონოპოლიას, ის ერთპიროვნულად ყველაზე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ეკონომიკური სისტემისათვის და აუცილებელია, რომ ყველაფერი გაკეთდეს ასეთი გარემოების თავიდან ასაცილებლად. ჯამში კი, სახელმწიფომ უნდა სცადოს, რომ თუკი კომერციაში ჩარევას გადაწყვეტს, ეს მონოპოლიის მიღების გარეშე გააკეთოს, რათა საკუთარი მიზნების მიღწევაც შეძლოს და, ამავდროულად, კერძო ბიზნესს მაქსიმალურად ნაკლები ზიანი მიაყენოს.

5.4. სახელმწიფოს მიერ ბიზნესის მართვის ეფექტურობა

საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობის შედეგად ეკონომიკისათვის ზიანის გამომწვევ ფაქტორად ასევე შეიძლება, განხილული იყოს ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო კომპანიები და მსგავსი წარმონაქმნები, ხშირად, უფრო ნაკლებად ეფექტურად მოღვაწეობენ ბაზარზე, ვიდრე მათი კერძო კონკურენტები⁹⁸¹. საჯარო საკუთრებაში არსებული კომპანიები შემოსავლის მიღებას ზოგჯერ საერთოდ ვერ ახერხებენ⁹⁸², სხვა შემთხვევებში კი, მათ ხელთ არსებული რესურსების გათვალისწინებით, იმაზე ნაკლებად წარმატებულნი არიან, ვიდრე ეს მისაღები იქნებოდა კარგად მართული ბიზნესისათვის⁹⁸³. აღნიშნული მდგომარეობა განპირობებულია სახელმწიფოს კუთვნილი სამეწარმეო საზოგადოებებისათვის დამახასიათებელი რამდენიმე გარემოებით, რომლებიც ხელს უშლიან ასეთი კომპანიების წარმატებას.

⁹⁸⁰ Talus, K. Long-term natural gas contracts and antitrust law in the European Union and the United States. *The Journal of World Energy Law & Business*, 4.3. 2011. 260-315.

⁹⁸¹ Jakob, B. Performance in Strategic Sectors: A Comparison of Profitability and Efficiency of State-Owned Enterprises and Private Corporations. *The Park Place Economist*, 25. 2017. 9-20.

⁹⁸² Grout, P.A. Stevens, M. The Assessment: Financing and Managing Public Services. *Oxford Review of Economic Policy*, 19. 2003. 215-234.

⁹⁸³ Goldeng, E. Grunfeld, L.A. Benito, G. The Performance Differential between Private and State Owned Enterprises: The Roles of Ownership, Management and Market Structure. *Journal of Management Studies*, 45.7. 2008. 1244-1273.

პირველი არსებითი განმასხვავებელი ფაქტორია სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული კომპანიებისთვის იმის ცოდნა, რომ მათ ხშირად შეუძლიათ, სახელმწიფოს იმედი ჰქონდეთ⁹⁸⁴. ეს ნიშნავს, რომ საჯარო საკუთრებაში მყოფი სამეწარმეო იურიდიული პირისთვის ცნობილია, რომ თუკი ის საკმარისად დიდი და მნიშვნელოვანია, თუნდაც ის მომგებიანი არ იყოს, ან ფინანსურ გასაჭირში აღმოჩნდეს, ხელისუფლებამ ადვილად შეიძლება, მას დახმარების ხელი გაუწოდოს⁹⁸⁵. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ საჯარო სამსახურში, და, შედეგად, გარკვეულწილად მაინც სახელმწიფოს კუთვნილ კომპანიებშიც რისკების გაწევა შესამჩნევად უფრო ნაკლებად სასურველ ქმედებად ითვლება, ვიდრე კერძო სექტორში^{986,987}. ასეთი კომბინაცია ნიშნავს, რომ სახელმწიფო კომპანია ნაკლებად სწევს რისკებს, რაც წარმატების ალბათობას ამცირებს⁹⁸⁸, თუმცა, ამავდროულად, წარუმატებლობისაც არ ეშინია. შედეგად, მიიღება მდგომარეობა, რომ საზოგადოების მმართველ პირებს აღარ აქვთ საჭიროება, იზრუნონ კომპანიის შემოსავლიანობაზე⁹⁸⁹. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს სახელმწიფოს კუთვნილი სამეწარმეო წარმონაქმნების მომგებიანობის დონის მნიშვნელოვნად შემცირებას.

მეორე მნიშვნელოვან განსხვავებად გვევლინება სხვადასხვა დონის მოლოდინების არსებობის ფაქტი⁹⁹⁰. ხშირად, სახელმწიფო კომპანიებისაგან არ არსებობს დიდი მოგების მიღების მოლოდინი⁹⁹¹. ასეთი მიდგომა არსებობს როგორც ფართო საზოგადოებაში, ისე სახელმწიფო სტრუქტურებშიც, რაც ნიშნავს, რომ თუკი კომპანიის ხელმძღვანელობა ვერ შეძლებს, რომ შემოსავლის მიღება უზრუნველყოს, ეს ფაქტი მისთვის ნეგატიური შედეგებით ადვილად

⁹⁸⁴ Meissner, D. Sarpong, D. Vonortas, N.S. Introduction to the Special Issue on “Innovation in State Owned Enterprises: Implications for Technology Management and Industrial Development. *Industry and Innovation*, 26.2. 2019. 121-126.

⁹⁸⁵ Marimuthu, F. Government assistance to state-owned enterprises: a hindrance to financial performance. *Investment Management and Financial Innovations*, 17.2. 2020. 40-50.

⁹⁸⁶ Walters, A. Ramiah, V. Is it possible to be too risk averse? Considerations for financial management in the public sector. *Applied Economics Letters*, 23.17. 2016. 1-5.

⁹⁸⁷ Dong, H.D. Individual Risk Preference and Sector Choice: Are Risk-Averse Individuals More Likely to Choose Careers in the Public Sector? *Administration & Society*, 49.8. 2017. 1121-1142.

⁹⁸⁸ გვენეტაძე, დ. რისკები და მათთან დაკავშირებული კორპორაციული მართვის პრობლემები. *სამართლის ჟურნალი*, 18.2. 2017. 145-158.

⁹⁸⁹ Heinrich, C. Marschke, G. Incentives and Their Dynamics in Public Sector Performance Management Systems. *Journal of Policy Analysis and Management*, 29.1. 2010. 183-208.

⁹⁹⁰ Grout, P.A. Stevens, M. The Assessment: Financing and Managing Public Services. *Oxford Review of Economic Policy*, 19. 2003. 215-234.

⁹⁹¹ Xu, Z. Birch, M.H. The Economic Performance of State-owned Enterprises in Argentina an Empirical Assessment. *Review of Industrial Organization*, 14. 1999. 355-375.

შეიძლება, არ დასრულდეს⁹⁹². ამიტომ, ამ თვალსაზრისითაც ხელმძღვანელ პირებს არ სჭირდებათ, რომ ყველაფერი გააკეთონ საზოგადოების მომგებიანობის დონის გასაზრდელად.

მესამე ძირითადი განმასხვავებელი გარემოებაა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი კომპანიებისთვის დამახასიათებელი დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი⁹⁹³. ეს ერთდროულად იწვევს კომპანიის ხელმძღვანელობის კომპეტენციის შემცირებას და, ამასთან, საზოგადოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხის გაუარესებას⁹⁹⁴. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ პრაქტიკაში პოლიტიკური გავლენისაგან სახელმწიფო კომპანიების განთავისუფლება, რეალურად, შეუძლებელია⁹⁹⁵. საჯარო მოთამაშეების მიერ კომერციული წარმონაქმნის საქმიანობაში ჩარევა გარდაუვალია⁹⁹⁶, და ასეთი ინტერვენციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იშვიათადაა სასარგებლო თავად კომპანიის ინტერესებისათვის⁹⁹⁷. ჩარევა, კარგ შემთხვევაში, საჯაროსამართლებრივ მიზანს ემსახურება⁹⁹⁸, ხოლო უარეს ინსტანციაში კორუფციული გარიგების შედეგი შეიძლება, იყოს⁹⁹⁹. ნებისმიერ შემთხვევაში კი, მიიღება მდგომარეობა, რომ საზოგადოება ვერ ახერხებს, საკუთარ წარმატებაზე იყოს კონცენტრირებული¹⁰⁰⁰.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ რადგანაც პოლიტიკოსებთან ურთიერთობა სახელმწიფოს კუთვნილი საზოგადოების ხელმძღვანელთათვის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია, ამისათვის საჭირო უნარების ქონა მნიშვნელოვანია

⁹⁹² Goldeng, E. Grunfeld, L.A. Benito, G. The Performance Differential between Private and State Owned Enterprises: The Roles of Ownership, Management and Market Structure. *Journal of Management Studies*, 45.7. 2008. 1244-1273.

⁹⁹³ Groves, T. Hong, Y. McMillan, J. Naughton, B. Autonomy and Incentives in Chinese State Enterprises. *The Quarterly Journal of Economics*, 109.1. 1994. 183-209.

⁹⁹⁴ Jakob, B. Performance in Strategic Sectors: A Comparison of Profitability and Efficiency of State-Owned Enterprises and Private Corporations. *The Park Place Economist*, 25. 2017. 9-20.

⁹⁹⁵ Filho, J.R.F. Alves, C.F. Control mechanisms in the corporate governance of state-owned enterprises (SOEs): a comparison between Brazil and Portugal. *Cadernos Ebape Brazil*, 16.1. 2018. 1-13.

⁹⁹⁶ Alipour, M. Has privatization of state-owned enterprises in Iran led to improved performance? *International Journal of Commerce and Management*, 23.4. 2013. 281-305.

⁹⁹⁷ Lallemand-Kirche, G. Tixier, C. Piffaut, H. The Treatment of State-owned Enterprises in EU Competition Law: New Developments and Future Challenges. *Journal of European Competition Law & Practice*, 8.5. 2017. 295-308.

⁹⁹⁸ Pargendler, M. Musacchio, A. Lazzarini, S.G. In Strange Company: The Puzzle of Private Investment in State-Controlled Firms. *Cornell International Law Journal*, 46. 2013. 569-610.

⁹⁹⁹ Seregig, I.K. Suryanto, T. Hartono, B. Rivai, E. Prasetyawati, E. Preventing the Acts of Corruption through Legal Community Education. *Journal of Social Studies Education Research*, 9.2. 2018. 138-159.

¹⁰⁰⁰ Pargendler, M. Musacchio, A. Lazzarini, S.G. In Strange Company: The Puzzle of Private Investment in State-Controlled Firms. *Cornell International Law Journal*, 46. 2013. 569-610.

მათთვის¹⁰⁰¹. რა თქმა უნდა, ადვილად შეიძლება, რომ პირი ერთდროულად ხსენებულ უნარსაც ფლობდეს და საუკეთესო კომერციული მენეჯერიც იყოს, თუმცა მათ შორის კორელაციის აუცილებლობა არ არსებობს. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ზოგჯერ სახელმწიფო კომპანიების ხელმძღვანელებად ინიშნებიან პირები, რომლებსაც ექვივალენტური კერძო საზოგადოებები ასეთ პოზიციაზე არავითარ შემთხვევაში არ დანიშნავდნენ. მოვლენათა ასეთი განვითარება კი ნეგატიურად აისახება კომპანიის წარმატების შანსებზე.

ზემოთ გაანალიზებული ფაქტორების გათვალისწინებით, აშკარაა, რომ სხვადასხვა გარემოებები ხშირად ხელს უშლის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სამეწარმეო წარმონაქმნებს წარმატების მიღწევაში. შედეგად, მიიღება მდგომარეობა, რომ სახელმწიფო ხარჯავს დიდი ოდენობის რესურსებს, მისი კომპანიები კონკურენციას უწევენ კერძო პირებს, და, შედეგად, მიიღება ბევრად უფრო ნაკლები მოგება, ვიდრე სახეზე იქნებოდა, ეს რესურსები რომ ოპტიმალურად დახარჯულიყო. მიუღებელი შემოსავალი, ბუნებრივია, ზარალის ნაირსახეობად უნდა იყოს განხილული¹⁰⁰², ამიტომ, დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელება, თავის თავში, ქვეყნის ეკონომიკისათვის ავტომატურად ზიანის გამომწვევი ქმედებაა. შედეგად, სახელმწიფოს მხრიდან უმჯობესი იქნება, თუკი მინიმუმამდე დაიყვანს სამეწარმეო საქმიანობაში მის მოღვაწეობას და, ამასთან ერთად, ასეთი ქმედებების შედეგად გამოწვეულ ზარალს.

5.5. სახელმწიფოს ჩარევის შედეგად თავისუფალი ბაზრის ეკვილიბრიუმის დარღვევა

საბოლოოდ, საჯარო ხელისუფლების მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შედეგად ეროვნული ეკონომიკისათვის ზიანის გამომწვევი მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე თავისუფალი ბაზრის ეკვილიბრიუმის დარღვევა¹⁰⁰³. სახელმწიფო, თავისი დიდი ფინანსური შესაძლებლობებითა და მისთვის ხელმისაწვდომი იმ რესურსებით, რომლებიც შესამჩნევად აღემატება კერძო ბიზნესებისას¹⁰⁰⁴, ბაზარზე შესვლით ავტომატურად ახდენს ბალანსის

¹⁰⁰¹ Jakob, B. Performance in Strategic Sectors: A Comparison of Profitability and Efficiency of State-Owned Enterprises and Private Corporations. *The Park Place Economist*, 25. 2017. 9-20.

¹⁰⁰² ტალიაშვილი, თ. შამათავა, ი. ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და აღსრულების ახალი საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში. *სამართლის ჟურნალი*, 22.2. 2019. 12-25.

¹⁰⁰³ Pouikli, K. Kalantzi, F. Dichala, D. Katsoras, E. Evangelia, K.R. The Legal and Socio-Political Context of Urban Sustainability: Experiences from Greece. *Journal of Law, Policy and Globalization*, 95. 2020. 62-76.

¹⁰⁰⁴ Pargendler, M. Musacchio, A. Lazzarini, S.G. In Strange Company: The Puzzle of Private Investment in State-Controlled Firms. *Cornell International Law Journal*, 46. 2013. 569-610.

ფუნდამენტურად ცვლილებას¹⁰⁰⁵. ამით კი მან შეიძლება, გამოიწვიოს ცვლილებებისათვის მოუმზადებელი, თუმცა სხვა მხრივ სრულიად ჯანსაღი კომერციული მოთამაშეების დაზარალება¹⁰⁰⁶ და, შედეგად, ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება.

თავისუფალი ბაზრის ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, რომ ის დარჩეს ხელშეუხებელი სახელმწიფოს მხრიდან¹⁰⁰⁷. აკადემიურ ლიტერატურაში ეს შედეგი მიღწეულად ითვლება მაშინაც, როდესაც ხელისუფლება ბაზარზე მოღვაწეობს, თუმცა მხოლოდ კერძო კომპანიების საშუალებით¹⁰⁰⁸. თუმცა, მაშინ, როდესაც სახელმწიფო თავისი მოცულობითი რესურსების მობილიზებას ახდენს და ბაზარზე დიდი ძვრების მოხდენას იწვევს, ფუნქციურად იგივე შედეგი მიიღება, რაც ხელისუფლების მიერ საჯაროსამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით ჩარევისას - ბაზრის ეკვილიბრიუმი ირღვევა და კომპანიები ზარალდებიან.

როდესაც ბაზარზე შემოდის ძლევამოსილი მოთამაშე, ეს უკვე არსებულ ეკონომიკურ აგენტებს აიძულებს, მოახდინონ ადაპტირება¹⁰⁰⁹. მაგალითად, ისინი შეიძლება, იძულებულნი გახდნენ, დაიწყონ ერთმანეთში თანამშრომლობა, რათა შეძლონ შეცვლილი გარემოებების გადატანა¹⁰¹⁰. სახელმწიფო, ამ თვალსაზრისით, ყველაზე ძლიერ ოპონენტად შეიძლება, იყოს ზოგიერთ შემთხვევაში განხილული¹⁰¹¹. ამიტომ, მისი მოღვაწეობა ავტომატური გარანტიაა იმისა, რომ ბაზრის ეკვილიბრიუმი დაირღვევა და კერძო ბიზნესები ვერ შეძლებენ, გადარჩნენ, თუკი არ მოახდენენ ადაპტირებას ისეთი საფრთხის, რომლის მოლოდინიც მათ, ლოგიკურად, არ უნდა ჰქონოდათ¹⁰¹².

¹⁰⁰⁵ Milhaupt, C.J. Zheng, W. Beyond ownership: State capitalism and the Chinese firm. *Georgetown Law Journal*, 103. 2015. 665-722.

¹⁰⁰⁶ Pargendler, M. Musacchio, A. Lazzarini, S.G. In *Strange Company: The Puzzle of Private Investment in State-Controlled Firms*. *Cornell International Law Journal*, 46. 2013. 569-610.

¹⁰⁰⁷ Borlini, L.S. When the Leviathan Goes to the Market: A Critical Evaluation of the Rules Governing State-Owned Enterprises in Trade Agreements. *Leiden Journal of International Law*, 33.2. 2019. 1-32.

¹⁰⁰⁸ Markus, S. Corporate governance as political insurance: firm-level institutional creation in emerging markets and beyond. *Socio-Economic Review*, 6. 2008. 69-98.

¹⁰⁰⁹ Goldeng, E. Grunfeld, L.A. Benito, G. The Performance Differential between Private and State Owned Enterprises: The Roles of Ownership, Management and Market Structure. *Journal of Management Studies*, 45.7. 2008. 1244-1273.

¹⁰¹⁰ მენაბდიშვილი, ს. ჰორიზონტალური შეთანხმებების შეზღუდვების კონკურენციულ-სამართლებრივი შეფასება. *სამართლის ჟურნალი*, 14.2. 2015. 99-133.

¹⁰¹¹ Borlini, L.S. When the Leviathan Goes to the Market: A Critical Evaluation of the Rules Governing State-Owned Enterprises in Trade Agreements. *Leiden Journal of International Law*, 33.2. 2019. 1-32.

¹⁰¹² Pargendler, M. Musacchio, A. Lazzarini, S.G. In *Strange Company: The Puzzle of Private Investment in State-Controlled Firms*. *Cornell International Law Journal*, 46. 2013. 569-610.

შესაბამისად, თუკი სახელმწიფო გადაწყვეტს, რომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ქვეყნის ეკონომიკაში, მან უნდა გაიაზროს, რომ ამით ზიანს მიაყენებს საკუთარ ეკონომიკურ სტრუქტურებს. მცირე ზომის ინვესტიცია, ამ თვალსაზრისით, არსებით საფრთხეს არ წარმოადგენს¹⁰¹³, თუმცა რაც უფრო დიდი იქნება ხელისუფლების როლი ბაზარზე, მით უფრო აირევა მასზე არსებული მდგომარეობა. შედეგად, აღნიშნული საკითხის გათვალისწინებაც აუცილებელია, თუკი სახელმწიფოს სურს, მინიმუმამდე დაიყვანოს მისი ქმედებების შედეგად ეროვნული ეკონომიკისათვის მიყენებული ზიანი.

5.6. შუალედური დასკვნა

ყოველივე ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ საჯარო ხელისუფლების მიერ სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობას მძიმე ეკონომიკური შედეგები მოჰყვება, რომელთა თავიდან აცილებაც ხშირად ძალიან რთული ან, საერთოდ, შეუძლებელია. ზარალის მოცულობა და მასთან დაკავშირებული საფრთხეები დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს სახელმწიფო და რამდენად ინტენსიური იქნება მისი ჩარევის დონე.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი საშიშროება, რომელიც გამომდინარეობს საჯარო ორგანოთა მიერ კომერციაში მონაწილეობისაგან, არის მათ მიერ ასეთი ნაბიჯების გადადგმა ლეგიტიმური მიზნის გარეშე. მიუხედავად იმისა, თუ რა იყო საბაზი სამეწარმეო ხასიათის ქმედებების განხორციელებისა, ყველა შემთხვევაში, ზიანი გარდაუვალი იქნება და ეროვნული ეკონომიკა მნიშვნელოვნად დაზარალდება. პრაქტიკა აჩვენებს, რომ უმჯობესია, სახეზე იყოს არასწორ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოქმედება, ვიდრე იგივე ნაბიჯები განპირობებული იყოს ამა თუ იმ სექტორ(ებ)ის კონტროლის სურვილით, ან კორუფციული გარიგებებით.

მსგავსი ხასიათის საფრთხეები გამომდინარეობს ასევე ისეთი ინსტანციებიდან, როდესაც სახელმწიფოს წარმომადგენლები თავს კომერსანტებად წარმოიდგენენ და სათანადო მექანიზმის გამოყენების გარეშე ჩაერევიან მეწარმეობაში. ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია, თუმცა, პრაქტიკაში, რაც უფრო ნაკლებად მორგებულია ესა თუ ის ინსტრუმენტი მის წინაშე დასმულ მიზანს, მით უფრო დიდია ზიანი. ყველაზე მეტად ყურადსაღებია ის, რომ გრძელვადიან გეგმებს არ უნდა მიესადაგოს მოკლე, განცალკევებულ პროექტებზე მორგებული მექანიზმები და პირიქით.

¹⁰¹³ Borlini, L.S. When the Leviathan Goes to the Market: A Critical Evaluation of the Rules Governing State-Owned Enterprises in Trade Agreements. *Leiden Journal of International Law*, 33.2. 2019. 1-32.

გამოწვეული ეკონომიკური ზარალის მოცულობის თვალსაზრისით უადრესად მნიშვნელოვანია ასევე ის, ახდენს თუ არა სახელმწიფო შესაბამისი სექტორ(ებ)ის მონოპოლიზებას. მონოპოლიის არსებობა, მიუხედავად იმისა, მისი რომელი ტიპია სახეზე, ფუნდამენტურად აუარესებს ეროვნული ეკონომიკისათვის მიყენებულ ზარალს. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს ნამდვილად ძალუძს, განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა ისე, რომ არ გაანადგუროს კონკურენცია და კერძო ბიზნესსაც მისცეს საშუალება, დარჩეს იმავე ბაზარზე, ნიშნავს, რომ სექტორის (ან, უარეს შემთხვევაში, სექტორთა ერთობლიობის, ან, საერთოდ, მთლიანი ქვეყნის ეკონომიკის) მონოპოლიზებას გამართლება არ გააჩნია. შედეგად, დაუშვებელია ასეთი ნაბიჯების გადადგმა და ხელისუფლება არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქცეს მონოპოლისტად.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ყურადსაღებია საჯარო ორგანოთა ქმედებების შედეგად ეკონომიკისათვის მიყენებული ზიანის თვალსაზრისით, არის ის, რომ სახელმწიფოს მიერ ბიზნესის მართვის ეფექტურობის დონე ხშირად დამოუკიდებელი, კერძო მოთამაშეების ექვივალენტურ ხარისხზე შესამჩნევად დაბალია. ამიტომ, თუკი ხელისუფლებას სურს, საკუთარი დანიშნულება შეასრულოს და მაქსიმალური ოდენობის კეთილდღეობა უზრუნველყოს მის ხელთ არსებული რესურსების ეფექტური ალოკაციის გზით, მან შეძლებისდაგვარად უნდა შეიკავოს თავი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისაგან. იმ შემთხვევაში კი, თუკი ეს შეუძლებელია ან გაუმართლებლად არის მიჩნეული, კომერციაში ჩარევის დონე უნდა იყოს მინიმალური და არ იყოს გათვლილი განსაკუთრებით ხანგრძლივ ვადებზე.

და ბოლოს, ასევე ხაზგასასმელია, რომ თუკი ხელისუფლება მის ხელთ არსებულ უზარმაზარ რესურსებს გამოიყენებს სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად, ეს გამოიწვევს თავისუფალი ბაზრის ეკვილიბრიუმის არსებით დარღვევას, რასაც შეიძლება, მნიშვნელოვანი ზიანი მოჰყვეს ეროვნული ეკონომიკისათვის. ასეთ დროს, ბაზარზე მოქმედი კერძო მოთამაშეები იძულებულნი არიან, მოახდინონ შეცვლილ გარემოებებთან ადაპტირება, რამაც ისინი და, შედეგად, მთლიანი ეკონომიკა კატასტროფამდე შეიძლება, მიიყვანოს. გამოწვეული ზარალის ოდენობის შემცირება შესაძლებელია იმით, რომ შეზღუდული იყოს სახელმწიფოს მიერ შესაბამის სექტორში ჩარევის დონე, როგორც მისი მონეტარული ოდენობის, ისე მის მიერ კონტროლირებადი ბაზრის წილის თვალსაზრისით. რაც უფრო დიდია ჩარევა, მით უფრო გაზრდილია ასეთი ქმედების შედეგად წარმოშობილი საფრთხეები და კერძო ბიზნესისათვის მიყენებული ზიანი.

ზემოთ განხილული ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ სახელმწიფოს მიზნებისა და მოქმედების ეფექტურობის მიუხედავად, საჯარო სტრუქტურათა ჩარევა კომერციულ აქტივობაში ყოველთვის პრობლემას

წარმოადგენს ეკონომიკური სისტემებისათვის. ზიანის მოცულობა ცვალებადია, თუმცა მისი არსებობა გარდაუვალ ფაქტად რჩება. შესაბამისად, ხელისუფლება ვალდებულია, ყველა ზომა მიიღოს მის მიერ გამოწვეული ზარალის შესამცირებლად და, შესაძლებლობის შემთხვევაში, თავი შეიკავოს სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობისაგან, ან, როგორც მინიმუმ, ყველა მხრივ ეცადოს, რომ უზრუნველყოს ასეთი ჩარევის მოცულობის მაქსიმალურად შემცირება.

6. ხელისუფლების ორგანოთა მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზანშეწონილობა

ყოველივე ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, შესაძლებელია, გაჩნდეს კითხვა, ხომ არ იქნებოდა უმჯობესი სახელმწიფოს ეკრძალებოდეს კომერციული საქმიანობის განხორციელება. ეს კითხვა აკადემიურ ლიტერატურაში არაერთხელ დასმულა¹⁰¹⁴¹⁰¹⁵, ხოლო მასზე დადებით პასუხს ნამდვილად გააჩნია საკუთარი მხარდამჭერები¹⁰¹⁶.

სახელმწიფოს მიერ კომერციულ აქტივობაში ჩარევის აკრძალვის ზოგიერთი მომხრე იზიარებს პოზიციას, რომ კერძო სექტორი ყოველთვის უკეთესად ახერხებს, ესა თუ ის ბიზნესი მომგებიანად აქციოს¹⁰¹⁷. მათი მოსაზრებით, საჯარო ხელისუფლება თავიდანვე განწირულია და ვერასდროს შეძლებს, ისეთი წარმატებული იყოს, როგორც იმავე რესურსებით დამოუკიდებელი მეწარმე იქნებოდა¹⁰¹⁸. ამიტომ, ისინი ემხრობიან საჯარო ორგანოთათვის კატეგორიულად აკრძალვას კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობისა.

მეორემხრივ, ამავე პოზიციას ასევე იზიარებს ზოგიერთი მეცნიერი, რომლებიც აღიარებენ, რომ ხელისუფლების მიერ სამეწარმეო ქმედებების განხორციელებას ნამდვილად შეიძლება, დადებითი შედეგები მოჰყვეს¹⁰¹⁹. თუმცა, ისინი მაინც ემხრობიან საჯარო სტრუქტურების კერძო სფეროებიდან გაძევებას, რადგანაც მიაჩნიათ, რომ მათი ჩარევის საფასური (რომლებიც ზემოთ უკვე იქნა განხილული) ზედმეტად მაღალია და მისი გადახდა გარკვეული პოზიტიური ცვლილებებისათვის არ ღირს¹⁰²⁰.

პრობლემა აღნიშნულ მიდგომასთან დაკავშირებით რამდენიმე ფაქტორისაგან გამომდინარეობს. ასეთ რეფორმას ართულებს როგორც ორგანიზაციული, ისე ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხები. შესაბამისად, აუცილებელია, რომ მოხდეს მათი შეფასება, რათა წარმოდგენილი იყოს პოზიცია იმის თაობაზე,

¹⁰¹⁴ Springdal, K. Mador, M. Organizational Changes Resulting from the Privatization of State Enterprises. *Public Money & Management*, 24.1. 2004. 69-80.

¹⁰¹⁵ Ojo, O. Fajemisin, D. Nigeria's Privatisation Programme: Structures, Strategies and Shortcomings. *Economic Sciences Series*, 62.1. 2010. 12-20.

¹⁰¹⁶ Omran, M. The Performance of State-Owned Enterprises and Newly Privatized Firms: Does Privatization Really Matter? *World Development*, 32.6. 2003. 1019-1041.

¹⁰¹⁷ Walker, C. Smith, A. *Privatized Infrastructure: the Build Operate Transfer Approach*. Thomas Telford, London, UK. 1995. 34-65.

¹⁰¹⁸ Vickers, J. Yarrow, G. Economic Perspectives on Privatization. *Journal of Economic Perspectives*, 5.2. 1991. 111-132.

¹⁰¹⁹ Smith, A. Trebilcock, M.J. State-Owned Enterprises in Less Developed Countries: Privatization and Alternative Reform Strategies. *European Journal of Law and Economics*, 12.3. 2001. 217-252.

¹⁰²⁰ Megginson, M. Netter, J. From State to Market: a Survey of Empirical Studies on Privatization. *Journal of Economic Literature*, 39. 2001. 321-389.

სწორი ნაბიჯი იქნება თუ არა ხელისუფლებისათვის სამეწარმეო აქტივობაში მონაწილეობის აკრძალვა.

6.1. ხელისუფლებისათვის კომერციაში მონაწილეობის აკრძალვის ორგანიზაციული პრობლემები

პირველი დიდი პრობლემა, რომელიც ხელისუფლებისათვის სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობის აკრძალვას უკავშირდება, არის ის, თუ ვინ უნდა მოახდინოს ასეთი აკრძალვის შემუშავება. საკითხი, გარკვეულწილად, პარადოქსულია, რადგანაც ასეთი შეზღუდვის მომხრეებს სურთ, რომ სახელმწიფო დაავალდებულონ, მათი სურვილის შესაბამისად მოიქცეს, თუმცა ამ ვალდებულების შესამუშავებლად და აღსასრულებლად თავად სახელმწიფოს დახმარება სჭირდებათ.

ერთადერთი მხარე, რომელსაც ძალუმს, ეფექტურად მოახდინოს საჯარო ორგანოთათვის კომერციაში ჩარევის აკრძალვა, თავად ხელისუფლებაა. მხოლოდ სახელმწიფოს და მის განშტოებებს შეუძლიათ, შეიმუშაონ ნორმატიული აქტები¹⁰²¹, რომლებიც რელევანტურ რეგულაციას შემოგვთავაზებს. შესაბამისად, თუკი სახელმწიფო არ იქნება ასეთი აკრძალვის მომხრე, დისკუსია აზრს დაკარგავს.

პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ, პრაქტიკაში, საჯარო ორგანოებს შორის კომერციაში მონაწილეობის შესაძლებლობა საკმაოდ პოპულარულ ფაქტს წარმოადგენს¹⁰²². საჯაროსამართლებრივი მიზნები, რომლებსაც კერძო სექტორში ჩარევა ემსახურება, ხშირად მნიშვნელოვანია და ფართო მხარდაჭერით სარგებლობს, ამიტომ იმის ალბათობა, რომ სახელმწიფომ მოისურვოს მათი დაზარალება ასეთი რეგულაციის მიღებით, საკმაოდ დაბალია. შესაბამისად, მოცემული მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა ადვილად შეიძლება, ყოველად იყოს მოკლებული აზრს.

აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, მიიღება მდგომარეობა, რომ სახელმწიფოსთვის სამეწარმეო აქტივობაში ჩარევის აკრძალვის უნარი მხოლოდ თავად ხელისუფლებას გააჩნია. ამავდროულად კი, საჯარო ორგანოებისაგან ასეთი ინიციატივის მხარდაჭერის ალბათობა, პრაქტიკულად, ნულის ტოლფასია. შედეგად, სახეზეა ორგანიზაციული პრობლემა. თუნდაც გადაწყვეტილება სწორი და სასურველი იყოს, მისი მიმღები პირი არ არსებობს. ამიტომ, ამ

¹⁰²¹ Knight, J.T. Splitting Sovereignty: The Legislative Power and the Constitution's Federation of Independent States. *The Georgetown Journal of Law & Public Policy*, 17. 2019. 683-709.

¹⁰²² Aivazian, V. Ge, Y. Qiu, J. Can corporatization improve the performance of state-owned enterprises even without privatization? *Journal of Corporate Finance*, 11.5. 2005. 791-808.

თვალსაზრისით, ხელისუფლების მიმართ ნორმატიულ დონეზე კომერციაში ჩარევის აკრძალვის შესაძლებლობა არ არის რეალისტური.

6.2. სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შეზღუდვის ეკონომიკური წინაღობები

აკადემიური ლიტერატურა, რომელიც ემხრობა საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციულ აქტივობაში ჩარევის შეწყვეტას, ხშირად ასაბუთებს საკუთარ პოზიციას იმით, რომ სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება ეკონომიკურად დამღუპველია¹⁰²³. ისინი თვლიან, რომ ჯამში, საჯარო ხელისუფლების მიერ მეწარმეობის თავზე აღებით, ყველა დაინტერესებული პირი ზარალდება¹⁰²⁴. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ დარწმუნებით, ერთპიროვნულად ასეთი განცხადების გაკეთება არ არის მართებული, რადგანაც სახეზეა არაერთი კვლევა, რომელიც შესაძენევად განსხვავებულ დასკვნებთან მიდის¹⁰²⁵¹⁰²⁶.

როგორც წინამდებარე ნაშრომში უკვე იქნა გაანალიზებული, სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას მძიმე შედეგები შეიძლება, მოჰყვეს. ასეთი ქმედება, ხშირად, აზარალებს როგორც ქვეყნის სამართლებრივ სტრუქტურებს, ისე ეროვნულ ეკონომიკას. ამავდროულად, საუბარი იმაზე, რომ ჯამური შედეგი ყოველთვის ნეგატიურია, არ არის მართებული.

ნაბიჯი, რომელიც პირდაპირ ზიანს აყენებს სახელმწიფოს, ამავდროულად, შეიძლება, სხვაგვარივ სასარგებლოც იყოს¹⁰²⁷. მაგალითად, სახელმწიფოს მიერ კომუნალური სერვისების სექტორში ჩარევა, თუკი ამის გარეშე მოსახლეობისთვის ელექტროენერჯის ან მსგავსი პროდუქციის მიწოდება ვერ ხდებოდა ან ზედმეტად ძვირი იყო, გამართლებულია¹⁰²⁸, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ნაბიჯების გადადგმით თავისუფალი ბაზრის ეკვილიბრიუმი ირღვევა და ზიანი ადგება იმ კერძო კომპანიებს, რომლებიც მანამდე ამ სფეროში

¹⁰²³ Smith, A. Trebilcock, M.J. State-Owned Enterprises in Less Developed Countries: Privatization and Alternative Reform Strategies. *European Journal of Law and Economics*, 12.3. 2001. 217-252.

¹⁰²⁴ Naughton, B. *State Capitalism, Institutional Adaptation, and the Chinese Miracle*. Cambridge University Press: Cambridge, UK. 2015. 27-45.

¹⁰²⁵ Megginson, M. Netter, J. From State to Market: a Survey of Empirical Studies on Privatization. *Journal of Economic Literature*, 39. 2001. 321-389.

¹⁰²⁶ Omran, M. The Performance of State-Owned Enterprises and Newly Privatized Firms: Does Privatization Really Matter? *World Development*, 32.6. 2003. 1019-1041.

¹⁰²⁷ Vickers, J. Yarrow, G. Economic Perspectives on Privatization. *Journal of Economic Perspectives*, 5.2. 1991. 111-132.

¹⁰²⁸ Peng, M.W. Bruton, G.D. Stan, C.V. Huang, Y. Theories of the (state-owned) firm. *Asia Pacific Journal of Management*, 33. 2016. 293-317.

მოღვაწეობდნენ. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა ზიანი, ჯამში, ქვეყნის ეკონომიკისათვის ასეთი ქმედება მაინც დადებით შედეგს იწვევს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ერთპიროვნულად იმაზე საუბარი, რომ ხელისუფლების მიერ სამეწარმეო საქმიანობაში ჩარევა ყველანაირად ცუდია, შეუძლებელია. აღნიშნულის ნაცვლად, უმჯობესია, სახელმწიფოს მიერ კომერციაში მონაწილეობა აუცილებელ ბოროტებად იყოს აღქმული¹⁰²⁹. ის უნდა იყოს გამოყენებული მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა გზა არ არსებობს საჭირო საჯაროსამართლებრივი სიკეთის მისაღწევად.

შესაბამისად, ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია და ზოგჯერ ნამდვილად შეიძლება, რომ ქვეყნის ეკონომიკისათვის სასარგებლო იყოს ხელისუფლების მიერ კომერციაში მონაწილეობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, არ იქნება მართებული იმის თქმა, რომ სახელმწიფოს უნდა აეკრძალოს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, მის ეკონომიკისათვის საზიანო ბუნებაზე დაყრდნობით.

6.3. საჯარო ორგანოთა მიერ მეწარმეობის გაწვევის გამორიცხვის პოლიტიკური შედეგები

და ბოლოს, საკითხი, რომელიც კიდევ ერთი თვალსაზრისით ართულებს ხელისუფლების მიერ სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის აკრძალვას, არის მისი პოლიტიკური ასპექტები. როგორც უკვე ითქვა, კომერციაში მონაწილეობით სახელმწიფო სტრუქტურები ხშირად ცდილობენ, დაიცვან საჯარო სამართლებრივი მიზნები. თუმცა, ასევე არსებობს პოზიცია, რომ გარდა ასეთი ალტრუისტული მიზნებისა, პოლიტიკურად, ლეგიტიმური საბაზის გარეშე, სახელმწიფოს წარმომადგენელი პირები არ იქნებიან მომხრე ხსენებული ინსტრუმენტის დაკარგვის დაშვებისა.

როდესაც სახელმწიფო მისთვის ხელმისაწვდომ ნაბიჯებს დგამს, მათ პოლიტიკური შედეგები მოჰყვება¹⁰³⁰. შედეგები შეიძლება, დადებითი ან უარყოფითი იყოს, რაც ასეთი ნაბიჯების პოპულარობას განაპირობებს ფართო საზოგადოებაში და, შესაბამისად, თავად პოლიტიკურ წრეებშიც¹⁰³¹. შესაბამისად, რაც უფრო პოპულარულია პოტენციური ქმედებები და მათი შედეგები, მით

¹⁰²⁹ Naughton, B. *State Capitalism, Institutional Adaptation, and the Chinese Miracle*. Cambridge University Press: Cambridge, UK. 2015. 27-45.

¹⁰³⁰ Erlingsson, G.O. Linde, J. Ohrvall, R. *Distrust in utopia? Public perceptions of corruption and political support in Iceland before and after the financial crisis of 2008*. *Government and Opposition*, 51.4. 2016. 553-579.

¹⁰³¹ Ugoani, J.N.N. *Political Will and Anticorruption Crusade Management in Nigeria*. *Independent Journal of Management & Production*, 7.1. 2016. 72-97.

უფრო მაღალი მხარდაჭერა აქვს მას როგორც მოსახლეობაში, ისე პოლიტიკოსებს შორის.

სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას ხშირად მიიღება ისეთ გადაწყვეტილებები, რომლებიც უაღრესად პოპულარულია¹⁰³². მოცემული მექანიზმის გამოყენება ხდება ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის¹⁰³³, მოსახლეობისათვის სერვისებისა და პროდუქციის მიწოდებისათვის¹⁰³⁴ და სხვა საზოგადოებრივი ქმედებებისათვის. ასეთი ნაბიჯები, თითქმის უნივერსალურად, უდიდესი მხარდაჭერით სარგებლობს, რაც ნიშნავს, რომ მათი გამოყენებისას პოლიტიკური წრეებიც ახერხებენ, საკუთარი რეიტინგი გაზარდონ.

გარდა ამისა, სახელმწიფოსთვის პოლიტიკური გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა ხშირად ნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში, მაგალითად, ამა თუ იმ კრიზისის დროს, პოლიტიკოსთათვის ხელმისაწვდომია კიდევ ერთი ინსტრუმენტი, რომლითაც შეუძლიათ, მათთვის სასურველ შედეგებს მიაღწიონ¹⁰³⁵. ეს ფაქტიც შესამჩნევად ამცირებს იმის ალბათობას, რომ სახელმწიფოსთვის კომერციაში ჩართვის აკრძალვას მხარდაჭერა ექნება.

6.4. შუალედური დასკვნა

ყოველივე ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, ამკარაა, რომ არ იქნება მართებული იმის მცდელობა, მოხდეს ხელისუფლების მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობის გამორიცხვა. ასეთი მოწესრიგების მცდელობა, ერთდროულად, თავიდანვე განწირულიც არის და, ამასთან ერთად, საკმარისად არ არის დასაბუთებული.

გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა, რომ მას ჰქონდეს მყარი საფუძველი¹⁰³⁶. ამის თქმა შეუძლებელია წინამდებარე თავში განხილულ თეზისთან დაკავშირებით, რადგანაც არ არსებობს კონსესუსი იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით ჯამურად

¹⁰³² Wang, J. The Political Logic of Corporate Governance in China's State-Owned Enterprises. *Cornell International Law Journal*, 47.3. 2014. 631-669.

¹⁰³³ Hatton, K. Pistor, K. Maximizing Autonomy in the Shadow of Great Powers: The Political Economy of Sovereign Wealth Funds. *Columbia Journal of Transnational Law*, 50. 2011. 1-81.

¹⁰³⁴ Kaplan, S.B. Banking unconditionally: the political economy of Chinese finance in Latin America. *Review of International Political Economy*, 23.4. 2016. 643-676.

¹⁰³⁵ Wang, J. The Political Logic of Corporate Governance in China's State-Owned Enterprises. *Cornell International Law Journal*, 47.3. 2014. 631-669.

¹⁰³⁶ Woldring, H.E.S. On the Purpose of the State. Continuity and Change in Political Theories. In: *The Failure of Modernity. The Cartesian Legacy and Contemporary Pluralism*, by: Sweetman, B. Washington (The Catholic University Press), 1999. 155-170.

ყოველთვის გარდაუვალია ეკონომიკური ზარალი. ასეთი ქმედება, ერთი მხრივ, ნამდვილად იწვევს ზიანს, თუმცა, მეორე მხრივ, მისი მიზანი შეიძლება, ასეთ მეთოდებს ამართლებდეს. ამიტომ, ერთპიროვნულად იმის მტკიცება, რომ ხელისუფლების მიერ კომერციაში ჩართულობა ცუდია, ვერ იქნება დასაბუთებულ პოზიციად განხილული.

ამასთან ერთად მოსაზრების ღირებულების მიუხედავად, თუკი მის პრაქტიკაში განმახორციელებელი პირი სხვა პოზიციას იზიარებს, შესაბამისი ინიციატივა თავიდანვე განწირულია. ეს ნამდვილად შეიძლება, ითქვას სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის აკრძალვის მცდელობასთან დაკავშირებით, რადგანაც მას მხარს არ უჭერს არც საზოგადოება, არც საჯარო სექტორი და არც პოლიტიკური წრეები. ამიტომ, ფაქტად უნდა იყოს განხილული, რომ ასეთი შეზღუდვების მიღება, უახლოეს პერიოდში მაინც, არ არის რეალისტური.

აღნიშნული ანალიზის საფუძველზე, შეიძლება იმის თქმა, რომ ხელისუფლების მიერ კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობის აკრძალვა არ განხორციელდება. ასეთ ქმედებასთან მრავალი საფრთხე და პრობლემა ასოცირებული, თუმცა ის მაინც სახელმწიფოს ხელთ არსებულ ინსტრუმენტად უნდა იყოს განხილული და საჭიროა მოხდეს კონცენტრირება მის სწორად გამოყენებაზე, ნაცვლად აკრძალვის ფუჭი მცდელობისა.

7. დასკვნა

სახელმწიფოს მიერ საკუთარი დანიშნულების ეფექტურად შესრულების მიზნით, ის ვალდებულია, ყველაფერი გააკეთოს, რათა მოახდინოს მის ხელთ არსებული რესურსების გამოყენებით საყოველთაო კეთილდღეობის დონის მაქსიმალურად გაზრდა. ფართო საზოგადოება ნაწილობრივ მაინც დამოკიდებულია ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე, რომელთა სისწორედ უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა. შესაბამისად, სახელმწიფო, რომელიც საკუთარ რესურსებს არამართებულად იყენებს, ვერ შეძლებს, საკუთარი ფუნქციები სათანადოდ შეასრულოს.

საჯარო ორგანოთა ხელთ არსებულ რესურსებს შორისაა მათი უნარი, ჩაერიონ სამეწარმეო საქმიანობაში. ასეთი ნაბიჯის გადადგმით ხელისუფლებას შეუძლია, დადებითი გავლენა მოახდინოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე, თუმცა, ამავედროულად, მას ასევე ძალუძს უაღრესად მძიმე ზიანის გამოწვევა. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, რომ ეს მნიშვნელოვანი უნარი მართებულად, შეცდომების გარეშე იყოს გამოყენებული. სწორედ ამ მიზანს ემსახურება წინამდებარე ნაშრომი და აღნიშნული დანიშნულების შესასრულებლად მოხდა ზემოთ მოცემული კრიტიკული ანალიზის წარმოდგენა.

მოცემული კვლევის ფარგლებში, მოხდა იმის ანალიზი, თუ რა საფუძველით და რა მეთოდებით შეიძლება, ხელისუფლებამ განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა. აღნიშნულზე დაყრდნობით, შემდგომ შეფასდა ასეთი ნაბიჯების სამართლებრივი და იურიდიული შედეგები. ბოლოს კი მოხდა იმის სკრუტინიზება, თუ რამდენად უნდა იყოს დაშვებული სახელმწიფოს მიერ კომერციაში ჩარევა.

სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების თვალსაზრისით, როგორც ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, აუცილებელია, სახეზე იყოს ასეთი ქმედების ლეგიტიმური საფუძველი. აკადემიური ლიტერატურისა და პრაქტიკის შეჯამებით ჩანს, რომ ასეთთა სია საკმაოდ შეზღუდულია. რეალურად, სახეზეა მხოლოდ ოთხი საბაზი, რომელზე დაყრდნობითაც ხელისუფლების მიერ კომერციაში ჩარევა გამართლებული შეიძლება, იყოს. ესენია:

ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება - ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და მისი განვითარების უზრუნველყოფა ერთ-ერთი ლეგიტიმური მიზანია სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობისა. ასეთი პროექტები, პრაქტიკაში, ხშირად სასურველია, თუმცა მასშტაბების გათვალისწინებით ზოგჯერ კერძო ბიზნესს არ ძალუძს მათი უზრუნველყოფა. ამიტომ, საჭირო ხდება ხელისუფლების ჩარევა, რათა საზოგადოებისათვის სასარგებლო წამოწყებები რეალობად იქცეს.

მოსახლეობისათვის სერვისების შეთავაზება - ინფრასტრუქტურული პროექტების მსგავსად, ხშირად, განსაკუთრებით კი კომუნალურ მომსახურებასთან და ტრანსპორტთან დაკავშირებით, კერძო სექტორს არ შეუძლია, საჭირო სერვისები შესთავაზოს ხალხს, ან ამის მხოლოდ გაუმართლებლად მაღალ ფასად წარმოდგენას ახერხებს. ამიტომ, მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, საჭირო ხდება სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის განხორციელება.

ეკონომიკის სტიმულირება - ზოგჯერ, განსაკუთრებით კი ფინანსური კრიზისების დროს, საჭიროა, რომ მოხდეს ეროვნულ ეკონომიკაში დიდი ოდენობის ინვესტიციის განხორციელება და მნიშვნელოვანი პროექტების წამოწყება, რათა განახლდეს ეკონომიკური პროგრესი. სწორედ ამ მიზნით შეიძლება, ხელისუფლებამ მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ჩაერიოს კომერციულ აქტივობაში.

ეკონომიკის სტრატეგიული სექტორის განვითარება - და ბოლოს, როდესაც ესა თუ ის მნიშვნელოვანი სფერო ვერ ახერხებს, დამოუკიდებლად განვითარდეს, სახელმწიფომ შეიძლება, საკუთარი რესურსები მის ხელშესაწყობად მიმართოს. ასეთ დროს, თუკი სექტორი სწორად იქნება არჩეული, საჯარო ორგანოთა მოქმედებამ შეიძლება, მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მოახდინოს თავისუფალ ბაზარზე.

სწორედ აღნიშნული ოთხი ფუნქცია გვევლინება სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ლეგიტიმურ მიზნებად. ყველა განსხვავებული დანიშნულება, იქნება ეს მოგების მიღება, ეკონომიკის კონტროლი, თუ ნებისმიერი სხვა, მხოლოდ ზიანის გამომწვევ აქტად გვევლინება. ამიტომ, იმისათვის, რომ საჯარო ხელისუფლებამ კომერციაში ჩარევის გზით საყოველთაო კეთილდღეობაზე დადებითად იმოქმედოს, აუცილებელია, რომ სწორედ მოცემული ლეგიტიმური საფუძველი იყოს მის მიერ შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის წინაპირობა.

ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ღირსეული მიზნის არსებობა აზრსაა მოკლებული, თუკი მის მისაღწევად სწორი ინსტრუმენტი არ იქნება შერჩეული. სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას სახეზეა რამდენიმე მექანიზმი, რომლების გამოყენებისასაც შესაძლებელია, წარმატებით მოხერხდეს ზემოთ განხილული ლეგიტიმური მიზნების მიღწევა. ესენია:

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კერძო კომპანია - სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ყველაზე უნივერსალური და, გრძელვადიან პერსპექტივაში კომერციაში მონაწილეობის ყველაზე ეფექტური გზაა. მათი ბუნებიდან გამომდინარე, ასეთი კომპანიები კარგად ერგება ზემოთ მოცემულ ყოველ მიზანს. მთავარია, ისინი იმართებოდნენ როგორც კერძო კომპანიები და მაქსიმალურად შორს იყონ პოლიტიკისაგან.

სახელმწიფო საინვესტიციო ფონდები - აღნიშნული პირებიც სახელმწიფოს კუთვნილ კერძო კომპანიას წარმოადგენენ, თუმცა ისინი შედარებითი უფრო ვიწრო პროფილის წარმონაქმნებია. მათი ბუნებიდან გამომდინარე, ძირითადი ლეგიტიმური საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც ისინი შეიძლება, გამოყენებული იყოს არის ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიული მიმართულებების განვითარება.

კერძო-საჯარო პარტნიორობა - იგი მრავალპროფილიანი კონცეფციაა, თუმცა, პრაქტიკაში, შედარებით ვიწრო ნაბიჯების გადადგმას მოიცავს და, უმჯობესია, ერთი კონკრეტული პროექტის განხორციელებას ემსახურებოდეს. შედეგად, თუკი საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციაში მონაწილეობის მიზნად ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარება ან სახელმწიფოს მოსახლეობისათვის პროდუქციის ან სერვისების შეთავაზება გვევლინება, PPP ეფექტური ინსტრუმენტია.

კერძო კომერციის სუბსიდირება - მოცემული ინსტრუმენტი განსაკუთრებით ეფექტურია სტრატეგიული მიმართულების განვითარებისა და ეკონომიკის სტიმულირების მიზნებით მოქმედებისას. ის საკმაოდ მოქნილია და ფართო პროფილის მქონე მოქმედებებს შეიძლება მოიცავდეს, ერთ კონკრეტულ პროექტზე ორიენტირების გარეშე, თუმცა, პრაქტიკაში, პრობლემური ხდება მისით გრძელვადიან პერიოდში სარგებლობისას.

კონკრეტული სფეროს პროაქტიური ხელშეწყობა - ეს მექანიზმი მორგებულია კონკრეტული სტრატეგიული სფეროს განვითარებაზე. მისი დადებითი მახასიათებელია ის, რომ სუბსიდიებთან შედარებით, იგი ნაკლებად პრობლემურია კონკურენციის თვალსაზრისით, და ნაკლებ თანამშრომლობას საჭიროებს კერძო პარტნიორებისაგან.

რაც შეეხება ნებისმიერ სხვა გზას სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისა (მაგალითად, საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ პირდაპირ, შუამავალი რგოლის გარეშე ბიზნესის კეთება), ისინი მიუღებელია და სახელმწიფომ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გადადგას ამ ხასიათის ნაბიჯები. ხაზგასასმელია, რომ როგორც წინამდებარე ნაშრომში დეტალურად იქნა წარმოჩენილი, ყველა ინსტრუმენტს საკუთარი დანიშნულება აქვს და აუცილებელია, რომ მათი გამოყენება მოხდეს იმ მიზნების მისაღწევად, რომლების რეალობაში მოყვანაც ასეთი მექანიზმისთვის რეალისტური დანიშნულებაა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფომ შეიძლება, სწორი მიზნითა და ინსტრუმენტით განახორციელოს მოქმედება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მის მიერ გადადგმული ნაბიჯები საზიანო არ იქნება. ხელისუფლების ორგანოთა მიერ სამეწარმეო საქმიანობაში ჩარევის შედეგად, ასე თუ ისე, გარდაუვალია

გარკვეული სახის ზარალის დადგომა, როგორც ეროვნული სამართლებრივი სტრუქტურებისათვის, ისე ეკონომიკური სისტემისათვის. სამართლებრივი საფრთხეები შემდეგში მდგომარეობს:

ინტერესთა კონფლიქტი - არსებობს რამდენიმე სახის ინტერესთა კონფლიქტი, რომელთა მიერ ქვეყნის სამართლებრივი სისტემისათვის მიყენებული ზიანისა და გამოწვეული საფრთხის მოცულობა ცვალებადია. მისი გამორიცხვა განსაკუთრებით რთულია და, მთელ რიგ შემთხვევებში, შეუძლებელიცაა, თუკი სახელმწიფო არ გადაწყვეტს, შეაჩეროს კომერციულ აქტივობაში მონაწილეობა. რაც უფრო ჩართულია ხელისუფლება მეწარმეობაში, მით უფრო მეტი პრობლემები წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტის თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, არსებითად აზარალებს სამართლებრივ სტრუქტურებს. შესაბამისად, თუკი სახელმწიფოსათვის უმთავრესია, შეინარჩუნოს გამართული სამართლის სისტემა, მან უარი უნდა თქვას მეწარმეობაზე და ექსკლუზიურად საჯაროსამართლებრივ საკითხებზე კონცენტრირდეს.

კორუფციის ზრდა - ისევე, როგორც ინტერესთა კონფლიქტი შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ჩაერთვება კომერციულ აქტივობაში, ეს ავტომატურად აყენებს ზიანს ქვეყნის სამართლებრივ სისტემებს. კორუფციის ბუნებიდან გამომდინარე, თუკი შესაძლებელია ხელისუფლების წინაშე დასმული მიზნის სხვა მეთოდით მიღწევა, ასეთი მიმართულებით წასვლაა რეკომენდირებული. მაშინ კი, თუკი სახელმწიფოს მიერ მეწარმეობის განხორციელება გარდაუვალია, ეს უნდა განხორციელდეს რისკების გათვალისწინებით. ხაზგასასმელია, რომ რაც უფრო ჩართულია ხელისუფლება ბიზნესში, მით უფრო იზრდება კორუფციის გავრცელების რისკი, ამიტომ, საფრთხის შემცირების მიზნით, უმჯობესია, რომ სახელმწიფოს კუთვნილი ბიზნესების მოცულობა, შეძლებისდაგვარად, მცირე ოდენობამდე იყოს ჩამოყვანილი.

სამართალეფექტიანობის შემცირება - მოსახლეობის მხრიდან სამართლებრივი სტრუქტურების მიმართ ნდობის შემცირება ხელისუფლების მიერ კომერციულ აქტივობაში მონაწილეობის გვერდითი მოვლენაა. მიუხედავად იმისა, არღვევს თუ არა სახელმწიფოს კანონმდებლობას, და იმისგან დამოუკიდებლად, წარმატებულად მართავს თუ არა თავის ბიზნესს, ნარჩუნდება რისკი, კომერციულ სფეროში მოღვაწეობის ფაქტივ კი საკმარისი გახდეს სამართალეფექტიანობის დონის შესამცირებლად.

ხაზგასასმელია, რომ სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას დადებითი შედეგების შეიძლება, მოჰყვეს ქვეყნის სამართლებრივი სტრუქტურებისათვის, მათ შორის, კომპეტენტურ კადრებთან და ინსტიტუტებთან ხელისუფლების წვდომის გაუმჯობესებით. თუმცა, ჯამში, ზემოთ მოცემული საკითხების გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში წარმოდგენილია შეფასება, რომ ეროვნული სამართლებრივი

სისტემის დაზიანება საჯარო ორგანოების მიერ კომერციაში მონაწილეობის საფასურის ნაწილად შეიძლება, იყოს აღქმული. ზარალი გარდაუვალია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ არაფერი უნდა გააკეთოს მის მაქსიმალურად შესამცირებლად. კარგი მმართველობის პირობებში, შესაძლებელია, რომ სამეწარმეო აქტივობა განხორციელდეს ისე, რომ ამით მხოლოდ მინიმალური ზიანი მიადგეს ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს.

რაც შეეხება ქვეყნის ეკონომიკისათვის ნეგატიური შედეგების დადგომას, ესეც შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების კომერციაში ჩარევის გვერდითი მოვლენაა. ძირითადი საფრთხეები გამომდინარეობს შემდეგი საკითხებისაგან:

სახელმწიფოს მიერ მონოპოლიათა ჩამოყალიბება - სავარაუდო ეკონომიკური ზიანის ოდენობის შეფასების კუთხით მნიშვნელოვანია, ახდენს თუ არა სახელმწიფო ამა თუ იმ სექტორის მონოპოლიზებას. მონოპოლიის არსებობა, მისი ნაირსახეობის მიუხედავად ყოველთვის აუარესებს ეროვნული ეკონომიკისათვის მიყენებულ ზარალს. აღსანიშნავია, რომ მონოპოლია არანაირად არ არის აუცილებელი სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად. ამიტომ, დაუშვებელია ასეთი რეალობის შექმნა და ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა არ იქცეს მონოპოლისტად.

ხელისუფლები მიერ ბიზნესის არაეფექტურად მართვა - სახელმწიფო ხარჯავს მის ხელთ არსებულ რესურსებს, საჯარო კუთვნილებაში არსებული კომპანიები კონკურენციას უწევენ კერძო პირებს, და, ამის სანაცვლოდ, პრაქტიკაში ვიღებთ მდგომარეობას, რომ მიღებულია შესამჩნევად ნაკლები შემოსავალი, ვიდრე ეს იმავე რესურსების ოპტიმალურად გამოყენებისას მიიღებოდა. შედეგად, საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელება, თავის თავში, ქვეყნის ეკონომიკისათვის ზიანის გამომწვევ ქმედებად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ, სახელმწიფოს მხრიდან აჯობებს, თუ ის მინიმუმამდე დაიყვანს მეწარმეობაში მისი ჩართულობის დონეს.

სახელმწიფოს ჩარევის შედეგად თავისუფალი ბაზრის ეკვილიბრიუმის დარღვევა - სახელმწიფოს მიერ მცირე ზომის ინვესტიციის განხორციელება არსებით საფრთხეს არ წარმოადგენს, თუმცა რაც უფრო დიდია ხელისუფლების როლი ბაზარზე, მით უფრო ირევა მასზე არსებული მდგომარეობა და სახეზეა კერძო ბიზნესისათვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზარალი. შედეგად, აღნიშნული საკითხის გათვალისწინებაც აუცილებელია, თუკი სახელმწიფოს სურს, მინიმუმამდე დაიყვანოს მისი ქმედებების შედეგად ეროვნული ეკონომიკისათვის მიყენებული ზიანი.

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის შედეგად, აშკარაა, რომ სახელმწიფოს მიერ კომერციაში ჩარევა აზარალებს როგორც ქვეყნის სამართლებრივ სტრუქტურებს, ისე მის ეკონომიკას. ამის გათვალისწინებით, აკადემიურ ლიტერატურაში დასმულია კითხვა, თუ რამდენადაა ზოგადად მიზანშეწონილი ხელისუფლების ორგანოთა მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება და ხომ არ არის საჭირო ასეთი ქმედების აკრძალვა. წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული ანალიზის საფუძველზე მიღებული იქნა დასკვნა, რომ ხელისუფლების მიერ კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობის აკრძალვა არ შეიძლება, მართებულ ნაბიჯად ჩაითვალოს.

საჯარო ორგანოთა კერძო სექტორში მონაწილეობასთან არაერთი საფრთხე და პრობლემაა ასოცირებული, თუმცა ასეთი ნაბიჯების გადადგმის უნარი მაინც სახელმწიფოს ხელთ არსებულ ინსტრუმენტად უნდა იყოს განხილული. ამიტომ, უმჯობესია, მოხდეს კონცენტრირება მის სწორად გამოყენებაზე, ნაცვლად აკრძალვის მცდელობისა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი იყო იმის შეფასება, თუ რა მოჰყვება საჯარო ხელისუფლების მიერ კომერციული საქმიანობის განხორციელებას. განხორციელებული კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, აღნიშნულ კითხვაზე მოკლე პასუხის ჩამოყალიბება შემდეგნაირად არის შესაძლებელი:

სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო აქტივობაში ჩაბმას მნიშვნელოვანი სამართლებრივი და ეკონომიკური ზიანი სდევს თან, თუმცა, თუკი ასეთი ქმედებები განხორციელდება ექსკლუზიურად ლეგიტიმური საფუძველითა და სათანადო ინსტრუმენტების გამოყენებით, თანაც სხვა საჭირო ზომების თანხლებით და მხოლოდ იმ მოცულობით, რაც საჯაროსამართლებრივი მიზნების მისაღწევად არის აუცილებელი, ყველაზე არსებითი შედეგი, რაც ასეთ აქტივობას მოჰყვება, იქნება ხელისუფლების მიერ საკუთარი უმთავრესი ფუნქციის შესრულება - მისი მოსახლეობის კეთილდღეობა.

ბიბლიოგრაფია

ინგლისურენოვანი წყაროები

1. Abdymanapov, S.A. Toxanova, A.N. Galiyeva, A.H. Abildina, A.S. Aitkaliyeva, A.M. Ashikbayeva, Z. Public-private partnership development specifics in Kazakhstan. *Journal of Applied Economic Sciences*, 12.4. 2017.
2. Abramo, C.W. How Much Do Perceptions of Corruption Really Tell Us? *The Economics Journal*, 2.3. 2008.
3. Abramov, A. Radygin, A. Entov, R. Chernova, M. State ownership and efficiency characteristics. *Russian Journal of Economics*, 3.2. 2017.
4. Ackerman, B. The New Separation of Powers. *Harvard Law Review*, 113.3. 2000.
5. Addis, A.K. Zuping, Z. Assessment of the Impact of Chinese and Indian Economic Activities in Africa: A Particular Focus on Ethiopia's Economy. *China Report*, 55.3. 2019.
6. Ag, M. Syechalad, M.N. Silvia, V. The Effect of Government Expenditures, Private Investment and Labor on Economic Growth in Pidie District. *Sriwijaya International Journal of Dynamic Economics and Business*, 1.4. 2017.
7. Agburuga, U.T. The Effect of Public Sector Accrual Accounting Reform on Fiscal Performance. *Research Journal of Finance and Accounting*, 9.18. 2018.
8. Aharoni, Y. Performance evaluation of state-owned enterprises: a process perspective. *Management Science*, 27. 1981.
9. Aharony, J. Lee, C.J. Wong, T.J. Financial Packaging of IPO Firms in China. *Journal of Accounting Research*, 38.1. 2000.
10. Ahuja, G. Majumdar, S.K. An Assessment of the Performance of Indian State-Owned Enterprises. *Journal of Productivity Analysis*, 9. 1998.
11. Aidt, T.S. Corruption, institutions, and economic development. *Oxford Review of Economic Policy*, 25.2. 2009.
12. Aivazian, V. Ge, Y. Qiu, J. Can corporatization improve the performance of state-owned enterprises even without privatization? *Journal of Corporate Finance*, 11.5. 2005.
13. Aizenberg, E. Hanegraaff, M. Is politics under increasing corporate sway? A longitudinal study on the drivers of corporate access. *West European Politics*, 43.1. 2020.
14. Aizenman, J. Glick, R. Asset Class Diversification and Delegation of Responsibilities between a Central Bank and Sovereign Wealth Fund. *International Journal of Central Banking*, 10.3. 2014.
15. Akdogan, Y.E. Boyacioglu, M.A. The effect of corporate governance on firm performance: a case of Turkey. *International Journal of Critical Accounting*, 6.2. 2014.

16. Akhbiyikli, R. Eaton, D. Innovative Implementation of Private Finance Initiative (PFI) Procurement: Challenges and Key Issues in Pre-Construction Stage. *Environment-Behaviour Proceedings Journal*, 71. 2016.
17. Akhmetshina, E.R. Mustafin, A.N. Public-private Partnership as a Tool for Development of Innovative Economy. *Procedia Economics and Finance Volume*, 24. 2015.
18. Akomea-Frimpong, I. Olaniyan, T.O. Sebia, M.Y. Assessing the effects of privatization on state enterprises in Ghana. *Research Journal of Finance and Accounting*, 10.8. 2019.
19. Akoum, I. Graham. M. Kivihaho, J. Nikkinen, J. o-movement of oil and stock prices in the GCC region: A wavelet analysis. *The Quarterly Review of Economics and Finance*, 52.4. 2012.
20. Alami, I. Dixon, A.D. State capitalism(s) redux? Theories, tensions, controversies. *Competition & Change*, 24.1. 2020.
21. Albassam, B.A. A model for assessing the efficiency of government expenditure. *Cogent Economics & Finance*, 8.1. 2020.
22. Alexandersson, G. Hulten, S. Prospects and Pitfalls of Public-Private Partnerships in Railway Transportation. *Theoretical Issues and Empirical Experience. International Journal of Transport Economics*, 36.1. 2009.
23. Alfen, H. Public-Private Partnership in infrastructure development: Case studies from Asia and Europe. *Schriftenreihe der Professur Betriebswirtschaftslehre im Bauwesen*, 7. 2009.
24. Alhashel, B. Sovereign Wealth Funds: A literature review. *Journal of Economics and Business*, 78. 2015.
25. Ali, M.B. Chowdhury, T.A. Effect of Dividend on Stock Price in Emerging Stock Market: A Study on the Listed Private Commercial Banks in DSE. *International Journal of Economics and Finance*, 2.4. 2010.
26. Alipour, M. Has privatization of state-owned enterprises in Iran led to improved performance? *International Journal of Commerce and Management*, 23.4. 2013.
27. Alizamir, S. Iravani, F. Mamani, H. An Analysis of Price vs. Revenue Protection: Government Subsidies in the Agriculture Industry. *Management Science*, 65.1. 2019.
28. Amjad, R. Burki, S.J. *Pakistan: Moving the Economy Forward*. Lahore School of Economics Press (Lahore, Pakistan). 2013.
29. Amo, H.F. Hyamerah, S. The Pre and Post Financial Performance of Privatized State-Owned Enterprises in Ghana. *Research Journal of Finance and Accounting*, 7.19. 2016.
30. Amovic, G. Maksimovic, R. Buncic, S. Critical Success Factors for Sustainable Public-Private Partnership (PPP) in Transition Conditions: An Empirical Study in Bosnia and Herzegovina. *Sustainability*, 12.17. 2020.

31. Anderson, J.E. Martin, W. Costs of Taxation and Benefits of Public Goods with Multiple Taxes and Goods. *Journal of Public Economy Theory*, 13.2. 2011.
32. Andersen, J.P. Prause, J. Silver, R.C., A Step-by-Step Guide to Using Secondary Data for Psychological Research. *Social and Personality Psychology Compass*, 5.1. 2010.
33. Annacker, C. Protection and Admission of Sovereign Investment under Investment Treaties. *Chinese Journal of International Law*, 10.3. 2011.
34. Ansar, A. Flyvbjerg, B. Budzier, A. Lunn, D. Does infrastructure investment lead to economic growth or economic fragility? Evidence from China. *Oxford Review of Economic Policy*, 32.3. 2016.
35. Apostolides, N. Exercising corporate governance at the annual general meeting. *Corporate Governance International Journal of Business in Society*, 10.2. 2010.
36. Ardila, L.N. Saputra, D.A. Adiati, A.K. Sutopo, B. Asset Productivity, Profitability, and Firm Value: Can State-Owned Companies Outperform Non-State-Owned Companies? *International Journal of Business and Society*, 19.4. 2018.
37. Armour, J. Jacobs, J. Milhaupt, C. A Comparative Analysis of Hostile Takeover Regimes in the US, UK and Japan (with Implications for Emerging Markets). *Columbia University Center for Law and Economic Studies*, 377. 2010.
